



კავკასიის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

ხელნაწერის უფლებით

ავტორი: თამარ გეგელია

დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული

სამართლებრივი პრობლემები

მეცნიერ ხელმძღვანელი: ნინო გვენეტაძე, სამართლის დოქტორი.

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ქ.თბილისი, 0186,

საქართველო.

2018

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამარ გეგელიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

კავკასიის უნივერსიტეტი

2018 წელი

ავტორის გვარი, სახელი - გეგელია თამარ

თემის დასახელება - „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან

დაკავშირებული სამართლებივი პრობლემები „

სამართლის სკოლა

სამიუნივერსიტეტო აკადემიური ხარისხი – სამართლის დოქტორი

სხდომის ჩატარების თარიღი - 2018 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს და ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

კვლევამ გამოავლინა დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთან განსაზღვრა ახლებური ხედვა და გადაწყვეტის გზები არსებულ მიგნებებთან მიმართებით. პრობლემებში უკეთ გასარკვევად და შემდეგ მათ გადასაწყვეტად კვლევაში უხვად იქნა გამოყენებული როგორც ეროვნული, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და შედარებით სამართლებრივი მეთოდი. საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომების ანალიზმა მეტი დამაჯერებლობა შესძინა კვლევის სათქმელს.

ნაშრომში განხილულია დანაშაულის მომზადებასა და განზრახვის გამომჟღავნებას შორის ზღვარის გავლების მნიშვნელობა და კრიტერიუმები. ავტორის მტკიცებით, განზრახვის გამომჟღავნებად უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სიტყვებში, არამედ უმნიშვნელო ქმედებებში გამოხატული განზრახვაც, რომლებიც დაცული სიკეთისთვის ვერ ქმნიან რეალურ საფრთხეს. ავტორის თქმით, მომზადებაც რეალური შესაძლებლობის კატეგორიაა. კვლევის თანახმად, აბსტრაქტული საფრთხის შემქნელი დელიქტებისგან განსხვავებით, მომზადებასთან მიმართებით აუცილებელია საფრთხის ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში დადგენა, არარსებობის შემთხვევაში კი გამოირიცხოს დასჯადობა. სწორედ ასე გაავლო ზღვარი მომზადებასა და მის მიღმა ქმედებებს შორის. დანაშაულის მომზადების ბუნების გასაგებად ნაშრომში განხილულ იქნა დანაშაულის მომზადების დასჯადობის ორი მოდელი: მომზადების გენერალური და სპეციალური წესით დასჯის მიდგომები. კვლევამ აჩვენა მომზადების ზოგადი წესით დასჯადობის არაერთი უპირატესობა, განსაკუთრებით სპეციალური წესით დასჯის მოდელის მანკიერ პრაქტიკაზე დაკვირვებით, რითაც მხარი დაუჭირა ქართულ მოდელს, თუმცა კვლევაში შემუშავებული რეკომენდაციებით ავტორმა აჩვენა არსებული დეფინიციისა და სამომსართლო განმარტების დახვეწის აუცილებლობა.

კვლევაში განვითარებული აზრის მხარდასაჭერად გაკრიტიკებულია უშედეგო წაქეზების დასჯადობის საფუძველიც. ავტორის განმარტებით, უშედეგო წაქეზების

მომზადებად შეფასება დაუშვებელია. ავტორის დასაბუთებით, ეს იწვევს დანაშაულის მომზადების ორსახოვნებას, რაც შეიძლება იყოს არათანმიმდევრული პრაქტიკისთვის ბიძგის მიმცემი. კვლევამ წარმოაჩინა მისი წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის - მომზადების ცნებასთან და დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. კვლევის შედეგებზე დაყრდობით ნაშრომში რეკომენდაცია შემუშავდა - უშედეგო წაქეზების ცალკე დაუმთავრებელ დანაშაულად დასჯა მკვლელობის შემადგენლობებთან მიმართებით.

დანაშაულის მომზადების დასჯადობისთვის სასჯელის გამართლებისთვის კვლევამ რეკომენდაცია გასწია დასჯადობის შეზღუდვისთვის, არა დანაშაულის ზოგადი კატეგორიების მიხედვით, არამედ კრიმინალ-პოლიტიკური მიზნით დეტერმინირებული ქმედების შემადგენლობებით, რაც მომზადების სტადიაზე ქმედების შემადგენლობის რიცხვს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

კვლევამ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად მხარი დაუჭირა ობიექტურ თეორიას, რაც ავტორს კვალიფიკაციის სიზუსტის და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიად მიაჩნია. გარდა ამისა, ნაშრომში მხარდაჭერილია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის სავალდებულო წესით შემცირება, რაც ავტორის თქმით, დაუმთავრებელი დანაშაულის ქართული მოდელის ობიექტური თეორიისადმი კუთვნილების მეტად გამომხატველი იქნება. ამასთან ერთად, კვლევაში დასაბუთებულია, სასჯელის სავალდებულო წესით შემცირებასთან ერთად დანაშაულის კატეგორიის შეცვლის აუცილებლობაც.

მცდელობის ბუნების გამოსარკვევად და მომზადებისგან გასამიჯნად ნაშრომში გამოკვლეულ იქნა ქართული სისხლის სამართლის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. კვლევა იმ აზრს იზიარებს, რომ დანაშაულის მცდელობის ქართული მოდელი უფრო მეტად ობიექტური თეორიის საფუძველზეა აღმოცენებული და ასეც უნდა განიმარტებოდეს. დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს შორის ზღვარის გავლებას კი ობიექტური კრიტერიუმებით ახდენს, კერძოდ, შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის, სიკეთის დაზიანების საფრთხის და სხვა. კვლევის თანახმად, დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო ობიექტურ ორიენტაციას ავლენს და იმოწმებს საქართველოს

სასამართლო პრაქტიკას, რომელიც შედარებულია მიდგომებთან. თუმცა კვლევამ გამოავლინა მცდელობის უფრო ფართოდ განმარტების შემთხვევებიც. კვლევაში შემუშავებულია რეკომენდაცია დანაშაულის მცდელობის დეფინიციის ახლებურად განსაზღვრის თაობაზე, რაც, ავტორის მტკიცებით, უფრო მეტად შეუწყობდა ხელს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ხელს. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის დოგმატიკის ანალიზის საფუძველზე კვლევა ასაბუთებს დასჯადობის სუბიექტური თეორიების ნაკლოვანებებს, მათ შორის დისკრიმინაციული მართლმსაჯულების არაერთი მაგალითია განხილული, რაც, ავტორის მტკიცებით, სწორედ სუბიექტურად გაგებული საფრთხეებით უნდა აიხსნას.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებული საკითხებიც. კვლევამ მხარი დაუჭირა მეცნიერების იმ ჯგუფს, რომელიც არ ეთანხმება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობას. კვლევამ ვერ დაინახა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯის საჭიროება. ავტორის თქმით, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საჭიროება ვერ საბუთდება ვერც ისტორიული და ვერც თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემური გააზრებით (საფრთხის შემქნელი დელიქტების არსებობა), მის საჭიროებაზე ვერ უთითებს სასამართლო პრაქტიკაც. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ავტორი რეკომენდაციას უწევს განზრახვის სახეებიდან არაპირდაპირი განზრახვის ამორიცხვას, რაც მისთვის გარანტია ზუსტი კვალიფიკაციისა და გაორებული, არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკის გამართვისთვის.

Resume

The legal problems towards qualification of inchoate crimes were revealed by the instant research. Herewith, some new approaches and ways for salvation of those identified problems were determined. The national as well as the foreign countries' law practice was used as a method for better identification and resolution the problematic issues referred to the main subject of the research, which gave more persuasiveness to what is supposed to be said by the work.

The meaning of differentiation and its criteria between preparation and exposure of intention are discussed in the work. With accordance to the author's claim, not only words should be assessed as an exposure of intention but also slight actions in which an intention was revealed and that cannot create a real threat to the protected legal interest. According to the study, preparation creates a real possibility and danger. Unlike to abstract endangerment delicts, towards preparation, it is necessary to determine the danger in every particular situation, and in case of its absence, responsibility should be excluded. That is how the author made margins between the preparation stage and the exposure of intention. For the reason of to fully understand the nature of the preparation in the research two models of its punishability is discussed with its special and general models. The instant study shows the advantages of general punishability. For this reason, Georgian model was supported but some other recommendations were developed in the research. The author demonstrated the necessity of improving the definition of preparation and its forensic practical interpretation.

For supporting the idea developed in the thesis the ground of punishability for an unsuccessful incitement is criticized. According to the author, this is impermissible to estimate an unsuccessful incitement as a preparation since this causes perversion of preparation and stimulates incoherent and vague practice. The research reveals its contradictory character towards the definition of preparation and *locus poenitentiae*. On the finding of the work some recommendations for punishing incitement as an independent inchoate crime for some *corpus delicti* of murder are developed.

In order to justify a sentence for preparation in the work a recommendation for diminishing punishability is developed not only with general crime categories but also with those crimes which are determined with criminal-political aim. According to the work, this kind of attitude may essentially reduce the crime rate.

For the ground of punishability of inchoate crime an objective theory is supported in the research, which, according to the author, is the guarantee of pure qualification and protection for human rights. Furthermore, lenient sentence for inchoate crime is supported in the work which is logical because of chosen objective orientation. In addition, the study justified the necessity to change the category of crime together with the compulsory reduction of sentence.

Georgian criminal law doctrine as well as law practice for the reason of identification of the nature of criminal attempt and its differentiation from preparation were analyzed. According to the study, Georgian model of criminal attempt is based on more objective attitude and its interpretation should be made with accordance to it. For the purpose of differentiation stages of unfinished crimes, author uses objective criteria, such as: possibility and danger, nearness in time and place and so forth. According to the research it is true that punishability of criminal attempt is based on objective theory in the practice as well but some tendencies of extensive interpretation of the definition of attempt were appeared. The new definition of criminal attempt is recommended by the research, which is according to the author, would make law practice more coherent and unambiguous. In addition, on the analysis of foreign countries justice the vice practice of more subjective attitude is shown, including discriminative justice.

The problems about mens rea of inchoate crime are discussed in the thesis, as well. The group of scientists who disagree with the idea that criminal attempt can be committed with eventual intention is supported in the research. The study did not see the necessity of punishing the attempted crime with eventual intention. The conclusion of the thesis is based on historic and systemic consideration of criminal code as well as on criminal justice. On the basis of the result of the study, the author recommends indirect intention should be excluded from the definition of intention which will make clearer and coherent the criminal law of justice.

სარჩევი

შესავალი	10-14
თავი I. ქართულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის მოკლე ისტორიული ანალიზი (მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე)	15-21
თავი II. დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობა	22
2.1. დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის ზოგადი თეორიული პრობლემები	22-49
2.2. უმედეგო წაქეზება და დახმარება დანაშაულის მომზადებასთან მიმართებით	49-57
2.3. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ქმედებათა დანაშაულის მომზადებად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით	57-59
2.4. დანაშაულის მცდელობის მიღმა ეტაპების დასჯის მექანიზმი იმ ქვეყნებში, სადაც არ ისჯება მომზადება გენერალურად	59-73
თავი III. დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი ქართულ და უცხოურ სისხლის სამართალში	74
3.1. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ზოგადი თეორიული პრობლემები..	74-95
3.2. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით	95-105
3.3. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის პრობლემა სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში	105-129
3.4. დანაშაულის მცდელობის ცნებისა და მისი დასაწყისის პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნების დოქტრინასა და პრაქტიკის მიხედვით	129-164
თავი IV სასჯელი დაუმთავრებელი დანაშაულისთვის	165-168
დასკვნა	169-174
ბიბლიოგრაფია	175-191

შესავალი

კვლევის მიზანი და აქტუალობა. კვლევის აქტუალობა თავად საკვლევი საგნიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას არაერთი დისერტაცია, მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო მიემდგვნა, ის მაინც ბუნდოვანია და მის ირგვლივ არსებული კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება, რაც არაერთმა ეროვნულმა თუ საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლო პრაქტიკამაც აჩვენა. საკვლევი თემის აქტუალობას ხაზს უსვამს თანამედროვე გამოწვევები და ამის შესაბამისად ნაციონალური ხელისუფლების მიერ შემუშავებული არაერთი საკანონმდებლო ინიციატივაც.

კვლევის მიზანი დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ანალიზია. პრობლემა გაანალიზებულია როგორც ქართული, ისე უცხოური სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და შესწავლის, ასევე სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, რაც ეხმარება დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტთან დაკავშირებული მთელი რიგი სადავო საკითხების ყოველმხრივ წარმოჩენას, გააზრებასა და მათ მართებულ გადაწყვეტას.

კვლევის მიზნებისთვის და აქტუალობისთვის განხილული და გაანალიზებულია დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები: დანაშაულის მომზადება და მცდელობა, მათი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობა (თეორიასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების ჭრილში). განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი ისტორიული განვითარების კვალდაკვალ და გაანალიზებულია სუბიექტური და ობიექტური თეორიების ურთიერთჩანაცვლების მნიშვნელობა. ნაშრომით დასაბუთებულია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველად სუბიექტურთან შედარებით უპირატესად

ობიექტური თეორიის აღება, შესაბამისად, საფრთხისა და შესაძლებლობის კრიტერიუმების უპირატესობა.

დისერტაციაში გადაიხედა და ახლებურად გაანალიზდა დანაშაულის მომზადების სამართლებრივი ბუნება, მისი როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისთვის. ნაშრომში დასაბუთებულია დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის შენარჩუნების აუცილებლობა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით წარმოჩენილია მისი უპირატესობა გაუქმებასა და სპეციალური შემადგენლობების შემოღებასთან შედარებით. დანაშაულის მომზადების სწორად გაგებისა და მასთან მიმართებით გამოთქმული კრიტიკის გასანეიტრალებლად ნაშრომში გაანალიზებულია მისი მიმართება, ერთი მხრივ, განზრახვის გამომჟღავნებასთან და, მეორე მხრივ, დანაშაულის მცდელობასთან. დანაშაულის მომზადების არსის გასაგებად გადაიხედა გავრცელებული მოსაზრებები. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს დანაშაულის მომზადების ბუნების უკეთ წარმოჩენასა და მის გამიჯვნას სხვა ირელევანტური ქმედებებისგან, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში სსკ) გათვალისწინებული უშედეგო წაქეზების ინსტიტუტთან. შედარებით სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია როგორც განსხვავებული მოდელის მქონე ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია), ისე იმ ქვეყნების (უნგრეთი, ჩეხეთი, ჰოლანდია) მექანიზმები, რომლებიც საქართველოს მსგავსად ითვალისწინებენ მომზადების გენერალურ დასჯადობას.

კვლევის მიზნებისთვის დისერტაციაში განხილულია არა მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის კლასიკური სახეები (დანაშაულის მომზადება და მცდელობა), არამედ ქართული სისხლის სამართლისთვის უცხო ინსტიტუტებიც (დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება და კონსპირაცია), რომელთა არსებობაც ანგლო-ამერიკული თუ კონტინენტალური სამართლის სისტემის ქვეყნებში (გერმანია, ესპანეთი) სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის არარსებობით აიხსნება. დისერტაციაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ქვეყნები, რომლებიც **პრინციპულ** უარს ამბობენ დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობაზე, რეალურად მაინც სჯიან მას და ამასთან ზუსტად იმ პრინციპების უგულებელყოფით, რომლის გამოც მომზადების გენერალურ დასჯადობას აკრიტიკებენ. რამდენადაც კვლევა ემხრობა მომზადების გენერალურ

დასჯადობას, იმ აზრის საპირისპიროდ, რომ ქართული მოდელიც მომზადების სპეციალურ დასჯადობაზე უნდა გადავიდეს, შედარებითი ანალიზი მნიშვნელოვანია მომზადების გენერალური დასჯადობის უფრო ლიბერალური ბუნების წარმოსაჩენად. დისერტაციაში განვითარებული აზრის თანახმად, განსაკუთრებით საშიში ქმედებები იმსახურებენ ადრეული სტადიიდან კრიმინალიზებას. სასჯელის გამართლებისთვის კი მნიშვნელოვანია მომზადების ეტაპზე ქმედებათა დასჯა არა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კატეგორიის მიხედვით, არამედ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციალურად შერჩევითი წესით.

კვლევის მიზნებისთვის დისერტაციაში შედარებით სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია დანაშაულის მცდელობის ბუნება და მასთან დაკავშირებით არსებული და წლების განმავლობაში განვითარებული მიდგომები, რაც წარმოაჩენს მცდელობის ინსტიტუტის სირთულეს და ქმედების მცდელობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. კრიტიკულად არის გაანალიზებული ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ქმედების მცდელობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკის განზოგადებითა და ანალიზით შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები ქმედების მცდელობად კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმების შესახებ. დასმული პრობლემის შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდთან ერთად გამოყენებულია ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც, რითაც ნაშრომში გამოკვეთილია მცდელობის დასჯადობის საფუძვლად უპირატესად ობიექტური თეორიის აღების მნიშვნელობა, რაც კიდევ ერთხელ სხვა საკითხებთან ერთად კომპლექსურად არის გააზრებული.

რამდენადაც კვლევის ერთ-ერთი მიზანია დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს შორის ზღვარის გავლება, დისერტაციაში განვითარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა არა ერთი რომელიმე ხისტი მიდგომის ჩამოყალიბება, არამედ ზოგადი, ობიექტური ორიენტაციის არჩევა (დროსა და სივრცეში ობიექტური სიახლოვე) და მის ყოველ ინდივიდუალურ გარემოებებთან შესაბამისობის დადგენა (ქმედების ჩადენის ხერხი, საშუალება, სუბიექტის შესაძლებლობა და სხვა).

დისერტაციაში ცალკე ქვეთავი ეთმობა დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას და მასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს. განხილულია როგორც იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ დაუმთავრებელი დანაშაულის განზრახვის ნებისმიერი სახით დასჯადობას, ასევე იმ მეცნიერების მოსაზრებაც, რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ევენტუალური განზრახვით დანაშაულის დაუმთავრებელ სტადიაზე დასჯადობას. კვლევა ემხრობა დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტურ მხარედ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის აღიარებას, რადგან, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ხდება დასჯადობის გადატანა, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ქმედების სუბიექტური ტენდენცია, რომ არ გაუფერულდეს სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტის ფუნქცია და ამის გამო არ შესუსტდეს სისხლის სამართლის ლიბერალური ტენდენციები. გარდა ამისა, კვლევის თანახმად, ეს მნიშვნელოვანია აგრეთვე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სხვადასხვა ნორმების ჰარმონიული თანაარსებობისთვის. ამ მიმართებით სსკ-ის შესაბამისი ნორმები და ინსტიტუტები განხილულია სისტემურად. კვლევის მიზნებისთვის განხილულია აგრეთვე როგორც ეროვნული, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინები და სასამართლო პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს დასახელებული პოზიციების სუსტ და ძლიერ მხარეებს და ნათელყოფს დისერტაციაში მხარდაჭერილი პოზიციის უპირატესობას.

ამ კვლევის ავტორი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველს უფრო მეტად ობიექტური თეორიით ასაბუთებს და ამ თეორიით უჭერს მხარს, ამიტომ კვლევის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ავტორისეული პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს დაუმთავრებელი დანაშაულისთვის უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას. ამ თვალსაზრისით ნაშრომში ახალი წინადადებაა შემუშავებული მოსალოდნელი სასჯელის შესაბამისად დაუმთავრებელი დანაშაულის კატეგორიის შეცვლის თაობაზე.

ამდენად, წინამდებარე კვლევის მიზნებია:

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის არსის განსაზღვრა და დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად ობიექტური თეორიის უპირატესობის დასაბუთება;

მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა ობიექტური თეორიიდან ნაწარმოები კრიტერიუმებით;

დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის უპირატესობის დასაბუთება მისი დასჯისათვის სპეციალური შეკვეცილი დელიქტების შემოღებასთან შედარებით და დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის კანონიერების პრინციპთან წინააღმდეგობის არარსებობის დასაბუთება;

დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტური მხარესთან დაკავშირებით არსებული მიდგომების ანალიზი და კვლევის შედეგებით მეცნიერთა იმ ჯგუფის პოზიციის გაზიარება და სისწორის წარმოჩენა, რომლებიც გამორიცხავენ ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობას;

დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის სავალდებულო შემცირების აუცილებლობის დასაბუთება და ამ მიმართებით პრობლემების წარმოჩენა და ანალიზი;

კვლევის მიზნებით მოცული პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებულია ისტორიული, დოგმატიკური, შედარებით - სამართლებრივი, ლოგიკური, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და კვლევის სხვა მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლისა, 4 თავისა, 8 ქვეთავისა, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან

**თავი I. ქართულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი
დანაშაულის დასჯადობის მოკლე ისტორიული ანალიზი
(მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე)**

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ დანაშაულის ჩადენის ოთხ სტადიას¹, ესენია: განზრახვის გამომჟღავნება, დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დამთავრებული დანაშაული². დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის დაწესება მნიშვნელოვანი ბერკეტია სახელმწიფოსთვის ადრეული ეტაპიდან დანაშაულის პრევენციისა³ და სამართლებრივი სიკეთის ეფექტური დაცვისთვის⁴. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადი სტადიებია დანაშაულის მომზადება და მცდელობა, ხოლო განზრახვის გამომჟღავნება იმ პრინციპის გავლენით, რომლის მიხედვით თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, არ წარმოადგენს დასჯად სტადიას⁵. რამდენადაც დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები დამთავრებული დანაშაულის განხორციელების სტადიებია, მათ დამატებითი ხასიათი აქვთ⁶, ქმედების მომზადებად და მცდელობად შეფასებაც მნიშვნელოვნადაა

¹წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ.1. თბილისი, მერიდიანი. 335; გამყრელიძე ო. 2010. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება*. თბილისი. 154.

²იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია დანაშაულის მატერიალური დასრულების ცალკე სტადიად გამოყოფაც. იხ. ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება*. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 341.

³ Loveless J. 2010. *Complete Criminal Law: Text, Cases, and Materials*. New York, Oxford University Press. 4. ხარანაული ლ. 2013. სადისერტაციო ნაშრომი: *დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით* (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 289; Storey T. and Lidbury A. 2009. 319; Tadros V. 2011. *The ends of harm: The Moral Foundations of Criminal Law*. New York, Oxford University Press. 326; LaFave W.R. 1988. *Modern Criminal Law. cases, comments and questions*. west publishing. 549; Schmidt D. 1987. Deterrence and criminal attempts. *Canadian Journal of philosophy*, Vol.17, N 3. 615.

⁴ Gardner T. J. and Anderson T. M. 2009. *Criminal Law*. Belmont, Wadsworth.83; Herring J. 2011. 437, 337, 345; Cremona M. 1989. *criminal law*. London, Macmillan.259; Storey T. and Lidbury A. 2009. 319; Martin J. and Storey T. 2015. *Unlocking criminal law*. New York, Routledge. 141; Tadros V. 2011. 327; Keedy E. R. 1954. Criminal Attempts at Common Law. *University of Pennsylvania Law Review*. pp 464-489. 468; Padfiel N. 2012. 163.

⁵Padfiel N. 2012. *Criminal law*. Oxford, Oxford University Press.162; Storey T. and Lidbury A. 2009. *criminal law*. Cullompton, Devon: Willian publishing. 319; Herring J. 2011. *Criminal law*. New York, pal grave Macmillan. 437.

⁶ტურავა მ. 2013. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*. თბილისი, მერიდიანი. 307.

დამოკიდებული კონკრეტული დამთავრებული ქმედების კანონმდებლობით განსაზღვრულ შემადგენლობაზე⁷. დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან მიმართებით არსებული ყველაზე პრობლემატური და დღემდე გადაუჭრელი საკითხი, რაც წინამდებარე კვლევის საგანსაც წარმოადგენს, არის ის, თუ სად გადის ზღვარი დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის მომზადებას შორის, ასევე მომზადებასა და განზრახვის გამომჟღავნებას შორის. კითხვაზე, თუ საიდან იწყება დანაშაულის მცდელობის ათვლა და სად მთავრდება მანამდე არსებული სტადია, პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ თეორიას ემყარება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა: უპირატესად ობიექტურს თუ სუბიექტურს. სწორედ ამის შესაბამისად ხდება კვალიფიკაციაც და თითოეული ინსტიტუტის საკანონმდებლო ცნების განსაზღვრაც. არჩეული ორიენტაცია ხშირად ხდება მცდელობის განვრცობის ან - პირიქით, მისი შეზღუდულად განმარტების საფუძველი. ამდენად, დაუმთავრებელი დანაშაულის განვითარების ისტორიული ანალიზი მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის დასჯადობის საფუძვლის გასარკვევად, კერძოდ, იმის ნათელსაყოფად, თუ რას ემყარება უპირატესად მისი დასჯადობა საქართველოში: ობიექტურ თეორიას, როგორც მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია⁸, თუ უპირატესად სუბიექტურს, რასაც მეცნიერთა მეორე ნაწილი ასაბუთებს⁹. დასახელებული პრობლემის წარმატებული გადაჭრა და საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მცდელობები არც საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიისთვის არის უცხო, ის დღემდე რჩება კამათისა და განსჯის საგნად¹⁰.

⁷წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 346.

⁸გამყრელიძე ო. 2010. 161; სურგულაძე ლ. 2005. *სისხლის სამართალი - დანაშაული*. თბილისი, ბონა კაუზა. 310-11; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. *დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები*. თბილისი, მერიდიანი. 9-10.

⁹ტურავა მ. 2013. 316; ხარანაული ლ. 2013. 205-206; ჯიშკარიანი ბ. 2015. *კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში*. თბილისი, იურისტების სამყარო. 103.

¹⁰დაუმთავრებელი დანაშაულის განვითარების ისტორიის ანალიზისთვის იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. *დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული 1*. თბილისი. 83-102. ასევე სურგულაძე ლ. 1979. *საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია 1921-1922*. თბილისი. 53-55; ხარანაული ლ. 2013. 107-138; ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლების ანალიზისთვის იხ. იხ. Duff R.A. 1996. *Criminal Attempts*. New York, Oxford University Press. 144-326; Fletcher G. P. 2000. *Rethinking Criminal Law*. New York, Oxford University Press. 135-145.

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიის კვლევამ აჩვენა, რომ პირველი რეფორმა სისხლის სამართალში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში განხორციელდა, ის თავისი არსითა და შედეგებით რეპრესიული იყო და სჯიდა ნების უბრალო გამომჟღავნებასაც კი, ხოლო დასჯის საფუძვლად ადგენდა არა საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, არამედ პიროვნების საშიშროებას¹¹. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში კანონმდებლობა არ შეიცავდა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას, ამასთან, თვით დანაშაულის ზოგადი ცნებაც მეტისმეტად ფართოდ იყო განსაზღვრული, რის გამოც განზრახვის უბრალო გამომჟღავნებაც კი ისჯებოდა, როგორც დამთავრებული დანაშაული¹². დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა 1928 წლის რედაქციის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (შემდგომში სსრ) სისხლის სამართლის კოდექსში¹³.

მეორე საკანონმდებლო რეფორმა საქართველოში სისხლის სამართლის მიმართულებით უკვე გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გატარდა, რაც 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით დაგვირგვინდა. ეს უკანასკნელი გაცილებით პროგრესულ კანონად იქნა შეფასებული, ვიდრე მისი წინამორბედი კოდექსები, რაც 1960 წლის კოდექსის მიღების სოციალურ-პოლიტიკური ფონით და კონტექსტით არის ახსნილი¹⁴. აღნიშნულ მოვლენებს წინ ე.წ „დათბობის“ პერიოდი უძღოდა¹⁵, რამაც საკანონმდებლო ცვლილებამდე სისხლის სამართლის დოქტრინის გადახედვა და ლიბერალიზაცია გამოიწვია. ხსენებული საკანონმდებლო რეფორმის მთავარ მიღწევას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ახლებურად განისაზღვრა დანაშაულის ზოგადი ცნება, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რამაც გამორიცხა კანონის ანალოგიის გამოყენებით პირის დასჯის შესაძლებლობა. თუმცა ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ უშუალოდ დაუმთავრებელი დანაშაულის

¹¹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 89-91.

¹²სურგულაძე ლ.1979. 28.

¹³წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 330.

¹⁴გამყრელიძე ო.2010. 10-11.

¹⁵მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 89.

ინსტიტუტმა უფრო რედაქციული ხასიათის ცვლილებები განიცადა, ვიდრე არსობრივი¹⁶.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. წმინდა სუბიექტური თეორია (რომელსაც პიროვნების საშიშროების თეორიასაც უწოდებენ), თავის აშკარა გამოხატულებას საქართველოს საბჭოთა სისხლის სამართალში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ავლენდა. ხოლო მეორე ნახევარში, კერძოდ, 60-იანი წლების დასაწყისიდან, დასჯადობის საფუძველი გახდა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, სადაც, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს ობიექტური თეორია. ამ თეორიის გავლენამ თავისი მკაფიო გამოხატულება დანაშაულის მცდელობის ცნებაში ჰპოვა, რომლის გასაგებად თეორიაში საფრთხის და შესაძლებლობის კატეგორიებს იყენებდნენ. თუმცა, როგორც ანალიზმა აჩვენა, საამისოდ მან განვითარების ხანგრძლივი დრო გაიარა. იმ საკანონმდებლო სივრცეში, სადაც ცეცხლსასროლი იარაღის მართოდ შეძენაც კი მომზადებას წარმოადგენდა და სასჯელი არ განსხვავდებოდა დანაშაულის ჩადენის სტადიების მიხედვით¹⁷, სუბიექტურ მიდგომასთან მიმართებით ობიექტური თეორიის უპირატესობაზე საუბარი მაინც ნაადრევი იყო. მაგრამ ის ფაქტი, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება კანონმდებელმა ობიექტურ სამყაროში გამოხატულ, მიზნით დეტერმინირებულ ნაბიჯებს (პირობებს) დაუკავშირა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმას და მის შედეგად სრულიად ახალი რედაქციით 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსს, აქ აშკარად შეიმჩნევა ობიექტური თეორიის უპირატესობა სუბიექტურთან შედარებით, რაზეც არაერთი გარემოება მეტყველებდა. წინა რეგულაციებთან შედარებით დანაშაულის მომზადება „პირობათა“ ერთობლიობით განისაზღვრა, რაც ადამიანის შინაგანი ნების გარეგნულად ყოველნაირი გამოვლენის დანაშაულის მომზადებად შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა, ამასთანავე კარგად ავლენს თვით მომზადების ბუნებას. დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის

¹⁶ ხარანაული ლ. 2013. 23-24.

¹⁷ დაუმთავრებელი დანაშაულისთვის უფრო ნაკლები სასჯელის დანიშვნის მომხრე იყო ცნობილი ობიექტივისტი დაფი. იხ. Duff R.A. 1996. 351-354; ასევე იხ. Ashworth A. 2009. *Principles of Criminal Law*. New York, Oxford University Press. 440.

დასჯადობის საფუძვლად უპირატესად ობიექტური საწყისების მნიშვნელობა იკითხებოდა სსკ-ის 56-ე მუხლის თავდაპირველ რედაქციაში, რომელიც დანაშაულის მომზადებისთვის და მცდელობისთვის ითვალისწინებდა სასჯელის სავალდებულო წესით შემცირებას¹⁸. კანონის მიზანი ისე იკითხებოდა, რომ ობიექტურად დროსა და სივრცეში რაც უფრო შორს იქნებოდა დანაშაულის ჩადენის სტადია სიკეთის დაზიანებისგან, სასჯელიც ამის შესაბამისად სავალდებულოდ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო¹⁹. დასახელებული ნორმა ამ შინაარსით 2006 წლამდე მოქმედებდა. 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენით, დაუმთავრებელი დანაშაულისთვის უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის სავალდებულო მოთხოვნა გაუქმდა. გამკაცრებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ფონზე, 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, კვლავ დაბრუნდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების სტადიაზე დასჯადობა, რაც 2000 წლის ცვლილებით დეკრიმინალიზებული იყო, ხოლო 2008 და 2011 წლების ცვლილებით კიდევ უფრო გაფართოვდა მომზადების დასჯადობის ფარგლები და დანაშაულის ორ კატეგორიას დაემატა მესამეც, რამდენიმე ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადებაც²⁰. ამ დანაშაულების უმეტესობა სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენდა და მათი ადრეულ სტადიაზე კრიმინალიზება და დასჯადობა კანონმდებელმა იმდროინდელი სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებით ახსნა²¹. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის ზოგად ნაწილთან ერთად ცვლილებები შევიდა კერძო ნაწილშიც. ცვლილებები განსაკუთრებით შეეხო სამოხელეო დანაშაულებს, მათ შორის ქრთამის აღებასაც. თუკი ცვლილებამდე აღნიშნული ქმედების შემადგენლობის დამთავრებისთვის აუცილებელი იყო ქრთამის აღება, ცვლილებების შემდეგ ამ ქმედების ფორმალური დამთავრების მომენტი მხოლოდ²²

¹⁸დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის სავალდებულო წესით შემცირება ობიექტური ორიენტაციის საზომად მიაჩნია ჰედრიხსაც. იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 92.

¹⁹დვალიძე ი. და სხვები. 2004. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დაუმთავრებელი დანაშაული*. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. 300.

²⁰ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 91-92; გამყრელიძე ო. 2013. *დაუმთავრებელი დანაშაული, სისხლის სამართლის პრობლემები ტ. 3*. თბილისი, მერიდიანი. 239-240.

²¹იხ. განმარტებითი ბარათი კანონზე „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შესახებ“ N403 (23 ოქტომბერი 2008).

²²დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დასრულებაზე იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. *დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები*. თბილისი, მერიდიანი. 243.

ქრთამის მიცემის დაპირებით და ქრთამის მოთხოვნით შემოისაზღვრა²³. ზემოთ დასახელებული 2008 წლის ცვლილება, რომელიც მომზადების გენერალურ დასჯადობას შეეხო, მიუთითებს იმაზე, რომ დასჯადია ქრთამის აღების მომზადების სტადიაც, რამაც თავის მხრივ ეჭვქვეშ დააყენა ამ დანაშაულის მომზადების მატერიალური შინაარსიც, რადგან აღნიშნული დამთავრებული დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციამ განაპირობა მისი დასჯადობის იმდენად ადრეულ ეტაპზე გადატანა, რომ ეჭვქვეშ დააყენა მისი რეალურობის კატეგორიასთან მიმართება²⁴. შეიძლება ითქვას, რომ კორუფციასთან, ქურდულ სამყაროსთან და სხვა მსგავს დანაშაულებთან წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებამ სისხლის სამართლის პოლიტიკის ავტომატურად გამკაცრება გამოიწვია სხვა დანაშაულთა მიმართაც, თუმცა სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ცვლილებების შემდეგაც დაუმთავრებელი დანაშაული არსობრივად სწორად, ძირითადად ობიექტური კატეგორიებით განიმარტება.

ამრიგად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სხვადასხვა ეტაპზე, როგორც იყო სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები ან რას ისახავდა მიზნად პოლიტიკური იდეოლოგია, ამის შესაბამისად იზრდებოდა სამართლის სუბიექტური ორიენტაცია და ზოგჯერ დასჯადაც ცხადდებოდა განზრახვის გამომჟღავნებაც კი, შესაბამისად, კნინდებოდა დასჯადობის ობიექტური საფუძვლები. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი ერთგვარი საზომია სისხლის სამართლის რეპრესიისა, რომლითაც საცნაური ხდება, თუ რამდენად რჩება სახელმწიფოს რეპრესია გონივრულ საზღვრებში. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის ინსტიტუტი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დანაშაულის ადრეული ეტაპიდან პრევენციისა და სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვის. საკითხი, თუ რამდენად მოდის ან არ მოდის ადრეული სტადიების კრიმინალიზება ადამიანის უფლებებთან წინააღმდეგობაში, უნდა გადაწყდეს, ერთი მხრივ, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკანონმდებლო საფუძვლისა და ამ მიმართებით სახელმწიფოს მიერ არჩეული ორიენტაციის ობიექტური შეფასების მიხედვით, ხოლო,

²³ იხ. საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლი.

²⁴ ქართულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა შესაძლებლობისა და საფრთხის კატეგორიებით აიხსნება. ამის შესახებ იხ. წერეთელი თ. 1961. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. თბილისი, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია. 89-90.

მეორე მხრივ, იმ არსებითი მიზნის გათვალისწინებით, რატომაც ხდება ამა თუ იმ დანაშაულის განვითარების სტადიების კრიმინალიზება. სასჯელის გამკაცრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამით კანონმდებელმა უგულბებლყო ობიექტური თეორიის პრიმატი სუბიექტურთან შედარებით, რის თაობაზეც ანალიზი წარმოდგენილი იქნება ნაშრომის მომდევნო თავებში.

თავი II. დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობა

2.1 დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის ზოგადი თეორიული პრობლემები.

ქართულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადი ორი სახე არსებობს, ესენია: დანაშაულის მომზადება და მცდელობა.

თავის მხრივ, დანაშაულის მომზადების დასჯადობის ორი გზა არსებობს:²⁵ **გენერალური**²⁶ და **სპეციალური**²⁷. პირველი გულისხმობს მომზადების, როგორც განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიის კრიმინალიზებას. მომზადების სტადიაზე ქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ხდება სსკ-ის ზოგადი და კერძო ნაწილით გათვალისწინებული ორი მუხლის გამოყენება. ზოგადი ნაწილიდან იმ მუხლისა, რომელიც ზოგადად დანაშაულთა მომზადების დასჯადობას ითვალისწინებს, ხოლო კერძო ნაწილიდან - იმ მუხლისა, რომელშიც იმ ქმედების შემადგენლობაა განსაზღვრული, რომლის ჩადენისკენაც იყო მიმართული მოსამზადებელი მოქმედება. კრიმინალიზების მეორე გზა გულისხმობს მომზადების ცალკეული შემადგენლობების შექმნას ე.წ. შეკვეცილი დელიქტების სახით (*delictum sui generis*), რომელიც დაისჯება, როგორც დამთავრებული დანაშაული. ასევე შესაძლებელია გარეგნულად დაუმთავრებელი დანაშაულის მსგავსი სახის შექმნა, რომელიც პირდაპირ კავშირშია კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ამა თუ იმ დანაშაულთან, მაგალითად, კონსპირაცია - *conspiracy*, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება - *solicitation*²⁸.

²⁵მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2013. 89.

²⁶ტერმინი „დანაშაულის გენერალური მომზადება“ და „მომზადების გენერალური დასჯადობა“ გამოყენებული აქვთ ლ. ხარანაულოსა და ქ. მჭედლიშვილს. იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2013. 91; ხარანაული ლ. 2013. 77. კვლევა უპირატესობას ანიჭებს ტერმინს: დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობა, რადგან უკეთ გამოხატავს მომზადების ზოგადი ნაწილით დასჯის არსს.

²⁷აქ იგულისხმება არა მხოლოდ *delictum sui generis* არამედ ასევე დაუმთავრებელი დანაშაულის სხვა სახეები.

²⁸ *Solicitation* დასჯადობა ამერიკის რამდენიმე შტატში დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე, მაგალითად, ისჯება ფელონის მოწოდება, მაგრამ არ ისჯება მისდემინორის, თუმცა დანარჩენ შტატში

საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც უნგრეთისა, ჩეხეთის და ნიდერლანდებისა, ითვალისწინებს მომზადების გენერალურ დეფინიციას²⁹, ხოლო სახელმწიფოთა უმრავლესობის სისხლის სამართლის კანონმდებლობები მსგავს დეფინიციებს არ იცნობენ, მათ შორის ისინი, რომლებიც შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით განხილული იქნება ნაშრომში (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები), რომლებიც მომზადების სპეციალურ დასჯადობას ითვალისწინებენ.

აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოთ დასახელებული სახელმწიფო - საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები (შემდგომში აშშ), ინგლისი, გერმანია - ვერ ხედავენ პრობლემას ზოგადად დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით. დაუმთავრებელ დანაშაულში ზოგი კონსპირაციას, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებასა და მცდელობას, ზოგიც მომზადებას გულისხმობს, მაგრამ ის მთავარი, რაც მათ აერთიანებს - სიკეთის ადრეული დაცვა და დანაშაულის პრევენცია, როგორც განზრახი დანაშაულის განვითარების საწყისი ეტაპების კრიმინალიზაციის მიზანი - ყველასთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და მისაღებია. უთანხმოებასა და კამათს იწვევს მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის ცალკეული სახის შინაარსი, მისი შესაბამისობა „განჭვრეტადობასა“ და კანონის „განსაზღვრულობასთან“ მიმართებით.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელიც დანაშაულის მომზადებას სჯის არა სპეციალური დამთავრებული დელიქტების სახით, კანონის გასქელების ხარჯზე, არამედ გენერალურად. დანაშაულის მომზადების კრიმინალიზების საფუძველი, ისევე, როგორც დანაშაულის მცდელობისა, კანონით დაცული სიკეთისთვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა არის. უდავოა, რომ სამართლებრივ სიკეთეს სისხლის სამართალი იცავს არა მხოლოდ დაზიანებისგან, არამედ ზიანის მიყენების რისკისგანაც, ამის

ამ მხრივ შეზღუდვა არ არსებობს. იხ. Samaha J. 2011. *Criminal Law*. Belmont, Wadsworth Cengage Learning. 264 და 266-267

²⁹დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას ითვალისწინებს აზიისა და ევროპის არაერთი ქვეყანა, მათ შორის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (1980 წლის 1 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსი, სექცია 2, მუხლი 19); ლიტვის რესპუბლიკა (2000 წლის 26 სექტემბრის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21) და სხვა.

დასტურია სსკ-ში დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები, დანაშაულის მომზადება (მე-18 მუხლი) და მცდელობა (მე-19 მუხლი). თ. წერეთელი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველთან მიმართებით, დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას „ძირითადი, ე.ი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობიდან ნაწარმოებ შემადგენლობებს” უწოდებდა³⁰. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იმ კრიტიკის საპასუხოდ, რომლის თანახმადაც, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს, თ. წერეთელმა საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებებით ახსნა და შესაბამისად, ვერ დაინახა კანონიერების პრინციპთან წინააღმდეგობა³¹. გაბატონებული აზრის თანახმად, რომლის წარმომადგენელიც თ. წერეთელი და სხვა საბჭოთა პერიოდის მეცნიერები არიან³², დანაშაულის მომზადება ფართო გაგებით მოიცავს ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, რადგან არსებობს დანაშაულის მომზადების შემადგენლობაც, მაგრამ ის არ შეიცავს განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული იმ კონკრეტული ქმედების შემადგენლობის არცერთ ელემენტს, რომლის ჩადენისკენაც არის მიმართული³³. ი. დვალიძის ინტერპრეტაციით კი, დანაშაულის მომზადება არ მოიცავს მხოლოდ „ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს”³⁴. გაბატონებულ აზრს უპირისპირდება ო. გამყრელიძე, რომლის აზრითაც, ქმედების შემადგენლობის მასშტაბებს კანონმდებელი ადგენს და, რამდენადაც, მომზადების კრიმინალიზება მოახდინა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მოსამზადებელი პირობები ქმედების შემადგენლობის ელემენტად და, მაშასადამე, „მკვლელობის შემადგენლობის ელემენტად მიიჩნია „იარაღის შექმნაც“. ამ საკითხის გაბატონებული აზრის მიხედვით გადაწყვეტა მას კანონიერების პრინციპის საპირისპიროდ მიაჩნია³⁵. ო. გამყრელიძის აზრს უპირისპირდება ნ. თოდუა, რომლის აზრითაც, მომზადების ქმედების

³⁰წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 265-266.

³¹ Ibid. 365. ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს ლაშა-გიორგი კუტალიას იხ. კუტალია ლ.-გ. 2000. *მონოგრაფია, ბრალი სისხლის სამართალში*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი. 115-122.

³² Траинин А.Н.1951. *состав преступления по уголовному праву*. Госиуриздат. М. 313-314; ასევე იხ. Лясс. Н.В.1956. *Понятие и основания наказуемости приготовления и покушения*, учение записки ленинградского государственного университета имени А.А. жданова, Вопросы уголовного права и процесса. Ленинград.

³³ წერეთელი თ. 1961. 83-84; იმ აზრს, რომ მომზადება არ მოიცავს ქმედების შემადგენლობის ელემენტებს, იზიარებს მ. ტურავაც. იხ. ტურავა მ. 2013. 301.

³⁴ იგივე აზრზეა ირაკლი დვალიძეც. იხ. დვალიძე ი. და სხვები. 2007. 159.

³⁵ გამყრელიძე ო. 2010. 156.

შემადგენლობის ელემენტად აღიარება ძალიან ხელოვნურს გახდის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნას. აღნიშნული ავტორი პრობლემას შეკითხვის ფორმით აყალიბებს: თუკი მომზადებაც ქმედების შემადგენლობის ელემენტია, მაშინ ის რატომ მოიაზრება აბსტრაქტული საფრთხის კატეგორიაში? ამ ავტორის აზრით, ძალიან გაჭირდება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა, თუკი ორივე სტადია შემადგენლობის ელემენტად იქნება მიჩნეული. მისივე თქმით, მომზადება მხოლოდ პირობას ქმნის დანაშაულის ჩასადენად, რომელიც ქმედების შემადგენლობის მიღმაა და ამიტომაც არის აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი³⁶. ამ საკითხს ეხმიანება თ. ცქიტიშვილი, მისი აზრით, მართალია, მომზადების დროს ქმედების შემადგენლობის აღსრულება არ არის დაწყებული, მაგრამ „დანაშაულის ჩადენა” დაწყებულია, რაც უფრო მოცულობითი ცნებაა და, „ თუ დანაშაულის მომზადებას დანაშაულის დაწყებად არ მივიჩნევთ, არასწორი იქნებოდა დანაშაულის განვითარების აღნიშნული ეტაპისთვის გვეწოდებინა დაუმთავრებელი დანაშაული”³⁷. აღნიშნულ მოსაზრებასა და წერეთლისეულ შეფასებას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. ამ მსჯელობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დასრულებული დანაშაულის გარდა, მათი დაუმთავრებელი სტადიაცაა, რაზედაც სსკ-ში მომზადებისა და მცდელობის კრიმინალიზება მეტყველებს, უფრო სწორი იქნება, თუკი ვიტყვი, რომ მოსამზადებელი ქმედებებიც დანაშაულის შემადგენლობის დასაწყისია, რადგან ყველა ის დელიქტი, რომელიც მოსამზადებელ ეტაპზე უკვე კრიმინალიზებულია, მისი დასაწყისი სწორედ ეს ეტაპია, თუმცა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დასრულებული სახით აღწერილი ქმედების ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ელემენტს. შესაბამისად, დასჯადია არა მხოლოდ კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დაწყება, არამედ მანამდე განხორციელებული ქმედებებიც, მათ შორის, მთელ რიგ დელიქტებთან მიმართებით, დაუმთავრებელი მცდელობაც. ასე რომ, პოზიცია, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევა შემადგენლობასთან მიმართებით ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორცაა- „ფართოდ” და „ვიწროდ”, გასაზიარებელია.

³⁶თოდუა ნ. 2014. 2-3.

³⁷ ცქიტიშვილი თ. 2014. დისერტაცია. 82. 240-ე სქოლიო.

სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანხმად, დანაშაულის მომზადება არის „... დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“. იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნაში, ნორმის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთის იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს გავრცელებული მოსაზრება მოსამზადებელი ქმედებების შესახებ, რომ ის ქმედების შემადგენლობის გაადვილების და ხელშეწყობის პირობებს ქმნის, რომელიც ძალიან არის დაშორებული ქმედების შემადგენლობის აღსრულებისგან³⁸. აღნიშნული მოსაზრებების თანახმად, მოსამზადებელი ქმედებები მრავალფეროვანია და მათი შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქმედების შემადგენლობის ჩასადენად არის მიმართული³⁹. დანაშაულის მომზადებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები მრავალფეროვანია, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: დანაშაულის მომზადების დროს „პირის საქმიანობა არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს“⁴⁰, რასაც უპირისპირდება ო. გამყრელიძე, რომლის აზრით, მომზადება სწორედ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისკენ მიმართული კონკრეტული ქმედებაა⁴¹. მეცნიერთა ნაწილი დასჯის ღირს მომზადებას დანაშაულის მცდელობასთან სიახლოვეში ხედავს⁴², ასევე მხოლოდ იმ მოსამზადებელ ქმედებებში, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენაა მიმართული⁴³. დანაშაულის მომზადების შეზღუდულად განმარტების კიდევ ერთი ცდა იყო ის პოზიცია, რომლის მიხედვით, მასში მოიაზრებდნენ სრულ და არა ნაკლებ პირობას, რაც „მომზადების მომზადებად“⁴⁴ და, მაშასადამე, არადასჯად მომზადებადაა შეფასებული⁴⁵. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა ნაწილი დანაშაულის მომზადებას არ ათავსებდა რეალური შესაძლებლობის

³⁸ Wagner R. E. 2010. *One Case Research Paper Series in Legal Studies Working Paper, A Few Good Laws: Why Federal Criminal Law Needs a General Attempt Provision and How Military Law Can Provide*. 1065; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 348-349; წერეთელი თ. 1961. 90; გამყრელიძე ო. 2013. 239; ტურავა მ. 2013. 305.

³⁹ გამყრელიძე ო. 2013. 237; წერეთელი თ. 1961. 80; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 348-349.

⁴⁰ წერეთელი თ. 1961. 91; დვალაძე ი. 2007. 156.

⁴¹ გამყრელიძე ო. 2013. 236. ამ აზრის იზიარებს მერაბ ტურავაც. იხ. ტურავა მ. 2013. 307.

⁴² წერეთელი თ. 1961. 88; გამყრელიძე ო. 2013. 240; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2013. 94. თოდუა ნ. 2014. დანაშაულის მომზადება, მცდელობა და მათი მნიშვნელობა დანაშაულის აღმსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხში. *მართლმსაჯულების ხმა*, N 3. დანაშაულის მომზადების შეზღუდულად განმარტების მომხრეა მერაბ ტურავაც. იხ. ტურავა მ. 2013. 308.

⁴³ გამყრელიძე ო. 2010. 158-159.

⁴⁴ წერეთელი თ. 1961. 80.

⁴⁵ 79. ამ მოსაზრებას იზიარებს ლ. სურგულაძეც, იხ. სურგულაძე ლ. 2005. 301.

კატეგორიაში. მაგალითად, თ. წერეთელი თავის ნაშრომში აკრიტიკებდა ნ. კუზნეცოვას აზრს, რომელიც დანაშაულის მომზადებას სიკეთის ხელყოფის რეალური პოტენციალის ქმედებად აფასებდა⁴⁶, ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ თ. წერეთელი, რომელიც უვარგის ობიექტზე თავდასხმის მცდელობას არადასჯად ქმედებათა რიცხვს მიაკუთვნებდა ხელყოფის საფრთხის არარსებობის გამო, მსგავსი შემთხვევების მომზადებად დაკვალიფიცირების მომხრე იყო⁴⁷. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ, განსხვავებით მცდელობისგან, თ. წერეთელი დანაშაულის მომზადების აუცილებელ ნიშნად არ მიიჩნევდა დაცული სიკეთისთვის რეალური საფრთხის შექმნას. დანაშაულის მომზადების რეალური საფრთხის კატეგორიის მიღმა მოაზრება ნიშნავს მისი, როგორც დაცული სიკეთის ხელყოფის მხოლოდ აზრობრივ დაშვებასთან გათანაბრებას, რაც სწორი არ არის. მითუმეტეს, იგივე ავტორი მომზადების სპეციალურ დასჯადობას მხარს უჭერდა დაცული სიკეთის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე. **ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი** კი დანაშაულის მომზადებას რეალური შესაძლებლობის მქონე ქმედებად აფასებს⁴⁸ და სწორედ იმიტომ, რომ ის ხედავს დანაშაულის მომზადების საკანონმდებლო განსაზღვრების ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც, დასჯის ღირს მომზადებად თვლის მხოლოდ იმ მოსამზადებელ ქმედებებს, რომლებიც „სოციალური ადეკვატურობის ხასიათს ჰკარგავს“⁴⁹ ამასთან, ახლოს დგანან დანაშაულის მცდელობასთან, რაც მოგერიების უფლებასაც წარმოშობს⁵⁰. აღნიშნული ავტორი მომზადების ფართო დეფინიციის შეზღუდულად განმარტებას უჭერს მხარს, ხოლო, განსხვავებით თ. წერეთლისგან და სხვა ავტორებისგან⁵¹, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია დანაშაულის გენერალური მომზადების დეკრიმინალიზება იმ ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც არ სჯიან მომზადებას ზოგადი ნაწილით⁵². ლ. ხარანაული სიკეთის ხელყოფისგან ძალზე დიდი მანძილით დაშორებულ მოსამზადებელ ქმედებებს „ირელევანტურს“ უწოდებს, რომელიც არ უნდა დაისაჯოს,

⁴⁶ წერეთელი თ. 1961. 90-91.

⁴⁷ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 471.

⁴⁸ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2011. 24.

⁴⁹ ამ მოსაზრებას უპირისპირდება ხარანაული. იხ. დისერტაცია ლ. 2013. 79.

⁵⁰ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2011. 23.

⁵¹ ხარანაული ლ. 2013. 60.

⁵² მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. 2013. 100. მსგავს მოსაზრებას ავითარებს და დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის მომხრეა ნონა თოდუაძე. იხ. თოდუა ნ. 2014. 9.

ხოლო მცდელობასთან ახლოს მდგომ და, შესაბამისად, შედეგის გამომწვევი მეტი პოტენციალის მქონე მოსამზადებელ ქმედებებს „რელევანტურ“ ქმედებებს უწოდებს, რომლებსაც დასჯის ღირსად განიხილავს⁵³. მომზადების სახეებად დაყოფას აღიარებს ი. დვალაძეც, კერძოდ, ის მომზადებას „დამთავრებულ“ და „დაუმთავრებელ“ სახეებად ყოფს⁵⁴. თუმცა მომზადების სახეებად დაყოფას უკავშირებს არა პასუხისმგებლობის გამორიცხვას ქმედების არარსებობის გამო, როგორც ამას ლ. ხარანაული აკეთებს, არამედ სასჯელის ინდივიდუალიზებას⁵⁵. ბ. ფურცხვანიძე, ყოველგვარი შემზღუდავი ინტერპრეტაციის გარეშე, დანაშაულის მომზადებას სისხლისსამართლებრივად დასჯის ღირს ქმედებას უწოდებს, რადგან, მისი აზრით, მთელი რიგი სამართლებრივი სიკეთის დაცვა ქმედების ადრეულ სტადიაზე კრიმინალიზებას მოითხოვს⁵⁶.

მაშასადამე, შეიძლება გამოიყოს მეცნიერთა **სამი ჯგუფი**, რომელთაგან ერთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას (თ.წერეთელი, მ.ტურავა, ვ.მაყაშვილი, ლ.ხარანაული), მეორე, რომელიც დანაშაულის მომზადების შეზღუდულ განმარტებას უჭერს მხარს და არა მის სრულ დეკრიმინალიზებას (ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ო.გამყრელიძე, ნ.თოდუა), და მესამე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მხარს უჭერენ მომზადების გენერალურ დასჯადობას (ი.დვალაძე, ბ.ფურცხვანიძე)⁵⁷.

მეცნიერთა აღნიშნული მოსაზრებების შეჯამებით შესაძლოა გამოიყოს დანაშაულის მომზადებისთვის დამახასიათებელი შემდეგი აუცილებელი ნიშნები: დანაშაულის მომზადება გულისხმობს პირობების განზრახ შექმნას კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად; მომზადება ახლოს უნდა იყოს დანაშაულის მცდელობასთან; მოსამზადებელი პირობები რეალურ შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს დანაშაულის ჩასადენად.

⁵³ ხარანაული. ლ. 2013. 59.

⁵⁴ Ibid. 159.

⁵⁵ Ibid. დაუმთავრებელი მომზადების ცნებას, როგორც დანაშაულის შემადგენლობის შედეგისგან ძალიან დაშორებული პირობების აღმნიშვნელს, იყენებს ნ. თოდუა. იხ. თოდუა ნ. 2014. 3.

⁵⁶ ფურცხვანიძე ბ. 1966. *საბჭოთა სისხლის სამართალი: განსაკუთრებული ნაწილი*. თბილისი, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა. 168.

⁵⁷ დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობასთან მიმართებით მეცნიერთა პოზიციების მსგავს დაჯგუფებას მიმართავს ლ. ხარანაულიც. იხ. ხარანაული ლ. 2013. 77-78.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეცნიერი ეწინააღმდეგება დანაშაულის გენერალური მომზადების დასჯადობას, მათ შორის არ არსებობს წინააღმდეგობა მომზადების სპეციალური სახით კრიმინალიზებასთან მიმართებით, რაც უფრო იმის წარმომჩენია, რომ პრობლემას იმდენად არა დანაშაულის მომზადების ბუნებაში ხედავენ, არამედ დეფინიციის განსაზღვრულობასთან მიმართებით, ხოლო იმას, გვარდება თუ არა ეს პრობლემა სპეციალური დელიქტების შემოღებით, შემდგომი მსჯელობები დაგვანახებს დანაშაულის მომზადების ზოგადი მუხლით დასჯადობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების დაწვრილებითი ანალიზის გზით.

დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის მიმართ გამოთქმული კრიტიკის უსაფუძვლოება განსაკუთრებით კარგად ჩანს იურიდიულ ლიტერატურაში მომზადების საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების უმეტესობაში. მაგალითად, **თ. წერეთლის** აზრით, დანაშაულის მომზადების მაგალითებია: „იარაღისა და საშუალების გამონახვა და მათი მომარჯვება“; „თანამონაწილეებთან შეთანხმება“; „უმედეგო წაქეზება და დახმარება“; „თოფში ტყვიის ჩადება“⁵⁸. **ი. დვალის** მაგალითები: „ხანჯლის დამზადება ადამიანის მოკვლის განზრახვით“; „მსჯავრდებულის მიერ საპატიმროს გათხრის დაწყება“⁵⁹. **ო. გამყრელიძის** მაგალითები: „საწამლავის დამზადება, ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა ან დამზადება“⁶⁰. **ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხის** მაგალითები: „მსხვერპლის მოსაკლავად თოფის ყიდვა“; „პირმა მსხვერპლის მოსაკლავად სამზარეულოს დანა გალესა“, „ძლიერმოქმედი მჟავების ყიდვა ადამიანის დასამახინჯებლად“⁶¹. **ბ. ფურცხვანიძის** მაგალითი: “იარაღის შეკეთება, შხამიანი სასმელის დამზადება, იარაღის წესრიგში მოყვანა[...]”⁶². **კ. კვიციანიას** მაგალითი: „მორგებული გასაღების შოვნა ბინის გასაქურდად, ძლიერმოქმედი შხამის მომარაგება“⁶³. **პ. დაუთაშვილის** მაგალითები:

⁵⁸ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 381-382; მომზადების საილუსტრაციოდ მსგავსი მაგალითები მოჰყავს ლამარა სურგულაძეს. იხ. სურგულაძე ლ. 2005. 302.

⁵⁹ დვალის ი. და სხვები. 2004. 153.

⁶⁰ გამყრელიძე ო. 2010. 155; იარაღის შექმნასა და დამზადებას დანაშაულის მომზადებად აფასებენ აგრეთვე ტურავა მ. 2013. 304; მჟავანაძე ზ. და მინდაძე ო. 2005. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი*. 179-180; და კვაშილავა ალ. 2009. *სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი კომენტარებით*. თბილისი, ლეთა. 56.

⁶¹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქეთევან. 2011. 25 და 34.

⁶² ფურცხვანიძე ბ. 1966. 179.

⁶³ კვიციანიას კ. 2004. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, რედ. მ. ტურავა. თბილისი, სამართალი. 190.

„იარაღის გამოძებნა და პირების დაყოლიება“⁶⁴. მ.ლომთათიძის მაგალითი: „დანაშაულის შემადგენლობის ჩასადენად საჭირო ინფორმაციის შეგროვება“⁶⁵.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერი, იმის მიუხედავად, დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის მომხრეა თუ მოწინააღმდეგე, მომზადების დეფინიციის შეზღუდულად თუ ფართოდ განმარტების მომხრეა, მომზადების ბუნების გასაგებად მცდელობასთან სიახლოვის ტესტი შემოაქვს თუ ობიექტურ სამყაროში გამოხატული ერთი ქმედებაც საკმარისად მიაჩნია ამისთვის, მომზადების საილუსტრაციო მაგალითების მოშველიებით მათი ხედვები დანაშაულის მომზადების ბუნებასთან მიმართებით ერთმანეთს ემსგავსება. დავინახეთ, რომ, მიუხედავად იმისა, მეცნიერი უპირატესად ობიექტური თეორიის მხარდამჭერია თუ სუბიექტურისა, მათ მოსაზრებებში დანაშაულის მომზადების ყველაზე გავრცელებული მაგალითის სახით იარაღის შეძენა-დამზადება ფიგურირებს.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული ავტორი ქმედების მომზადებად კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტად მიიჩნევს პირის მიერ ნების გარეგან გამოვლენას, მათთვის სწორედ აქ გადის ზღვარი დანაშაულის მომზადებასა და განზრახვის უბრალო გამომჟღავნებას შორის. სინამდვილეში განზრახვის გამომჟღავნებაც გამოიხატება ობიექტურ სამყაროში, რადგან ის, განსხვავებით მისი ადრეული „სტადიისგან“, როგორცაა განზრახვის აღმოცენება⁶⁶, მესამე პირებისთვის მისაწვდომი ფორმით არსებობს, მაგრამ მის დაუსჯელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი იმდენად არის დაშორებული ქმედების შემადგენლობის ჩადენის მცდელობისგან, რომ ვერ ქმნის დაცული სიკეთის ხელყოფის სერიოზულ შესაძლებლობას, სისხლის სამართლისთვის კი ასეთი „ქმედება“ არ არის საინტერესო.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას შესაძლებლობის კატეგორიით ხსნიან, რომელთანაც, როგორც ცნობილია, პირდაპირ კავშირშია საფრთხის კატეგორია. დასახელებულ

⁶⁴ დაუთაშვილი პ. 2008. *საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 112.

⁶⁵ ლომსაძე მ. 2013. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (თანდართული ტესტებით)*. ახალციხე, ახალციხის უნივერსიტეტი. 61.

⁶⁶ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 335. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში განზრახვის აღმოცენებას ბევრი იურისტი დანაშაულის ჩადენის სტადიად მიიჩნევდა, რომელსაც თ. წერეთელი სამართლიანად აკრიტიკებდა.

ფილოსოფიურ კატეგორიას მრავალი მეცნიერი იყენებს ისეთი პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა: დანაშაულის მომზადების დასჯადობა-დაუსჯელობის საკითხი; დანაშაულის მცდელობის განსაზღვრა⁶⁷ განზრახვის გამომჟღავნებისა და მომზადების ურთიერთგასამიჯნად, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მომზადებისა და მცდელობას შორის ზღვარის გავლება⁶⁸; ასევე, აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების გარკვევა⁶⁹ და სხვა. თუმცა ავტორების ნაწილი დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად დასახელებულ კატეგორიებს იყენებს, როგორც ყველა შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელ კრიტერიუმს⁷⁰, ხოლო მეცნიერთა ნაწილი - როგორც არაძირითადს, დამხმარე კრიტერიუმს⁷¹. დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად გასაზიარებელია იმ ავტორების მიდგომა, რომლებიც უპირატესად ობიექტურ ფაქტორებს, მაშასადამე, ქმედების მომზადებად თუ მცდელობად კვალიფიკაციასთან მიმართებით, შესაძლებლობის და საფრთხის კატეგორიებს იყენებს. ასეთი მიდგომა არა თუ არ გამორიცხავს ქმედებაში სუბიექტური ელემენტების სავალდებულოდ გათვალისწინებას, რომელსაც ხშირად უსაფუძვლოდ აბრალებენ ამ მიდგომის მომხრეებს, არამედ - პირიქით, მიიჩნევა, რომ, რაც უფრო გაცნობიერებულად ხდება პირობების შექმნა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება მათი სინამდვილედ გადაქცევისთვის⁷².

შესაძლებლობა არის ფორმალური, ლოგიკური და რეალური⁷³. ლოგიკური შესაძლებლობა სინამდვილედ გადაქცევის რაიმე ობიექტურ წინაპირობას არ შეიცავს

⁶⁷ იხ. წერეთელი. 1942. რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისთვის. *თსუ შრომები ტ. 14*. 2-60; გამყრელიძე ო. 2010. 16; დვალიძე ი. და სხვები. 2004. 154-56.

⁶⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 31; დვალიძე ი. და სხვები. 2004. 156.

⁶⁹ ცქიტიშვილი თ. 2014. დისერტაცია, *ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა*, სამეცნიერო ხელმძღვანელები. თბილისი. 92; თოდუა ნ. 2007. საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. *მართლმსაჯულება და კანონი*, N2-3. 153-156; ცერეთელი თ. 1970. деликты создания опасности, *советское государство и право*, N8. 56-62.

⁷⁰ წერეთელი თ. 1942. 39-42.

⁷¹ ხარანაული ლ. 2013. 191.

⁷² ასათიანი გ. 1961. შესაძლებლობა და სინამდვილე, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 97. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 170; ცერეთელი თ. 1963. *Причинная связь в уголовном праве*. Москва, Государственное издательство юридической литературы. 196.

⁷³ ბაქრაძე. 1976. შესაძლებლობა და სინამდვილე, *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი*, ტ. 5 თბილისი. 118.

და მხოლოდ აზრობრივი დაშვებით შემოიფარგლება⁷⁴, ამდენად, უფრო ფანტაზიით არის შთაგონებული, ვიდრე ობიექტური ტენდენციით⁷⁵, შესაბამისად, საფრთხეც აზრობრივი დაშვების პროდუქტია და არა ობიექტურად არსებული. ის თავისი ბუნებით სუბიექტური ორიენტაციის მქონეა⁷⁶. რაც შეეხება რეალურ შესაძლებლობას, რომელიც თავის მხრივ იყოფა აბსტრაქტულ და კონკრეტულ შესაძლებლობად⁷⁷, მის რეალურობას ობიექტური პირობების არსებობა განაპირობებს, რომლებსაც სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია აქვთ⁷⁸. სწორად გაგებული დანაშაულის მომზადება ობიექტურად საშიშია და, მაშასადამე, ისიც რეალური შესაძლებლობის კატეგორიაში უნდა იქნეს მოაზრებული. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მომზადება და მცდელობა, რადგან ისინი ერთი და იმავე შესაძლებლობის კატეგორიაში თავსდებიან, ამის გამო ერთნაირ საფრთხეს ქმნიან დაცული სიკეთისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებლობა თავისთავად კი არ არსებობს, არამედ მას ობიექტურ სამყაროში გამოხატული ობიექტური პირობები განაპირობებს და სწორედ მათი მეტ-ნაკლებობა⁷⁹ ქმნის საფრთხის სხვადასხვა ხარისხსაც.

სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის ცნობილია ე. წ. აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებიც⁸⁰. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დროს საფრთხე თავად ქმედების „იმანენტური“ ნიშანია⁸¹, რის გამოც სასამართლოს არ ევალება მისი სიკეთესთან მიმართების დადგენა, ხოლო კონკრეტული საფრთხის დროს საფრთხე ქმედების თანდაყოლილი თვისება კი არ არის, არამედ იქმნება ქმედების განხორციელების შედეგად და, შესაბამისად, სასამართლო არ

⁷⁴ბაქრაძე.1976. 118.

⁷⁵ასათიანი.1961. 165.

⁷⁶ერქომაიშვილი. 1998. *ფილოსოფია: შესაძლებლობა და სინამდვილე*. თბილისი, პირველი სტამბა.103; წერეთელი თ. 1942. 38.

⁷⁷ხარანაული ლ. 2013. 190; დვალიძე ი. 2004. 156; ერქომაიშვილი. 1998. 103.

⁷⁸ერქომაიშვილი. 1998. 103.ასათიანი.1961. 167.

⁷⁹შესაძლებლობის რეალურობას, რომ მხოლოდ ქმედებათა ხარისხი არ განაპირობებს და ბევრად არის დამოკიდებული პირობათა რაოდენობაზე ამის შესახებ იხ. იერელი თ. 1970. 59.

⁸⁰ასეთსავე დაყოფას იცნობს გერმანული და ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის დოქტრინაც. იხ.ციტიშვილი თ. 2014. დისერტაცია. 24; Fissell B.M. 2014. Abstract Risk and the Politics of The Criminal Law, *American Criminal Law Review*. 657-687; Duff R.A. 2007. *Answering for Crime: Responsibility and liability in the Criminal Law*. Oregon, Hart. 166.

⁸¹უგრეხელიძე მ. 1982. *ბრალი საფრთხის დელიქტებში*. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 3. ასევე იხ. Dubber M. D. 2002. *Victims in the War on Crime: The Use and Abuse of Victims' Rights*. New York, New York University Press. 20.

თავისუფლდება დაცული სიკეთისთვის შექმნილი საფრთხის დადგენის მოვალეობისგან⁸². აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისგან განსხვავებით, დანაშაულის მომზადების შემთხვევაში ქმედების ზოგადი საფრთხე არ არის საკმარისი კვალიფიკაციისთვის და ის მოსამართლემ უნდა დაადგინოს სიკეთესთან მიმართებით, კონკრეტულ სიტუაციაში ის იმდენად ახლოს თუ იყო დაცულ სიკეთესთან, რომ მომზადებად შეფასება შეიძლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მომზადება კონკრეტული შესაძლებლობის ზღვარზე მდგომი პირობაა, რომელსაც უფრო მეტი მოთხოვნა წაეყენება, ვიდრე აბსტრაქტულ დელიქტს. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი საფრთხის წყაროა ობიექტურად, მაგრამ მისი შექმნა ჯერ მხოლოდ იდეაში ქმნის საფრთხეს ვინმეს სიცოცხლის მოსასპობად, თუკი ეს ქმედება საკმარისია სსკ-ის 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა) კვალიფიკაციისთვის, საკმარისი არ არის მკვლელობის შემადგენლობის მომზადებად შეფასებისთვის, რადგან მისი მართოდენ შექმნა, შემდგომი ნაბიჯების გარეშე (როგორცაა მსხვერპლისთვის დადარაჯება, ჩასაფრება, რომ მისი მისამართით გაისროლოს), არ ქმნის სინამდვილედ გადაქცევის საკმარის შესაძლებლობას. როგორც ცნობილია, გარდა რეალურ სამყაროში არსებული პირობისა, შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისთვის გადამწყვეტია „შესაძლებლობის ხარისხი“, რასაც მისი განმაპირობებელი ქმედებების „აქტიურობა, ინტენსივობა და ძალა განაპირობებს“⁸³. სწორედ მათი დადგენა არის აუცილებელი ქმედების მომზადებად შეფასების დროსაც.

დანაშაულის მომზადების მაგალითად გამოდგება პირის ქმედება, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით მომარჯვებული ჩასაფრებულია და ელოდება მსხვერპლს, რომელიც წუთი-წუთზე გამოვა შენობიდან, რომ ესროლოს მოკვლის განზრახვით⁸⁴, რადგან მოცემულ მაგალითში ისეთ პირობებთან გვაქვს საქმე, რომელიც თავისი ინტენსივობით, „დროსა და სივრცეში მცდელობასთან სიახლოვეთ“⁸⁵ (სადაცაა

⁸²თოდუა ნ. 2007. 153; ცქიტიშვილი თ. 2014. დისერტაცია, 92.წერეთელი თ. 1942. 43-44.

⁸³წერეთელი თ. 2006. *საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში*, რედ. ოთარ გამყრელიძე. თბილისი, კავკასიური სახლი. 82.

⁸⁴მსგავსი კაზუსი ლევან ხარანაულს მცდელობის საილუსტრაციოდ მოჰყავს. . იხ. ხარანაული ლ. 2013. 53.

⁸⁵მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 31; გამყრელიძე ო. 2010. 159.

დაზარალებული საფრთხის უშუალო ზონაში⁸⁶ მოექცევა) შეიცავს სიკეთის დაზიანების რეალურ პოტენციალს. თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ძველ ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში იარაღის შექმნის მომზადების აღმნიშვნელ მაგალითად მოყვანას საკანონმდებლო საფუძველი ჰქონდა, რადგან მაშინ მოქმედ სსკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით, იარაღის შექმნა მომზადების დეფინიციაში იყო შეტანილი⁸⁷.

დანაშაულის მომზადების ბუნების სწორი გაგებისთვის მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო განსაზღვრებაც. საქართველოს მოქმედი სსკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრულ დანაშაულის მომზადების დეფინიციაში „პირობათა“ ერთობლიობაზეა ხაზგასმ, ე. ი. კანონმდებელმა, მომზადებად შეფასებისთვის სიკეთის დაზიანების პოტენციალის მქონე ქმედებათა აუცილებლობა დაადგინა. დანაშაულის მომზადების განმსაზღვრელად პირობათა ერთობლიობის აუცილებლობაზე ყურადღებას ამახვილებს ლ. ხარანაულიც⁸⁸, თუმცა უშედეგო წაქეზების დასჯადობის საკითხთან მიმართებით ერთი პირობის არსებობაც საკმარისად მიაჩნია⁸⁹. ასეთივე წინააღმდეგობრივია თ. წერეთლის მოსაზრებაც, ის, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგებოდა დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას და, მეორე მხრივ, უშედეგო წაქეზების და დახმარების კრიმინალიზების აქტიური მხარდამჭერი იყო⁹⁰. აღნიშნულ „პირობათა ერთობლიობაში“ მაინცდამაინც რიცხვებში გამოხატული ორი ან მეტი ქმედება არ უნდა დავინახოთ, აქ უფრო კანონმდებლის ნება იკითხება, რომ მასში სერიოზული ქმედებები აქვს მოაზრებული. შესაძლებელია, ასეთი რეალური საფრთხისა და მცდელობასთან ახლოს მდგომი ერთი ქმედებაც იყოს, ამიტომ სწორედ საფრთხე, ინტენსივობა და სიკეთის დაზიანებასთან სიახლოვე უნდა იყოს განმსაზღვრელი. დანაშაულის მომზადების ბუნებას ზუსტად გამოხატავს „მცდელობასთან სიახლოვის“ ტესტი, რადგან მომზადებას წარმოაჩენს

⁸⁶ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 417.

⁸⁷ 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი „დანაშაულის მომზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“.

⁸⁸ ხარანაული ლ. 2013. 56-57; „პირობათა ერთობლიობაზე“ ყურადღება უფრო მანამდე გაამახვილა ი. დვალიმეძე, იხ. დვალიმეძე ი. და სხვები. 2007. 159; ასევე იხ. გეგელია თ. 2013. განზრახვის გამომჟღავნებისა და დანაშაულის მომზადების ურთიერთმიმართების შესახებ თანამედროვე სისხლის სამართალში არსებული მიდგომების ანალიზი, *მართლმსაჯულება და კანონი*, N4 (39) 13.

⁸⁹ ხარანაული ლ. 2013. 44.

⁹⁰ წერეთელი თ. 1961. 81-82.

როგორც ისეთ ქმედებას, რომელიც, მართალია, ჯერ არ ქმნის დაცული სიკეთისთვის რეალურ კონკრეტულ საფრთხეს, მაგრამ არც არაფერი უკლია იქამდე. სწორედ ამის გამო არის, რომ, განსხვავებით აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისგან, რომელთაც თანდაყოლილ ნიშანს წარმოადგენს საფრთხე, რის გამოც მოსამართლე გათავისუფლებულია სიკეთისთვის საფრთხის შემქმნის შეფასების ვალდებულებისგან, მომზადების შემთხვევაში ეს ასე არ არის. ის მთლიანად შეფასებითია და აბსტრაქტული საფრთხისა და კონკრეტული საფრთხის ზღვარზეა. ამიტომ, ის ქმედებები, რომლებიც ძალიან არის დაშორებული სიკეთის ხელყოფისგან, ირელევანტური⁹¹ მომზადება კი არ არის, არამედ განზრახვის გამომჟღავნებაა⁹², რადგან, როგორც აღინიშნა, მომზადება მხოლოდ მცდელობასთან ახლოს მყოფი ქმედებებია.

სისხლის სამართლის დოქტრინაში (როგორც ქართულში, ისე უცხოურში), ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით, ქმედების მომზადების გენერალური დასჯადობის კრიტიკისთვის სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. კერძოდ, მომზადების მცირე საზოგადოებრივი საშიშროება⁹³, მოსამზადებელ ქმედებასა და მოსალოდნელ შედეგს შორის დიდი ზღვარი⁹⁴, მოსამზადებელ მოქმედებათა „არააქტუალობა“, რომელიც ცალსახად ვერ ქმნის ქმედების შემადგენლობის „აღსრულების რეალურ პოტენციალს“⁹⁵, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტთან შეუთავსებლობა⁹⁶, მომზადების დეფინიციის განუსაზღვრელობა და წინააღმდეგობა კანონის საგარანტიო ფუნქციასთან⁹⁷, ასევე ქმედების მომზადების

⁹¹ხარანაული ლ. 2013. 59.

⁹²იხ. გეგელია თ. 2013.

⁹³წერეთელი თ. 1961. 90

⁹⁴Ibid. 90; წერეთელი თ. და მაცაშვილივ. 1957. სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი, *ჟურნალი-საბჭოთა სამართალი* 1. 47-48; ასევე Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010. *Criminal law – Examples and Explanations*. 310-311.

⁹⁵წერეთელი თ. 1942. 42.

⁹⁶ ტურავა მ. 2013. 300; წერეთელი თ. 1961. 91; ხარანაული ლ. 2013. 80; Duff R.A. 1996. 37. თუმცა დასახელებულ მონოგრაფიაში ავტორი აკრიტიკებს მცდელობის ფართო გაგებას, ე.წ. პირველი აქტის ტესტს და მის მიმართებას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან.

⁹⁷წერეთელი თ. 1961. 89-90; ხარანაული ლ. 2013. 80; Cahill M. 2009. Attempt by Omission. *94 Iowa Law Review*.1247; მომზადების კანონის განსაზღვრულობის პრინციპთან და ინდივიდის ავტონომიასთან წინააღმდეგობაზე ისაუბრა სისხლის სამართლის ნორვეგიელმა ექსპერტმა ბერნ კროგმაც „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, კაჭრეთი, 15-17 მარტი, 2013, 9.

პრაქტიკული დაუსჯელობა და ამ თვალსაზრისითაც მისი უსარგებლობა⁹⁸. თუმცა მათ შორის რამდენიმე მეცნიერი გარკვეულ შემთხვევებში მიუთითებს მომზადების დასჯის აუცილებლობაზეც მისი მომეტებული საშიშროების გამო, ერთი მხრივ, დაცული სიკეთის მაღალი ღირებულების გამო⁹⁹ და, მეორე მხრივ, მოსამზადებელი ქმედების დანაშაულის შემადგენლობის მცდელობასთან სიახლოვის გამო¹⁰⁰. ხოლო მეცნიერების ნაწილი, სამართლებრივი სიკეთის მაღალი ღირებულების გათვალისწინებით, მოითხოვს მომზადების სპეციალური შემადგენლობების შექმნას¹⁰¹.

იმაზე, თუ რამდენად არგუმენტირებულია მათი მოსაზრებები დანაშაულის მომზადების დახასიათებისას და მისი დეკრიმინალიზების დასაბუთებისას, ქვემოთ იქნება საუბარი.

➤ მომზადების წინააღმდეგობა Lex certa პრინციპთან

მომზადების ობიექტური მხარე გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნაში. ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „პირობების შექმნაში“, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეცნიერების დიდი ნაწილი ზოგად განსაზღვრებებს სახიფათოდ მიიჩნევს, რომ ასეთი ნორმის პირობებში შესაძლებელია ქმედების დანაშაულად მიჩნევა-არმიჩნევა პროკურატურის გადასაწყვეტი გახდეს, რაც დაარღვევს nullum crimen sine lege პრინციპს¹⁰².

კანონიერების პრინციპი სისხლის სამართლის ქვაკუთხედად არის მიჩნეული¹⁰³ და მისგან რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი პრინციპი გამომდინარეობს, ესენია: პირის

⁹⁸ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 395; ხარანაული ლ. 2013. 79.

⁹⁹ წერეთელი თ. 1942. 42-43.

¹⁰⁰ წერეთელი თ. 1961. 88; გამყრელიძე ო. 2010. 159.

¹⁰¹ ხარანაული ლ. 2013. 79-80; წერეთელი თ. 1961. 93-97; ტყეშელიძე გ. 1962. ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ, *ჟურნალი საბჭოთა სამართალი* 4, საქ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. 87-91; წერეთელი თ. და მაცაშვილი ვ. 1957. სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი. 47-48.

¹⁰² ხარანაული ლ. 2013. 77; Duff R.A. 1996. 140. ე. დაფი, დასახელებულ ნაშრომში კანონიერების პრინციპთან მიმართებით აკრიტიკებს მცდელობის ფართო განსაზღვრებას, რომელიც ახლოს დგას დანაშაულის მომზადებასთან, ისევე, როგორც მაიკლ კაჰილი. იხ. Cahill M. 2009. 1247. კანონიერების პრინციპის განვითარების ისტორიის შესახებ იხ. Hallevy G. 2010. *A Modern Treatise on the Principle of Legality in Criminal Law*. New York, Springer. 2-15.

¹⁰³ ტურავა მ. 2011. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: დანაშაულის მოძღვრება*. თბილისი, მერიდიანი. 109; Hallevy G. 2010. 4.

საზიანოდ ანალოგიის გამოყენების აკრძალვა (Lex stricta)¹⁰⁴; კანონის რეტროაქტიული გამოყენების აკრძალვა (Lex praevia); კანონის „მაქსიმალური“ განსაზღვრულობა (Lex certa) და ნორმის მკაცრი განმარტება¹⁰⁵. ნაშრომის მიზნებისთვის, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნაზე გამახვილდება ყურადღება, კერძოდ, ნორმის „მაქსიმალური განსაზღვრულობისა“ და ნორმის მნიშვნელობის მკაცრი გაგების მოთხოვნაზე.

კანონის წინასწარ განჭვრეტადობისა და მისი მნიშვნელობის მკაცრად განმარტებასთან მიმართებით საინტერესო უნდა იყოს საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკისა და ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ევროპული სასამართლო) პრაქტიკის მოკლე ანალიზი. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აჩვენა, რომ კანონის წინასწარი განჭვრეტადობა არ არის აბსოლუტური ხასიათის დათქმა. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის წინასწარ განჭვრეტადობა არ გულისხმობს მის აბსოლუტურ განსაზღვრულობას, კონვენციის მე-7 მუხლთან შესაბამისობისთვის დამაკმაყოფილებელია **საკმარისი განჭვრეტადობის მოთხოვნა**, რაც გამორიცხავს კანონის სიხისტეს მოვლენების მუდმივ ცვალებადობასთან მიმართებით¹⁰⁶. სხვა მრავალი მსგავსი საქმის ჩამოთვლაა შესაძლებელი ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, სადაც ის, ნაცვლად აბსოლუტური ხასიათის ტერმინებისა, იყენებს შედარებით კრიტერიუმებს, როგორცაა: „საკმარისად განსაზღვრული“, „გონივრულად განჭვრეტადი“ და სხვა მსგავს განსაზღვრებებს, რადგან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი სამართლის სისტემაში შესაძლოა ამა თუ იმ დებულების ფორმულირება „გარდაუვლად ბუნდოვანი“ იყოს, რომელიც ნათელი სასამართლო პრაქტიკამ უნდა გახადოს¹⁰⁷.

¹⁰⁴ ტურავა მ. 2011. 109.

¹⁰⁵ Ashworth A. 2009. 58; Jeffries. J. C. 1985. Legality, vagueness, and the construction penal statutes, *Virginia Law Review*, vol. 71. 189.

¹⁰⁶ Kokkinakis v. Greece, N 14307/88. Strasburg: 25 May 1993; Steel and others v. the United Kingdom, N 67/1997/851/1058. Strasburg: 23 September 1998; Ashlarba v. Georgia, N 45554/08 (Strasburg: 15 October 2014); The Sunday Times v. The United Kingdom, N6538/74 (Strasburg: 26 April 1976); S.W. v. The United Kingdom, N 20166/92 (Strasburg: 22 November 1995);Cantoni v. France, 17862/91. Strasburg, 11 November 1996; Huhtamäki v. FinlandN 54468/09. 6 March 2012.

¹⁰⁷ Ashlarba v. Georgia, პარ. 34

მართლაც, ნორმა არ არის კულინარიული რეცეპტი, რომ მის შინაარსში ყველაფერი დეტალურად გაიწეროს¹⁰⁸. დანაშაულის მომზადების შედარებით ფართო განსაზღვრებაც ასე უნდა გავიგოთ, ხოლო იმისთვის, რომ მისი ამ სახით კრიმინალიზება გამართლებული იყოს, აუცილებელია, რომ პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვროს არა ზოგადად კატეგორიების მიხედვით, არამედ ქმედების შემადგენლობის სხვა ნიშნების მიხედვით, რაც პოლიტიკურ-სამართლებრივი მიზნებისთვის გამართლებულს გახდიდა ქმედების ადრეული სტადიიდან დასჯას¹⁰⁹.

რაც შეეხება მომზადების დეფინიციის ბუნდოვანებას და მის შეუსაბამობას კანონიერების პრინციპთან, ეს არგუმენტი არა ზოგადად მომზადების, არამედ კონკრეტული ქვეყნის საკანონმდებლო დეფინიციისადმი უნდა იყოს მიმართული. რაც შეეხება კონკრეტულად სსკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრულ დეფინიციას, თუ რა იგულისხმება სიტყვებში - „პირობების განზრახ შექმნა” - პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მომზადების ცნება უნდა გავიგოთ სისხლის სამართლის შემზღუდავი პრინციპების გათვალისწინებით¹¹⁰, რომლითაც ხელმძღვანელობს კანონმდებელი ქმედების კრიმინალიზაციის დროს, როგორცაა: კანონიერების პრინციპი; ქმედების სამართლის პრინციპი; ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი და ბევრი სხვა¹¹¹. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობათა მრავალფეროვნების გამო შეუძლებელია იმ პირობების დეტალური აღწერა, რაშიც შესაძლებელია გამოიხატებოდეს ქმედების შემადგენლობის მოსამზადებელი ქმედებები. ამიტომ მომზადების განსაზღვრად ზოგადი დეფინიციის შემოტანა სავსებით ნორმალურია. ზოგადი განსაზღვრების წინააღმდეგი არ არის დ.ჰუსაკი, მისი აზრით, ზოგადი განსაზღვრება შეიძლება ფართო იყოს იმდენად, რამდენადაც ეს

¹⁰⁸კანონის განსაზღვრულობაზე დეტალურად იხ. გეგელია თ. 2016. კანონის განუსაზღვრელობის აკრძალვა თანამედროვე სისხლის სამართალში. *საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა*. N10. 131-146.

¹⁰⁹კრიმინალიზაციის მიზნის თაობაზე იხ. Husak D. 2003. Four Points About Drug Decriminalization, *Criminal Justice Ethics*, N22. 24; Jareborg N. 2004. Criminalization as Last Resort (Ultima Ratio), *Ohio State Journal of Criminal Law* 2. 527-530; Ashworth A. 2009. 22-43.

¹¹⁰გენერალური კლასიფიკაციის ინტერპრეტაციისას მატერიალური სისხლის სამართლის შემზღუდავი პრინციპების გამოყენების მნიშვნელობაზე იხ. გვენეტაძენ. დატურავა მ. 2005. სისხლისსამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა. თბილისი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია. 48.

¹¹¹გ. ნაჭყებია და სხვები. 2004. 21-22. სისხლის სამართლის პრინციპების შესახებ დაწვრილებით იხ. ნაჭყებია გ. 2011. *სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი*. თბილისი, ინოვაცია. 79-104.

საჭიროა იმ მიზნის მისაღწევად, რომლის გამოც მოხდა ქმედების ამ სახით კრიმინალიზება, რაც უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება¹¹². ასევე საინტერესოა, მ. კაჰილის მოსაზრება. ის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განსაზღვრებების მომხრე არ არის, რადგან მათში საფრთხეს ხედავს ადამიანის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის თვალსაზრისით, უნაკლოდ არც ზედმეტ კონკრეტიზირებას მიიჩნევს, რომლის შედეგადაც შესაძლოა კანონმდებლობის ზედმეტი გადახუნძვლა, რაც „არაპროფესიონალ ადამიანს“ უფრო გაურთულებს ამკრძალავი ნორმის მოძიებას და მასთან ქმედების ზუსტი შესაბამისობის დადგენას¹¹³. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმის ფართო განსაზღვრებებთან მიმართებით მეცნიერთა მსგავს პოზიციაზე დგას ევროპული სასამართლოც. განსხვავებული მიდგომა არც საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაშია. მიუხედავად დიდი კრიტიკისა და მეცნიერთა მხრიდან იმის არაერთგზის გამეორებისა, რომ განუსაზღვრელობის აკრძალვა აბსოლუტურია და არ ექვემდებარება არანაირ ინტერპრეტაციას, ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა ე.წ. „თხელი ყინულის“ პრინციპი (Thin ice principle), რომელიც სათავეს იღებს გახმაურებული სასამართლო საქმიდან, *Knüller v DPP*. ქმედების შემადგენლობის ზოგადი დეფინიციის გასამართლებლად სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ასე განმარტა: „მათ, ვინც თხელ ყინულზე დაიწყებენ სრიალს, ვერ ექნებათ მოლოდინი, რომ შეამჩნევენ ნიშანს, რომელიც ჩავარდნის მანიშნებელი იქნება“¹¹⁴. ე. ეშვორსის განმარტებით, დასახელებული პრინციპის თანახმად, ადამიანმა, რომელიც იმ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას გეგმავს, რომლის ფართო საზღვრების შესახებაც გაფრთხილებულია და, მიუხედავად ამისა, მის ჩასადენად მაინც გადადგამს ნაბიჯებს, ესეც უნდა იცოდეს: ზღვარი უკანონო და კანონიერ მოქმედებას შორის იმდენად მცირეა, რომ მოსალოდნელია ადრეულ ეტაპზე მოხდეს საზღვრის გადაკვეთა¹¹⁵. დასახელებულ პრინციპს ნორმის გაუმართლებლად ფართო ინტერპრეტაციისა და ქმედების მტკიცების გაიოლების ტექნიკად აფასებს გ. ჰალევიც¹¹⁶. მაგრამ, მიუხედავად დოქტრინაში გამოთქმული არაერთი კრიტიკისა,

¹¹² Husak D. 2008. 168.

¹¹³ Cahill M. 2009. 1248.

¹¹⁴ *Knüller v DPP*, AC 435 House of Lords. 1973.

¹¹⁵ Ashworth A. 2009. 63. ამ საკითხზე განსხვავებული აზრისთვის იხ. Jeffries J. C. 1985. 189-246.

¹¹⁶ Hallevy G. 2010. 13.

„თხელი ყინულის“¹¹⁷ პრინციპი მაინც აგრძელებს თავის მოქმედებას, განსაკუთრებით ტერორიზმთან და სხვა მსგავსი ტიპის დანაშაულებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. იგივე ბედი ეწია კანონის მკაცრად განმარტების მოთხოვნას, რომელიც სასამართლოსადმი მიმართული და მისგან ნებისმიერ შემთხვევაში ნორმის ბრალდებულის სასარგებლოდ ინტერპრეტაციას მოითხოვდა¹¹⁸. ჯ.ს. ჯეფრისის შეფასებით, დასახელებული პრინციპისგან მხოლოდ „სლოგანი“ დარჩა, ვიდრე რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა¹¹⁹, რადგან მისი აბსოლუტური გაგება, ე. ი. ყველა შემთხვევაში ნორმისთვის განმარტების მიცემა ბრალდებულის სასარგებლოდ, სისხლის სამართლის სისტემას გამოუსადეგარს გახდიდა¹²⁰. გასაზიარებელია იმავე ავტორის ის მოსაზრებაც, რომ ნორმის განმარტება და ინტერპრეტაცია სასამართლოსთვის ინსტიტუციური ფუნქციაა და ის აბსოლუტურად თავსებადია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთანაც¹²¹. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრინციპების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და სახელმწიფოს არსებითი მიზნის არსებობით არის გამართლებული და ისეც არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო აბსოლუტურად თავისუფალია კანონის ინტერპრეტაციისას, ის იზღუდება კანონის არსით და განმარტებაც იმის ფარგლებში უნდა მოახდინოს, რის შესაძლებლობასაც კანონი აძლევს. შესაბამისად უნდა გავიგოთ დანაშაულის მომზადების ფართო დეფინიციის არსებობაც, რომელიც კრიმინალ-პოლიტიკური მიზნებით არის ნაკარნახევი და გულისხმობს იმ კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენას, რის შესაბამისადაც უნდა გავიგოთ „პირობები“ და არა განყენებულად, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი კატეგორიიდან გამომდინარე, უნდა ქმნიდეს შედეგის რეალიზების ობიექტურ შესაძლებლობას. კანონმდებელს შეეძლო გენერალური დეფინიციის ნაცვლად მოსამზადებელი პირობების იმდენი კონკრეტული შემადგენლობა განესაზღვრა, რამდენიც აზრად მოუვიდოდა, რაც უსაშველოდ გაზრდიდა კანონს, მაგრამ მან პირველი გზა არჩია - უფრო ეფექტური

¹¹⁷ მეორენაირად ამ პრინციპს ქარიშხალთან ახლოს აფრთხილებს ცურვასაც უწოდებენ. იხ. Ashworth A. 2009. 63

¹¹⁸ Ashworth A. 2009. 68.

¹¹⁹ ნორმის მკაცრი განმარტების პრინციპი რომ ყოველთვის არ მოქმედებს სასამართლო პრაქტიკაში, ამის მაგალითად იხ. DPP v Gomez, AC 442 House of Lords. 1993; ასევე Lawrence v MPC, AC 626. 1972.

¹²⁰ Jeffries J. C. 1985. 189 და 244.

¹²¹ Ibid., 220; ნორმის დაშვებულ ინტერპრეტაციაზე და საგარანტიო ფუნქციის იგნორირების დაუშვებლობაზე იხ. ტურავა მ. 2011. 124-134.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ ის, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს ტერორისტული აქტის (მუხლი 323) მოსამზადებელი სტადია. შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად რთულია მისი ყოველი კონკრეტული სიტუაციის კანონით გაწერა იმ მრავალფეროვანი და მეტად დახვეწილი საშუალებების გამო, რასაც ტერორისტები იყენებენ დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ყველა ის ქმედება, რომელიც იმ სიკეთის დაზიანებისკენ იქნება მიმართული, რომლის დაცვასაც ტერორისტული აქტის შემადგენლობის არსებობა ემსახურება, უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი პრინციპის მოთხოვნებს, როგორცაა დანაშაულის დასრულებისთვის პოტენციალის მქონე პირობები, მცდელობასთან სიახლოვე და ა.შ. რაც, საკმარისი საფუძველია პირის დასჯადობისთვის დანაშაულის მომზადებაზე მითითებით და ის არ უნდა იყოს მოულოდნელი ქმედების სუბიექტისთვისაც, რომელიც გაფრთხილებულია წინასწარ, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით (მათ შორის, როგორცაა ტერორისტული აქტი) კანონი მკაცრია და ადრეული სტადიიდან ახდენს რეაგირებას. ხოლო უფრო მეტი კონკრეტიკისთვის, თუ სად მთავრდება პირადი თავისუფლება და სად იწყება აკრძალული ქმედების ზონა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც გამოსადეგია, რომელიც რამდენიმე ათეული წელია განმარტავს დანაშაულის მომზადების დეფინიციას სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებით. მომზადების მსგავსი ზოგადი დეფინიციები საჭიროა სამართლის განვითარებისთვის¹²², რაც მას ასევე უფრო მოქნილს ხდის და სრულად შესატყვისს არსებულ გამოწვევებთან მიმართებით¹²³.

➤ **მომზადების გენერალური დასჯადობის პრაქტიკული დაუსჯელობა**

მომზადების გენერალური დასჯადობის საწინააღმდეგოდ გამოთქმული კიდევ ერთი არგუმენტი მისი პრაქტიკული გამოუყენებლობაა¹²⁴, რაც, მეცნიერთა აზრით, ასუსტებს ნორმის ძალას და „აკნინებს მას საზოგადოების თვალში“¹²⁵. სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და თბილისის საქალაქო

¹²² გვენეტაძე ნ. და ტურავა მ. 2005. 34-35.

¹²³ Hart H.L.A. 1982. *The Concept of Law*. Oxford, Clarendon Press. 137-138; Fletcher G. P. 1998. *Basic Concepts of Criminal Law*. New York, Oxford University press. 211.

¹²⁴ გვენეტაძე ნ. და ტურავა მ. 2005. 79

¹²⁵ წერეთელი თ. 1961. 92

სასამართლოსგან მიღებული სტატისტიკური მონაცემები არ მეტყველებს მომზადების პრაქტიკულ გამოუყენებლობაზე. საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული სტატისტიკისა და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ქმედების მომზადების ეტაპზე შეფასება ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეებისა, ე.ი. ისეთი ქმედებებისა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, როგორცაა, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაულები, ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობა, ტერორისტული დანაშაულები, ტრეფიკინგი და ასევე სხვადასხვა სახის კორუფციული დანაშაულები¹²⁶. სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება და პასუხისმგებლობის ადრეულ სტადიაზე გადატანა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის სხვა ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი¹²⁷, მათ შორის არის ინგლისიც, სადაც გამოძიებული საქმეების ნახევარზე მეტი სწორედ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის პირთა შეთქმულებაა, ე.წ. კონსპირაცია¹²⁸.

➤ **დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან მომზადების გენერალური დასჯადობის წინააღმდეგობის საკითხის შესახებ**

მომზადების გენერალური დასჯადობის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან წინააღმდეგობა ზოგადად მომზადების დასჯადობის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. მათი თქმით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქმედების ადრეულ ეტაპზე გადმოტანით სახელმწიფო პირს უსპობს შესაძლებლობას ხელი აიღოს დანაშაულზე¹²⁹. მომზადების გენერალურ დასჯადობაზე უარის თქმით ეს „პრობლემა” ვერ გადაწყდება, რადგან, ჯერ ერთი, როგორც კვლევამ¹³⁰ აჩვენა, მომზადების ყველა სპეციალურ დელიქტზე არ ვრცელდება

¹²⁶საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 17 ნოემბრის N 2319370 წერილი, რომელიც ასახავს სსკ-ის მე-18 მუხლის მითითებით დაწყებული გამოძიებისა და სისხლის სამართლის დევნის სტატისტიკას. ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 სექტემბრის N 31746-1 წერილით გადმოცემული გამამტყუნებელი განაჩენის ასლები.

¹²⁷ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული N MSP-865/2016-OSV-OSV საჯარო ინფორმაციის მიხედვით, დანაშაულის მომზადების საქმეზე სისხლის სამართლის დევნა განხორციელდა 598 საქმეზე 2010 წლიდან 2017 წლის პერიოდში.

¹²⁸ Ormerod D. 2009. *Smith and Hogan Criminal Law: Cases and Materials*. Oxford & New York, Oxford University Press. 534.

¹²⁹ წერეთელი თ. 2007. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. 394; ხარანაული ლ. 2013. 76, 79; ტურავამ. 2013. 300.

¹³⁰ ხარანაული ლ. 2013. 88.

პოსტკრიმინალური წამახალისებელი ნორმები¹³¹ და, მეორე: თუკი წამახალისებელი ნორმის კერძო ნაწილით გათვალისწინება ამ პრობლემის პანაცეა¹³² შეკვეცილ დელიქტებთან მიმართებით, რატომ არ შეიძლება იგივე ვთქვათ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე გენერალურ მომზადებასთან მიმართებით? შეიძლება ისიც ითქვას, რომ დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზეც „ვართმევთ“ პირს locus poenitentiae-ს, რაც სწორი არ იქნებოდა. ორივე დასახელებულ სტადიაზე, ისევე, როგორც დამთავრებული მცდელობის ეტაპზე, პირს აქვს დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობა, რომელსაც თუ გამოიყენებს, ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. დანაშაულის მომზადების სწორი გაგება, ე.ი. „მცდელობასთან მისი სიახლოვე“, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას უფრო აფართოებს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შესაძლებლობა პირს აქვს, განსხვავებით განზრახვის გამომჟღავნების და მომზადების კერძო ნაწილით კრიმინალიზების შემთხვევებისგან. მაგალითად: ა-მ ცივი იარაღი შეიძინა ბ-ს ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით და მომდევნო დღეს მისი სახლისკენ გაეშურა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ა. შევიდა ბ-ს ეზოში, გადალახა სხვადასხვა ბარიერი და შევიდა სახლში. იარაღის შექმნიდან სახლთან მისვლამდე ეტაპები, დანაშაულის ჩადენისგან მათი სიშორის გამო, არ წარმოადგენს მომზადებას, ის მხოლოდ განზრახვის უბრალო გამომჟღავნებაა. სახლში შესვლა პირის ქმედებებს უფრო კონცენტრირებულს ხდის და ზრდის შედეგის დადგომის შანსს, შესაბამისად, ქმედება უკვე რეალურ შესაძლებლობას ქმნის დაცული სიკეთის დაზიანებისთვის. ხოლო მსხვერპლის უშუალოდ შეპყრობა და დანის მოღერება უკვე მცდელობაა შედეგის რეალიზების უფრო მეტი შესაძლებლობის და, შესაბამისად, საფრთხის უფრო მაღალი ხარისხის გამო. აღნიშნული მაგალითიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მომზადების კრიმინალიზება პირს არ ართმევს შესაძლებლობას აიღოს ხელი ქმედების ჩადენისგან. რა თქმა უნდა, მომზადების ეტაპი უფრო ნაკლებ შესაძლებლობას ქმნის ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის, ვიდრე, მაგალითად, დამთავრებული მცდელობა, მაგრამ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა,

¹³¹Ibid. 87-88.

¹³² ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს მომზადების სპეციალურ დელიქტებთან მიმართებით ლ. ხარანაულიც არ უარყოფს. ის გამოსავალს არა დასჯადობის გაუქმებაში არამედ სპეციალური წამახალისებელი ნორმების მიღებაში ხედავს. იხ. ხარანაული ლ. 2013. 97.

პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ეს შესაძლებლობა - წამახალისებელი ნორმა - ზოგან უფრო ფართოდ და ზოგან ნაკლებად გაითვალისწინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რიგი ქმედებები დაკარგავენ პრევენციულ ეფექტს¹³³.

როგორც კვლევამ აჩვენა, ძველი და ახალი მოსაზრებები დანაშაულის მომზადების ბუნებასთან მიმართებით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი მხრივ, ყურადღება თითქოს გამახვილებულია „შესაძლებლობის“ და „საფრთხის“ კატეგორიებზე, რომელთა გათვალისწინებასაც მნიშვნელობა აქვს ქმედების მომზადებად შეფასებისთვის. მაგრამ, მეორე მხრივ, მის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები ამ კატეგორიების უგულვებელყოფაზე მეტყველებს (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა ვინმეს მოკვლის განზრახვით).

შესაძლებლობის და საფრთხის შექმნის უგულვებელყოფა მომზადების არსის გაგებაში უკიდურესი სუბიექტივიზმის წინაპირობაა, რომელიც სახიფათოა ადამიანის უფლებებთან მიმართებით არა მხოლოდ იმ საკანონმდებლო პირობებში, სადაც მომზადების გენერალური დასჯადობაა გათვალისწინებული, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც მხოლოდ მცდელობის ზოგად დასჯადობას აღიარებენ.

დანაშაულის მომზადების შეზღუდულად განმარტების პოზიციას ერთ-ერთი ბოლო საკანონმდებლო ცვლილებაც ამყარებს, მხედველობაშია სსკ-ის 255²-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც ისჯება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის შეხვედრის შეთავაზება (მათ შორის სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით) სექსუალური მიზნებისათვის. 140-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მძიმე კატეგორიის არის, თავისუფლად დაისჯებოდა დანაშაულის მომზადებაზე მითითებით. ამიტომ ისმის კითხვა: რატომ დასჭირდებოდა კანონმდებელს იმ ქმედების კრიმინალიზება, რომელიც ისედაც დასჯადია? სისხლის სამართლის ნორმათა ლოგიკური კავშირი და წაკითხვა იმაზე მეტყველებს, რომ კანონმდებელმა კიდევ ერთხელ აჩვენა დანაშაულის მომზადების შეზღუდულად გაგების ნება.

დანაშაულის მომზადების შეზღუდული განმარტებები არც სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის დოგმატიკისთვისაა უცხო, მაგალითად: ჩეხეთის რესპუბლიკის

¹³³Duff R.A. 1996. 41.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განზრახვის გამომჟღავნება, რაც უმნიშვნელო ქმედებებში გამოიხატა, დაუშვებელია მოსამზადებელ სტადიად შეფასდეს, თუნდაც უტყუარი მტკიცებულებით დასტურდებოდეს პირის განზრახვა¹³⁴. აღსანიშნავია იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაც, რომელმაც იმსჯელა 1975 წლის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გენერალური მომზადების კონსტიტუციურობაზე და დაადგინა, რომ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობას ვერ ხედავს, რადგან მოსამზადებელ ქმედებებში მოაზრებული უნდა იქნეს დანაშაულის შემადგენლობის დასრულებისთვის პოტენციალის მქონე „ობიექტურად რელევანტური“ პირობები¹³⁵. ასე გაავლო ზღვარი განზრახვის გამომჟღავნებასა და დანაშაულის დასჯად მომზადებას შორის. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სწორად გაგებული დანაშაულის მომზადება სრულ ჰარმონიაშია სისხლის სამართლის ბუნების განმსაზღვრელ პრინციპებთან და ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებასთან.

ზემოთ განვითარებული მოსაზრების შესაბამისად უნდა ითქვას, რომ გასაზიარებელია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ქმედების მომზადების დახასიათება ქმედების შემადგენლობის „მცდელობასთან სიახლოვით“ უნდა მოხდეს, შესაბამისად, ქმედების შემადგენლობის მომზადების საილუსტრაციოდ ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეუსაბამოა. იარაღის მარტოოდენ შექმნა ვინმეს მოკვლის განზრახვით ვერ აკმაყოფილებს „სიახლოვის ტესტს“ და, შესაბამისად, არ ქმნის მომზადებისთვის დამახასიათებელ საფრთხეს. სხვა საქმეა, როდესაც იარაღით ხელში მომარჯვებული პირი ელოდება წუთი-წუთზე პოტენციური დაზარალებულის გამოჩენას, რომ ესროლოს და მოკლას¹³⁶. იარაღის შექმნაზე ოდნავ განსხვავებული მაგალითის მოყვანაც შეიძლება, რომელიც მომზადებად შეფასებას სამართლიანად გამოიწვევს. კერძოდ, როდესაც მოკვლის უეცრად აღმოცენებული განზრახვით მეგობრის ჯიბიდან იარაღს ამოიღებს პირი, რომ მესამე ადამიანს ესროლოს, მაგრამ სამიზნეში ამოღებამდე მეგობარი წაართმევს

¹³⁴Nalez Ustavniho soudu ze dne 6. ledna 2005, sp.zn. II. US 491/04, uveřejněny pod č. 4/2005 Sb.n.a u.

¹³⁵ La Corte Costituzionale, sentenza 16 Dicembre 1980, N. 177, Deposito in cancelleria: 22 Dicembre 1980, par. 2

¹³⁶ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, სადაც მკვლელობის მომზადებად იქნა შეფასებული მოკვლის განზრახვით შეიარაღებული პირის დადარაჯება. იხ. სუხს N 2კ-16კოლ.-04 განჩინება. თბილისი, 20 იანვარი 2004.

იარაღს. აქ მართალია, მარტოოდენ იარაღის შეძენა გვაქვს, მაგრამ ქმედების ინტენსივობა და მისი სიახლოვე მცდელობასთან უკვე საკმარის საფუძველს ქმნის მომზადებად შეფასებისთვის. ასეთ შემთხვევაში მომზადება აკმაყოფილებს კანონით მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ის შედეგის გამოწვევის პოტენციალის მქონე ქმედებაა, რომლებიც „ახლოს დგას მცდელობასთან” და, შესაბამისად, ქმნის საფრთხეს დაცული სიკეთისთვის. სწორედ ასეთია თანამედროვე სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის მოსამზადებელი სტადია, რაც განსხვავდება საბჭოთა სისხლის სამართლით განსაზღვრული მომზადებისგან, რომელსაც გაცილებით ფართო საზღვრები ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მსგავსად დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას ითვალისწინებს სხვა არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაც, მათ შორისაა, ჩეხეთი, უნგრეთი და ნიდერლანდებიც. ჩეხეთის სსკ-ის თანახმად, დანაშაულის მომზადება პირობების განზრახ შექმნაში გამოიხატება, თუმცა იქვე სახელდებითაა ჩამოთვლილი, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს პირობები, ესენია დანაშაულის მოწყობა და ორგანიზება, იარაღის და საშუალების შეძენა, პირთა შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად და უშედეგო წაქეზება¹³⁷. ჩეხეთის მოდელის მსგავსი დეფინიცია აქვს ნიდერლანდების სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულის მომზადების ზოგად განსაზღვრებას¹³⁸. ამდენად, საქართველოს გარდა, ყველა ზემოთ მითითებული ქვეყნის კანონმდებლობით (ნიდერლანდები, ჩეხეთი და უნგრეთი) დანაშაულის მომზადების საილუსტრაციო ნიმუშებია ჩამოთვლილი. ამ თვალსაზრისით უნიკალური ქართული მოდელია, რომელიც მომზადების ერთ ზოგად ფართო დეფინიციას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის კვლევამ კი დანაშაულის მომზადების ქართული მოდელის ვიწრო საზღვრებში დაგვარწმუნა, რაზეც მოგვიანებით კვლავ გამახვილდება ყურადღება. ნიდერლანდებისა და ჩეხეთის კანონმდებლობით დასჯადია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება, ამასთან - ჩეხეთის კანონით მხოლოდ იმ დანაშაულისა, რომლის მომზადების სტადიაზე დასჯადობის შესახებ სპეციალური

¹³⁷ Penal Code. Prague: Wolters Kluwer ČR, a. s., 2011, p.192

¹³⁸ Criminal Code of the Kingdom of Netherlands, article 46.

ხელმისაწვდომია: <http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes> 14.11.2016

მითითება იქნება კერძო ნაწილში¹³⁹. რაც შეეხება უნგრეთის სსკ-ს, ის უნიკალურია, რამდენადაც უარს ამბობს მომზადებისთვის პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ზოგადი კატეგორიების მიხედვით, რაც მომზადების სტადიაზე შემთხვევითი შერჩევით ყველა დანაშაულის კრიმინალიზებას იწვევს. უნგრეთის კანონმდებლობა სჯის კრიმინალ-პოლიტიკური ამოცანებისთვის მნიშვნელოვანი ქმედებების მომზადებას, მიუხედავად მათი კატეგორიისა, რომელთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს, მაგალითად, ქართული მოდელით არის გათვალისწინებული¹⁴⁰. მომზადების დასჯადობა არ უნდა ხდებოდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. რაც უფრო ადრეული სტადიიდან იწყებს სახელმწიფო ქმედების კრიმინალიზებას, მით მეტად უნდა ასაბუთებდეს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას¹⁴¹. ამიტომ გასაზიარებელია პრობლემის მიმართ უნგრეთის კანონმდებლობის მიდგომა, რაც მეტად დაახლოებდა მომზადების დასჯადობას სისხლის სამართლის ბუნებასთან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მომზადების გენერალურად დასჯას სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს: დანაშაულის მომზადების დასჯადობა მოხსნის შუალობითი ამსრულებლობის დროს „ცოცხალი იარაღის“ დანაშაულის ჩასადენად გადადგმული პირველი ნაბიჯების გამო შუალობითი ამსრულებლობის ქმედების ხელოვნურად დანაშაულის მცდელობად შეფასების საჭიროებას. ჯერ კიდევ აბსტრაქტული საფრთხისთვის ძალიან კონკრეტულ და უშუალო საფრთხედ შეფასების ინტერპრეტაციები სწორედ დანაშაულის მომზადების დაუსჯელობით უნდა აიხსნას. მაგალითად, ა.ს.-ს ქმედება, რომელმაც ბ. და გ. ცოცხალ იარაღად გამოიყენა მკვლელობის ჩასადენად. მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედება მომზადების ეტაპზე იქნა შეწყვეტილი (დანაშაულის ჩადენის ადგილისკენ მიმავალ გზაზე) და, შესაბამისად, ვერ ქმნიდნენ დაცული სიკეთისთვის მცდელობისთვის დამახასიათებელ უშუალო საფრთხეს, ა.ს.-ს ქმედება მკვლელობის მცდელობად შეფასდა გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით¹⁴². ო. გამყრელიძის

¹³⁹ Tkáčová R. 2014. *Trestní odpovědnost za přípravu k trestnému činu, Studentská vědecká a odborná činnost. Univerzita Karlova v Praze právnická fakulta*; 4-6; Kohout V. 2013. *Diplomov a Práce. Vývojov a stadia trestného činu. Západočeska univerzita v plizni fakulta pravnick á. Plzen.* 14; Burianová P. 2010. *Příprava trestného činu a její rozsah, Diplomová práce, Právnická fakulta Masarykovy univerzity obor právo a právní věda.*11.

¹⁴⁰Karsai K. and Szomora Z. 2015. *Criminal law in Hungary.* Walters Kluwer.91.

¹⁴¹ Ashworth A. 2009. 31-43.

¹⁴²ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 357-358.

მართებული აზრის თანახმად, შუალობით ამსრულებლობასაც, თანამონაწილეობის მსგავსად, აქცესორული ხასიათი აქვს, ე.ი. შუალობითი ამსრულებლის ქმედების შეფასება ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ ქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული¹⁴³.

დანაშაულის მომზადების გენერალურად დასჯის უპირატესობა სისხლის სამართალში ასევე *actio* და *omissio libera in causa* -ს როლით შეიძლება აიხსნას¹⁴⁴. აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მომზადება არ ისჯება გენერალურად, მოსამზადებელი ქმედების ხელოვნურად მცდელობად შეფასება უწევთ დასახელებული ინსტიტუტის ძირითად პრინციპებთან (ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი) წინააღმდეგობის დასაძლევად¹⁴⁵. მეცნიერთა დიდი ნაწილი სასმელის მიღების ეტაპს უკვე დანაშაულის მცდელობად აფასებს, რათა სამართლებრივად ახსნან იმ ადამიანის ქმედების დასჯადობა, რომელიც ქმედების შემადგენლობის უშუალოდ ჩადენის დროს არ არის „ბრალუნარიანი“¹⁴⁶. ქართველ მეცნიერთა ნაწილიც მსგავს მაგალითებში პირის ქმედებას მცდელობად აფასებს¹⁴⁷, მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობის პირობებში პირის ქმედების მომზადებად შეფასება არის შესაძლებელი. ამ მიმართულებით გასაზიარებელია ნ. თოდუას¹⁴⁸, თ. ცქიტიშვილისა¹⁴⁹ და ლ. ხარანაულის¹⁵⁰ პოზიცია, რომლებიც პირის მხრიდან სიმთვრალის მდგომარეობაში თავის განზრახ მოყვანას მომზადებად აფასებენ დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის ამ ეტაპზე უშუალო საფრთხის არარსებობის გამო. თუმცა ლ. ხარანაული, რამდენადაც გენერალური მომზადების დასჯადობის პრინციპული წინააღმდეგია, გამოსავალს *action* და *omissio libera in causa* ფიგურის შესატყვისი სპეციალური დელიქტების შემოღების რეკომენდაციას იძლევა, მითუმეტეს, რომ იგივე ავტორი პრობლემას ხედავს *action libera in causa* ფიგურის

¹⁴³ გამყრელიძე თ.2010. 190; გამყრელიძე თ. 1974. 69.

¹⁴⁴ *Action* და *omissio libera in causa* -ს შესახებ გავრცელებული თეორიების შესახებ იხ. ცქიტიშვილი თ. 2014. 79-87; ასევე ტურავა მ. 2011. 428-433.

¹⁴⁵ ხარანაული ლ.2013. 255-258 და 261-262; ცქიტიშვილი თ. 2014. 75-85.

¹⁴⁶ ხარანაული ლ.2013. 255.

¹⁴⁷ ტურავა მ. 2011. 431-432; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 347.

¹⁴⁸ თოდუა ნ. 1997. *სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საკითხები*. თბილისი. 32-33.

¹⁴⁹ ცქიტიშვილი თ. 2014. 82.

¹⁵⁰ ხარანაული ლ.2013. 194.

გამოყენებით პირის პასუხისმგებაში მიცემასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ პრინციპებთან მიმართებით¹⁵¹.

ზემოთ განვითარებული მოსაზრებების საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ დანაშაულის მომზადების პრაქტიკულად სწორად გასაგებად მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო განსაზღვრების დახვეწა იმგვარად, რომ ნორმის შემფარდებელი შეიზღუდოს კვალიფიკაციისთვის აუცილებელი „საფრთხის“ დადგენით, რაც მნიშვნელოვნად დაავიწროვებდა მომზადების ფარგლებს. დანაშაულის მომზადების ცნება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში:

„დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად რეალური პირობების განზრახ შექმნა.“

2.2. უშედეგო წაქეზება და დახმარება დანაშაულის მომზადებასთან მიმართებით

დანაშაულის მომზადების ბუნების სწორად გასაგებად აუცილებელია ყველა ირელევანტური ქმედებისთვის თავისი სახელის დარქმევა. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია უშედეგო წაქეზებისა და დახმარების არსის გარკვევა.

საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს უშედეგო წაქეზების ცნებას, როგორც სხვისი დაყოლიების უშედეგო ცდას - ჩაიდინოს დანაშაული¹⁵². ამ შემთხვევაში მოცემული კანონი აღნიშნული ქმედების დასჯადობის საფუძველად სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ნორმას მიუთითებს, რადგან უშედეგო წაქეზებას დანაშაულის მომზადებად აფასებს.

¹⁵¹ხარანაული ლ.2013. 260.

¹⁵²უშედეგო წაქეზების საკანონმდებლო განსაზღვრებაა „დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად“. იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული უშედეგო წაქეზებისა და დახმარების ბუნების შესახებ¹⁵³. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას, საკანონმდებლო განსაზღვრების მსგავსად, დანაშაულის მომზადებად მიიჩნევს¹⁵⁴, მეორე ჯგუფი - განზრახვის გამომჟღავნებად¹⁵⁵, ხოლო მესამენი კი - დანაშაულის მცდელობად¹⁵⁶. აღსანიშნავია, რომ ი. დვალიძეს უშედეგო წაქეზება და დახმარება იმდენად მნიშვნელოვან ქმედებად მიაჩნია, რომ მომზადების გენერალური დასჯადობის საჭიროებას სწორედ მათი დასჯადობის აუცილებლობით ხსნის¹⁵⁷, თუმცა ავტორი არ ასაბუთებს მათ მნიშვნელობას.

გასაზიარებელია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოსაზრება, რომ უშედეგო წაქეზება თავისი ბუნებით არის განზრახვის გამომჟღავნება. იმ ავტორების მოსაზრების საპირისპიროდ, რომლებიც უშედეგო წაქეზებას მომზადებად აფასებენ, შეიძლება ითქვას, რომ იმ პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც ცდილობდა დანაშაულის ჩასადენად სხვა პირის წაქეზებას, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაყოლიება, იმდენად დაშორებულია დანაშაულის მცდელობისგან, რომ განზრახვის გამომჟღავნებასთან გვაქვს საქმე და არა დანაშაულის მომზადებასთან. ამიტომ უშედეგო წაქეზება არ უნდა განიხილებოდეს დანაშაულის ჩადენის დასჯად სტადიად. გასაზიარებელია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის არგუმენტი, რომ ქმედების მომზადებად შეფასებისთვის აუცილებელია, პირობა სრულყოფილი იყოს და, როგორც დანაშაულის ჩადენისთვის პირობის შექმნის ცდას განვიხილავთ განზრახვის გამომჟღავნებად, ისე უნდა მოხდეს უშედეგო წაქეზების მიმართაც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უშედეგო წაქეზების დანაშაულის მომზადებად აღიარება ერთგვარად ეწინააღმდეგება დანაშაულში თანამონაწილეობის

¹⁵³ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოითქვა მოსაზრება უშედეგო ორგანიზატორის დასჯადობასთან დაკავშირებითაც. იხ. გვენეტაძე ნ. 1994. *დისერტაცია, დანაშაულის ორგანიზატორი*. თბილისი. 111-114; ტურავა მ. 2013. 341. კრიტიკული აზრისთვის იხ. ხარანაული ლ. 2013. 67.

¹⁵⁴ ხარანაული ლ. 2013. 44-45; დვალიძე ი. და სხვები. 2007. 156; ცქიტიშვილი თ. დისერტაცია. 2014. 276; წერეთელი თ. 1961. 82. თ. წერეთლის მოსაზრებას, რომელიც უშედეგო წაქეზებას მომზადებად აფასებს, იზიარებს გამყრელიძეც. იხ. გამყრელიძე თ. 2010. 156. აღსანიშნავია გამყრელიძის სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც უშედეგო წაქეზებისთვის, იძლეოდა სასჯელის შემსუბუქების ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას. იხ. გამყრელიძე თ. 1998. *ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის*. წიგნი 1-ლი. თბილისი, სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი. 278.

¹⁵⁵მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 19-20.

¹⁵⁶ კვაშილავა ალ. 2006. *სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი*. 70.

¹⁵⁷ დვალიძე ი. 2007. 156.

აქცესორულ ბუნებას¹⁵⁸, რომელიც აღიარებულია საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილით, სადაც პირდაპირ წერია: „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში, ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის.“ უშედეგო წამქეზებლის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შემოღებით, გამოდის, რომ კანონმდებელი იდეაში უფრო ადრე აფასებს წამქეზებლის ქმედებას დასჯად სტადიად, ვიდრე ამსრულებლის ქმედებას, რადგან წამქეზებლის უშედეგო ცდა უკვე მომზადებაა, ხოლო იმისათვის, რომ ამსრულებლის ქმედება მომზადებად შეფასდეს, წამქეზებელზე დათანხმების გარდა, კიდევ შემდგომი ნაბიჯებია საჭირო. ამსრულებლის დაყოლიების შემთხვევაში ხომ ამსრულებლის ქმედებაზე იქნებოდა დამოკიდებული წამქეზებლის ქმედების მინიმუმ მომზადებად კვალიფიკაცია, შესაბამისად, ამსრულებლის მიერ დანაშაულის მოსამზადებელ სტადიამდე მიღწევა აუცილებელი იქნებოდა წამქეზებლის შესაბამისი პასუხისმგებლობისთვის, რის გამოც გაუგებარია, რატომ ვაფასებთ მომზადებად ინდივიდუალური სუბიექტის ქმედებას უფრო ადრეულ ეტაპზე, ასეთ დროს მისი ქმედება უფრო მალე აღწევს დასჯად სტადიას? რა ლოგიკით ვაფასებთ იმ პირის ქმედებას უფრო ადრე მომზადებად იმ პირის ქმედებასთან შედარებით, რომელმაც მოახერხა სხვისი დაყოლიება, მაგრამ მისი ქმედების სათანადო შეფასებისთვის ამსრულებლის ამოქმედებაა საჭირო? იმის მაგივრად, რომ დაყოლიების უშედეგო ცდის დროს ნაკლები საფრთხე და შედეგის რეალიზების ნაკლები პოტენციალი დავინახოთ, ყველაფერი პირიქით ხდება, რაც ძალზე ხელოვნურია. უშედეგო წამქეზების და სხვა მსგავსი ადრეული სტადიის პრინციპული დასჯადობა უცხო არც სხვა კონტინენტალური და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისთვის არის. ეს საკითხი ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნება განხილული.

უშედეგო წამქეზების დასჯადობას პრობლემა სხვა მიმართულებითაც აქვს, კერძოდ, ის შეუთავსებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. ერთი მხრიდან მეორის დაყოლიების უშედეგო ცდა მომზადებას, რომელიც დანაშაულის

¹⁵⁸დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებაზე იხ. მახარაძე ა. 2005. დისერტაცია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისთვის. თბილისი. 10-22; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 204; ტურავა მ. 2013. 333; გამყრელიძე ო. 2010. 192.

განვითარების სტადიაა, დამთავრებულ ხასიათს სძენს, რადგან პოტენციური ამსრულებლის უარი - ჩაიდინოს დანაშაული, პოტენციურ წამქეზებელს ართმევს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შანსს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ „მომზადების“ სტადიაზეა, განსხვავებით დანაშაულის ნამდვილი მომზადებისგან. მაშასადამე, ამ მიმართულებითაც იკვეთება იმ პირთან შედარებით უფრო მკაცრად დასჯის შესაძლებლობა, რომელმაც შეძლო და დაიყოლია მავანი.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, ე.წ. **ჯაჭვურ თანამონაწილეობაზეც**, სადაც მოიაზრება „წაქეზება წაქეზებისკენ“, რაც წაქეზებადაა მიჩნეული¹⁵⁹; „დახმარება დახმარებისკენ“, რაც დახმარებადაა შეფასებული¹⁶⁰; „დახმარება წაქეზებაში“, რაც ასევე დახმარებადაა მიჩნეული¹⁶¹; და „წაქეზება დახმარებისკენ“, რაც დახმარებადაა მიჩნეული¹⁶². დაისჯება თუ არა ის პირი დანაშაულის მომზადებისთვის, რომელიც სხვის დაყოლიებას შეეცდება ამსრულებლის წაქეზებისთვის, მაგრამ უშედეგოდ? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან უშედეგო წაქეზების დეფინიციის განმსაზღვრელი მუხლის სწორი წაკითხვა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ უშედეგო წაქეზებას წარმოადგენს ძირითადი ქმედების პოტენციური ამსრულებლის დაყოლიების ცდა და არა ამ ქმედების პოტენციური თანამონაწილეები.

საკითხავია, მოიცავს თუ არა სსკ-ის ზემოაღნიშნული ნორმა უშედეგო წაქეზების ისეთ შემთხვევას, როდესაც დაყოლიების ცდა მიმართულია დანაშაულის არა პოტენციური ამსრულებლის, არამედ დაზარალებულის მიმართ? ამ კითხვას უარყოფით პასუხი უნდა გაეცეს ისევ და ისევ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სადაც აქცენტი ქმედების შემდეგენლობის ამსრულებელზე კეთდება.

რაც შეეხება უშედეგო დახმარებას, ის, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, წარუმატებელი ცდაა - დაეხმაროს ამსრულებელს. მეცნიერთა ნაწილი სწორად აღნიშნავს¹⁶³, რომ მას სსკ-ში დასჯადობის საფუძველი არ აქვს, რადგან სსკ-ის 25-ე

¹⁵⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 201.

¹⁶⁰ Ibid.

¹⁶¹ Ibid; ასევე იხ. ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 337.

¹⁶² წერეთელი თ. 2007. თანამონაწილეობა დანაშაულში, *სისხლის სამართლის პრობლემები*, ტომი 2. თბილისი, მერიდიანი. 169.

¹⁶³ ტურავა მ. 2013. 341; ხარანაული ლ. 2013. 66-67; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 238-239.

მუხლის მე-7 ნაწილში მხოლოდ უშედეგო წაქეზების დასჯადობაზეა საუბარი. მეცნიერების ნაწილს¹⁶⁴ საჭიროდ მიაჩნია უშედეგო დახმარების კრიმინალიზება, ხოლო ნაწილი, მიუხედავად უშედეგო დახმარების დასჯადობის საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობისა, დასაშვებად მიიჩნევს მის მომზადებად შეფასებას¹⁶⁵. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის სწორი შენიშვნით, უშედეგო დახმარებასთან მიმართებით ადგილი აქვს „კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს“ და ამ დროს დაუშვებელია პირის საზიანოდ ანალოგიის გამოყენება¹⁶⁶. დანაშაულის უშედეგო დახმარების კრიმინალიზების შემთხვევაში ზუსტად იგივე კრიტიკული მოსაზრებების განვითარებაა შესაძლებელი, რაც უშედეგო წაქეზებასთან მიმართებით არსებობს. აღნიშვნას იმსახურებს საკითხი, თუ რა უნდა მოვიაზროთ უშედეგო დახმარების ცნების ქვეშ. ლ. ხარანაული გამოყოფს მის სამ სახეს, ესენია: 1. როდესაც ა. გადასცემს ბ.ს იარაღს, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელს აიღებს ნებაყოფლობით დანაშაულის ჩადენაზე; 2. როდესაც ა. გადასცემს იარაღს ბ.ს ან მისგან ფარულად ჩაუდებს ჯიბეში¹⁶⁷, მაგრამ ეს უკანასკნელი არ გამოიყენებს, და 3. როდესაც ა. შესთავაზებს მას დახმარებას, მაგრამ ბ. უარს ეტყვის¹⁶⁸. ლ. ხარანაულის მეორე მაგალითის მსგავსი მაგალითები მოჰყავთ გ. ნაჭყებიას¹⁶⁹ და ი. დვალიძეს¹⁷⁰. ლ. ხარანაულის აზრით, არცერთ შემთხვევაში ჩამოთვლილ შემთხვევას არ აქვს დასჯადობის საკანონმდებლო საფუძველი. ავტორის მოსაზრება გასაზიარებელია მეორე და მესამე მაგალითებთან მიმართებით, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ამსრულებლის მხრიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაზეც. ამ დროს დამხმარის ქმედების მომზადებად შეფასების საკანონმდებლო საფუძველია სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმად, „ თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება

¹⁶⁴ ხარანაული ლ. 2013. 67; ცქიტვილით. 2014. დისერტაცია, 276.

¹⁶⁵ გამყრელიძე ო. 2010. 156; დვალიძე ი. და სხვები. 2007. 156; ნაჭყებია გ. და სხვები. 2004. 195; სურგულაძე ლ. 2005. 302.

¹⁶⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 238-239.

¹⁶⁷ დასახელებულ მაგალითში დანაშაულის შემადგენლობის დასრულების შემთხვევაში ა. თანამონაწილეობისთვის დაისჯებოდა, რადგან იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამსრულებლისთვის არ არის აუცილებელი თანამონაწილეთა ქმედების ცოდნა, განსხვავებით თანამონაწილეებისგან. იხ. ტურავა მ. 2013. 334; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 334.

¹⁶⁸ ხარანაული ლ. 2013. 67.

¹⁶⁹ ნაჭყებია გ. და სხვები. 2004. 213.

¹⁷⁰ დვალიძე ი. და სხვები. 2004. 169.

დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის”, კერძოდ, ამ შემთხვევაში დამხმარეს პასუხისმგებლობა დაეკისრება კონკრეტული დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობისთვის¹⁷¹, ხოლო ამსრულებელი მომზადების სტადიაზე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან „პერსონალური საფუძვლით”¹⁷². დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობა მაშინ გამოირიცხება, როდესაც ამსრულებელი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების ეტაპზე შეწყვეტს საქმიანობას (რადგან, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დასახელებული კატეგორიის დანაშაულის მომზადება არ ისჯება). ის, რომ ავტორი მესამე მაგალითს უშედეგო დახმარების საილუსტრაციოდ იყენებს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან იგივე ავტორი გამორიცხავს დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობას¹⁷³. აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იყოს გასაზიარებელი, რადგან თანამონაწილეობა შესაძლებელია არა მხოლოდ დასრულებული დანაშაულის დროს, ან კიდევ მისი მცდელობის დროს, არამედ ასევე მომზადების დროსაც, რაც პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის პირველი წინადადებიდან. საკანონმდებლო განსაზღვრებით ყურადღებაა გამახვილებული ამსრულებლის ბოლო აქტზე, ანუ დანაშაულის დაუმთავრებლობაზე და არაფერი წერია იმაზე, თუ მინიმუმ რომელ დასჯად სტადიამდე უნდა მიაღწიოს ამსრულებელმა. ამ შემთხვევისგან კანონმდებელი განასხვავებს, სწორედ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, უშედეგო წაქეზების შემთხვევას - როდესაც არ გვყავს არც წამქეზებელი და არც ამსრულებელი, შესაბამისად, თანამონაწილეობაზე საუბარი შეუძლებელია. ამ უკანასკნელთან იმ შემთხვევის გათანაბრება, როდესაც, მართალია, წამქეზებელმა შეძლო ამსრულებლის დაყოლიება, მაგრამ „ამსრულებელმა” მეორე წუთს უარი განუცხადა, სწორი უნდა იყოს, რადგან იმისათვის, რომ თანამონაწილეობაზე ვისაუბროთ, აუცილებელია ამსრულებელმა მიაღწიოს დანაშაულის დასჯად სტადიას¹⁷⁴. დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა

¹⁷¹დანაშაულში თანამონაწილეობის ცდასა და დანაშაულის მცდელობა/მომზადებაში მონაწილეობის განსხვავებაზე იხ. ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 338, 383.

¹⁷²მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 113.

¹⁷³ ხარანაული ლ. 2013. 66; იგივე აზრზე არის ა. მახარაძე. იხ. მახარაძე ა. 2005. 17-18.

¹⁷⁴თანამონაწილეობისთვის აუცილებელ ობიექტურ კრიტერიუმს თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის დასჯად ქმედებას შორის მიზეზობრივ კავშირში ხედავს ქ. ჰედრიხი. იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 208. დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითი კი იხ. Ibid. 344; მხარდამჭერი მოსაზრებებისთვის ასევე იხ.

ადიარებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკითაც¹⁷⁵. დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობის ადიარებას სხვა პრინციპული მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა იცის, რომ მისი ახლო ნათესავის (რომლის მიმართაც გარანტის ფუნქცია აქვს) მკვლელობა მზადდება და უმოქმედობას იჩენს. თუკი მოცემულ კაზუსში ამსრულებლის ქმედება მომზადების ეტაპზევე შეწყდება, სამართლებრივი გარანტი დაისჯება დანაშაულის მომზადებაში დახმარებისთვის. ხოლო ის მეცნიერები, რომლებიც მოცემულ შემთხვევას უშედეგო დახმარების შემთხვევასთან ათანაბრებენ, დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ პირს პასუხისმგებლობისგან. აქ მეორე სახის უსამართლობასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. თუკი დასახელებულ მაგალითში დახმარების სპეციალური მოვალეობის არმქონე პირი იქნებოდა, ეს უკანასკნელი დაისჯებოდა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის და ისე გამოვიდოდა, რომ უფრო მეტად გასაკიცხ ქმედებას (როდესაც გარანტი უმოქმედობს) კანონი არ დასჯიდა, ხოლო სოლიდარული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, უფრო მცირე ქმედებისთვის, პირი დაისჯებოდა¹⁷⁶.

ასევე არ არის გასაზიარებელი იმ ავტორთა შეხედულებები, რომლებიც თანამონაწილეთა ქმედებებს ყოველგვარი განსჯის გარეშე პირდაპირ მოსამზადებელ სტადიად აფასებენ, მაგალითად, ი. დვალიძის აზრით, დამხმარის მოქმედება დასაწყისშივე დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს; ო. გამყრელიძის თქმით კი, ამსრულებლისთვის მოქმედების შესრულების დაპირების წინასწარ მიცემა თავისთავად უკვე დანაშაულის მომზადებაა¹⁷⁷ თუმცა იგივე ავტორი იმავე „ქმედებას“ თავისი არსით სხვაგან განზრახვის გამომჟღავნებად მიიჩნევს¹⁷⁸. დანაშაულის დაფარვის წინასწარ შეპირებას განზრახვის გამომჟღავნებად აფასებს ქ. მჭედლიშვილი¹⁷⁹. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეული თანამონაწილის

ნაწყებია გ. და სხვები. 2004. 196; იგივე აზრზეა ო. გამყრელიძეც. იხ. გამყრელიძე ო. 2010. 192; ასევე იხ. გამყრელიძე ო. 1974. *დანაშაულში შუალობით ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა*. თბილისი, მეცნიერება. 13.

¹⁷⁵რუსთავის საქალაქო სასამართლოს N 1-90-14 განაჩენი. 10 ოქტომბერი 2014.

¹⁷⁶სამართლებრივი გარანტის მხრიდან უმოქმედობას დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობად აფასებს ჰედრიხი. ქ. 2011. 344, 262. მსგავსი ქმედება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის შეუტყობინებლობად შეფასდა. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის N 1/5515-11 განაჩენი. 17 ნოემბერი 2011.

¹⁷⁷გამყრელიძე ო. 2010. 175.

¹⁷⁸გამყრელიძე ო. 2010. 154.

¹⁷⁹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 20.

„ქმედებას“, იქნება ეს წამქეზებლისა, დამხმარისა თუ ორგანიზატორისა, იქამდე, სანამ ამსრულებელი თავისი მოქმედებით მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში არ ჩართავს¹⁸⁰, განზრახვის გამომჟღავნებაა და სხვა არაფერი. თანამონაწილეთა ქმედებამ რომ პასუხისმგებლობა გამოიწვიოს, ამისთვის აუცილებელი უნდა იყოს ამსრულებლის გარკვეული ნაბიჯები¹⁸¹. მხოლოდ ამსრულებლის ქმედებასთან ერთობლიობაში ქმნიან რეალურ შესაძლებლობას დაცული სიკეთის დაზიანებისთვის.

უშედეგო დახმარების დასჯადობის სსკ-ით გაუთვალისწინებლობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული აზრის თანახმად, დამხმარე თანამონაწილეობის ყველაზე **სუსტი ფორმა**¹⁸², შესაბამისად, მისი უშედეგო ცდა განსაკუთრებით უმნიშვნელო ხასიათის არის, რის გამოც კანონმდებელმა რეაგირების გარეშე დატოვა. უმჯობესი იქნება, თუკი კანონმდებელი მომავალში უშედეგო დახმარების კრიმინალიზებას კი არა, უშედეგო წაქეზების დეკრიმინალიზებას მოახდენს. ამით ის ბოლოს მოუღებს დანაშაულის მომზადების ორსახოვანებას, რომელიც სსკ-ის ერთი მუხლის მიხედვით, სრული პირობათა ერთობლიობაა (სსკ-ის მე-18 მუხლი), ხოლო მეორე მუხლის თანახმად (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი), ერთი არასრული პირობაც კი საკმარისადაა მიჩნეული მისი შეფასებისთვის. თუკი სახელმწიფოს არსებითი მიზანი აქვს - დასაჯოს დანაშაულის უშედეგო წაქეზება, მაგალითად, ასეთი მიზანი, სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება დავინახოთ მკვლელობის შემადგენლობასთან დაკავშირებით, მაშინ მისი კრიმინალიზება უნდა მოახდინოს სსკ-ის ზოგადი ნაწილით, როგორც ცალკე დაუმთავრებელი დანაშაულის სახისა, ოღონდ კონკრეტულ შემადგენლობებთან მიმართებით. უშედეგო წაქეზების ზოგადი დებულება სსკ-ის ზოგად ნაწილში შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მუხლის სახით:

1. პირი დაისჯება უშედეგო წაქეზებისთვის, თუ ვერ შეძლებს სხვის დაყოლიებას - ჩაიდინოს ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

¹⁸⁰ თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობაზე იხ. წერეთელი თ. 2007. თანამონაწილეობა დანაშაულში. 177; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 241.

¹⁸¹ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისთვის ამსრულებლის მხრიდან დანაშაულის დასჯად სტადიამდე მიღწევის მნიშვნელობაზე იხ. ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 338.

¹⁸² ტურავა მ. 2013. 332.

2. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 318-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 323-ე მუხლის პირველი ნაწილით, 325-ე მუხლის პირველი ნაწილით და 353¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების უშედეგო წაქეზებისთვის.

2.3. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ქმედებათა დანაშაულის მომზადებად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ პრაქტიკულად, როგორ უნდა იქნეს გაგებული დანაშაულის მომზადება - როგორც ნებისმიერი მოსამზადებელი ქმედებები, თუ იმ კონკრეტული ქმედების შემადგენლობის მცდელობასთან ახლოს მდგომი პირობები, რისი ჩადენისკენაც არის მიმართული ეს ქმედებები. დანაშაულის მომზადების პრაქტიკის ანალიზი მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გასააზრებლად, თუ რამდენად საჭიროა მომზადების დეფინიციის სრულყოფა და მასში დამატებით ქმედების შემადგენლობის დასრულებასთან სიახლოვის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენება. ამ მიზნით ქვემოთ მოყვანილი იქნება მაგალითები იმ სასამართლო საქმეებიდან, სადაც პირთა ქმედება დანაშაულის მომზადებად იქნა შეფასებული.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ყაჩაღობის მომზადებად ფასდება პირის ქმედება, რომელიც შეიარაღებული დაადგება თავდასხმის ობიექტისკენ მიმავალ გზას¹⁸³; ნარკოტიკული საშუალების შექმნა-გასაღებასთან მიმართებით მომზადებად ფასდება ნარკოტიკული საშუალების ადრესატამდე მიტანის ეტაპი¹⁸⁴; ყალბი კუპიურების გასაღებასთან მიმართებით - თანხის ადრესატისთვის გაგზავნის ეტაპი¹⁸⁵; ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გადატანასთან მიმართებით (საბაჟო

¹⁸³თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/6190-09 განაჩენი, 12 დეკემბერი 2009; რუსთავის საქალაქო სასამართლოს N 1-92-11 განაჩენი 7 ივნისი 2011; რუსთავის საქალაქო სასამართლოს N 1-90-14 განაჩენი 10 ოქტომბერი 2014.

¹⁸⁴თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/2045-12 განაჩენი, 7 მაისი 2012.

¹⁸⁵2016 წლის 13 ივლისის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ წერილის პასუხი N1 01222 – 14173 – 2015 წლის 13 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.

წესების დარღვევა) - ნივთის შუამავლისთვის გადაცემის ეტაპი¹⁸⁶; მკვლევლობის შემადგენლობასთან მიმართებით მომზადებად შეფასებულია უმედეგო წაქეზება¹⁸⁷; ასევე მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის მოძიება და თვალთვალი¹⁸⁸; საზღვარგარეთ მყოფი მავანის მოკვლის განზრახვით - თბილისის აეროპორტში მისვლის ეტაპი¹⁸⁹; სხვისი ბინის/სადგომის დაყაჩაღების მომზადებად - სახლში შესვლის¹⁹⁰ ან სახლთან მისვლის ეტაპი¹⁹¹; ასევე სადგომის შესასვლელთან ამსრულებელთა მობილიზება ქურდობის მომზადებად იქნა შეფასებული¹⁹². ყაჩაღობის მომზადებად შეფასდა პირთა ჯგუფის ქმედება, რომელიც ობიექტზე თავდასხმას 5 დღეში გეგმავდა¹⁹³. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის სასამართლო პრაქტიკაში კიდევ მეტია ასეთი ადრეული ეტაპების დანაშაულის მომზადებად შეფასების შემთხვევები¹⁹⁴, რასაც თავად ჩეხეთის სსკ-ის მე-20 მუხლის შინაარსი განაპირობებს, რომლის მიხედვითაც, იარაღის შეძენა ან პირთა შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად უკვე მომზადებაა.

ის, რომ ჩამოთვლილი საქმეებიდან, სადაც გამოძიების უმეტესობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ემყარებოდა (მოსმენები და ე.წ ჩანერგილი აგენტი) და ქმედების აღკვეთა გაცილებით ადრეულ სტადიაზე შეეძლო პოლიციას, ვიდრე გააკეთა, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დაშვებულ და აკრძალულ ქმედებას შორის ზღვარის გადალახვისთვის პოლიციელები იცდიდნენ და, რომ მომზადება ვიწროდ განიმარტება პრაქტიკაში, თუმცა კვლევისას გამოვლინდა ისეთი საქმეებიც (გაცილებით ცოტაა ასეთი საქმე), სადაც ქმედება ძალიან იყო ქმედების შემადგენლობის დასრულებისგან და, მიუხედავად ამისა, მომზადებად შეფასებულია.

¹⁸⁶თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი N 1/1183-13, 28 თებერვალი 2014.

¹⁸⁷თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/4719-11 განაჩენი, 1 ნოემბერი 2011. თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/5515-11 განაჩენი, 17 ნოემბერი 2011.

¹⁸⁸სტუზ N 16-კოლ განჩინება, 20 იანვარი, 2004.

¹⁸⁹„ციანიდის საქმის“ განაჩენი - 9 წელი ციხეში. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/cianidis-saqmis-ganacheni/28718162.html> 12.12.2017.

¹⁹⁰ 2016 წლის 13 ივლისის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ წერილის პასუხი N1 01222 – 14173 - თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 7 მარტი, 2016.

¹⁹¹სტუზ N 481აპ-08 განჩინება, 26 მარტი 2008.

¹⁹²თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/497-13 განაჩენი, 19 მარტი 2013.

¹⁹³თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/2669-14 განაჩენი, 2 დეკემბერი 2014.

¹⁹⁴Srov. rozhodnutí Nejvyššího soudu ČR, ze dne 12. listopadu 2008, sp.zn. 3 Tdo 1338/2008; Srov. rozhodnutí Nejvyššího soudu ČR ze dne 23. září 2009, sp. zn. 3 Tdo 1035/2009. გადაწყვეტილებები ციტირებულია მითითებულ ლიტერატურაში: Tkáčová R. 2014. 7. ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს N 1338/2008 საქმე ნოემბერი 12, 2008); ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს N sp. Ref. 3 Tdo 1035/2009. სექტემბერი 23, 2009). საქმეები ციტირებულია შემდეგ თეზისში: Tkáčová R. 2014. 7.

Ultima ratio პრინციპი, რაც სისხლის სამართლის ბუნების განმსაზღვრელია, ეხება არა მხოლოდ ახალი დანაშაულის შემადგენლობათა შექმნის შეზღუდვას, არამედ არსებული აკრძალვების გაფართოებასაც¹⁹⁵. ამრიგად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით ცალსახად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქმედების მომზადებად კვალიფიკაციის დროს სასამართლო არ მსჯელობს შექმნილ საფრთხეზე, ქმედების სიახლოვეზე და სხვა მსგავს ფაქტორზე, თუმცა საქმეების უმეტესობიდან ასეთი ტენდენცია იკითხება. შეიძლება ითქვას, რომ მომზადების დეფინიციაში ქმედების რელევანტურობის განმსაზღვრელი ელემენტების შემოტანა მნიშვნელოვანია, ეს სასამართლოს აიძულებდა მეტად გაემახვილებინა ყურადღება ქმედების მნიშვნელობაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.

2.4. დანაშაულის მცდელობის მიღმა ეტაპების დასჯის მექანიზმი იმ ქვეყნებში, სადაც არ ისჯება მომზადება გენერალურად

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქვეყნების უმრავლესობა, ლიბერალური სისხლის სამართლის პრინციპებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, პრინციპულად ამბობენ უარს მომზადების გენერალურ დასჯადობაზე. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც კონტინენტალური, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის მრავალი ქვეყანა. თუმცა, როგორც ზოგიერთი ასეთი ქვეყნის სისხლის სამართლის ანალიზმა აჩვენა, დანაშაულის მომზადების გენერალურ კრიმინალიზებაზე უარის თქმა ფორმალურია და ისინი ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმით ახდენენ მომზადების დაუსჯელობით გამოწვეული სიცარიელის შევსებას¹⁹⁶. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ანალიზის შედეგად შესაძლოა გამოიყოს დანაშაულის მომზადების დასჯადობის შემდეგი სამართლებრივი მექანიზმები, ე.წ. inchoate

¹⁹⁵ Clarkson C. M.V. 1 March 2009. Attempt: The Conduct Requirement. *Oxford Journal of Legal Studies*. Volume 29, Issue 1. 25–41.

¹⁹⁶ წიქარიშვილი კ. 2010. რამდენიმე მოსაზრება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის შესახებ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში. *მართლმსაჯულება და კანონი*, 1. 18; Robinson P.H. and Grall J. A. 1983. *Element analysis in defining criminal liability. The model penal code and beyond*. 752.

crimes¹⁹⁷, ანუ დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები: ქმედების შემადგენლობის მცდელობა, კონსპირაცია, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება და შეკვეცილი შემადგენლობის დელიქტები ე.წ. *delictum sui generis*.

წინამდებარე თავში საუბარი იქნება მომზადებისა და უფრო მანამდელი ეტაპების დასჯადობის ზემოთ აღნიშნულ სამ სპეციალურ საშუალებაზე, რაც შეეხება მცდელობის განვრცობის მექანიზმს, ის მცდელობის არსზე და მის მომზადებასთან მიმართებაზე საუბრის დროს იქნება განხილული შესაბამის თავში.

➤ დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალი იცნობს დაუმთავრებელი დანაშაულის უკიდურესად ადრეულ სახეს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებას (*incitement/solicitation*). აღნიშნული ინსტიტუტი ანგლო-ამერიკულ პრეცედენტულ სამართალში იღებს სათავეს¹⁹⁸, სადაც ის გამოიხატებოდა ტერმინით - **Incitement**¹⁹⁹, რაც ნიშნავს სხვა პირის დაყოლიების უშედეგო ცდას,²⁰⁰ განხორციელებულს დაპირებით, მუქარით, ბრძანებით და სხვა ხერხებით²⁰¹, რომელთა მეშვეობით ცდილობს სხვას ჩაადენინოს დანაშაული²⁰². სისხლის სამართლის დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ასეთი ქმედება დამთავრებულია დანაშაულის ჩადენის შესახებ მოწოდებისთანავე²⁰³. იმ შემთხვევაში, თუკი ამსრულებელი დათანხმდება წინადადებას, პირი დაისჯება არა მოწოდებისთვის, არამედ პოტენციურ ამსრულებელთან ერთად - კონსპირაციისთვის,

¹⁹⁷დაუმთავრებელი დანაშაულის სახეების (*Inchoate crimes*) ისტორია ინგლისსა და ამერიკაში იხ. Hallevy G. 2012. *National Security Under Liberal Substantive Criminal Law-When do National Security Issues Become Criminal*, *Creighton International and Comparative Law Journal Vol. 1*.10-13.

¹⁹⁸პირველი საქმე: *R v Higgins*, 102 ER 269.1801. ანალიზისთვის იხ. Hall J. 1940. *Criminal Attempt - A Study of Foundations of Criminal Liability*. Articles by Maurer Faculty. 809-810. *Incitement-ის ისტორიის შესახებ* იხ. Lippman M. 2010. *Contemporary Criminal Law: Concepts, cases, and controversies*. California, Sage. 207; I. P. Robbins & Kahan D. M. 2002. *Solicitation, Encyclopedia of crime and justice*. vol.4. Chief ed. Joshua Dressler. New York, Macmillan Reference USA. 1492.

¹⁹⁹ინგლისის სისხლის სამართლის მიხედვით ამ ქმედებას *Incitement* ეწოდებოდა სერიოზული დანაშაულების შესახებ 2007 წლის კანონის მიღებამდე, თუმცა იმის გამო, რომ ეს სახელწოდება უფრო ძველი და ამასთან მარტივია გამოსაყენებლად, ვიდრე მისი ახალი სახელწოდება - *encouraging* და *assisting*, ნაშრომში გამოყენებული იქნება ძველი სახელწოდება, ახალი გაფართოებული მნიშვნელობით. ამერიკის სისხლის სამართლის მიხედვით კი ამ ინსტიტუტს *Solicitation* ჰქვია.

²⁰⁰ Samaha J. 2011. 265

²⁰¹ *Race Relations Board v Applin* 1 Q.B.815, 825. 1973.

²⁰² Singer R.G. & La Fond J. Q. 2010. 296-297; Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007. *Clarkson and Keating Criminal Law: text and materials*. London, Thomson. 534-535.

²⁰³ Lippman M. 2010. 208.

ხოლო მათი ქმედების მცდელობის ეტაპზე აღკვეთის ან დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში ისინი დაისჯებიან, როგორც დანაშაულში თანამონაწილეები²⁰⁴.

Incitement -ს ბევრი ავტორი უფრო საშიშადაც მიიჩნევს, ვიდრე დანაშაულის მცდელობას. იმ კრიტიკის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით ძალიან ადრეული ეტაპია და კანონით დაცული სიკეთისთვის ვერ ქმნის სისხლის სამართლისთვის რელევანტურ საშიშროებას²⁰⁵, რომ ის უფრო აზრების და არა ქმედების კრიმინალიზების ილუსტრაციაა²⁰⁶, მათი პასუხია შემდეგი არგუმენტი: ის უფრო საშიშია, რადგან ქმნის „დამნაშავეების კოოპერაციის რისკს“²⁰⁷. დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდების დასჯადობის ინსტიტუტს სხვადასხვა კუთხით აკრიტიკებენ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ამერიკულ სასამართლოში მიუთითეს ამ ქმედების შემადგენლობის ნორმის წინასწარ განჭვრეტადობასთან, თავისუფლებასთან და უსაფრთხოებასთან წინააღმდეგობაზე. პირს ბრალად ედებოდა მავანის უშედეგო წაქეზება ცოლქმრული ღალატის ჩასადენად²⁰⁸, მოსამართლის შეფასებით, თუკი solicitation დასჯადი ქმედებაა, მაშინ ქორწინებაში მყოფი ადამიანისთვის „... უბრალოდ თავის დაქნევა ან კიდევ თვალის ჩაკვრა“ დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ, რაც გაუმართლებლად გაზრდის პასუხისმგებლობის ფარგლებს და ასევე გაუმართლებლად შეზღუდავს ადამიანის თავისუფლებას²⁰⁹. სწორედ ადამიანის თავისუფლების პრიმატის არგუმენტით, ამერიკის რამდენიმე შტატში solicitation არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას²¹⁰. თუმცა აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კვლევების მიხედვით²¹¹, ამერიკის იმ შტატში, სადაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის უშედეგო წაქეზება არ ისჯება რაიმე მიზეზით, ან იმის გამო, რომ მოწოდება ზოგადად არ არის დასჯადი ქმედება, ან იმის გამო, რომ იმ კონკრეტული დანაშაულის მოწოდება არ ისჯება, ასეთ დროს, კრიმინალ-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხდება დანაშაულის მცდელობის განვრცობითი განმარტება და ის, რაც თავისი ბუნებით არ

²⁰⁴ Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 299; Samaha J. 2011. 265; I. P. Robbins & Kahan D. M. 2002. *Encyclopedia of crime and justice*. vol.4. 1491.

²⁰⁵ Samaha J. 2011. 265.

²⁰⁶ I. P. Robbins & Kahan D. M. 2002. *Encyclopedia of crime and justice*. vol.4. 1491.

²⁰⁷ Molan M. Bloy D. & Lanser D. 2003. *Modern Criminal Law*. London, Cavendish. 132; Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007. 535; Samaha J. 2011. 266; Lippman M. 2010. 208.

²⁰⁸ ამერიკის რამდენიმე შტატში დღესაც ისჯება ცოლქმრული ღალატი სისხლისსამართლებრივი წესით.

²⁰⁹ Lippman M. 2010. 208. ასევე იხ. საქმე State v. Butler, 8 Wash. 194; 35 P. 1093 (1894).

²¹⁰ Lippman M. 2010. 208.

²¹¹ Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 299.

გაცდენია უშედეგო წაქეზებას, სასამართლოს დანაშაულის მცდელობად შეუფასებია²¹².

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის სიმძიმის თვალსაზრისით ამერიკის სამოდელო კანონი (შემდგომში MPC)²¹³ არავითარ შეზღუდვას არ ადგენს **solicitation**-ის დასჯადობისთვის²¹⁴, რასაც ბევრი შტატი იზიარებს, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, კანზასის, კოლორადოს და მიჩიგანის შტატები მხოლოდ ფელონიას (მძიმე დანაშაული)²¹⁵ და არა მისდემინორის (მსუბუქი დანაშაული) უშედეგო მოწოდებას სჯიან, ხოლო კალიფორნია არა ზოგადად ფელონიას, არამედ რამდენიმე ფელონიას (მაგალითად, მკვლელობის) უშედეგო მოწოდების დასჯადობას ითვალისწინებს²¹⁶.

განსხვავებით გერმანული²¹⁷ და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან, ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლით დასჯადია უშედეგო დახმარებაც²¹⁸. ასევე დასჯადია ე.წ. ჯაჭვური უშედეგო მოწოდებაც²¹⁹. უშედეგო წაქეზების ქართული მოდელისგან განსხვავებით, დანაშაულისკენ მოწოდების დროს არ არის აუცილებელი, რომ „დაყოლიება“ მიმართული იყოს კონკრეტული პირისკენ, შესაძლებელია დაუკონკრეტებელ პირთა წრისაკენ იყოს მიმართული²²⁰. ქართული მოდელისგან განსხვავებით, პირი დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებისთვის დაისჯება მაშინაც, როდესაც ის ცდილობდა ისეთი პირის დაყოლიებას, რომელიც

²¹²Ward v. State, 528 N.E. 2d. Ind. 1988. არსებობს უფრო გვიანდელი პრაქტიკაც, სადაც სასამართლომ უშედეგო წაქეზების შემთხვევები პრინციპულად არ შეაფასა მცდელობად. იხ. State v. Davis, 319 MO. 1222.65.w.2d.609. 1928; ასევე Gervin v. State, 212 Tenn. 653, 371, S.W 2d, 449.1963.

²¹³Model penal code.

²¹⁴ამ მხრე შეზღუდვებს არც ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკა ადგენს. იხ. Ormerod D. 2009. 531.

²¹⁵Lipmann M. 2010. 207.

²¹⁶ 2002. Encyclopedia of crime and justice. vol.4. 1493. დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის მოწოდების (solicitation) გამიჯვნის პრაქტიკული სირთულის და ხარვეზების შესახებ იხ. Yaffe G. 2014. Criminal Attempts, *the yale law journal*, N 124. 96-98,122,128-129.

²¹⁷ხარანაული ლ. 2013. 93.

²¹⁸Ormerod D. 2009. 526; Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 297; Herring J. 2011. Criminal law. 337.

²¹⁹ 2002. Encyclopedia of crime and justice. vol.4. 1493. იგივე ქმედება არ არის დასჯადი გერმანიის დოგმატიკის მიხედვით. იხ. ხარანაული ლ. 2013. 92.

²²⁰Molan M., Bloy D. & Lanser D. 2003. 132; Samaha J. 2011. 266. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება Marlow-ს საქმეზე, სადაც პირი დაისაჯა ნარკოტიკული საშუალების კულტივირების მოწოდებისთვის. დანაშაულის მოწოდებად შეფასდა Marlow-ს ავტორობით გამოქვეყნებულ წიგნში კულტივირების ინსტრუქციის აღწერა. იხ. R v Marlow, Crim LR 897.1997.

იმავე დანაშაულის პოტენციური მსხვერპლია²²¹. იმისათვის, რათა დაისაჯოს პირის ცდა, რომ დაიყოლიოს სხვა ადამიანი იმაზე, რომ მან ჩაიდინოს დანაშაული, ამერიკის რამდენიმე შტატის კანონმდებლობით არ არის აუცილებელი, რომ მიაღწიოს პოტენციურ ამსრულებლამდე²²², ხოლო რამდენიმე სხვა შტატის კანონმდებლობით აღქმადი უნდა იყოს (ე.ი უნდა მიაღწიოს ადრესატამდე), წინააღმდეგ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება მოწოდების მცდელობად²²³. **solicitation**-ის მაგალითებია: ა-მ ბ-ს მოკვლის განზრახვით გადაწყვიტა გ-ს დაქირავება, რომელიც „სერიული მკვლელი“ იყო. ა-მ გ-ს ფოსტით გაუგზავნა ბ-ს მოკვლის შეკვეთა, თუმცა გ-ს წერილი არ მიუღია, რადგან იქამდე იქნა დაკავებული სხვა დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ბრალდებით. ა-ს ქმედება ამერიკული სამართლის მიხედვით შეფასდება დანაშაულის მოწოდებად²²⁴. მსგავსი ქმედება მოწოდების მცდელობად შეაფასა ინგლისის სასამართლომ²²⁵. კიდევ მრავალი პრაქტიკული თუ ჰიპოთეტური მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ მსგავსი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობით ხდება პიროვნების საშიშროების კრიმინალიზება და არა ქმედებისა²²⁶.

დასჯადია უვარგისი უშედეგო მოწოდებაც როგორც დოგმატიკის, ისე პრაქტიკის მიხედვით. უვარგისი მოწოდების დასჯადობას საკანონმდებლო საფუძველი აქვს როგორც ანგლო-ამერიკულ²²⁷, ისე გერმანულ²²⁸ და ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში.

იმ კრიტიკის დასაძლევად, რომელიც დანაშაულის უშედეგო მოწოდების დასჯადობას მიემართება, ამერიკის რამდენიმე შტატში ამ ტიპის დანაშაულის მტკიცებისთვის სპეციალური მტკიცებულებითი სტანდარტი შემუშავდა. მაგალითად:

²²¹Yaffe G. 2014. 97.

²²² Samaha J. 2011. 267. იხ. საქმე State v. Cotton, 790 P.2D.1050. 1990.

²²³ Molan M., Bloy D. & Lanser D. 2003. 132; Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 298.

²²⁴ Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 305.

²²⁵ R v Goldman, Crim. LR 822. 2001; ასევე DPP v Armdtrong, Crim. LR 379. 2000.

²²⁶განსხვავებული ხედვა და პრაქტიკა არსებობს დანაშაულისკენ უშედეგო მოწოდების სუბიექტური მხარის თაობაზე. ამერიკის სისხლის სამართალში, რომელიც პრაქტიკაშიც ჰპოვებს აქტიურ გამოხატულებას, solicitation-ის mens rea არის მხოლოდ პირდაპირი განზრახვა. იხ. Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 298; Lippman M. 2010. 208. რაც შეეხება გერმანიასა და ინგლისს, ევენტუალური განზრახვით უშედეგო წაქეზება დაშვებულია, იხ. ლ. ხარანაული, დისერტაცია, 92; Ormerod D. 2009.527; Ashworth A. 2009. 460.

²²⁷ Cavendish lawcards series. 2004. *Criminal Law*. London: Cavendish. 24; 2002. Encyclopedia of crime and justice. vol.4. 1494.

²²⁸ ხარანაული. 2013. 92.

კოლორადოს შტატი ადგენს მინიმუმ ორი მკაფიო მტკიცებულების არსებობის აუცილებლობას²²⁹; რამდენიმე სხვა შტატის კანონმდებლობის მიხედვით, მათ შორის, ჩრდილოეთ დაკოტას პრაქტიკით, ქმედების solicitation-ად შეფასებისთვის აუცილებელია წამქეზებლის მხრიდან თანხის გადაცემა პოტენციური ამსრულებლისთვის²³⁰.

აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ განსახილველი ინსტიტუტის ლიბერალიზებისთვის გატარებული პოლიტიკა საპროცესო ხასიათის არის და ის არ ცვლის უშედეგო მოწოდების მატერიალურ შინაარსს, მტკიცებულებითი სტანდარტის გაზრდის მიუხედავად, მოწოდება მაინც რჩება სიკეთის დაზიანებისგან ძალზე დაშორებულ ქმედებად.

➤ კონსპირაცია

დაუმთავრებელი დანაშაულის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს კონსპირაცია (**Conspiracy**), რომელიც ანგლო-ამერიკული სასამართლო პრეცედენტის ნაყოფია. კონსპირაციის ჩანასახის პერიოდად მე-14 საუკუნეს ასახელებენ, თუმცა ის სახე, რაც ამ ინსტიტუტს დღეს აქვს, უფრო მოგვიანებით, მე-17 საუკუნეში, Poulterers-ის საქმით მიიღო²³¹. სოციო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების ცვლილებების კვალდაკვალ კონსპირაციამ ნელ-ნელა მიიღო ის სახე, რაც დღეს აქვს და სულ უფრო და უფრო გაძლიერდა მისი როლი ხელისუფლების ხელში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქმეების საწარმოებლად. კონსპირაცია დანაშაულის ჩადენის თაობაზე ორი ან უფრო მეტი პირის შეთანხმებაში გამოიხატება²³². მაგალითად, თუკი ა და ბ შეთანხმდებიან გ-ს მკვლელობაზე, ყოველგვარი შემდგომი მოსამზადებელი ქმედებების გარეშეც კი დასჯადი დაუმთავრებელი დანაშაულია. შეთანხმების საგანი, ამერიკის თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით, მხოლოდ დანაშაულია მაშინ, როცა, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონსპირაციის საგანი შეიძლება

²²⁹ 2002. Encyclopedia of crime and justice. vol.4. 1493.

²³⁰ Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 297.

²³¹ Poulterers' case, 77 Eng. Rep. 813.1611. დასახელებული საქმის ანალიზისთვის იხ. Buke J. A., Kadish S. H. and Kahan D. M. 2002. Encyclopedia of crime and justice. Vol.1. New York, Macmillan reference USA. 241; Okoth J.R.A. 2014. The Crime of Conspiracy in International Criminal Law. Kenya, T.M.C. Asser Press. 11; Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 339.

²³² Samaha J. 2011. 259; Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 340; Molan M., Bloy D. & Lanser D. 2003. 142; Ormerod D. 2009. 536.

ყოფილიყო სამოქალაქო კონტრაქტის დარღვევაზე ან კიდევ საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის შეურაცხყოფაზე შეთანხმებაც²³³. კონსპირაციის საგნად მხოლოდ დანაშაულის გამოცხადება კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად: კალიფორნიის შტატის კანონმდებლობა დღემდე განიცდის ჩვეულებითი სამართლის გავლენას²³⁴. კონსპირაციის საგანს მხოლოდ დანაშაულით არ აკონკრეტებს ასევე ინგლისის სისხლის სამართლის კანონმდებლობაც²³⁵.

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, დასჯადია ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულის კონსპირაცია, განსხვავებით კანონით დაცული სიკეთისთვის უფრო მეტი საფრთხის შემქმნელი მცდელობისგან²³⁶. ამერიკაში შტატების ნახევარი სჯის პირთა უბრალო შეთანხმებას, ხოლო დანარჩენი მოითხოვს დამატებით აშკარა ქმედების (overt act) ჩადენას, რომელსაც არ მოეთხოვება ქმედების შემადგენლობასთან სიახლოვე, არამედ უფრო საპროცესო, მტკიცებულებითი სტანდარტის მნიშვნელობა აქვს²³⁷. შეთანხმების სიმტკიცისთვის overt act -ის არსებობის საჭიროებას არ ითვალისწინებს ინგლისის სამართალი²³⁸. Overt act-ის საილუსტრაციოდ ხშირად იხსენებენ საქმეებს სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც კონსპირაციისთვის საკმარის აშკარა ქმედებად შეფასდა შეთანხმების შემდგომ ერთ-ერთი პირის მხრიდან სკოლის ასაფეთქებლად შესაბამისი მოწყობილობის შექმნა²³⁹, ასევე საწამლავის ადრესატისთვის ფოსტით გაგზავნის მიზნით მარკების შექმნა²⁴⁰ და კომუნისტური

²³³ Lippman M. 2010. 200; Okoth J.R.A. 2014. 28.

²³⁴ იხ. კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, 182-185 (5). ხელმისაწვდომია: <http://law.justia.com/codes/california/2005/pen/182-185.html> 2.22.2016.

²³⁵ იხ. Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham S. 2007. 522; Ashworth A. 2009. 450; Molan M., Bloy D. & Lanser D. 2003. 148. მიუხედავად იმისა, რომ Withers -ს საქმეზე (DPP v Withers, ac 842. 1975) სასამართლომ უარი თქვა პირის დასჯაზე ისეთი ქმედების კონსპირაციისთვის, რომელიც არ წარმოადგენდა კანონით დანაშაულს, დღემდე ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში გავლენიან საქმეებს წარმოადგენენ Shaw, ac, 220. 1962, Knuller, ac, 435, 1973, Scott v. Metropolitan Police Commissioner, ac, 819, 1975. სადაც პირები დაისაჯნენ არადანაშაულებრივი ქმედების ჩადენის კონსპირაციისთვის, რასაც ხელს 1977 წლის კანონიც უწყობს.

²³⁶ Ashworth A. 2009. 454. Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 341. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სსკ-ის თანახმად, დასჯადია მხოლოდ იმ დანაშაულის კონსპირაცია, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. იხ. Okoth J. 2014. 49.

²³⁷ Samaha J. 2011. 260; Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 340 და 359.

²³⁸ Okoth J. 2014. 16; Robinson P. H. and Grall J.A. 1983. 752.

²³⁹ იხ. Cline v. State, 319 S.W.2d 227. 1958. მაგალითის სახით მოყვანილი აქვს ლიპმენს. იხ. Lippman M. 2010.

²⁴⁰ Lippman M. 197.

პარტიის ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისტულ შეხვედრაზე დასწრება²⁴¹. კონსპირაციის ინსტიტუტის მოწინააღმდეგეების თქმით, გარდა იმისა, რომ მისი კრიმინალიზება ადამიანის თავისუფლების სივრცეში გაუმართლებელი ჩარევაა, ის ასევე ვერ აკმაყოფილებს კანონის წინასწარ განჭვრეტადობის ტესტსაც, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ბოროტად იქნეს გამოყენებული ადამიანის მიმართ²⁴². კონსპირაციის დეფინიციის განუსაზღვრელობის არგუმენტი გაისმის ასევე ე.წ. „შეთანხმების“ ინსტიტუტის წინააღმდეგაც²⁴³, იმას, თუ რა იგულისხმება ორი ან მეტი პირის შეთანხმებაში, და პრეტენზიის საილუსტრაციოდ სხვა მრავალი მაგალითიდან იხსენებენ Dr. Benjamin Spock-ის საქმეს, სადაც ექიმ-პედიატრს ბრალად ედება ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ვიდეოკასეტაში, რომელიც მის გამოსვლას აფიქსირებდა, კარგად ჩანდა ასობით მხარდამჭერის ტაში და ოვაციაც. პროკურორის მტკიცებით, ყველა ის ადამიანი, რომლებიც ტაშით თანადგომას უცხადებდნენ ბენჯამინს, მასთან ერთად უნდა დასჯილიყო კონსპირაციისთვის²⁴⁴. კონსპირაციის მომხრეები შეთქმულების კრიმინალიზების აუცილებლობას თანამედროვე გამოწვევებით და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებით ასაბუთებენ. მაგალითად: ინგლისის სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებით, სანამ ინგლისის სამართალი არ აღიარებს მცდელობისთვის „არსებითი ნაბიჯის“ ტესტს, რომელიც უფრო ადრეულ სტადიაზე გადაიტანდა მცდელობის დასჯის საზღვრებს, იქამდე იქნება კონსპირაციის ამ ფორმით არსებობის საჭიროება²⁴⁵. კონსპირაცია, სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, აგრძელებს მოქმედებას და, როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ყველაზე ხშირად დასჯადი „ქმედებაა“²⁴⁶ და განსაკუთრებით მძლავრ იარაღს წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულებთან ბრძოლაში²⁴⁷. კონსპირაციის დასჯადობას ასევე ორმაგი დასჯის აკრძალვის

²⁴¹Yates v. United States, 354 U.S. 298. 1957. მაგალითის სახით მოყვანილი აქვს მეთიუ ლიპმენს. იხ. Lippman M. 2010. 197.

²⁴² Samaha J. 2011. 259. Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 340.

²⁴³ Robinson P. H. and Grall J.A. 1983. 752.

²⁴⁴ Samaha J. 2011. 259. Filvarofft D. B.1972. Conspiracy and the first amendment, *University of Pennsylvania Law Review* 2, vol. 121. 190. მსგავსი საქმისთვის იხ. Interstate Circuit Inc. v. United States, 306 U.S. 208. 1939. ანალიზისთვის იხ. 2002. Encyclopedia of crime and justice, Vol.1. 241-242.

²⁴⁵Clarkson CMV., Keating HM. & Cunningham SR. 2007. 517.

²⁴⁶ Singer R.G.& La Fond J. Q. 2010. 340. 1-ლი სქოლიო.

²⁴⁷ Okoth J. 2014. 25

პრინციპთან შეუსაბამობაც ახასიათებს²⁴⁸. როგორც პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ კონსპირაციის აღკვეთა, როგორც წესი, დანაშაულის დამთავრების შემდეგ ხდება, პირი ისჯება არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაულისთვის, არამედ კონსპირაციისთვისაც²⁴⁹ ე.ი. არ გამოიყენება შთანთქმის პრინციპი (როგორც ეს მცდელობას და მომზადებას ემართება დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში)²⁵⁰. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რომელიც პრაქტიკის კვლევას ემყარება, ორივე ქმედებისთვის დასჯის მექანიზმი პრინციპული მნიშვნელობისაა, რამდენადაც პროკურატურის ხელში მძლავრ იარაღს წარმოადგენს. თუკი ბრალმდებელი ვერ შეძლებს დამთავრებული დანაშაულისთვის ბრალდების ბოლომდე დასაბუთებას, კონსპირაცია მაინც დარჩება კოზირად²⁵¹. კონსპირაციის ბრალდებისთვის მთელი რიგი საპროცესო შეღავათებია გათვალისწინებული, რაც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში. მაგალითად, თუკი ზოგადი წესის თანახმად, ბრალდების დამყარება ირიბ ჩვენებაზე აკრძალულია, ის დაშვებულია კონსპირაციასთან მიმართებით²⁵². ამდენად, კონსპირაციასთან დაკავშირებით გასაზიარებელია იმ მეცნიერთა შეფასება, რომლებიც კონსპირაციას არ მიაკუთვნებენ დაუმთავრებელ დანაშაულთა რიცხვს და მას „კვაზი დამთავრებულ“ დანაშაულს უწოდებენ, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი „ცხოვრება“ აქვს და არ არის დამატებითი ხასიათისა დამთავრებულ დანაშაულთან მიმართებით²⁵³.

²⁴⁸ამერიკის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საქმეში *Pereira v. United States*, 347 U.S. 1. 1954, ერთდროულად კონსპირაციისთვის და დამთავრებული დანაშაულისთვის დასჯა არ ეწინააღმდეგება *Ne bis in idem* წესს, რადგან მათ დასჯას სხვადასხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები აქვთ. იხ. *Okoth J.* 2014. 37; მრავალი შეკვეცილი დელიქტის კრიმინალიზებისას ორმაგი მსჯავრდების საშიშროებაზე საუბრობს მ. კაჰილიც. იხ. *Cahill M. T.* 2007. *Attempt, Reckless Homicide, and the Design of Criminal Law*, *university of colorado law Review*. vol 78. 955.

²⁴⁹ *Callanan v. United States*, 364 U.S. 587. 1961. ამ საკითხზე იხ. *Singer R.G.& La Fond J. Q.* 2010. 342. მსგავსი წესი მოქმედებს ინგლისშიც. ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე - *DPP v. Stewart*, 3 W.R.L. 884. 1982. ამ საკითხზე იხ. *Ashworth A.* 2009. 450-451; *Okoth J.* 2014. 21-23.

²⁵⁰*Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham SR.* 2007. 517; *Singer R.G.& La Fond J. Q.* 2010. 340-341. ასეთივე წესი მოქმედებს ფრანგულ სისხლის სამართალშიც იხ. *Elliott C.* 2001. *French Criminal Law*. Cullompton, Willian Publishing. 102-103.

²⁵¹*Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham SR.* 2007. 517, 101-ე სქოლიო. *Ormerod D.* 2009. 534; *Samaha J.* 2011. 264.

²⁵² *Singer R.G.& La Fond J. Q.* 2010. 344-345; 2002. *Encyclopedia of crime and justice*, Vol.1. 242.

²⁵³ *Ashworth A.* 2009. 449,454.

კონსპირაციის რეპრესიული ბუნების წარმოსაჩენად აღნიშვნის ღირსია ე. წ. პინკერტონის დოქტრინაც²⁵⁴, რომლის თანახმად, თანაკონსპირატორის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული, თუ ის საკმარისად განჭვრეტადი იყო სხვა კონსპირატორისთვისაც, მასაც ისევე შეერაცხება²⁵⁵. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის MPC-ის მიხედვით პინკერტონის დოქტრინა აიკრძალა და ეს აკრძალვა ამერიკის შტატების დიდმა ნაწილმა გაიზიარა²⁵⁶, ის მაინც ინარჩუნებს პრაქტიკულ მნიშვნელობას ამერიკის შტატების ნაწილში²⁵⁷. კონსპირაციის კიდევ ერთ უპირატესობად მიიჩნევა მკაცრი კანონის რეტროაქტიული გამოყენების შესაძლებლობაც, რამდენადაც მას დენად დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ²⁵⁸. აღსანიშნავია, რომ დასჯადია უვარგისი კონსპირაციაც²⁵⁹. რაც შეეხება კონსპირაციის სუბიექტურ შემადგენლობას, კანონის ტექსტის გაბატონებული ინტერპრეტაციისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ის პირდაპირ განზრახვას გულისხმობს²⁶⁰.

კონსპირაციის თანამედროვე სისხლის სამართალთან დისჰარმონია იმითაც საბუთდება, რომ მასზე არ ვრცელდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა²⁶¹. პირები დაისჯებიან დანაშაულის ჩადენის შეთანხმებისთვის მაშინაც კი, თუკი შეთანხმებიდან ორ წუთში უარს იტყვიან დანაშაულის ჩადენაზე.

²⁵⁴ Pinkerton v. United States, 328 U.S. 640. 1946. პინკერტონის დოქტრინა არ განასხვავებდა ერთმანეთისგან დამხმარისა და ამსრულებელის პასუხისმგებლობას. ამის შესახებ იხ. OkothJ. 2014. 33.

²⁵⁵ OkothJ. 2014. 33. Singer R.G. & La Fond J. Q. 2010. 345-346; Fletcher G. 2000. *Rethinking Criminal Law*. 646.

²⁵⁶ Singer R.G. & La Fond J. Q. 2010. 347.

²⁵⁷ Okoth Juliet. 2014. 33.

²⁵⁸ Okoth Juliet. 2014. 36; დენადი დანაშაულის მიმართ ახალი კანონის გავრცელების თავისებურებაზე იხ. Julian v. USA, 427 F. 3d 471, 482 c7th Cir. 2005. იგივე მიდგომაა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. იხ. მამულაშვილი. 2004. *ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი*. 254.

²⁵⁹ უვარგისი კონსპირაცია დასჯადია, როგორც ანგლო-ამერიკული ისე კონტინენტური სისხლის სამართლის მიხედვით. იხ. Roe D. *Criminal Law*. 2005. London, Hodder Arnold. 269; Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham SR. 2007. 533; Ashworth A. 2009. 455; Okoth J. 2014. 34-35; United States v. Rodriguez, 215 F. 3d 110.116. 1st Cir. 2000. ხარანაული ლ. 2013. 95.

²⁶⁰ Ashworth A. 2009. 456; Okoth J. 2014. 18; Samaha J. 2011. 262-263. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის სისხლის სამართალში გაორებული მიდგომა კონსპირაციის სუბიექტურ მხარესთან მიმართებით, ამ საკითხზე ინგლისის სასამართლოს ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილებით, კერძოდ, Saik-ის საქმეზე, სასამართლომ თქვა, რომ კონსპირაციისთვის არ არის საკმარისი ე.წ. Recklessness. იხ. Saik, UKHL 18. 2006.

²⁶¹ Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham SR. 2007. 533; Singer R.G. & La Fond J. Q. 2010. 367; Ashworth A. 2009. 453. განსხვავებით ინგლისის და ამერიკის პრეცედენტული სამართლისგან, ამერიკის MPC დაუშვა კონსპირაციისთვის ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი - „renunciation”- თუმცა პრაქტიკული მაგალითები არ მოიძებნება.

კონსპირაცია, როგორც გენერალურად დასჯადი დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტი, ცნობილია კონტინენტალური სამართლის ქვეყნებისთვისაც, კერძოდ, გერმანიისა და ესპანეთისთვის²⁶². დასახელებულ ქვეყნებში კონსპირაცია დანაშაულში თანამონაწილეობის მცდელობას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ „დამთავრებულ“ დანაშაულს²⁶³.

გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფი წარმოადგენს Solicitation და Conspiracy –ის გამაერთიანებელ ნორმას, რომელიც დუშენის სახელწოდებით არის ცნობილი²⁶⁴ და მას ზოგადი ნაწილით აღიარებულ „მომზადების საგამონაკლისო“ შემთხვევასაც უწოდებენ²⁶⁵. ასეთსავე გამაერთიანებელ ნორმას წარმოადგენს ესპანეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლიც. განსხვავებით ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლისგან, დასახელებული ქვეყნების კანონმდებლობით კონსპირაციას ძირითად დანაშაულთან მიმართებით დამატებითი ხასიათი აქვს²⁶⁶. ორივე ქვეყნის მოდელით, კონსპირაციის მიმართ ვრცელდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინტიტუტი²⁶⁷, თუმცა, განსხვავებით ამერიკის MPC-გან, კონსპირაციას წარმოადგენს პირთა უბრალო შეთანხმებაც ყოველგვარი დამატებითი overt act-ის მოთხოვნის გარეშე²⁶⁸.

კონსპირაცია ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები სიმკაცრით ისჯება. მიუხედავად პასუხისმგებლობის შემსუბუქების მცდელობისა, მას მაინც დიდი პრობლემები აქვს სისხლის სამართლის პრინციპებთან (განსაზღვრულობის, ქმედების სამართლის და სხვა), განსხვავებით იმავე ქვეყნების მეცნიერთა თუ პრაქტიკოსთა მიერ გაკრიტიკებული დანაშაულის მომზადებისგან, რომელიც საჭიროებს ქმედებათა სერიას, ახლოს მდგომს დანაშაულის მცდელობასთან და რომელიც საფრთხის შემქმნელია არა ზოგადი, არამედ იმ კონკრეტული სიკეთისთვის, რისი ხელყოფისკენაც ის მიემართება.

²⁶² Okoth J. 2014. 77.

²⁶³ Ibid.

²⁶⁴ Okoth J. 2014. 47.

²⁶⁵ ხარანაული ლ. 2013. 89

²⁶⁶ Okoth J. 2014. 58-59, 77.

²⁶⁷ Ibid. 48, 59-60.

²⁶⁸ Ibid. 74.

➤ მომზადების დასჯადობა კანონის კერძო ნაწილით

დანაშაულის მომზადების დასჯადობის კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს მომზადების სპეციალური დელიქტები, სადაც ჩადენილი ქმედებები თავისთავად უკვე დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. მომზადების დასჯადობის საგამონაკლისო შემთხვევები კრიმინალ-პოლიტიკური ამოცანებით არის ახსნილი²⁶⁹. ამის მაგალითები არსებობს როგორც საერთო, ისე კონტინენტალური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობაში. მაგალითად, ნევადას შტატში დასჯადია დამთავრებული დანაშაულის სახით მომზადების სპეციალური დელიქტი - ცეცხლის წაკიდების მომზადება²⁷⁰. შტატების უმრავლესობაში ანალოგიური წესით დასჯადია ნარკოტიკული საშუალების წარმოების მომზადება²⁷¹. მომზადების სპეციალურ დელიქტების ინგლისის სისხლის სამართალიც იცნობს²⁷². მომზადების სპეციალური წესით დასჯადობის მაგალითია დანაშაულის პრევენციის შესახებ კანონის 1(4) მუხლი, რომლის თანახმად ისჯება დანაშაულის ჩადენის მიზნით იარაღის ტარება²⁷³; ასევე 1967 წლის სისხლის სამართლის კანონის 4 (1) მუხლი, რომლის თანახმად, დასჯადია ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც გამიზნულია სისხლისსამართლებრივი დევნის ან კიდევ დაკავების წინააღმდეგ²⁷⁴; ასევე დასჯადია რაიმეს ფლობა იმ განზრახვით, რომ დააზიანო ან გაანადგურო სხვისი საკუთრება²⁷⁵. მომზადების სპეციალური შემადგენლობებს იცნობს ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი აქტებიც, მათ შორის, 2006 კანონი, რომლის თანახმად დასჯადია დამთავრებული დანაშაულის სახით ტერორისტული მიზნით დეტერმინირებული ნებისმიერი მოსამზადებელი ქმედება²⁷⁶. ინგლისის სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მართებული აზრის თანახმად, მომზადების სპეციალური დელიქტების შექმნა მათი გენერალურად დასჯადობის საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობა²⁷⁷ და მათ, თავიანთი განუსაზღვრელობის და განზრახვის

²⁶⁹ ხარანაული ლ. 2013. 83.

²⁷⁰ Samaha J. 2011. 246.

²⁷¹ Ibid.

²⁷² Duff R.A. 2007. Answering for Crime. 160.

²⁷³ ib. Prevention of Crime Act, 1953. Section 1 (4).

²⁷⁴ Criminal Law Act, 1967, section 4 (1).

²⁷⁵ Criminal Damage Act, 1971, section 3 (a).

²⁷⁶ Terrorism Act, 2006, section 5 (1,a,b).

²⁷⁷ Duff R.A. 2007. 159-161; Ashworth A. 2009. 465.

გამოვლენის ძალზე ადრეული სტადიის გამო წინა-მოსამზადებელ ქმედებებსაც უწოდებენ²⁷⁸.

ამ მხრივ ასევე მდიდარია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სჯის მომზადების ისეთ სპეციალურ დელიქტებს, როგორცაა: სახელმწიფო გადატრიალების მომზადება (83-ე პარაგრაფი), თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომზადება (234-ე ა პარაგრაფი), აგრესიული ომის მომზადება (მე-80 პარაგრაფი), კომპიუტერული თაღლითობის მომზადება (263-ე აპარაგრაფი), აფეთქების მომზადება (310-ე პარაგრაფი) და სხვა²⁷⁹.

დანაშაულის მომზადების კერძო ნაწილით დასჯა ზედმეტად რეპრესიულია. როგორც არაერთმა კვლევამ აჩვენა, მას ახასიათებს *ne bis in idem*²⁸⁰ და *locus poenitentiae*²⁸¹ უგულებელყოფა²⁸². მასზე არც პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ნორმები ვრცელდება, რის გამოც ის კრიტიკის საგანია²⁸³. გარდა ამისა, ის იწვევს კანონის გასქელებას²⁸⁴, რაც, მ. კაპილის აზრით, მეტად ართულებს არაპროფესიონალი ადამიანისთვის ნორმის მოძიების და მასთან ქმედების შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას²⁸⁵. სპეციალური წესით დასჯა ვერც უფრო განსაზღვრულ დებულებას აყალიბებს მოსამზადებელი ქმედებების გასაგებად²⁸⁶. ასევე მისთვის დამახასიათებელია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე გენერალური მომზადებისთვის. მომზადების სპეციალური წესით დასჯა არ ანაცვლებს მომზადებას, რადგან სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიღებულია მათი დაუსრულებელ სტადიაზე დასჯაც²⁸⁷, რაც „მომზადების მომზადების“²⁸⁸ დასჯას ნიშნავს. ამდენად, დასახელებული მიდგომა დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობასთან დაკავშირებით

²⁷⁸ Duff R.A.2007. 105.

²⁷⁹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 96-97; ხარანაული ლ. 2013. 86-87.

²⁸⁰ Okoth J. R.A. 2014. 37. Cahill T. M. 2007. 955.

²⁸¹განმარტება: შესაძლებლობა უარი თქვა დანაშაულის ჩადენაზე.

²⁸²ხარანაული ლ. 2013. 97.

²⁸³ხარანაული ლ. 2013. 88; Duff R.A.2007. 161.

²⁸⁴ Duff R.A.2007. 159-161; Ashworth A. 2009. 465.

²⁸⁵Cahill M. 2009. 1248.

²⁸⁶ Duff R.A. 2007.105.

²⁸⁷ხარანაული ლ. 2013. 87; Ashworth A. 2009. 465.

²⁸⁸წერეთელი თ. 1961. 79.

მითითებულ პრობლემებს არათუ აგვარებს, არამედ იმეორებს და მეტ პრობლემას ქმნის.

დანაშაულის გენერალური მომზადების დასჯადობა მნიშვნელოვანია რიგი დანაშაულების ადრეულ ეტაპზე პრევენციისთვის, რათა დაცული იქნეს სამართლებრივი სიკეთე ზიანისაგან. ამ მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივ სიკეთეთა უფრო ადრეული სტადიიდან დაცვას. ადრეული ეტაპიდან სამართლებრივი სიკეთეების დაცვაზე არც სხვა ქვეყნები ამბობენ უარს და მის გასამართლებლად სიკეთის მაღალი ღირებულება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და სხვა მოსაზრებები მოჰყავთ. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ პრევენციის ფორმებში. ქვეყნების ნაწილს ურჩევნია ეს გააკეთოს *delictum sui generis* და მცდელობის დასჯადობის ფარგლების განვრცობის ხარჯზე, ხოლო ქვეყნების ნაწილს, მათ შორის საქართველოს - დანაშაულის მომზადების გენერალურად დასჯადობის გზით.

ზემოთ დაწვრილებით იქნა აღნიშნული და გაანალიზებული მომზადების გენერალური დასჯადობის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. რაც შეეხება დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის უპირატესობას, ის იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებელს, არსებითი მიზნიდან გამომდინარე, არ უწევს ყოველი კონკრეტული დანაშაულის გვერდითი მისი მოსამზადებელი სტადიის სპეციალური დელიქტის სახით აღწერა, რაც კანონმდებლობის გაუმართლებელ გასქელებას იწვევს, ამასთან, როგორც ზემოთ დავინახეთ, სპეციალური დელიქტების შემოღება არ არის პანაცეა იმ „პრობლემების“ გადასაჭრელად, რომელიც, მეცნიერების აზრით, გენერალურ მომზადებას მიემართება, არამედ ხშირ შემთხვევაში - პირიქით, მეტ პრობლემას ქმნის. იმ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა (ინგლისი, აშშ) აჩვენა, რომ ქვეყნები, რომლებიც დანაშაულის მომზადების და კიდე უფრო ადრეული სტადიის კრიმინალიზებას სხვადასხვა ფორმით ახდენენ (კონსპირაცია, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება, *delictum sui generis*) ბრალდებულები დგანან ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ გასამართლების უშუალო საფრთხის წინაშე.

მომზადების კანონის კერძო ნაწილით დასჯა იძლევა მისი მცდელობის (სადაც მომზადების გენერალური დასჯადობა არ მოქმედებს) სტადიაზე დასჯის

შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო რეპრესიულს ხდის სისხლის სამართალს, ვიდრე ის არის მომზადების გენერალური დასჯადობის დროს.

მომზადების შეზღუდულად განმარტების მიზეზი მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანს უნდა ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის გადაფიქრების საშუალება. ის უნდა ისჯებოდეს არა ალბათობის გამო, რომ ჩაიდენს დანაშაულს, არამედ კონკრეტულად გადადგმული ნაბიჯებისთვის, რომელიც უკვე საფრთხის შემქნელია დაცული სიკეთისთვის, რასაც წინარე მოსამზადებელი ქმედებები ვერ აკმაყოფილებენ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მომზადების გენერალური დასჯადობის გაუქმებით პრობლემები არ გვარდება, არამედ მეტი იქმნება, წმინდა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც უფრო მოსახერხებელია დანაშაულის მომზადების კოდექსის ზოგადი ნაწილით დასჯადობის დაწესება.

თავი III. დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი ქართულ და უცხოურ სისხლის სამართალში

3.1 დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ზოგადი თეორიული პრობლემები

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე სახეს წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა. დანაშაულის მცდელობა როგორც საკანონმდებლო, ისე გავრცელებული თეორიული მიდგომით შედეგის რეალიზების უფრო მეტი შესაძლებლობის და, აქედან გამომდინარე, უფრო მეტი საფრთხის შემქმნელია დაცული სიკეთისთვის. მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლად ობიექტური თეორია²⁸⁹ უნდა მოვიაზროთ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებაც, რომელიც უპირატესად სუბიექტურ ორიენტაციაში ხედავს მცდელობის დასჯადობის არსს.

ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის დეფინიცია დროთა განმავლობაში კრიტიკისა და კრიმინალ-პოლიტიკური მიზნების შესაბამისად იცვლებოდა და ფორმირდებოდა. დანაშაულის მცდელობის ამჟამად მოქმედი დეფინიცია, შეიძლება ითქვას, ძველ (საბჭოთა) პერიოდში გამოთქმული არაერთი კრიტიკის შედეგია. საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის სსკ-ის მე-17 მუხლის განსაზღვრების თანახმად, მცდელობის ცნების განსაზღვრება მოიცავდა მხოლოდ დასჯად მცდელობას და არაფერს ამბობდა არადასჯად მცდელობაზე²⁹⁰. გარდა ამისა, მცდელობის მხოლოდ აქტიური ქმედებით ჩადენას ითვალისწინებდა და

²⁸⁹ კვლევვაში ობიექტური და სუბიექტური მიდგომების ქვეშ იგულისხმება უფრო მეტად ობიექტური და უფრო მეტად სუბიექტური მიდგომები და არა კლასიკური გაგებით წმინდა თეორიები თავისი უკიდურესი გამოვლინებებით.

²⁹⁰ დასახელებულ ხარვეზზე ყურადღება აქვს გამახვილებული ო. გამყრელიძეს, დ. სულაქველიძეს, ლ. ხარანაულს და ი. დვალიძეს. იხ. გამყრელიძე ო. 2010. 160; სულაქველიძე დ. 1991. დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, *სამართალი* 3-4. 10-12; ხარანაული ლ. 2013. 100; დვალიძე ი. და სხვები. 2004. 155.

უმოქმედობაზე კანონმდებელი დუმდა²⁹¹. საქართველოს 1999 წლის დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით კი მცდელობამ მიიღო შემდეგი განსაზღვრება: „*დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი*”. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოქმედი განსაზღვრებით, მცდელობის დეფინიციამ აისახა სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული ყველა შენიშვნა. მასში იგულისხმება როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობა; როგორც დასჯად, ისე არადასჯადი მცდელობა. ასევე, აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, დასჯადია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა. მიუხედავად მცდელობის ინსტიტუტის ასეთი დახვეწისა, ის დღესაც იწვევს კრიტიკას მეცნიერებაში. კრიტიკა შეეხება მის როგორც ობიექტურ მხარეს²⁹², ისე სუბიექტურ შემადგენლობას²⁹³.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული მცდელობის ცნების საკვანძო, განმსაზღვრელ ელემენტთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება სიტყვებში - „*უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად*”. მეცნიერების ნაწილი მასში მცდელობის სუბიექტურ მხარეს ხედავს²⁹⁴, ხოლო ნაწილი - ობიექტურ შემადგენლობას²⁹⁵. გასაზიარებელია თ. წერეთლის პოზიცია, რომელიც სიტყვებში - „*უშუალოდ*” და „*მიმართული*”, ხედავდა მცდელობის ობიექტურ შემადგენლობას სუბიექტური ტენდენციით და არა მისგან მოწყვეტით²⁹⁶. მცდელობის დეფინიციის დასაწყისში ნახსენები სუბიექტური ელემენტი - განზრახვა - მცდელობის დამაფუძნებელ ობიექტურ მხარეშიც ჰპოვებს თავის გამოხატულებას, რის გამოც გასაზიარებელია თ. ცქიტიშვილის მოსაზრება, რომ ამით ის **კონკრეტიზირდება**²⁹⁷. თ. წერეთელი ასეთივე მოხერხებით იყენებს სიტყვებს - „*უშუალოდ*” და „*მიმართული*” - სუბიექტური მხარის დასასაბუთებლად, როდესაც

²⁹¹დასახელებულ ხარვეზზე ყურადღება აქვს გამახვილებული დ. სულაქველიძეს, იხ. სულაქველიძე დ. 1991. 11.

²⁹²ხარანაული ლ. 2013. 100-101. შეად. ტურავა მ. 2011. 203.

²⁹³სულაქველიძე დ. 1991. 11-12.

²⁹⁴ცქიტიშვილი თ. 2014. 201; გამყრელიძე ო. 2010. 162; ტურავა მ. 2011. 305; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 80.

²⁹⁵ხარანაული ლ. 2013. 156; სულაქველიძე დ. 1991. 11.

²⁹⁶წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 431. იგივე აზრს ავითარებს ბ. ჯიშკარიანიც, იხ. ჯიშკარიანი ბ. 2015. 103.

²⁹⁷ცქიტიშვილი თ. 2014. 201.

ცდილობს ამ სიტყვებში იგულისხმოს კანონმდებლის ნება მცდელობის სუბიექტურ მხარედ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის მიჩნევის თაობაზე²⁹⁸. თუკი სიტყვებს- „უშუალოდ” და „მიმართულს” - მცდელობის ობიექტურ ელემენტად არ შევაფასებთ, მაშინ მართლაც დაისმება კითხვა: რომელ საკანონმდებლო განსაზღვრებაში უნდა ვეძებოთ ზღვარი დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის? პირი **განზრახ ქმედებას** მომზადების დროსაც სჩადის, ამიტომ მხოლოდ ეს ტერმინი ვერ გამოდგება ზღვარის გასავლებად.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მცდელობასთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს შემდეგ ფუნდამენტურ საკითხზეც: მცდელობის დასჯადობის საფუძვლად რა უნდა იქნეს მიჩნეული: **უფრო მეტად ობიექტური**²⁹⁹, თუ **უფრო მეტად სუბიექტური** ელემენტი.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი მცდელობის არსს შესაძლებლობის და საფრთხის კატეგორიებით განსაზღვრავს³⁰⁰. მათთვის ქმედების მცდელობად შეფასებისთვის განმსაზღვრელია ის, თუ ქმედება თავისი გამოხატულებით რამდენად ქმნის **კონკრეტულ შესაძლებლობას** შედეგის რეალიზებისთვის და, შესაბამისად, რამდენად ქმნიან **კონკრეტულ და უშუალო საფრთხეს** დაცული სიკეთისთვის. ჩადენილი ქმედების დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციისას მათთვის ამოსავალია ქმედების შემადგენლობის ობიექტური დაწყება ან დაწყებასთან ძალზე ახლოს მდგომი ქმედებები და არა სუბიექტის წარმოდგენა ქმედების შემადგენლობის დაწყებაზე. ხოლო კონკრეტული შესაძლებლობისა და უშუალო საფრთხის დასადგენად ისინი მხედველობაში იღებენ **დროისა და სივრცის კრიტერიუმს**³⁰¹; **დაზარალებულის საფრთხეში ჩაყენებას**³⁰²; ქმედების სუბიექტის გაწაფულობას; მსხვერპლის

²⁹⁸წერეთელი თ. 1976. *დანაშაულის მომზადება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი*. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 119.

²⁹⁹დასახელებულ ფორმულირებას იყენებს ა. დაფი, იმის ნათელსაყოფად, რომ ობიექტური თეორია არ გამოირიცხავს ქმედების შემადგენლობაში სუბიექტურ ნიშნებს. იხ. Duff R.A. 1996. 145.

³⁰⁰წერეთელი თ. 1942; ფურცხვანიძე ბ. 1971, 174; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011, 37; გამყრელიძე თ. 2010, 161; თოდუა ნ. 2014. სტატია; დვალიძე ი. 2007. 156; ცქიტიშვილი თ. დისერტაცია. 192-193. ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში, უფრო მეტად ობიექტური თეორიის მიმდევრებს წარმოადგენენ: ენტონი დაფი, ჯორჯ ფლეტჩერი, ჯერომი ჰოლი, გიდეონ იეპი და სხვა, ხოლო უფრო მეტად სუბიექტური თეორიის მიმდევრები არიან: ლარი ალექსანდერი, ენდრიუ ეშვორსი და სხვა.

³⁰¹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 42.

³⁰²მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2010. 89.

მოწყვლადობას და სხვა ინდივიდუალურ გარემოებებს³⁰³, რომლებიც, სწორედ მათი თავისებურებიდან გამომდინარე, უფრო მეტად ან ნაკლებად ქმნიან შედეგის რეალიზების უშუალო საფრთხეს და კვალიფიკაციაც შესაბამისად ხდება: მომზადებად ან მცდელობად.

მეცნიერების მეორე ჯგუფი საფრთხეს და შესაძლებლობას მცდელობის არსის მხოლოდ ერთ-ერთ საზომად განიხილავენ, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში აუცილებელ და ერთადერთ საზომს³⁰⁴. მათთვის ქმედების მცდელობად შეფასებისთვის განმსაზღვრელია ქმედების სუბიექტის წარმოდგენა დანაშაულის დაწყებაზე და არა ობიექტურად გაგებული ნამდვილი დაწყება³⁰⁵.

იურისტების ერთი ნაწილი აქტიურად უჭერდა (დღესაც უჭერს) მხარს³⁰⁶ იმ აზრს, რომ ქმედების მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად გადადგმულმა ნაბიჯმა მოიცვას ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც. საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამ აზრის მთავარ მხარდამჭერად ნ. ლიასი ითვლებოდა³⁰⁷. ამ აზრს უპირისპირდებოდა თ. წერეთელი, რომლის განმარტებითაც, მცდელობად შესაძლებელი იყო შეფასებულიყო ქმედების ობიექტური შემადგენლობის მიღმა არსებული ქმედებაც, რადგან, ავტორის აზრით, ქმედების მცდელობად კვალიფიკაციისთვის ამოსავალი არის შედეგის რეალიზების შესაძლებლობის პოტენციალი და საფრთხის ხარისხი³⁰⁸. ავტორს აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოჰყავს მკვლელობის მიზნით თოფის დამიზნების მაგალითი. გასაზიარებელია თ. წერეთლის ის მოსაზრება, რომ შესაძლებელია ქმედების შემადგენლობის მიღმა არსებული ქმედება, საფრთხის და ინტენსივობის გათვალისწინებით, მცდელობად შეფასდეს. ამ აზრს თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იზიარებს ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი³⁰⁹. მას ქმედების მცდელობად შეფასების განმსაზღვრელად შემოაქვს **დროისა და სივრცის**

³⁰³ წერეთელი თ. 1976. 117.

³⁰⁴ ხარანაულილ. 2013. 191.

³⁰⁵ ტურავა მ. 2013. 303; ხარანაულილ. 2013. 199-200; ჯიშვარიანი ბ. 2015. 103.

³⁰⁶ თოდუა ნ. 2014. 3; ასევე დვალაძე ი. 2013. 106.

³⁰⁷ წერეთელი თ. 2007. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. 430; იხ. ЛяссН. В.1952. *Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву*, Автореф. дисс. 12

³⁰⁸ Ibid. 439-440; წერეთელი თ. 1976. 117.

³⁰⁹ ქმედების შემადგენლობის ელემენტის აღსრულება საჭიროდ არ მიაჩნია ხარანაულსაც. იხ. 2013. 230.

კრიტერიუმები, როგორც ქმედების განხორციელების საფრთხის საზომი, და სწორედ ქმედების შემაღენლობის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ქმედებებში ხედავს მცდელობას³¹⁰. იმის საილუსტრაციოდ, რომ მცდელობა ყოველთვის არ მოიცავს იმ კონკრეტული ქმედების ობიექტური შემაღენლობის ელემენტს, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი მკვლელობის მიზნით იარაღის მსხვერპლისთვის დამიზნებას იშველიებს³¹¹. აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად შესაძლებელია ყაჩაღობის მცდელობის მაგალითის მოყვანაც³¹², კერძოდ: ქმედება, რომელიც მსხვერპლისთვის იარაღის თავში დარტყმამდე შეწყდა (რომელსაც დაზარალებული ჯერ ვერ აღიქვამს), საფრთხისა და შესაძლებლობის, კიდევ უფრო კონკრეტულად, დროისა და სივრცის კრიტერიუმს აკმაყოფილებს მცდელობად შეფასებისთვის, თუმცა ის არ წარმოადგენს ყაჩაღობის ობიექტური შემაღენლობის ელემენტს, რადგან ამ ელემენტის განხორციელებისთანავე, კერძოდ, თავდასხმისთანავე, ყაჩაღობა დასრულდებოდა. აღნიშნული ქმედების მომზადებად შეფასება მართო იმიტომ, რომ ის არ მოიცავს ქმედების ობიექტური შემაღენლობის ელემენტს, გაუმართლებლად დაავიწროებდა მცდელობის ფარგლებს³¹³, ამის საჭიროება იმ ქვეყანაშიც კი არ არსებობს, რომლებიც დანაშაულის მომზადებას გენერალურად სჯიან (მათ შორის, არც საქართველოში). ქმედების მცდელობად შეფასება ასეთივე კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩეხეთისა³¹⁴ და იტალიის³¹⁵ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. განსხვავებული მიდგომა აქვს უნგრეთს, სადაც დასჯადობის საფუძვლად ე.წ. ფორმალურ-ობიექტურ თეორიას იყენებენ³¹⁶, რომლის თანახმადაც, მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელია ქმედების ობიექტური

³¹⁰მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 41-42.

³¹¹ Ibid. 41.

³¹²მეცნიერების ერთი ნაწილი ეთანხმება მცდელობის ეტაპზე ყაჩაღობის დასჯადობის შესაძლებლობას. იხ. ხარანაული. 2013. 233; დვალიძე ი. და სხვები. 2007. 172. ხოლო მეორე ნაწილი არ ეთანხმება, იხ. ლევკვიშვილი მ. 2011. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I. 365; ტურავა მ. 2013. 309; ასევე ცქიტიშვილი თ. 2014. 259. მსგავს საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალშიც არსებობს, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მცდელობის აღიარებამდე მივიდა. იხ. Encyclopedia of crime and justice, v.1. 89; Fletcher G. 2000. 132.

³¹³ყაჩაღობის მცდელობის დასჯადობას აღიარებდა საქართველოს წინანდელი სასამართლო პრაქტიკაც. იხ. სუზ N 53-აპგანჩინება. თბილისი, 5 თებერვალი, 2004. სასამართლოს შედარებით ახალი მიდგომით ის აღიარებული არაა. საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2007. სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბილისი. 87.

³¹⁴Tkáčová R. 2014. 11; Kohout V. 2013. 20.

³¹⁵Di Amato, A. 106; იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო. No. 177/1980, Gc 1980, 1, 1548.

³¹⁶Karsai K. and Szomora Z. 92.

შემადგენლობის ერთი ელემენტის არსებობა მაინც³¹⁷. სწორედ ამ მიდგომის გამო მკვლელობის მცდელობად არ ფასდება მსხვერპლისთვის იარაღის დამიზნების ეტაპი³¹⁸, რამდენადაც „დამიზნება“ არ წარმოადგენს მკვლელობის actus reus-ს³¹⁹. უნგრეთის სისხლის სამართლის მიხედვით, დამიზნება დაისჯება, როგორც მკვლელობის მომზადება³²⁰.

თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მცდელობის არსებობის აღიარებისთვის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილის განხორციელების იდეას დღესაც ჰყავს მხარდამჭერები, თუმცა, განსხვავებით ობიექტივისტი ავტორების - ლიასის და წერეთლის გაგებისგან, მასში გულისხმობენ არა ქმედების ობიექტური ელემენტის რეალურად აღსრულებას, არამედ პირის წარმოდგენით მის შესრულებას³²¹. მ. ტურავას აზრით, მცდელობა, განსხვავებით მომზადებისგან, ქმედების ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ დაწყებაში გამოიხატება³²², რის დროსაც შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის ფაქტორის გათვალისწინებით, შედეგის რეალიზების კონკრეტული საფრთხე იქმნება³²³. მიუხედავად იმისა, რომ მ. ტურავა მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლელად და მცდელობის ბუნების ასახსნელად ობიექტურ კრიტერიუმებს იყენებს, ის მათ განმარტავს არა ობიექტურად, არამედ სუბიექტურად, ქმედების სუბიექტის წარმოდგენის შესაბამისად³²⁴. ამის ნათელი მაგალითია მისი მოსამართლეობით მცდელობად შეფასებული სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან გაქცევის შემთხვევა³²⁵, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პირის ქმედება დროსა და სივრცეში ძალიან იყო დაშორებული საპატიმროდან გაქცევისგან (დანაშაულის დასრულებისგან), **ობიექტური დამკვირვებლის** თვალთახედვის მოშველიებით, მიუხედავად

³¹⁷Karsai K. and Szomora Z. 92.

³¹⁸ Ibid.

³¹⁹ ობიექტური მხარე.

³²⁰ ფორმალურ-ობიექტურ თეორიაზე ამყარებენ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის იდეას იაპონიის და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის დოგმატიკაც. იხ. Haley J. O. 2011. *The handbook of comparative criminal law*. California. Stanford law books. 401; Thaman S. C. 2011. *The handbook of comparative criminal law*. California. Stanford law books. 421.

³²¹ ტურავა მ. 2013. 303.

³²² Ibid. 308-9.

³²³ Ibid. 305.

³²⁴ Ibid. 304.

³²⁵ სუფN168-აპგანჩინება. თბილისი, 25 ნოემბერი 2002.

ობიექტურად დროსა და სივრცეში დიდი დისტანციისა, ის მაინც ახლოდ შეფასდა³²⁶, რამაც ქმედების მცდელობად კვალიფიკაცია განაპირობა³²⁷. მ. ტურავას მსგავსად³²⁸, ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში ე. წ. სუბიექტურ-ობიექტური თეორიის³²⁹ მიმდევარია ლ. ხარანაულიც³³⁰. ხარანაული აკრიტიკებს მცდელობის აუცილებელ ნიშნად საფრთხისა და შესაძლებლობის აღიარებას, მისი თქმით, ის ყოველთვის ვერ პასუხობს მცდელობის ნამდვილ ბუნებას და იშველიებს შემდეგ არგუმენტებს: 1. მცდელობის დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შედეგის რეალიზებას, შესაბამისად, შესაძლებლობაზე საუბარი იქ, სადაც საფრთხე რეალიზებულია, შეუძლებელია³³¹; 2. საფრთხის კატეგორიით საფრთხის შემქმნელი დელიქტებისა და დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის სირთულე³³²; 3. შედარებით უვარგისი მცდელობის დასაბუთების შეუძლებლობა³³³.

პირველი არგუმენტი არ არის გასაზიარებელი, რადგან ჩამოთვლილი შემთხვევები ან საპროცესო, ან კიდევ მიზეზობრივი კავშირის პრობლემაა და ის, რომ ფაქტობრივად რეალიზებული შედეგი იურიდიულად არ ფასდება, კანონმდებლის მიერ დაშვებული მრავალი საკანონმდებლო ფიქციიდან ერთ-ერთია. მოცემულ შემთხვევაშიც ფაქტობრივი სინამდვილე და მისი სამართლებრივი შეფასება განსხვავდება, კანონმდებელს ხშირად უწევს მსგავს კომპრომისებზე წასვლა სწორედ იმის გამო, რომ არ დაირღვეს ბალანსი განსაზღვრულ წესებს შორის³³⁴. არც მეორე არგუმენტია გასაზიარებელი, რადგან საფრთხის კრიტერიუმს მსგავსი პრობლემა არ წარმოუშვია დანაშაულის დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას შორის ზღვარის გავლებისას და რატომ არის ის პრობლემური მოცემულ შემთხვევაში? მითუმეტეს, ის შეკვეცილი დელიქტები, რომელთა მცდელობაც შესაძლებელია, როგორც წესი, დამთავრებული მცდელობის სახით არის კრიმინალიზებული. რაც

³²⁶დასახელებულ მაგალითს მცდელობად აფასებს ასევე ხარანაულიც. იხ. ლ. ხარანაული, დისერტაცია, 206-7.

³²⁷ტურავა მ. 2013. 304-5.

³²⁸ Ibid. 313-316.

³²⁹სუბიექტურ-ობიექტური თეორიის ანალიზი შესახებ დაწვრილებით იხ. ხარანაული ლ. 2013. 137-139.

³³⁰ Ibid. 205-206; ასევე ჯიშკარიანი ბ. 2015. 103.

³³¹ხარანაული ლ. 2013. 190-191.

³³² Ibid. 206-7.

³³³ Ibid. 205.

³³⁴ციპელიუსი რ. 2006. იურიდიული მეთოდების მოძღვრება, სამართლის ნორმების აგებულება და ურთიერთკავშირი. 43-44; ასევე იხ. ხუბუა გ. 2004. სამართლის თეორია. თბილისი, მერიდიანი. 197.

შეეხება უვარგის მცდელობას, მის დასჯადობასთან დაკავშირებით მრავალი აზრია გამოთქმული. გასაზიარებელია იმ ქვეყნებისა³³⁵ და მეცნიერების მიდგომები, რომლებიც ან საერთოდ უარყოფენ მის დასჯადობას, ან დასჯადობის დამოუკიდებელ საფუძველში ხედავენ მას³³⁶. საქართველოში არსებულ ნორმატიულ რეალობაში კი ის საკანონმდებლო ფიქციას წარმოადგენს. ყველაფერი ისე რომ ყოფილიყო, როგორც ამსრულებელს წარმოედგინა, ქმედება მომზადებად ან მცდელობად შეფასდებოდა და ასეც ფასდება (როდესაც შედეგი რაიმე მიზეზით არ დგება).

როგორც აღინიშნა, ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში დანაშაულის მცდელობის საფრთხისა და შესაძლებლობის კატეგორიებით ახსნის გაბატონებულ მოსაზრებას³³⁷ უპირისპირდება ლ. ხარანაული. მას გერმანელი მეცნიერის, კ. როქსინის კონცეფციაზე დაყრდნობით შემოაქვს წინადადება, რომ მცდელობის დასადგენად აღსრულებასთან სიახლოვის მასშტაბი დადგინდეს არა ქმედებასა და სიკეთის დაზიანებას შორის მანძილით, არამედ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან სიახლოვით³³⁸. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობაზე მცდელობის შეფასების დამოკიდებულების თაობაზე აზრი დიდი ხანია არსებობს³³⁹. მაგალითად, თუკი კანონმდებელს აზრად მოუვა მკვლელობის შემადგენლობის იმგვარად შეცვლა, რომ იარაღის შეძენას დასრულებულ მკვლელობად გამოაცხადებს, ასეთ შემთხვევაში შორეული მოსამზადებელი ქმედებაც კი დასრულებულ ქმედებას მოგვცემს. მაგრამ, თუკი ისე მოხდება, რომ ქმედების შემადგენლობა უკიდურესად შეიკვეცება, სადაც

³³⁵მაგალითად, იაპონია და იტალია. Haley J. O. 2011. 401. Amato A. 2011. *Criminal Law in Italy*. Kluwer Law International. 108.

³³⁶Tapani J. 2009. *The Quagmire of Impossible Attempts – How to Distinguish between Punishable and Non-punishable Cases of Criminal Attempt?* Scandinavian Studies in Law (Sweden), Volume 54.131. Elkind J.B. 1968. Impossibility in Criminal Attempts: A Theorist's Headache, *Virginia Law Review* Vol. 54, N.1. Westen P. 2008. Impossibility Attempts: A speculative Thesis, *Ohio St.L.J. vol.5. 523.* 545-546. Robbins P. 1986. Attempting the impossible, *The emerging Consensus. 23 Harvard J. on Legis.* 441. Crocker L. 1992. Justice in criminal liability: decriminalizing harmless attempts, *53 Ohio St.L.J.* 1100. Alexander L. 1993. Inculpatory and Exculpatory Mistakes and the Fact/Law Distinction: An Essay in Memory of Myke Balyes, *12 Law and Philosophy* . 65-67. Funston B. 1965. *Attempted Crimes under the Doctrine of Impossibility and the Role of the Judge in Shaping Future Legislation, Tulsa Law Review*, v.2. 163; Simons K. W. 1990. Mistake and Impossibility, Law and Fact, and Culpability: A Speculative Essay, *Journal of Criminal Law and Criminology*, vol. 2, 81.

³³⁷წერეთელი თ. 1942; დვალიძე ი. 2004. 157.

³³⁸ხარანაული ლ. 2013. 213.

³³⁹ამ აზრს ავითარებს წერეთელი თ. 2007. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. 436, ასევე იხ. 2007. სისხლისსამართლებრივი პრობლემები: დანაშაულში თანამონაწილეობა, ტ. 2. თბილისი, მერიდიანი. 197; ასევე იხ. გამყრელიძე თ. 2010. 164; დვალიძე ი. და სხვები. 2007. 157.

კანონმდებელი არა თუ მომზადებას, არამედ განზრახვის გამომჟღავნებას დასრულებულ დანაშაულად გამოაცხადებს, ასეთ შემთხვევაში სიკეთის დაცვის საზომიც შესაბამისად გადაინაცვლებს და ლოგიკურად მისი დაუმთავრებელ სტადიაზე დაცვის საჭიროება აღარ იარსებებს. ხოლო ისეთ შეკვეცილ დელიქტებში, სადაც ქმედება პირველივე აქტით სრულად არ ხორციელდება, მცდელობის საზომად დაცული სიკეთისთვის საფრთხის შექმნის გამოყენება სავსებით ნორმალურია და პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან, რომელიც მცდელობას დამთავრებულ დანაშაულის დასრულებასთან მიმართებით აყალიბებს, რაზეც პირდაპირ მიუთითებს სიტყვები „... დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი”³⁴⁰. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ხარანაულისეულ ძალზე ხისტ მიდგომას გამოვიყენებთ, ისე გამოვა, რომ მსგავს შეკვეცილ დელიქტებშიც კი შესაძლებელი გახდება დაუმთავრებელ სტადიაზე დასჯადობა. ასე მაგალითად: ქრთამის შეთავაზების ე. ი განზრახვის გამომჟღავნების მომზადება; აგრესიული ომის მომზადების მცდელობა და სხვა, რაც დაუშვებელია, რადგან შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს³⁴¹. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ქმედების აგებულებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაუმთავრებელი დანაშაულის შეფასებისთვის, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების სიახლოვეს სიკეთის ხელყოფასთან იმ ოდენობით, რაც ჯერ კიდევ არ იძლევა მისი დასრულების შესაძლებლობას. ქმედების შემადგენლობის მომზადების ან მცდელობის ეტაპზე შეფასებაც იმისდა მიხედვით მოხდება, თუ როგორ აღწერა კანონმდებელმა შემადგენლობა, თუკი მაქსიმალურად შეკვეცილი სახით, ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად უნდა გამოირიცხოს იმ ქმედების შემადგენლობის დაუმთავრებელი სტადია, რადგან, მართალია, ქმედების შემადგენლობა ნორმატიული ბუნების არის, მაგრამ ის მთლიანად არ არის მოწყვეტილი მის ნატურალისტურ გაგებას, რადგან, ძირითად შემთხვევაში, სწორედ ეს უკანასკნელი არის საკანონმდებლო კონსტრუქციის განმსაზღვრელი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც კრიმინალ-პოლიტიკური მიზნებით არის განპირობებული. მაგალითად, თუკი კანონმდებელი მკვლელობის შემადგენლობის დასრულებას ადამიანის მოკვლის მიზნით იარაღის შეძენას დაუკავშირებს, ასეთ შემთხვევაში დაუმთავრებელმა

³⁴⁰სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი.

³⁴¹ამ დანაშაულთა შემადგენლობებთან დაკავშირებით მსგავს მოსაზრებას ავითარებენ: ტურავა მ. 2008. 273; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 60; დვალიძე ი. 2004. 167.

სტადიამ სად უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება? მსგავს შეკვეცილ დელიქტებთან მიმართებით დაუმთავრებელი სტადია კარგავს თავის მიზანს. მცდელობის ხარანაულისეული დეფინიციას, რომლის თანახმად, დანაშაულის მცდელობა - ეს არის, „ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება“, რომელიც „სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში“³⁴² გამოიხატება, არაფრით იმაზე მეტი სიცხადე არ შემოაქვს მცდელობის არსის გასარკვევად და მისი მომზადებისგან გამიჯვნისთვის, ვიდრე არსებულ რედაქციას და კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება შემოაქვს, რადგან „ობიექტურად გაცხადებული და დასაძრახი განზრახი ქმედება“ არის დანაშაულის მოსამზადებელი ქმედებაც.

ცალკე გამოყოფას იმსახურებს ე.წ. დისტანციური დელიქტები, რომელთა თავისებურებიდან გამომდინარე, კერძოდ, დროში გაწელვისა და მათი დასრულების მესამე პირთა (ან ტექნიკური საშუალების) ამოქმედებაზე დამოკიდებულების³⁴³ გამო ის მეცნიერებიც კი, რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციისას უპირატესად ობიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ, ერთგვარად გადადიან პრინციპული საზომიდან და უფრო მეტად სუბიექტურ ტენდენციებს ამყარებენ კვალიფიკაციას გამონაკლისის სახით. მაგალითად, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი მცდელობად აკვალიფიცირებს პირის მხრიდან მოწამლული ბორჯომით სავსე ბოთლის მაცივარში შედგმას, თუნდაც ის არავინ გააღოს. შეფასების კრიტერიუმად იყენებს სუბიექტის მხრიდან ქმედების შესრულების ამოწურვას³⁴⁴. მსგავს მაგალითს მ. ტურავა, პირის წარმოდგენის გათვალისწინებით, დიფერენცირებულად აფასებს, კერძოდ, თუკი მოწამლული ღვინის დალევა იმავე დღეს არის მოსალოდნელი, მას მცდელობად აფასებს, ხოლო თუკი რამდენიმე კვირის შემდეგ - მომზადებად³⁴⁵. მართებული მოსაზრების თანახმად, მცდელობა იქნება მაშინ, როდესაც მსხვერპლი მაცივარს გამოაღებს და ბოთლს დასწვდება, ამ მომენტიდან დაიწყება დაუმთავრებელი მცდელობა, ხოლო დალევის მომენტიდან სახეზე იქნება დამთავრებელი მცდელობა. იგივე წესი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც პირი ბოთლს დაამონტაჟებს მსხვერპლის მანქანაში, რომლის ამოქმედებისთვის მანქანის

³⁴²ხარანაული ლ. 2013. 206.

³⁴³მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 42.

³⁴⁴Ibid. 2011. 42-43.

³⁴⁵ტურავა მ. 2013. 302.

დაქოქვაა საჭირო. ასეთ შემთხვევაშიც მცდელობა იქნება არა დამონტაჟების მომენტიდან, არამედ მსხვერპლის მანქანაში ჩაჯდომის ეტაპიდან, ხოლო დამთავრებული მცდელობა - ძრავის ამოქმედების მომენტიდან. ასეთ კვალიფიკაციას ქმედების მოსალოდნელ შედეგთან **დროსა და სივრცეში** ობიექტურად გაგებული **სიახლოვის** კრიტერიუმი განაპირობებს. როდესაც ქმედების სუბიექტი დანაშაულის ჩასადენად ისეთ ხერხს მიმართავს, რომლის ამოქმედებაც სხვაზეა დამოკიდებული, ვერც ობიექტური და ვერც სუბიექტური გაგებით პირის ქმედება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს - „ყველაფერი გააკეთა შედეგის გამოსაწვევად“. ასეთი მიდგომით მეცნიერები ძალიან შორს მიდიან და ისე გამოდის, რომ დისტანციურ დელიქტებს დაუმთავრებელი მცდელობაც არ აქვს. კვალიფიკაციის დამოკიდებულება დაზარალებულის ამოქმედებაზე მტკიცების სირთულის გამო გაუმართლებლად მიაჩნია ლ. ხარანაულს³⁴⁶. მტკიცების სირთულე თუკი არსებობს, არსებობს ის მხოლოდ სუბიექტის „წარმოდგენასთან“ მიმართებით, რადგან მართლაც გაჭირდება იმის დადგენა, ბოთლის მაცივარში შედგმის დროს პირი რაზე ფიქრობდა. ქმედების სუბიექტის მოლოდინებზე კვალიფიკაციის დაყვანაზე სწორი კრიტიკა აქვს გამოთქმული დ. სულაქველიძეს, რომლის მართებული შენიშვნით, **პირი სულაც შესაძლოა ბრმად შეუდგეს** ქმედების განხორციელებას და საერთოდ არ ფიქრობდეს, რომელი ქმედების შემდეგ გადალახავს მომზადებასა და მცდელობას შორის არსებულ ზღვარს, ამიტომ მას პრაქტიკულადაც მიუღებლად მიაჩნია ქმედების ზუსტი კვალიფიკაციის ქმედების სუბიექტის მოლოდინებზე და საფრთხის შეფასებებზე დაყვანა³⁴⁷. რაც შეეხება დაზარალებულის მხრიდან ბოთლის ხელში აღების მომენტის დადგენას, ეს ძალზე ადვილადაა შესაძლებელი, კერძოდ, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზით. რაიმე პრინციპული წინააღმდეგობა დაზარალებულის ქმედებაზე მცდელობის კვალიფიკაციის გადატანის თვალსაზრისით არ არსებობს. პირიქით, ის ლოგიკური თანმიმდევრობით მისდევს დროში სიახლოვის და, შესაბამისად, საფრთხის შექმნის მიდგომას, ამასთან გამოირჩევა მტკიცების სიმარტივეთაც, რაც ზოგადად ობიექტურ სამყაროში გამოხატული ქცევისთვის არის დამახასიათებელი.

³⁴⁶ ხარანაული ლ. 2013. 228. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ხარანაული, ზოგადად არ ეწინააღმდეგება სხვა პირის ამოქმედებაზე დამოკიდებულ კვალიფიკაციას, კერძოდ, ის საპატიმროს თანამშრომლის უმოქმედობის მცდელობად კვალიფიკაციას უკავშირებს პატიმრების ამოქმედებას. იხ. Ibid. 233.

³⁴⁷ სულაქველიძე დ. 1991. 14.

ობიექტური კრიტერიუმების გამოყენების ტენდენციას მისდევს ქართული სისხლის სამართალიც, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ის ობიექტური საზომების ინტერპრეტაციას მიმართავს მასში მეტი სუბიექტივიზმის შემოტანის გზით. გასაზიარებელია იმ ქართველ მეცნიერთა მიდგომები, რომლებსაც მცდელობის განსასაზღვრად და მომზადებისგან გასამიჯნად სიახლოვის და სიკეთის საფრთხეში მოქცევის კრიტერიუმები შემოაქვთ, თუმცა დავინახეთ, რომ, იმისდა მიხედვით, მეცნიერი უპირატესად ობიექტური თეორიის მიმდევარია თუ სუბიექტურისია, დასახელებულ კრიტერიუმებსაც შესაბამისად განმარტავს. მისაღებია ობიექტური კრიტერიუმების ობიექტური საზომით შეფასება და არა სუბიექტის წარმოდგენის გადმოსახედით. რაც შეეხება, დანაშაულის მცდელობის დეფინიციის მოდიფიცირებას, არსებული დეფინიციის პირობებშიც შესაძლებელია სწორი ინტერპრეტაცია, მთავარია, დასჯადობის საფუძვლად ობიექტური თეორიის არჩევა, რაც იქნება ნებისმიერი განსაზღვრების შეზღუდვის გარანტორი. თუმცა, რამდენადაც არსებული დეფინიცია ბევრ გაუგებრობას იწვევს და ცხადად ვერ უზრუნველყოფს ზღვარის გავლენას მომზადებასა და მცდელობას შორის, რადგან მოსამზადებელი ქმედებებიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩასადენად, უმჯობესია, თუკი მას ჩავანაცვლებთ შემდეგი დეფინიციით:

„დანაშაულის მცდელობა - ეს არის განზრახვი ქმედება, რომელიც წარმოადგენს არსებით ნაბიჯს დანაშაულის განსახორციელებლად, რითაც დანაშაულის დასრულების კონკრეტული საფრთხე შეიქმნა“.

დანაშაულის მცდელობის აღნიშნული დეფინიცია, ამერიკისა და ფინეთის³⁴⁸ კანონმდებლობით, განსაზღვრული ცნებების სინთეზია, მაგრამ მხოლოდ ფორმით და არა არსით, რადგან, როგორც სისხლის სამართლის დოგმატიკამ აჩვენა, დანაშაულის მცდელობის განმარტება ქართული მოდელის მიხედვით უფრო მეტად ობიექტური მასშტაბებით ხდება. წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებული დეფინიციაც, რა თქმა უნდა, შეფასებითი ხასიათისაა, რაც ზოგადად სამართლის ნორმისთვის არის დამახასიათებელი და საჭიროებს განმარტებას, მაგრამ მოქმედ დეფინიციაზე უკეთესია, რადგან ნორმატიულ დონეზე იძლევა სწორ მიმართულებას

³⁴⁸„საფრთხის შექმნა“ წარმოადგენს მცდელობის აუცილებელ საკანონმდებლო ნიშანს. ფინეთის მოქმედი სსკ (1889 წლის სსკ-ის მე-5 თავის პირველი სექცია. 2015 წლის რედაქცია).

გამიჯვნისთვის. მცდელობა თუკი არსებითი ნაბიჯია დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი საფრთხით და დასრულების შესაძლებლობით, ეს არ ახასიათებს მომზადებას. სწორედ ფაქტობრივი გარემოებებით, ქმედების შემადგენლობის თავისებურებით და სხვა მახასიათებლებით უნდა იხელმძღვანელოს ნორმის შემფარებელმა და შეძლებს ობიექტური კრიტერიუმებით ზღვარის გავლენას.

ერთი მხრივ, მომზადებისა და მცდელობის გასამიჯნად და, მეორე მხრივ, მცდელობის ბუნების წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია რამდენიმე შესაბამისი მაგალითის ანალიზი.

კაზუსი 1 - „მკვლელობა სამოთხეში“³⁴⁹

ლულუს და ჟოჟოს ცუდი ცოლქმრული ურთიერთობა ჰქონდათ. ლულუმ ქმრის მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით მან დიდი ოდენობის ვირთხის საწამლავი შეიძინა. მოამზადა ჟოჟოს საყვარელი სადილი. გააწყო სუფრა. ჩამოასხა ღვინო. ჟოჟოსთვის გათვალისწინებულ სასმისში კი საწამლავი გაურია, რომელიც დალევის შემთხვევაში მის სიკვდილს უმოკლეს დროში გამოიწვევდა. შემდეგ მოუხმო ჟოჟოს მაგიდასთან. ლულუმ ჭიქა რამდენჯერმე ასწია და ჟოჟო დალევისკენ წააქეზა. ჟოჟომ ხელში აიღო სასმისი, მაგრამ მათ შორის შეკამათება მოხდა და საბოლოოდ ჟოჟოს მოწამლული ღვინო არ დაუღევია.

დასახელებულ კაზუსში ქმედების სუბიექტმა არაერთი პირობა შექმნა მკვლელობის ჩასადენად, მაგრამ საკითხავია, თუ რა ეტაპიდან გადაიზარდა მოსამზადებელი სტადია მკვლელობის მცდელობაში? საწამლავის შეძენის? სადილის მომზადების? სუფრის გაწყობის? დაზარალებულის მიპატიჟების თუ უფრო გვიანი ეტაპიდან?

ლულუ საწამლავის შეძენის დროს ჯერ კიდევ განზრახვის გამომჟღავნების ეტაპზეა, რომელიც არ იმსახურებს სისხლისსამართლებრივ რეაგირებას შედეგისგან მისი უკიდურესად დაშორებული მანძილის გამო. ლულუ მკვლელობის მომზადების ეტაპზე შედგა საწამლავის ღვინოში გარევისა და ჟოჟოს სუფრასთან მოხმობის დროს.

³⁴⁹კაზუსი აღებულია ფილმიდან - *A Crime in Paradise*. 2005. directed by Jean Becker, Canal+, Centre National de la Cinématographie (CNC), France 2 Cinéma, Josy Films, K.J.B. Production, Les Films Christian Fechner and Rhône-Alpes Cinéma, ეპიზოდი 33 წუთიდან 35:15 წუთამდე, იხ. მითითებულ ბმულზე <http://www.imdb.com/title/tt0245530/>

რადგან ამ ეტაპზე ის უკვე საკმარისად ახლოს არის მკვლევლობის შემადგენლობის აღსრულების დაწყებასთან, ე.ი მცდელობასთან, და, შესაბამისად, აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის დაცული სიკეთისთვის. ხოლო მას შემდეგ, რაც ჟოჟოს ღვინის დაღვევისკენ და სადღეგრძელოს თქმაში შემოერთებისკენ უბიძგა, რასაც ჟოჟოს მხრიდან ჭიქის აღება მოჰყვა, ლულუს მოქმედება უკვე გადაიზარდა მკვლევლობის მცდელობაში, რადგან ქმედება უკვე დროში და სივრცეში ახლოს არის მოსალოდნელ შედეგთან, რითაც მსხვერპლი უშუალო და ძალიან კონკრეტული საფრთხის ქვეშ მოაქცია.

კაზუსი 2 - „ვარდის სახელი“³⁵⁰

წიგნი, რომლის წაკითხვის ცდუნებას მრავალი ადამიანი შეეწირა, განთავსებული იყო მონასტრის ბიბლიოთეკაში. წიგნის თითოეული გვერდი მოწამლული იყო, რის გამოც ფურცლები ერთმანეთზე იყო მიკრული. ფურცლის გადაშლისათვის მკითხველს თითი უნდა დაენერწყვა. თითის დანერწყვით კი საწამლავი მკითხველის ორგანიზმში ხვდებოდა, რაც ნელ-ნელა საკმარის დოზას აღწევდა და საბოლოოდ ადამიანის სიკვდილით მთავრდებოდა.

რა მომენტიდან იწყება მკვლევლობის მცდელობა? წიგნის მოწამვლის მომენტიდან? მკითხველის მიერ წიგნის ხელში აღებისა? პირველი დანერწყვისა და გადაფურცვლის მომენტიდან, თუ ადამიანის ორგანიზმში იმ დოზის საწამლავის მოხვედრის ეტაპიდან, როდესაც მის სიცოცხლეს უკვე სერიოზული საფრთხე ემუქრება?

თუკი „პირმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული“ მიდგომით ან საფრთხის ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან აღქმის მასშტაბით ვიხელმძღვანელებთ, ან კიდევ ქმედების სუბიექტის წარმოდგენით, მაშინ წიგნის მოწამვლის ეტაპიდან უკვე შესაძლებელია ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასება. მაგრამ ასეთი შეფასება არ იქნებოდა სწორი, რადგან ვერ სწვდება მცდელობის ნამდვილ არსს. მოსალოდნელ შედეგთან ობიექტური სიახლოვე დაიწყება მკითხველის, ე.ი დაზარალებულის, ამოქმედების დროს, და იმ მომენტიდან,

³⁵⁰კაზუსი აღებულია წიგნიდან - ევო უ. 2012. ვარდის სახელი. მთარგ. ხათუნა ცხადაძე. თბილისი, დიოგენე. 642-43.

როდესაც არაერთჯერადი დანერწყვით საწამლავის საშიში დოზა მოხვდება მის ორგანიზმში, შესაძლებელია ვისაუბროთ მცდელობაზე, რადგან ამ მომენტიდან დაცული სიკეთე უკვე უშუალო საფრთხის ზონაშია, ხოლო იქამდე მხოლოდ მკვლელობის მომზადებაა.

კაზუსი 3 - „მალჰოლანდ დრაივიდან“³⁵¹

ორ დაქირავებულ თანამშრომელს მანქანით მიჰყავდათ ქალი (რიტა) ვითომ მისთვის სასურველ ადგილას, სინამდვილეში ქალი გატაცებული ჰყავდათ და გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი მოკვლა, ამიტომ მანქანა სხვა მიმართულებით მიჰყავდათ, კერძოდ, ტყისკენ, რომ შემდეგ რიტა შეეყვანათ ტყეში და მოეკლათ. ტყის შესახვევთან მანქანა გააჩერეს და რიტას იარაღის მუქარით უბრძანეს მანქანიდან გადმოსვლა. რიტას მანქანიდან გადმოსვლამდე მათ მანქანას დაეჯახა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ავტომობილი. რიტა შემთხვევით გადარჩა.

რა მომენტიდან დაიწყო პირთა ჯგუფმა მკვლელობის მცდელობა? ქალის მანქანაში ჩასმისა? ტყესთან მიახლოებისა? იარაღის მუქარით მანქანიდან გადმოსვლის ბრძანებისა? თუ მცდელობა ჯერ დაწყებული არ ყოფილა?

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცული სიკეთე უკვე საფრთხეშია, რადგან ქალი უმწეო მდგომარეობაშია ჩაყენებული თავისუფლების აღკვეთის გამო, ეს ეტაპი ჯერ მაინც არ უნდა ჩაითვალოს მცდელობად, რადგან უშუალოდ მკვლელობის შემადგენლობის აღსრულება დაიწყება და კონკრეტული საფრთხის ზონაში სიცოცხლე მოექცევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იარაღდამიზნებული მსხვერპლი მიადგება „მკვლელებისთვის“ სასურველ ადგილს. ეს კაზუსი უნდა განვასხვავოთ მსხვერპლის დაჭრის და მომაკვდინებელი დოზის საწამლავის ორგანიზმში შეშვების შემთხვევებისგან, რითაც მკვლელობის შემადგენლობა დაწყებულია დაცულ სიკეთეზე კონკრეტული ზემოქმედების გამო და იმ ფაქტს, რომ შედეგი დაჭრიდან რამდენიმე საათში დადგება, არ შეიძლება

³⁵¹კაზუსი აღებულია ფილმიდან - *Mulholland Drive*. 2001. David Lynch, Les Films Alain Sarde, Asymmetrical Productions, Babbo Inc., Canal+ and The Picture Factory. ეპიზოდი 4 წუთიდან 6 წუთამდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. მითითებული ბმული <http://www.imdb.com/title/tt0166924/>

მნიშვნელობა მიენიჭოს, რამდენადაც მკვლელობის შემადგენლობის ნაწილი განხორციელებულია და ეს უკვე თავისთავად უშუალო საფრთხის მატარებელია.

სისხლის სამართლის დოქტრინაში საფრთხის შესაფასებლად სუბიექტური და ობიექტური საზომის გამოყენება ხდება ასევე მცდელობის სახეებად დაყოფასთან და შუალობით ამსრულებლობასთან მიმართებითაც. უფრო ობიექტური თეორიის მიმდევრები დასახელებულ საკითხებთან მიმართებითაც ობიექტურ საზომს იყენებენ³⁵², ხოლო უფრო მეტად სუბიექტური თეორიის მომხრეები - სუბიექტურ საზომს³⁵³.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მცდელობის სახეების ყველაზე გავრცელებული დახასიათების თანახმად, დაუმთავრებელია მცდელობა, როდესაც, გარდა შედეგისა, ასევე ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტებიც არ არის განხორციელებული, ხოლო დამთავრებულია, როდესაც, გარდა შედეგისა, ქმედების ობიექტური შემადგენლობა მთლიანად არის ამოწურული³⁵⁴. მცდელობის სახეების განსაზღვრის სხვა ინტერპრეტაციის თანახმად, ქმედებასთან ერთად მნიშვნელოვანია პირის წარმოდგენა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ამოწურვის თაობაზე³⁵⁵.

მცდელობის სახეებად დაყოფას ობიექტური ნიშნის მიხედვით, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ შედეგის მისაღწევად ყველაფერი გააკეთდა, თავად ობიექტივისტებშიც ჰყავდა კრიტიკოსები, მათ შორის, თ. წერეთელიც. წერეთლის შენიშვნით, თუკი პირმა ყველაფერი გააკეთა, რაც საჭირო იყო შედეგის დასადგომად, მაშინ შედეგიც არ დაახანებდა³⁵⁶. წერეთელი დასახელებული ინტერპრეტაციის ნაცვლად გვთავაზობს შემდეგს: „პირმა ყველაფერი გააკეთა, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად“. წერეთლის ამ შენიშვნას ანეიტრალებს

³⁵²მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 90-91; წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 457-8; დვალბე ი. და სხვები. 2004. 159-160; სულაქველიძე დ. 1991. 13-14. ობიექტურ ნიშანს იყენებს ცნობილი ინგლისელი ობიექტივისტი Duff R.A. 1996. 119.

³⁵³ხარანაული ლ. 2013. 231. უფრო მეტად სუბიექტურ ნიშანს იყენებს ინგლისელი სუბიექტივისტი Ashworth A. 2009. 439.

³⁵⁴წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 457-8; დვალბე ი. 2004. 159-160; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 90-91; ტურავა მ. 2013. 308, 318.

³⁵⁵ხარანაული ლ. 2013. 231.

³⁵⁶წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 459

დვალის განმარტება, რომ ფრაზაში - „შედეგის დასადგომად ყველა ქმედებაა შესრულებული,“ იგულისხმება ისეთი ქმედებები, რომლებიც ტიპურად იწვევს შედეგს. დვალისეული განმარტება გამოდგება ასევე დ. სულაქველიძის მოსაზრების საპირისპიროდ, რომელიც ძალიან ავიწროებს დამთავრებული მცდელობის მნიშვნელობას. დ. სულაქველიძის აზრით, შემთხვევა, როდესაც პირი მრავალი საშუალებიდან მხოლოდ ერთს იყენებს, ჯერ კიდევ არ უნდა იქნეს მიჩნეული დანაშაულის დამთავრებულ მცდელობად³⁵⁷. აღნიშნული განმარტებით ისე გამოდის, რომ, თუკი, მაგალითად, პირს იარაღში 3 ტყვია აქვს და აქედან მხოლოდ ერთს გაისვრის და შემდეგ გასროლაზე უარს იტყვის, მისი ქმედება დაუმთავრებელი მცდელობად უნდა შეფასდეს. ასეთი პოზიცია არ არის გასაზიარებელი. დასახელებული მაგალითი დამთავრებული მცდელობის გამომხატველია, რადგან პირმა რა ქმედებაც განახორციელა, ობიექტურად წარმოადგენს შედეგის ტიპურად გამომწვევს, რაც უნდა იყოს განსაზღვრელი. დამთავრებული მცდელობის ასე ვიწროდ გაგება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოთხოვნების გაუმართლებელ შემცირებასაც გამოიწვევდა კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად: თუკი პირი პირველი გასროლით დაჭრიდა მსხვერპლს და შემდეგ ტყვიას აღარ ესროდა სინანულის გამო და ასე დატოვებდა დაჭრილს, რომელსაც ხანგრძლივი სისხლდენის შემდეგ შემთხვევითი გამვლელი გადაარჩენდა, ქმედების სუბიექტი უნდა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, მიუხედავად იმისა, რომ მას აქტიურად შედეგი თავიდან არ აუცილებია, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ამ ინსტიტუტის პოლიტიკის მიზანთან.

დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის დოქტრინალურ დეფინიციებს არ იცნობს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუმცა მცდელობის ზოგადი დეფინიცია სრულად მოიცავს მცდელობის ორივე სახეს³⁵⁸. დამთავრებული მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრებად შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის განსაზღვრება - „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის

³⁵⁷ სულაქველიძე დ.1991. 16. მსგავს მოსაზრებას ავითარებს ბაჩანა ჯიშკარიანიც. იხ. *კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში*. 2015. 104.

³⁵⁸ ხარანაულილ. 2013. 201.

განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი”, რომელიც დამთავრებული მცდელობის ეტაპზე ხელის აღების შესაძლებლობას აყალიბებს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს მცდელობის სახის მნიშვნელობას³⁵⁹.

მცდელობის სახეებად დაყოფას ხშირად სუბიექტური თეორიით ახდენენ, სადაც განმსაზღვრელია არა ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებით შექმნილი საფრთხე და ობიექტურად ამოწურული შემადგენლობა, არამედ ქმედების ჩასადენად გადადგმული ნაბიჯით შექმნილ საფრთხეზე სუბიექტის წარმოდგენა, ასეთი მიდგომა გავრცელებულია გერმანიასა³⁶⁰ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში³⁶¹. მსგავსი მიდგომა დოგმატურად არ არის გასაზიარებელი ქართული სისხლის სამართლისთვის.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი აზრია გამოთქმული მცდელობის სახეებად დაყოფის მნიშვნელობაზე თუ უმნიშვნელობაზე³⁶², მაგრამ გასაზიარებელია იმ მეცნიერთა აზრი, რომლებიც მცდელობის სახეებად დაყოფაში როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას ხედავენ, კერძოდ, სასჯელის ინდივიდუალიზაციისა³⁶³ და ნებაყოფლობით ხელის აღებასთან მიმართებით³⁶⁴.

სუბიექტური და ობიექტური თეორიების კონკურენცია შუალობითი ამსრულებლობისას ქმედების მცდელობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებითაც საკმაოდ მწვავედ დგას.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა შუალობითი ამსრულებლის ქმედების შეფასების ათვლის წერტილთან მიმართებით. ო.

³⁵⁹გამყრელიძე ო.2010. 177; ტურავა მ. 2013. 319.

³⁶⁰ ვესელსი ი.და ბოილკე ვ. 2010. 453; სულაქველიძე დ. 1991. 14.

³⁶¹ Ashworth A. 2009. 439.

³⁶²სულაქველიძე დ. 1992. 171; გამყრელიძე არ ეთანხმება მცდელობის სახეებად დაყოფას, თუმცა არ უარყოფს შექმნილი საფრთხის გავლენას სასჯელზე. იხ. გამყრელიძე ო. 2010. 168; გამყრელიძე ო. 2006. *დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხისათვის*. სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, მერიდიანი. 15-23

³⁶³ფურცხვანიძე ბ. 1971. საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.176; დვალიძე ი. 2007. 164; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 93. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის სსკ-ის მიხედვით განსხვავებული სასჯელებია გათვალისწინებული დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობისთვის. Gómez- Jara Díez C. and Chiesa L. E. 2011. 503.

³⁶⁴მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 104-5.

გამყრელიძის აზრით, შუალობითი ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაცია თანამონაწილეობის მსგავსად უნდა მოხდეს, ე. ი. მისი ქმედების შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს ფაქტობრივი, ე.წ. „ცოცხალი იარაღის“³⁶⁵ ქმედებებზე³⁶⁶. ამ აზრს უპირისპირდება მჭედლიშვილი-ჰედრიხი, რომელსაც მიაჩნია, რომ შუალობითი ამსრულებლის ქმედების შეფასება ერთპიროვნული ამსრულებლის ქმედების მსგავსად უნდა მოხდეს და გათანაბრდეს მისი მხრიდან იარაღის მომარჯვებასთან. იმავე ავტორის აზრით, შუალობითი ამსრულებლის მხრიდან ცოცხალი იარაღის დაყოლიება უკვე მომზადებად უნდა შეფასდეს³⁶⁷ და არ უნდა იყოს დამოკიდებული ფაქტობრივი ამსრულებლის ამოქმედებასთან, ვთქვათ, იარაღის შექმნაზე (მკვლელობის ჩასადენად მისი დაყოლიების შემთხვევაში). უცხოური სისხლის სამართლის დოქტრინა (გერმანია, ინგლისი, ამერიკა) კიდევ უფრო შორს მიდის და შუალობით ამსრულებლის ქმედებას (დაყოლიებას) მცდელობად აფასებს, რაც ბუნებრივია, რადგან დასახელებულ ქვეყნებში არ ისჯება მომზადება. გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში გავრცელებული მიდგომით, შუალობითი ამსრულებელი უფრო მანამდე შეიძლება დაისაჯოს მცდელობისთვის, ვიდრე ამ ეტაპს წაქეზებული მიაღწევს³⁶⁸. ასეთი მიდგომა ემყარება არგუმენტს - **მიზეზობრივი კავშირის აგორებისა და მართვის სადავეების ხელიდან გაშვების კრიტერიუმს**³⁶⁹. შესაბამისად, ა.ს მიერ შეურაცხადი ბ.ს დაყოლიების შემთხვევაში, რომ მოკლას ც. და მისი მოღვაწეობა ამ ეტაპიდანვე დამთავრდება, ა.ს ქმედება შეფასდება მცდელობად იმისდა მიუხედავად, ბ. რამდენად შორს წავა ქმედების ჩასადენად. ამერიკის ბევრ შტატში არათუ დაყოლიების, არამედ დაყოლიების ცდის, ე.ი უშედეგო შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევასაც შესაბამისი დანაშაულის მცდელობად აფასებენ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ამსრულებელმა „ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული“ და მას „ბოლო აქტსაც“ კი უწოდებენ³⁷⁰. კალიფორნიის სისხლის სამართლის მიხედვით, მცდელობად ფასდება შეურაცხადი პირის (რომელიც სინამდვილეში აგენტ-პროვოკატორია) დაყოლიება, რაც მცდელობის ძალზე ფართო

³⁶⁵გამყრელიძე ო. 2010. 185.

³⁶⁶გამყრელიძე ო. 1974. 69.

³⁶⁷მჭედლიშვილი-ჰედრიხი ე. 2011. 191-192.

³⁶⁸ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 356.

³⁶⁹ Ibid. 357.

³⁷⁰ SamahaJ. 2011. 245; Singer R. G. & La FondaJ. Q. 2010. 306.

საზღვრებით აიხსნება და, შეიძლება ითქვას, ასეთ კვალიფიკაციას დოგმატური საფუძველი აქვს³⁷¹.

ქართული სისხლის სამართალი, რომელიც იცნობს როგორც მცდელობას, ისე მომზადების გენერალურ დასჯადობას, მსგავსი ხელოვნური ინტერპრეტაციების მოშველიების საჭიროების წინაშე არ დგას, ლოგიკური თანამიმდევრობისთვის აუცილებელია, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროსაც ვაღიაროთ ქმედების შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის და, აქედან გამომდინარე, უშუალო და კონკრეტული საფრთხის კრიტერიუმი კვალიფიკაციის განმსაზღვრელად. შესაბამისად, ა.-ს ქმედების მომზადებად ან მცდელობად კვალიფიკაციისთვის განმსაზღვრელი უნდა იყოს შეურაცხადი ბ.-ს ამოქმედება. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის დასახულ მიზანთან და რამდენად ქმნის საფრთხეს დაცული სიკეთისთვის, ა.ს ქმედების კვალიფიკაციაც შესაბამისად უნდა მოხდეს. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის შენიშვნა, რომ შეურაცხადის დაყოლიება იარაღის მომარჯვებასთან უნდა გავაიგივოთ, არ არის დამაჯერებელი, მითუმეტეს, იგივე ავტორი შედეგისგან ძალზე დაშორებულ მოსამზადებელ ქმედებებს დასჯადობის ღირს ქმედებებად არ აფასებს. შეურაცხადი პირის დაყოლიება უფრო იარაღის გამზადებას უნდა გავუთანაბროთ, ხოლო მომარჯვება უკვე „ცოცხალი იარაღის“ ადგილიდან დაძვრა და სიკეთის ხელყოფასთან, ე.ი მცდელობასთან სიახლოვე იქნება.

ქართულ სისხლის სამართლის პრაქტიკასა და დოქტრინაში უმოქმედობით მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობაზე არავინ კამათობს³⁷².

კამათს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებს შორის იწვევს ის, თუ რა მომენტიდან იწყება უმოქმედობით მცდელობა და სად გადის ზღვარი მცდელობასა და მომზადებას შორის.

³⁷¹კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი, 182-185 (5). ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე <http://law.justia.com/codes/california/2005/pen/182-185.html> 22.12.2017.

³⁷²უმოქმედობით მცდელობის შესაძლებლობა აღიარებულია გერმანიაშიც. იხ. ხარანაული ლ. 2013. 238; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 345, 1-ლი სქოლიო; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 450. უმოქმედობით მცდელობა აღიარებულია ამერიკის MPC-სა და სასამართლო პრაქტიკითაც. იხ. MPC, 5. 01 (1) (b). ასევე იხ. Cahill M. 2009. 1222; Alexander L. & Ferzan K. K. 2009. *Crime and Culpability: A Theory of Criminal Law*. Cambridge, Cambridge University Press. 241-44. საფრანგეთსა და ინგლისში უმოქმედობით მცდელობის დასჯადობა არ არის აღიარებული კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე. იხ. Elliott C. 2001. 61, 100; Ashworth A. 2009. 448; Ormerod David. 2009. 595-6.

გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაში ჩამოყალიბებული ვერსიების მიხედვით³⁷³, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი³⁷⁴ უმოქმედობით მცდელობის დასაწყისის ათვლის წერტილად რამდენიმე ვერსიას გვთავაზობს. ესენია: უმოქმედობით მცდელობა სახეზეა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისთვის გარანტის მიერ პირველივე შანსის გამოუყენებლობისას; საბოლოო შანსის გამოუყენებლობისას; როდესაც უმოქმედობა დაცულ სიკეთეს კონკრეტულ საფრთხეში ჩააყენებს. შეფასების სამი კრიტერიუმიდან ავტორი მესამე პოზიციას უჭერს მხარს³⁷⁵, რამდენადაც, მისი აზრით, მცდელობის აუცილებელი ნიშანია დაცული სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის განმარტებით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისთვის მისი მოკვლის განზრახვით საჭმლის მიუწოდებლობა მცდელობად მხოლოდ მაშინ უნდა შეფასდეს, როდესაც უმოქმედობა პირის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის³⁷⁶. უმოქმედობის დროს საფრთხის კრიტერიუმს გადამწყვეტად მიიჩნევდა თ. წერეთელიც³⁷⁷, თუმცა ქ. ჰედრიხს უმოქმედობით მცდელობისთვის საკმარისი საფრთხის შესაფასებლად ობიექტური დამკვირვებლის ex ante თვალთახედვა შემოაქვს³⁷⁸.

გერმანულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა პირის წარმოდგენას უნდა მიენიჭოს, კერძოდ იმას, თუ როგორ აფასებს საფრთხეს ქმედების სუბიექტი. თუკი, მისი წარმოდგენით, შედეგის დადგომა უკვე ახლოს არის, მაშინ მისი უმოქმედობა უკვე მცდელობად უნდა შეფასდეს³⁷⁹. აღნიშნული პოზიცია შეიძლება არ გაიზიარო ისევე, როგორც არ იყო გასაზიარებელი აქტიური ქმედებით მცდელობასთან მიმართებით, თუმცა გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, მას საკანონმდებლო საფუძველი აქვს.

³⁷³ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 451; ხარანაული ლ. 2013. 238; Bohlander M. 2009. *Principles of German Criminal Law*. Oxford and Portland, Oregon, Hart Publishing. 143

³⁷⁴მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 345.

³⁷⁵Ibid. 345-346.

³⁷⁶Ibid. 346.

³⁷⁷წერეთელი თ. 2007. 499.

³⁷⁸მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 348.

³⁷⁹ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 451.

ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, უმოქმედობას დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრება არ მოიცავს³⁸⁰. უმოქმედობით მცდელობის დასჯადობა ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი ამერიკის სხვადასხვა შტატებში. ამერიკის 24 შტატი აღიარებს უმოქმედობით მცდელობას³⁸¹, 19 შტატი კრძალავს³⁸² კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, რამდენადაც მცდელობის დეფინიციას აქტიური ქმედების მოთხოვნით აყალიბებენ, ხოლო დანარჩენი შტატის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს მცდელობის გენერალურ დასჯადობას³⁸³. მიუხედავად იმისა, რომ შტატების უმრავლესობა აღიარებს უმოქმედობით მცდელობის დასჯადობას, როგორც კვლევამ აჩვენა, უმოქმედობით მცდელობაზე მხოლოდ სამი საქმე მოიძებნა, აქედან ორი³⁸⁴ - ლუიზიანას შტატის სასამართლოდან³⁸⁵, ხოლო ერთი³⁸⁶ - ჰავაის შტატის სასამართლო პრაქტიკიდან. უმოქმედობით დანაშაულის მცდელობის მწირ პრაქტიკას ამ უკანასკნელის ათვლის წერტილის ბუნდოვანებით ხსნიან ამერიკის სისხლის სამართლის დოქტრინაში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ სისხლის სამართალში აქტიური ქმედებით მცდელობის დასაწყისი ძალიან აქვთ განვრცობილი, განსხვავებულ მიდგომას აყალიბებენ უმოქმედობასთან მიმართებით, რასაც უფრო უმოქმედობის მტკიცების პრაქტიკული სირთულით ხსნიან³⁸⁷. უმოქმედობით მცდელობის კვალიფიკაციისთვის აქცენტი კეთდება დაცული სიკეთისთვის საფრთხის შექმნაზე³⁸⁸, თუმცა, მიუხედავად ამ „კომპრომისისა“, უმოქმედობით

³⁸⁰ Elliot C. and Quinn F. 2010. *criminal law*. Harlow, Pearson Education Limited. 259; იხ. საქმე სადაც ინგლისის სასამართლომ უმოქმედობით მცდელობის შეუძლებლობაზე იმსჯელა. R v Nevard, All ER (D) 22 (Nov)2006

³⁸¹მათ შორის, ლუიზიანას, კონექტიკუტის, არიზონას, კოლორადოს და ალიასკას შტატი. აღნიშნულის შესახებ იხ. Cahill M. 2009. 1222.

³⁸²მათ შორის, მინესოტას, ნევადას და ტეხასის შტატი. აღნიშნულის შესახებ უფრო დეტალურად იხ. Cahill M. 2009. 1224, 64-ე სქოლიო.

³⁸³ Cahill M. 2009. 1224.

³⁸⁴უმოქმედობით მცდელობის საქმეები: State v. Cortez, 687 So. 2d 515, 516–17, 524, La. Ct. App. 1996; State v. Smith, 870 So. 2d 618, 619, 622–24 La. Ct. App. 2004.

³⁸⁵Cahill M. 2009. 1225

³⁸⁶ State v. Klufta, aff'd 831 P.2d 512. 1992. ანალიზისთვის იხ. Gardner T. J. and Anderson T. M. 2012. Criminal law. Belmont, Wadsworth. 89.

³⁸⁷ Cahill M. 2009. 1225

³⁸⁸მაგალითად, State v. Klufta -ს საქმეში, სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მიტოვების შემდეგ 16 თვის ბავშვის ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობას, რის გამოც ჩვილი ვერ გადარჩებოდა მომდევნო 24 საათის განმავლობაში. აღნიშნული დასაბუთება კი აუცილებლად მიიჩნია უმოქმედობით მკვლელობის მცდელობის დასაბუთებისთვის. დასახელებული საქმე ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე <http://law.justia.com/cases/hawaii/supreme-court/1992/15233-2.html> 02.04.2018.

მცდელობა მაინც პრობლემატურად რჩება და ბევრი მეცნიერი, მათ შორის მაიკლ კაჰილი, გამოსავალს გენერალური უმოქმედობით მცდელობის დეკრიმინალიზებასა და წმინდა უმოქმედობის დელიქტების შემოღებაში ხედავს³⁸⁹.

საქართველოს სინამდვილეში, ვინაიდან მცდელობის დეფინიცია კანონმდებელმა უფრო მეტად ობიექტური თეორიის გავლენით განსაზღვრა და მის შესაბამისად აქტიური მცდელობის დახასიათება სწორედ შესაძლებლობისა და საფრთხის კატეგორიით აიხსნება, ისევ და ისევ ლოგიკური თანმიმდევრობა მოითხოვს, რომ უმოქმედობის დროსაც იგივე მიდგომა იქნეს გამოყენებული. **სამართლებრივი გარანტი** ქმედება, რომელიც საკვებს არ აძლევს მცირეწლოვანს, მომზადებიდან მცდელობაში მას შემდეგ გადაიზრდება, როდესაც ბავშვის სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხე დადგება, ამასთან - ობიექტურად და არა ამსრულებლის ან კიდევ დამკვირვებლის თვალთახედვით.

3.2. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით

დანაშაულის მცდელობის ქართული მოდელის სრული გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი. იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორად ესმით სასამართლო პრაქტიკაში მცდელობის ქართული დეფინიცია, თუ მიმართავენ განვრცობით განმარტებას და როდის, და კონკრეტულად რა კრიტერიუმებს იყენებს სასამართლო ქმედების მცდელობად კვალიფიკაციის დროს.

1. მსჯავრდებული ზ.უ. სასჯელს იხდიდა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც მარტო ცხოვრობდა. საპატიმროდან გაქცევის მიზნით მან სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მოიძია რკინის ტარიანი აქანდაზი, 40 სმ სიგრძის წაწვეტებული რკინის ნაჭერი, თოკი, მოკლეთარიანი თოხი და თავისი ოთახის საწოლის ქვეშ დაიწყო მიწისქვეშა გვირაბის გათხრა საწარმოო

³⁸⁹ Cahill M. 2009. 1228.

ზონის მიმართულებით. ზ. უ. -მა მოახერხა 1,5 მ სიმაღლისა და 4 მ სიგრძის გვირაბის გათხრა. 2001 წლის 12 მაისს დაწყებული ქმედება იმავე წლის 3 ოქტომბერს აღმოაჩინეს დაწესებულების თანამშრომლებმა. მას კიდევ დარჩენილი ჰქონდა 8 მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა, საწარმოო ზონის გადალახვა, ხოლო შემდეგ 200 მეტრი მანძილის გავლა³⁹⁰.

განსხვავებით ქვედა ინსტანციების სასამართლოებისგან, რომელთაც ზ.უ-ს ქმედება საპატიმროდან გაქცევის მომზადებად შეაფასეს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პირის ქმედება საპატიმროდან გაქცევის მცდელობად დააკვალიფიცირა³⁹¹. შეფასების კრიტერიუმად დროსა და სივრცეში სიახლოვის ტესტით იხელმძღვანელა. სასამართლოს განმარტებით, ზ.უ.-ს ქმედება მომზადებად იმ შემთხვევაში შეფასდებოდა, **თუკი ქმედება შედეგისგან ძალიან იქნებოდა დაშორებული**. სასამართლოს განმარტება პირდაპირ ეწინააღმდეგება მისსავე გადაწყვეტილებას, რადგან სწორედ შედეგისგან ძალიან დაშორებული ქმედება შეფასდა მცდელობად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც პირი გაჭირვებულ მგომარეობაში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ერთი თოხით და წაწვეტილებული რკინის ნაჭრით ყოველ დღე, სამი თვის განმავლობაში ცოტ-ცოტას თხრიდა, რის შედეგადაც მხოლოდ 4 მეტრის გვირაბის გათხრა მოახერხა, წინ კი ორი იმდენი რჩებოდა გასათხრელი, შედეგთან ახლოს მდგომ ქმედებებზე საუბარი შეუძლებელია. პირის მოსამზადებელი ქმედებები მცდელობაში მას შემდეგ გადაიზრდებოდა, როცა პირი გადავიდოდა გვირაბის ბოლო ფენის ჩამოშლაზე, რომლის აღებაც წუთების საქმე იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული გადაწყვეტილება კრიტიკას იმსახურებს, ის მაინც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, რადგან იძლევა მცდელობის შეფასების კრიტერიუმის იდენტიფიცირების საშუალებას. გამოდის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს (შემდგომში სუზს) დიდი პალატა მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნისთვის იყენებს შედეგთან სიახლოვის თეორიას, რაც ხაზს უსვამს

³⁹⁰საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდიპალატის N 168-აპგანჩინება. თბილისი, 25 ნოემბერი 2002.1; შეად. Commonwealth v. Gilliam, 417 A.2d 1203, Pa. Super. 1980-ის და საფრანგეთის 1975 წლის საქმეს. Crim. 5 Juin, 1975. აღნიშნული იხ. წიქარიშვილი კ. 2010. მე-10 მაგალითი, 16.

³⁹¹საპატიმროდან გაქცევის შემადგენლობის დასრულებისთვის აუცილებელი ელემენტია ის, რომ პირმა გააღწიოს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. იხ. სსკ-ის 379-ე მუხლი.

დანაშაულის მცდელობის არსის გაგებაში ობიექტურ ორიენტაციას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დასახელებულ საქმეში მცდელობის განვრცობითი განმარტება საპატიმროდან გაქცევის (სსკ-ის 379-ე მუხლი), როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიით უნდა აიხსნას, რისი მომზადებად შეფასების პირობებშიც შეუძლებელი იქნებოდა პირის დასჯა, რადგან საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლი არ ითვალისწინებს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობას, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა, რომელთა თაობაზეც პირდაპირ არის მითითებული ნორმაში. საპატიმროდან გაქცევის მომზადების რეაგირების გარეშე დატოვება კი შესაძლოა გამართლებული არ ყოფილიყო კრიმინალ-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გენერალური მომზადების დასჯადობის მოდელშიც მიმართავენ მცდელობის ფართო ინტერპრეტაციას, თუ რაიმე სამართლებრივი ბარიერის გამო შეუძლებელია მომზადების დასჯადობა.

2. 2005 წლის 26 მარტს ი.ნ-მ და გ.გ-მ გადაწყვიტეს, თაღლითური გზით დაუფლებოდნენ კ.ს კუთვნილ მოძრავ ნივთს - დიდი ოდენობით თანხას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ი. ნ-მ. და გ.გ-მ. ერთად შეადგინეს წერილი კ.სთვის, თითქოს ისინი ფლობდნენ მისი შვილის _ ლ.კ.-ს მოტაცების შესახებ ინფორმაციას და 20000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში დამატებით აცნობებდნენ მოტაცებულ ლ.კ-ის ადგილსამყოფელს. აღნიშნული წერილი მოათავსეს განსაზღვრულ ადგილას, რის შესახებაც ტელეფონით შეატყობინეს კ.კ.-ს და მოსთხოვეს წერილის პასუხის ჩადება მათთვის სასურველ ადგილას. 2005 წლის 29 მარტს, 22 საათსა და 50 წუთზე, წერილის პასუხის აღების დროს, ი.ნ. და გ.გ. დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, რა დროსაც ი.ნ.-ს აღნიშნული წერილი პირადი ჩხრეკის დროს ამოუღეს³⁹².

ი.ნ-ს და გ.გ-ს ქმედება პირველი ინსტანციის სასამართლომ დამთავრებულ თაღლითობად შეაფასა. პირთა ჯგუფის ქმედება თაღლითობის მცდელობად გადააკვალიფიცირა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რადგან, მისი მართებული განმარტებით, პირთა ქმედებაში ჯერ კიდევ არ ყოფილა შედეგი, კერძოდ,

³⁹²სუფს N 61-აპ განჩინება. თბილისი, 7 მარტი 2007.

თანხის დაუფლება, რაც თაღლითობის დასრულებას განაპირობებს³⁹³. უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა მცდელობის ობიექტურ შემადგენლობას, რომ ქმედების მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელია **ქმედება უშუალოდ იყოს მიმართული დანაშაულის ჩასადენად**, და სწორედ ასეთად მიიჩნია პირთა ქმედება. თუმცა მას არ უმსჯელია, თუ რაში გამოიხატა **უშუალობა** და რატომ მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. თუ კვალიფიკაციის განმსაზღვრელი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტის (მოტყუება) განხორციელება გახდა, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა მის მნიშვნელობაზე. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვალიფიკაცია სადავოა, რადგან მოტყუებისთვის, თავისი არსიდან გამომდინარე, აუცილებელია ვინმეს შეცდომაში შეყვანა, მოცემულ საქმეში კი არ ჩანს დაზარალებულის მხრიდან პირთა ჯგუფის წერილის დაჯერება და მისი სიმართლედ აღქმის მომენტი. მოცემულ საქმეში უფრო დაუსრულებელ მოტყუებასთან გვაქვს საქმე, ე.ი მოტყუების ცდასთან, ვიდრე მოტყუებასთან, ამიტომ, შედეგთან სიახლოვის და დაცული სიკეთისთვის შექმნილი საფრთხის ხარისხის გათვალისწინებით, ქმედების თაღლითობის მომზადებად შეფასება იქნებოდა სწორი.

3. პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ლითონის კონსტრუქციებს, რომელიც ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების საკუთრება იყო და, შესაბამისად, მის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. პირებს წარმოდგენა ჰქონდათ ლითონის კონსტრუქციების დიდ მოცულობაზე, ამიტომ მიზნის მისაღწევად მათ შეიძინეს ლითონის საჭრელი ხერხი და ასე მივიდნენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. იმ მომენტში როდესაც ბოძების დაჭრას შეუდგნენ, მათი ქმედება კომპანიის დარაჯმა გამოავლინა და ასე შეწყდა მათი ქმედება დასრულებამდე. პირთა ქმედება ქურდობის მცდელობად შეფასდა³⁹⁴.

მოცემული საქმის განხილვისას საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია კვალიფიკაციის უზუსტობაზე, კვალიფიკაციის ნაწილში გადაწყვეტილებას არც ადვოკატები აკრიტიკებდნენ. აღნიშნული ქმედება უნდა შეფასებულიყო ქურდობის მომზადებად და არა მცდელობად. მართალია, პირთა

³⁹³ ლეკვეიშვილი მ. და სხვები. 2008. მე-8 თავი. 366-7, ასევე იხ. სუზ-ის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გაკეთებული განმარტება დაუფლებაზე N1106აპ-10 განაჩენში. 19 აპრილი 2011.

³⁹⁴სუზ N303-აპ განჩინება. 27 დეკემბერი 2006.

ჯგუფმა შეაღწია სხვის დაცულ ტერიტორიაზე და ამით თითქოს უშუალო საფრთხის ქვეშ მოაქციეს დაცული სიკეთე, მაგრამ მართებული არ უნდა იყოს ინდივიდუალური გარემოების გაუთვალისწინებლად საფრთხის გაზომვა. ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა: მოცემულ ვითარებაში, სადაც დასაუფლებელი საგანი განსაკუთრებით დიდი ზომის იყო, რომლის გადაადგილების შესაძლებლობისთვის აუცილებელი იყო მცირე ნაწილებად დაჭრა, შეიძლება იქამდე (ე.ი ამ შესაძლებლობამდე) საფრთხის უშუალოებაზე და კონკრეტულობაზე საუბარი? საგნის სიდიდის გათვალისწინებით დაცულ ტერიტორიაზე შესვლა ჯერ კიდევ ვერ აქცევს ქმედებას საკმარისად ახლოს მდგომს შედეგთან. ამიტომ ქმედება უნდა შეფასებულიყო მომზადებად და არა მცდელობად.

4. მ.რ-მ შეიძინა მობილური ტელეფონი და მსჯავრდებული ხ.-თვის გადაცემის მიზნით გადააგდო სასჯელაღსრულების დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე, რომ მსჯავრდებულ ხ-ს ეპოვა და გამოეყენებინა დანიშნულებისამებრ. ხ.ს მხრიდან ტელეფონის დაუფლებამდე გამოაშკარავდა აღნიშნული ქმედება პოლიციის მხრიდან. მ.რ-ს ქმედება მცხეთის რაიონულმა სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემად დააკვალიფიცირა³⁹⁵.

სუზს-ს სწორი შენიშვნით, მოცემულ საქმეში ქმედების შემადგენლობა არ იყო დასრულებული, რადგან, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მისი დასრულებისთვის აუცილებელი იყო აკრძალული საგნის მსჯავრდებულისთვის გადაცემა, რასაც მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია³⁹⁶. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ქმედება გადააკვალიფიცირა მცდელობად. დასახელებულ საქმეში, სამწუხაროდ, სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რატომ მივიდა მცდელობის კვალიფიკაციამდე და იგივე ქმედება რატომ არ იყო მომზადება³⁹⁷, რაც ალბათ დაცვის მხარის ინერტულობამაც განაპირობა. ადვოკატი ეჭვქვეშ აყენებდა მხოლოდ

³⁹⁵სსკ-ის 378¹-ე მუხლი „პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუბტვახტში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემა“.

³⁹⁶სსსს N 332 - აპ- 09 განჩინება. 5 ოქტომბერი 2009.

³⁹⁷ ფაქტობრივი გარემოებებიდან არ ჩანს, რომ ეზოში სხვა მსჯავრდებულები იდგნენ და მათ შეეძლოთ აკრძალული ნივთის დაუფლება.

მტკიცებულებათა სტანდარტს და არა უკანონო კვალიფიკაციას³⁹⁸. სასჯელადსრულების დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე აკრძალული საგნის მართოდენ გადაგდება, იქ, სადაც ადრესატი ჯერ ძალიან შორს არის, ვერ აღწევს მცდელობის სტადიამდე. მ.რ-ს მოსამზადებელი ქმედება მცდელობას მაშინ მიაღწევდა, როდესაც მსჯავრდებული მიუახლოვდებოდა საგანს, რითაც შექმნიდა მისი გამოყენების საფრთხეს, რისი თავიდან აცილებასაც ემსახურება დასახელებული ნორმა. შესაძლოა მოცემულ საქმეშიც ქმედების მცდელობად კვალიფიკაციაც პოლიტიკის მიზნებით აიხსნას, რადგან მომზადებად დაკვალიფიცირების შემთხვევაში პირი ვერ დაისჯებოდა ცდისთვის, რადგან განსახილველი ქმედების შემადგენლობა ნაკლებად მძიმე კატეგორიის არის, რაც მომზადების სტადიაზე არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

5. ა.-ს განზრახული ჰქონდა ც.-ს მოტაცება მასთან დაქორწინების მიზნით. ამ მოტივით მეგობართან ერთად ჩაუსაფრდა ც.-ს. გამოჩენისთანავე მათ ხელი სტაცეს ც.-ს და შეეცადნენ ავტომობილში იძულებით ჩასმას, მაგრამ - უშედეგოდ, რადგან მათ პოლიციამ მოუსწრო და ადგილზე დააკავა ბრალდებულები. სასამართლომ პირთა ქმედება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მცდელობად შეაფასა³⁹⁹.

განსახილველ საქმეში პირთა ქმედება გაცდენილი იყო მოსამზადებელ სტადიას, რადგან ერთი, რომ მათი ქმედება უკვე ძალიან ახლოს იყო დანაშაულის დასრულებასთან და, მეორე: ამ ქმედებით უშუალო საფრთხეში იყო მოქცეული დაცული სიკეთე. შესაბამისად, სასამართლოს შეფასება სწორი არის.

6. ხ.ზ-ს ყოფილ მეუღლესთან შერიგება სურდა და ამ მიზნით ის ხშირად აწუხებდა ი.რ.ს, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო შერიგებისა და ერთად ცხოვრებისა. ერთხელაც ხ.ზ.მ გადაწყვიტა ი.რ.ს სახლში უკანონო შეჭრა და მისი ამ გზით იძულება. სითამამისთვის ცოტა დალია. ხ.ზ. ფეხებს ურტყამდა ი.რ.ს სახლის კარს და იმუქრებოდა. მოწმეთა ჩვენებებით გამოირკვა, რომ ის რამდენჯერმე შორი მანძილიდან გამოექანა კარის შემტვრევის მიზნით, თუმცა - უშედეგოდ, რადგან კარი სქელი იყო და ამასთან - რკინის. პოლიციამ მალევე აღკვეთა მისი ქმედება. ქვედა

³⁹⁸ამ საქმესთან დაკავშირებით ასევე იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის N 1/ზ48-09 განჩინება. თბილისი, 3 თებერვალი 2009.

³⁹⁹სუზ N119-კოლ განჩინება. 29 სექტემბერი 2005.

ინსტანციის სასამართლოებმა პირის ქმედება ბინის ხელშეუხებლობის უკანონო დარღვევის მცდელობად შეაფასა (სსკ-ის 19, 160-ე მუხლი), ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა კვალიფიკაცია. მისი მართებული განმარტებით, „ბ. ზ-მა, მართალია, რამდენჯერმე დაარტყა ფეხი დაზარალებულის [...] ბინის კარს, აგინებდა მას და ემუქრებოდა, მაგრამ მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებით **ობიექტურად შეუძლებელი იქნებოდა რკინის კარის შენგრევა და საცხოვრებელ ბინაში შეღწევა**. განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ბ. ზ-ს არ უცდია ბინის კარის გაღება ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მისცემდა რეალურ შესაძლებლობას, ი. რ-ის ნების საწინააღმდეგოდ, შეეღწია ბინაში. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სსკ-ის მე-19 მუხლით გათვალისწინებული განზრახვი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლისაკენ”⁴⁰⁰.

დასახელებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლო, ქმედების მცდელობად შეფასებისას მსჯელობს შესაძლებლობის და საფრთხის კატეგორიებზე, რაც, მისი განმარტებით, განმსაზღვრელია დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციისთვის.

7. ქ. ო-მა უკანონოდ შეიძინა მაიონებული გამოსხივების წყაროები, რომელიც უკანონოდ გადაზიდა ქალაქ ბათუმში და ინახავდა ერთ-ერთ სასტუმროში. მას განზრახული ჰქონდა რა აღნიშნული ნივთიერებისა და სხეულების უკანონო ვაჭრობა, **2006 წლის 17 ივლისს დაუკავშირდა თავის ნაცნობს, ქალაქ ბათუმში მცხოვრებ ა. ვ-ას, რომელსაც სთხოვა აღნიშნულის რეალიზაციაში დახმარება**. იმავე დღეს ამ უკანასკნელმა განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რის შემდეგაც ქ. ო-ლი დაკავებულ იქნა. ქ. ო-ს ქმედება რადიოაქტიური ნივთიერებით ვაჭრობის ნაწილში დაკვალიფიცირდა მცდელობად (19, 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)⁴⁰¹.

სასამართლოს შეფასება კრიტიკას იმსახურებს. იმ პირობებში, სადაც ჯერ მხოლოდ გამყიდველსა და შუამავალს შორის შედგა შეთანხმება, რომ ეს უკანასკნელი

⁴⁰⁰სსუზ N 202აპ-13 განაჩენი. 26 მარტი 2014.

⁴⁰¹სსუზ N822-აპ განჩინება. 27 დეკემბერი 2007.

დაეხმარებოდა მას გაყიდვაში და პოტენციური შემძენი ჯერ საერთოდ არ იყო დაკონკრეტებული, ვაჭრობის, როგორც მინიმუმ ორ პირს შორის შემდგარი ყიდვა-გაყიდვის აქტი ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივას წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ დასაჯა დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმება, რაც სსკ-ის მიხედვით არ არის დასჯადი სტადია. რით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული ქმედების მცდელობად შეფასება? რამდენადაც ქმედება 2006 წლის 17 ივლისს იყო ჩადენილი და მისი ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ით ისჯებოდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადება, სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელისთვისაც 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული და, შესაბამისად, წარმოადგენს მძიმე კატეგორიას, მომზადებად შეფასების შემთხვევაში დაუსჯელი დარჩებოდა. ამდენად, შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომ შეფასდა ქმედება მცდელობად. აღნიშნული მსჯელობა იმ ვარაუდს ამყარებდეს, რომ სასამართლო მაშინ მიმართავს მცდელობის განვრცობის პრაქტიკას, როდესაც მომზადება არ წარმოადგენს კონკრეტული ქმედების შემადგენლობის დასჯად სტადიას. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩადენილი ქმედება მოსამზადებელ სტადიამდეც არ იყო მისული.

განხილულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით გამოთქმულ ვარაუდს კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის მსგავსი კონსტრუქციის საკანონმდებლო შემადგენლობის მსგავს საქმეზე სასამართლომ მომზადებად შეაფასა პირის ქმედება. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების შეძენის მომზადებად შეფასდა იმ პირის ქმედება, რომელთა უშუალო დავალებითაც მოჰქონდათ ნარკოტიკი. თუმცა ქმედება ნარკოტიკის ადრესატამდე (პოტენციურ მყიდველამდე) მიღწევამდე, გზაშივე იქნა აღკვეთილი პოლიციის მხრიდან⁴⁰². ამდენად, თუკი ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლომ ნარკოტიკული საშუალების მყიდველამდე მიტანის გზა მომზადებად მიიჩნია, გაუგებარია, ზემოთ დასახელებულ საქმეში, სადაც გაყიდვა კიდევ უფრო მეტად იყო დამორებული ადრესატისგან, რატომ შეაფასა უფრო გვიანდელ სტადიად

⁴⁰²თბილისის საქალაქო N 1/2045-12 განაჩენი. 7 მაისი 2012.

(მცდელობა). ამდენად, ამ გაუგებრობის მიზეზი შესაძლოა სწორედ პირის დაუსჯელად დატოვების საფრთხე ყოფილიყო.

8. ა.მ ცეცხლსასროლი იარაღი შუბლზე მიაღო ბ.ს მისი მოკვლის განზრახვით, მაგრამ გასროლამდე მას პოლიციამ შეუშალა ხელი. სასამართლომ ა.ს ქმედება მკვლელობის მცდელობად შეაფასა⁴⁰³. მკვლელობის მცდელობად აფასებს სასამართლო მოკვლის განზრახვით პირის დაჭრის შემთხვევებსაც⁴⁰⁴. განსხვავებით აღნიშნული საქმეებისგან, სადაც, ერთ შემთხვევაში, განხორციელებული ძალადობის გამო მკვლელობის შემადგენლობის აღსრულება დაწყებული იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში კონკრეტული საფრთხის და შედეგთან სიახლოვის გამო ქმედება მკვლელობის მცდელობად იქნა შეფასებული, სხვა შემთხვევაში, სადაც პირის ქმედება დაშორებული იყო მოსალოდნელ შედეგს და საფრთხესაც ვერ ქმნიდა იმ ინტენსივობით, რაც მცდელობას დააკმაყოფილებდა, სასამართლომ მკვლელობის მომზადებად შეაფასა, კერძოდ, მოკვლის განზრახვით დაზარალებულისთვის დადარაჯება⁴⁰⁵.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისხლის სამართლის პრაქტიკის ანალიზით გაირკვა, რომ სასამართლო მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნისთვის და მცდელობის დახასიათებისთვის ძირითადად იყენებს ობიექტურ კრიტერიუმებს. მისთვის ქმედების მცდელობად შეფასებისას განმსაზღვრელია შესაძლებლობისა და საფრთხის კატეგორია, რომელთა ნაკლები ხარისხით არსებობა მცდელობად შეფასებაზე უარის თქმის საფუძველია. სასამართლო მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლელად იყენებს შედეგთან სიახლოვის ტესტს, რომელიც ისევ და ისევ ობიექტური ორიენტაციის არსებობაზე მიუთითებს. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ შედეგთან სიახლოვის განვრცობას და, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობის ფართო ინტერპრეტაციას სასამართლო მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც იმ კონკრეტული დანაშაულის მომზადების სტადია არ არის კრიმინალიზებული, რომლის დასჯა კრიმინალურ-პოლიტიკური მიზნებისთვის მნიშვნელოვანია.

⁴⁰³თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/3149-12 განაჩენი. 5 იანვარი 2012.

⁴⁰⁴თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/3399-10 განაჩენი, 24 დეკემბერი 2010; თბილისის საქალაქო სასამართლოს N 1/1159. 4 აგვისტო 2011.

⁴⁰⁵სუზ N 16 კოლ. 20 იანვარი 2004.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზმა ისიც გამოავლინა, რომ სასამართლო უფრო კლიშეს სახით იყენებს სხვადასხვა ობიექტურ კრიტერიუმს, რადგან არ ახდენს მათ მისადაგებას ინდივიდუალურ გარემოებებთან, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორ კვალიფიკაციამდე მიიყვანდა.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისთვის და დასჯადობის სამართლიანობისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციისთვის ყოველთვის ობიექტური მასშტაბი იყოს განმსაზღვრელი, კერძოდ, დროში და სივრცეში სიახლოვის და დაცული სიკეთის საფრთხეში მოქცევის კრიტერიუმი, ხოლო კრიმინალ-პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქმედებების ადრეული სტადიიდან კრიმინალიზებაზე საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს და, შესაბამისად, მოახდინოს ასეთი ქმედებების მომზადების ეტაპის კრიმინალიზება. ქმედების კვალიფიკაციისას საფრთხისა და სხვა ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინების აუცილებლობას კი უზრუნველყოფს ნაშრომში რეკომენდებული მცდელობის ახალი დეფინიცია, სადაც სწორედ არსებით ნაბიჯზე და დანაშაულის დასრულებისთვის კონკრეტულ საფრთხეზე მახვილდება ყურადღება.

3.3. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის პრობლემა სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში

ხანგრძლივი მსჯელობისა და დაუსრულებელი კამათის საგანია დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა. საკითხი იმის შესახებ - დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობად მხოლოდ პირდაპირი განზრახვა უნდა მოვიაზროთ თუ განზრახვის ორივე სახე, აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს იწვევდა⁴⁰⁶ და დღემდე იწვევს მეცნიერებს შორის. ეს საკითხი თავისი სირთულითა და

⁴⁰⁶ფურცხვანიძე ბ. 1971. წერეთელი თ. 1961. Трайнин А.Н. 1957. *Общее учение о составе преступления*. Москва; Лившиц В. К. 1947. *К вопросу о понятии эвентуального умысла*. Советское государство и право. №7.

კომპლექსური პრობლემებით თავს იჩენს სასამართლო პრაქტიკაშიც, რომელიც, როგორც არაერთ ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, მეტად ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია. წინამდებარე თავი სწორედ ამ ბუნდოვანებებისა და არათანმიმდევრულობის წარმოჩენას, მათ ანალიზს დაეთმობა. კვლევა მხარს უჭერს დანაშაულის მცდელობის ქართულ მოდელში სუბიექტურ მხარედ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის მოაზრებას.

განსახილველი საკითხის ირგვლივ ორი ძირითადი დაპირისპირებული აზრი არსებობს. ერთი მიდგომით⁴⁰⁷, დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეცნიერების მეორე ნაწილის მოსაზრებით⁴⁰⁸, რომლებიც საქართველოში უმცირესობას წარმოადგენენ, მცდელობა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვითაც. ის, რომ დანაშაულის მცდელობა გაუფრთხილებლობით დაუშვებელია, კამათს აღარ იწვევს, რადგან საქართველოს კანონმდებელმა დანაშაულის მცდელობის დეფინიციაში სუბიექტურ ელემენტად - განზრახვა - განსაზღვრა.

ზემოხსენებული დომინანტი აზრის მომხრეები თავიანთი პოზიციის გასამყარებლად არაერთ არგუმენტს იშველიებენ. მათ შორის არის წმინდა სემანტიკური ხასიათისა, რომ შეუძლებელია იმის ცდა, რისი მიღწევისთვისაც არაფერს აკეთებ, რომ სიტყვა - „მცდელობა“, თავის თავშივე წინააღმდეგობრივია არაპირდაპირ განზრახვასთან, შედეგის დადგომის არ სურვილთან⁴⁰⁹. მცდელობის არსს ისინი მიზანმიმართულ საქმიანობაში ხედავენ, რაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვის არის დამახასიათებელი. მათი დასაბუთებით, მცდელობის კრიმინალიზების მიზანი არის არა მხოლოდ ის, რაც უკვე დააზიანა პირმა, არამედ უფრო მეტის დაზიანების ტენდენციის ქონა. მიზანმიმართულობა და შედეგისკენ სწრაფვის სურვილი კი არაპირდაპირი განზრახვისთვის უცხოა. დომინანტი აზრის მომხრეები იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების სუბიექტური შემადგენლობა ევენტუალური განზრახვაა, კვალიფიკაციას ახდენენ დამდგარი შედეგი მიხედვით⁴¹⁰,

⁴⁰⁷მათ რიცხვს მიეკუთვნება: თ. წერეთელი, ო. გამყრელიძე, ბ. ფურცხვანიძე, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ი. დვალიძე, დ. სულაქველიძე, თ. ცქიტიშვილი.

⁴⁰⁸მათ რიცხვს მიეკუთვნება: მ. ტურავა, თ. ებრაელიძე, ლ. ხარანაული, ბ. ჯიშკარიანი.

⁴⁰⁹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 79-80; სურგულაძე ლ. 2005. 22.

⁴¹⁰მამულაშვილი გ. 2008. 123.

ხოლო შედეგის არარსებობის შემთხვევაში საფრთხის შემქმნელ სპეციალურ დელიქტებად აფასებენ⁴¹¹.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის (შემდგომში ეგდმ) შესაძლებლობის გასაბათილებლად ასევე მიმართავენ კანონის ისტორიულ და სისტემურ ახსნა-განმარტებას. გავრცელებული მოსაზრებით, სსკ-ის კერძო ნაწილში ათეულობით საფრთხის შემქმნელი დელიქტის არსებობა (127,128,130-132 და სხვა), რომლებიც თავისი კონსტრუქციით დანაშაულის მცდელობაა, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით აიხსნება, რომ კანონმდებელმა სწორედ დაუსჯელობის სიცარიელის შესავსებად შემოიტანა ისინი⁴¹². მაგალითად: სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა საფრთხეში განზრახ ჩაყენებული ადამიანის სიცოცხლის შესაძლო მოსპობასთან მიმართებით არაპირდაპირ განზრახვას გულისხმობს, თუკი შედეგი დადგება, მაშინ არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობა იქნება, ხოლო შედეგის არდადგომის შემთხვევაში - დასახელებული ქმედების შემადგენლობა (სსკ-ის 127-ე მუხლი)⁴¹³. კანონის სისტემური გააზრებისთვის და კანონმდებლის აზრის გასაგებად ასევე იშველიებენ სსკ-ის 117-ე მუხლს, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. დასახელებული მოსაზრების თანახმად, სსკ-ით ეგდმ-ის დასჯა დასაშვებია რომ იყოს, მსგავსი ქმედების ჯანმრთელობის დაზიანებად კრიმინალიზება არ დასჭირდებოდა კანონმდებელს, რადგან იქ სადაც ქმედების სუბიექტი სიცოცხლისთვის საშიშ საშუალებას იყენებს, როგორც წესი, შეგნებულად უშვებს სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობასაც ან გულგრილად ეკიდება მას⁴¹⁴. იმავე აზრის გასამყარებლად იშველიებენ სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას - მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. არგუმენტი იმაში

⁴¹¹ Ibid. 124.

⁴¹² გამყრელიძე ო. 2010. 161; წერეთელი თ. 1980. 136-138; მამულაშვილი გ. 2008. 125; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 78-79.

⁴¹³ ფურცხვანიძე ბ. 1966. 199,201; მაყაშვილი ვ. 1980. 56-57; 119-120. აღნიშნული მიდგომა დადასტურებული ქართული სასამართლო პრაქტიკითაც. სსკ-ის 127-ე მუხლთან მიმართებით იხ. სუხს-ის 1144აპ განჩინება. 30 ივლისი 2008.

⁴¹⁴ მამულაშვილი გ. 2008. 126; 5. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1. 2011. 1-ლი სქოლიო, 79; ცქიტიშვილი თ. 2014. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. *მართლმსაჯულება და კანონი*. N4.103.

მდგომარეობს, რომ, თუკი ეგდმ დასჯადია, მაშინ დასახელებული მაკვალიფიცირებელი გარემოების შემოტანა კანონმდებელს არ დასჭირდებოდა, რადგან ყოველ ასეთ შემთხვევაში პირი დაისჯებოდა ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის⁴¹⁵, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ პირი სხვების სიცოცხლის მოსპობას არ ცდილობს, მაგრამ საფრთხის შემქმნელ საშუალებას იყენებს, კანონმდებელმა შემოიტანა მსგავსი საფრთხის შემქმნელი დელიქტი. აღნიშნული მიდგომის გასამყარებლად ასევე იშველიებენ ისეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობას, როგორცაა ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაული ყაჩაღური თავდასხმით და სხვა. მათი თქმით, კანონი და სასამართლო პრაქტიკა რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას აღიარებდეს და თანამიმდევრული იყოს, ყოველი ასეთი თავდასხმის დროს დანაშაულთა ერთობლიობა იქნებოდა - ყაჩაღობა და მკვლელობის მცდელობა, რაც, მათი დამოწმებით, ასე არ ხდება⁴¹⁶. იმავე პოზიციიდან იშველიებენ სსკ-ის სხვა ინსტიტუტსაც, კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას და მის შეუთავსებლობას ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან, რადგან ეს ინსტიტუტი მიზანმიმართული ქმედებიდან ასეთივე გამიზნული ქმედებით ხელის აღებას მოითხოვს პირისგან და სამაგიეროდ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ჰპირდება⁴¹⁷. იმ შემთხვევაში, თუკი პირი ევენტუალური განზრახვით, ვთქვათ, ხალხმრავალ ადგილას იარაღის გასროლით, საფრთხეს შეუქმნის ადამიანის სიცოცხლეს და მეორე წუთს გზას განაგრძობს, განსხვავებით პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირისგან, რომელმაც დაუმიზნა ადამიანს იარაღი მოკვლის განზრახვით და შემდეგ სინანულის გამო არ გაისროლა, პირველი დაისჯება ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობისთვის, რადგან არ შეუსრულებია ნებაყოფლობით ხელის აღების პირობა. დასახელებული პოზიციის ავტორის აზრით, არათანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენებთ ამ ორ სუბიექტს და ისე გამოვა, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი დაისჯება და უფრო მაღალი სუბიექტური ტენდენციის ქმედების სუბიექტი - არა. ასევე იშველიებენ მატერიალურ სისხლის სამართალში ევენტუალური განზრახვის გაჩენის ისტორიულ

⁴¹⁵ცქიტიშვილი თ. 2014. დისერტაცია. 204-205.

⁴¹⁶მამულაშვილი გ. 2008. 126.

⁴¹⁷მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 75-76.

კონტექსტს. მას წამების საერთაშორისო აკრძალვის და ამ თვალსაზრისით პირის სურვილის დადგენის შეუძლებლობას უკავშირებენ, რომ სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ საშუალებაზე აქცენტის გაკეთებით დაედგინა განზრახვა. აღნიშნული პოზიციების წარმოჩენით ამ ნაშრომის ავტორი ცდილობს იმის ნათელყოფას, რომ სწორედ იმის გამო, რომ სურვილი არ არსებობს, მაგრამ გამოყენებული საშუალება საფრთხეს ქმნის დაცული სიკეთისთვის, გახდა ევენტუალური განზრახვის შემოტანა საჭირო⁴¹⁸ და მისთვის ხელოვნურად სურვილის მორგება არ არის სწორი.

გაბატონებული მოსაზრება ყურადღებას ამახვილებს მცდელობის განმსაზღვრელ სიტყვებზე - „უშუალოდ“ და „მიმართული“, რასაც მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის, კერძოდ კი, პირდაპირი განზრახვის საილუსტრაციოდ იშველიებენ⁴¹⁹. დასახელებული მოსაზრების თანახმად, კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისკენ უშუალოდ სწრაფვა მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს ეს შედეგი თანამდევია⁴²⁰, მხოლოდ დაშვების და არა გადაწყვეტილების პროდუქტი⁴²¹.

დომინანტი აზრის სხვა პოზიცია, თუ რატომ არ უნდა ისჯებოდეს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა, თავად ევენტუალური განზრახვის, როგორც განზრახვის სახის კრიტიკულ ანალიზს ემყარება. სწორედ ამიტომაც, ევენტუალური განზრახვის მიკუთვნება განზრახვასთან საკამათოა და ერთნაირად არაა გადაწყვეტილი საზღვარგარეთის ქვეყნებში. მაგალითად, საფრანგეთში, ის გაუფრთხილებლობის ქვეშ მოიაზრება⁴²², ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში ის სუბიექტური მხარის ცალკე სახეა და ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას აერთიანებს⁴²³, ხოლო საქართველოში და

⁴¹⁸მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 73-74.

⁴¹⁹წერეთელი თ. 1976. 119; გამყრელიძე თ. 2010. 162; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 80.

⁴²⁰მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 80.

⁴²¹ცქიტიშვილი თ. 2014. სტატია. 102.

⁴²²წიქარიშვილი კ. 2008. ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, *მართლმსაჯულება* N3. 42-43.

⁴²³ MPC, პარაგრაფი 2.02 (c).

გერმანიაში განზრახვის სახეა⁴²⁴. თუმცა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოითქვა კრიტიკული აზრი ევენტუალური განზრახვის მიმართ, რომ ის მისთვის შეუფერებელ და შეუთავსებელ იდენტობას არის ამოფარებული. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განზრახვის აუცილებელი თვისება გადაწყვეტილება არის, რაც შეუთავსებელია ევენტუალური განზრახვისთვის, რადგან „არაპირდაპირი გადაწყვეტილება“ წინააღმდეგობრივია და ხელოვნური⁴²⁵. გადაწყვეტილების პროდუქტს არ წარმოადგენს თანამდევნი შედეგი, რომელიც მისწრაფების შედეგად არ მიიღწევა⁴²⁶. საინტერესოა უზნაძისეული განმარტება განზრახვის სრულად გასაგებად და რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერებიც ხშირად იყენებენ. უზნაძის განმარტებით, „ გადაწყვეტის აქტის დროს პირს ნათელი წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა უნდა ქნას...“. სუბიექტის განცდას გადაწყვეტის აქტის დროს კი ასე ახასიათებს: „მე მინდა“ „ახლა მე ნამდვილად მინდა“ და ავტორი „მე მინდა“-ს მომენტს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე უბრალო შემეცნებას, თუ რა შეიძლება მოხდეს. ავტორის თქმით, „სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, ყოველი სხვაგვარი შესაძლებლობა გამორიცხული არის“⁴²⁷. დ. უზნაძე განზრახვას ახასიათებს როგორც ყველაზე „შეურყვეველ“ და „სტაბილიზებულ“ გადაწყვეტილებას⁴²⁸. ხორნაბუჯელიც, იმოწმებს რა უზნაძის თეზას განზრახვასთან მიმართებით, ამბობს, რომ „არაპირდაპირი გადაწყვეტილება“ წარმოუდგენელია⁴²⁹. გ. ნაჭყებია იზიარებს დასახელებული ავტორების განზრახვის ფსიქოლოგიურ დახასიათებას და დასძენს, რომ ევენტუალურ განზრახვას ნორმატიული ბუნებაც აქვს და, როგორც მისი სრულად „გაფსიქოლოგიურება“ მიაჩნია არასწორად, ასევე ეკიდება მის სრულ „განორმატიულებასაც“⁴³⁰. ევენტუალური განზრახვის ნორმატივიზაცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის

⁴²⁴ ცქიტიშვილი თ. 2014. სტატია. 107; წიქარიშვილი ვ. 2008. ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, *მართლმსაჯულება* N3. 42-43; Fletcher G. 2000. 355, 476; Bohlander M. 2009. 63.

⁴²⁵ გიგიტაშვილინ. 1997. ევენტუალური განზრახვის პრობლემა სისხლის სამართალში, *სამართალი* N11-12.

⁴²⁶ ცქიტიშვილი თ. 2014. სტატია. 102.

⁴²⁷ უზნაძე დ. 1964. *ზოგადი ფსიქოლოგია*, შრომები, ტ. III-IV. 189.

⁴²⁸ Ibid. 196.

⁴²⁹ Хорнабуджели Б.В. 1981. *Психологическая сторона вины*, Тбилиси. 30-31.

⁴³⁰ ნაჭყებია გ. 2011. 384; ასევე იხ. ხარაზიშვილი. 1975. *სიცრუის ფსიქოლოგია*. თბილისი, საბჭოთა საქართველო. 166.

მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობის დასაბუთებისთვის. იქ, სადაც ფსიქოლოგიურად შედეგის „სურვილი“ არ არსებობს, მას ნორმატიულად ხედავენ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თ. ცქიტიშვილის მოსაზრებაც, რომ „სურვილი“ სწორედ ისაა, რაც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას⁴³¹. სურვილის ცოდნის ელემენტზე დაყვანის მცდელობა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვასთან მიმართებითაც არსებობდა, როდესაც განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას მოიცავდა. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, როდესაც შედეგის დადგომის გარდაუვალობაში სუბიექტი დარწმუნებული იყო, მეცნიერებს, იმის გამო, რომ პირდაპირი განზრახვა დაესაბუთებინათ, ცოდნაზე დაჰყავდათ ნებელობითი ელემენტი, რაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. საბოლოოდ კანონში ცვლილება შევიდა და განზრახვის ცნებაში მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვაც აისახა. გ. ნაჭყებიას მართებული შენიშვნით, ცოდნა, რომ რაღაც გარდაუვლად დადგება, მოსალოდნელ შედეგს სასურველად ვერ აქცევს⁴³², იგივე უნდა ითქვას ევენტუალურ განზრახვასთან მიმართებითაც. ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომ პირს „არ სურს შედეგის დადგომა“ ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაგებული, ესაა კანონმდებლის ნება. ასე რომ არ ნდომოდა, არც გაითვალისწინებდა. კანონმდებელს შეუძლია ნებისმიერ კატეგორიას სხვა ნორმატიული მნიშვნელობა მიანიჭოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებისთვის⁴³³. ალ. ვაჩიშვილის აზრით, არაპირდაპირი განზრახვისთვის არასასურველი შედეგის მიღწევისკენ მიმართულის თქმა მას **შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ფენომენად** აქცევს⁴³⁴. ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის შედეგისადმი დამოკიდებულებას სურვილით და მისწრაფებით არც მაყაშვილი ახასიათებს, არამედ - პირიქით, მისი თქმით, „ პირი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა“⁴³⁵. ვ. მაყაშვილი აკრიტიკებდა გერმანულ-შვეიცარიული

⁴³¹ცქიტიშვილი თ. 2014. სტატია. 105.

⁴³²ნაჭყებია გ. 1990. პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა, *სახელმწიფო და სამართალი* N10. 21.

⁴³³Taylor G. 2004. Concepts of Intention in German Criminal Law: *Oxford Journal of Legal Studies*. Vol. 24, No. 1.117.

⁴³⁴ვაჩიშვილი ალ. 1957. *დანაშაულის სუბიექტური მხარე*, საბჭოთა სამართალი. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 236.

⁴³⁵ მაყაშვილი ვ. 1965. ევენტუალური განზრახვის საკითხისთვის, *საბჭოთა სამართალი* N4. 19.

დოგმატიკის მიდგომებს, რომელიც ევენტუალური განზრახვის ნებელობით ელემენტს „მოწონებაში“ ხედავდა. ვ. მაყაშვილის თქმით, მსგავსი დადებითი განცდები მოსალოდნელ შედეგთან მიმართებით არაპირდაპირი განზრახვით მოქმედ პირს არ გააჩნია, ამიტომ მიუღებლად მიაჩნდა მსგავსი მახასიათებლებით ევენტუალური განზრახვის ბუნების ახსნა⁴³⁶. სურვილის მიმართ, როგორც მცდელობის აუცილებელი ნიშნისა, რომელიც ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ცოდნაზე არ დაიყვანება, შეიძლება ის კრიტიკული აზრი გამოითქვას, რომ მაშინ არც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მცდელობა უნდა იყოს დასჯადი, რადგან სურვილი არც მისთვის არის დამახასიათებელი. ამ კითხვაზე სხვადასხვანაირად პასუხობენ მეცნიერები. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, რომლის მოსაზრებაც არ არის გასაზიარებელი, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს მაღალი კოგნიტიური ელემენტის გამო სურვილს ხედავს⁴³⁷. გ.ნაჭყებია ნების ცოდნაზე დაყვანას, მიუხედავად ცოდნის ხარისხისა, „ინტელექტუალიზმს“ უწოდებს⁴³⁸, რაც მისთვის მიუღებელია. იმაზე, თუ რატომ უნდა ისჯებოდეს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობა, მიუხედავად სურვილის არარსებობისა, თ. ცქიტიშვილის მოსაზრებაა გასაზიარებელი. ის მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას ცოდნამდე დაყვანილი ნებელობით კი არ ასაბუთებს, არამედ განზრახვის აუცილებელი ნიშნის - გადაწყვეტილების - არსებობით, რომ ეს უკანასკნელი მინიმუმ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს არსებობს⁴³⁹, რა დროსაც პირი შედეგის მისაღწევად არის მობილიზებული და ძალისხმევას არ ზოგავს ამისთვის, შესაბამისად, ეს წინააღმდეგობაში არ მოდის მცდელობის არსთან და არც ზოგადად განზრახვის ბუნებასთან.

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში უმცირესობის აზრი მხარს უჭერს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას. ამ მიმართებით ერთ-ერთი პიონერი მერაბ ტურავაა. მისი აზრით, დანაშაულის მცდელობა განზრახვის ორივე

⁴³⁶ Ibid. 26.

⁴³⁷ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2010. 90.

⁴³⁸ ნაჭყებია გ. 1990. 25.

⁴³⁹ ცქიტიშვილი თ. 2014. სტატია. 103-104.

სახით არის შესაძლებელი⁴⁴⁰. ამ მოსაზრებას რამდენიმე სხვა ქართველი მეცნიერიც უჭერს მხარს⁴⁴¹ და თავიანთი პოზიციის მხარდასაჭერად რამდენიმე არგუმენტს იშველიებენ, მათ შორის ცდილობენ გააბათილონ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებიც. ერთ-ერთი არგუმენტი სსკ-ის მე-19 მუხლის განსაზღვრებაა, სადაც პირდაპირი მითითება პირდაპირ განზრახვაზე არ არსებობს და მიუთითებენ კანონმდებლის ისტორიულ ნებაზე, როდესაც კოდექსის თავდაპირველი პროექტიდან სარეფორმო კომისიამ პირდაპირ განზრახვაზე სპეციალური დათქმა ამოიღო⁴⁴². მოწინააღმდეგეთა მხრიდან მცდელობის სუბიექტური მხარის აღმნიშვნელად მითითებული „უშუალოდ“ და „მიმართული“ სხვადასხვა მხრიდან გაკრიტიკდა. მ. ტურავას აზრით, რამდენადაც ქმედება და შედეგი ევენტუალური განზრახვის დროსაც ნებელობითია, შედეგთან უშუალოდ მიმართულია ისიც⁴⁴³, ხოლო ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტი, რომ შედეგის მიღწევა სურვილით არ უნდა იყოს მოცული, მისი თქმით, ერთმნიშვნელოვნად არ უნდა იქნეს გაგებული და აუცილებელია მისი ნორმატიული გაგება⁴⁴⁴. ლ. ხარანაულის აზრით, სიტყვები - **უშუალოდ მიმართული** მცდელობის ობიექტური მხარის აღმნიშვნელია და არა სუბიექტურისა, შესაბამისად, ის ვერ გამოდგება არგუმენტად⁴⁴⁵. ეგდმ-ს მოწინააღმდეგეთა იმ პოზიციის გასაბათილებლად, რომელიც საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზების მიზანს ემყარება (სსკ-ის 127-130 მუხლები), მ. ტურავა მათ სხვაგვარად განმარტავს. მ. ტურავას განმარტებით, დასახელებულ დელიქტებში მოსალოდნელ შედეგთან მხოლოდ გაუფრთხილებლობა იგულისხმება, როგორც შვეიცარიის სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაშია, და დასძენს დასახელებული ნორმების შემოღების შვეიცარიული კანონმდებლობით ხელმძღვანელობის ფაქტს⁴⁴⁶. ამ მოსაზრებასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ნებისმიერმა ნორმამ შეიძლება სახეცვლილება განიცადოს იმ ნორმატიულ რეალობაში, სადაც იწყებს მოქმედებას და

⁴⁴⁰ტურავა მ. 2013. 136, 140. ტურავა მ. 2011. 306.

⁴⁴¹ხარანაული ლ. 2013. 155-163; ჯიშკარიანი ზ. 2015. 102; ებრალიძე თ. 2002.*სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი*(დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ). თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 121.

⁴⁴²ტურავა მ. 2013. 139.

⁴⁴³ტურავა მ. 2013. 140.

⁴⁴⁴ტურავა მ. 2011. 287.

⁴⁴⁵ხარანაული ლ. 2013. 156.

⁴⁴⁶ტურავა მ. 2011. 301.

ამასთან დაკავშირებით შეზღუდვა ვერ იარსებებს. ის, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა შვეიცარიული მოდელის ანალოგია, არ ნიშნავს იმას, რომ ის საქართველოს რეალობაშიც ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც შვეიცარიაში. ამასთან ფაქტია, რომ დასახელებული საფრთხის შემქმნელი დელიქტები საქართველოში ათეული წლების განმავლობაში არსებობდნენ და ისე განიმარტებოდნენ, როგორც ამას ო. გამყრელიძე და თ. წერეთელი წერენ. სწორედ ასეთია მათი ამჟამინდელი იდენტობაც და არა ის, რაზეც მ. ტურავა საუბრობს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ნორმამ დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სახე შეიცვალოს⁴⁴⁷, მაგრამ ეგდმ-ის მომხრეთა მხრიდან ამის საჭიროება ვერ საბუთდება, გარდა იმ აზრის არაერთგზის გამეორებისა, რომ ეგდმ-ის დასჯადობის აღიარება პრაგმატული⁴⁴⁸ მოსაზრებებით აიხსნება. ამასთან მ. ტურავას მხრიდან დასახელებული ნორმების შვეიცარიული მოდელის ისტორიული კვლევაც არ არის ცალსახა, რადგან, სხვა წყაროს მიხედვით, კარლ შტოსის განმარტებით, რომელსაც ეკუთვნის დასახელებული ნორმების იდეა, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი, ხოლო იმავე საფრთხის არაპირდაპირი განზრახვით შექმნისას ქმედება საფრთხის შემქმნელი სპეციალური ნორმებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო⁴⁴⁹. საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზების ასეთივე მიზანი იკითხება ფრანგულ⁴⁵⁰ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალშიც. მ. ტურავას განმარტებით, გერმანიასა და შვეიცარიაში, დომინანტი მიდგომით, ეგდმ აბსოლუტურად მისაღებია⁴⁵¹, თუმცა სხვა ასეთივე სანდო კვლევების მიხედვით, რომელთაც ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი იმოწმებს, არც ერთ დასახელებულ ქვეყანაში ეგდმ-ს კვალიფიკაცია არ წარმოადგენს ისეთ უპრობლემო და უპირობო მიდგომას, როგორც ამას მომხრეები წარმოაჩენენ დოქტრინაში. კვლევის თანახმად, მიუხედავად ამ იდეის აღიარებისა, სასამართლო ქმედების საფრთხის შემქმნელ დელიქტად კვალიფიკაციას ამჯობინებს ეგდმ-ს გამოყენება, ამ უკანასკნელის ბუნდოვანების გამო. ეგდმ აღიარებას კი გერმანიის

⁴⁴⁷Fallon, Jr., R.H. 1997. The Rule of Law, as a Concept in Constitutional Discourse, *Columbia Law Review* Vol. 97, No. 1. 13-14. Scalia A. 1989. The Rule of Law as a Law of Rules, *The University of Chicago Law Review* Vol. 56, No. 4. 1183-1187.

⁴⁴⁸ტურავა მ. 2011. 301.

⁴⁴⁹მამულაშვილი გ. 2008. 127.

⁴⁵⁰ Ibid. 127-128.

⁴⁵¹ტურავა მ. 2013. 138.

კანონმდებლობაში საკმარისი საფრთხის დელიქტების არარსებობით ხსნიან⁴⁵². ასეთივე პროცესუალურ პრობლემებზე და კვალიფიკაციის ბუნდოვანებაზე საუბრობენ შვეიცარიელი მკვლევარებიც ეგდმ-სთან მიმართებით. კვლევის თანახმად, ეგდმ-ის არსებობა სასამართლოს აიძულებს კვალიფიკაცია დაამყაროს მხოლოდ გამოყენებული საშუალების საშიშროებაზე მაშინ, როცა ქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოსალოდნელ შედეგთან მიმართებით საკამათოა⁴⁵³. ეგდმ-ის მომხრეების ინტერპრეტაციები ევენტუალური განზრახვის დასახასიათებლად, რომლებიც ემყარება გერმანული მიდგომას, არ არის რელევანტური ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებით. განსხვავებით გერმანიის სსკ-გან, სადაც განზრახვას არ აქვს საკანონმდებლო განსაზღვრება⁴⁵⁴ და, შესაბამისად, მისი სახეები არ არის დავიწროვებული ისეთი ნებელობითი ელემენტებით, როგორცაა სურვილი ან კიდევ მისი არარსებობა და სასამართლოც არ არის ამ მხრივ შეზღუდული, ქართულ სსკ-ში განზრახვა განსაზღვრულია.

ეგდმ-ს შესაძლებლობაზე საუბარი სიახლეს არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დოგმატიკასა თუ სასამართლო პრაქტიკისთვის. ისტორიული ანალიზიც ცხადყოფს იმას, რომ ქართულმა სისხლის სამართალმა მრავალწლიანი კამათისა და ბუნდოვანი პრაქტიკის შემდეგ სწორედ ორგვარი კვალიფიკაციის მოდელი აირჩია, კერძოდ: პირდაპირი განზრახვით მცდელობისა და მოსალოდნელ შედეგთან ევენტუალური განზრახვის არსებობისას საფრთხის შემქმნელი დელიქტებისა, რასაც კვალიფიკაციის სიზუსტის, კანონის სისტემური ჰარმონიისა და სხვა ზემოთ განხილული უპირატესობებით ასაბუთებენ. დასახელებული დისკუსია საბჭოთა სს დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაშიც არსებობდა და ჯერ კიდევ მაშინდელი პრაქტიკით განისაზღვრა მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობად მხოლოდ პირდაპირი განზრახვა⁴⁵⁵. მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტის საპასუხოდ, რომ მცდელობის ნიშანი მიზანმიმართულობასა და სურვილში დევს, რაც კატეგორიულად არ ახასიათებს ევენტუალურ განზრახვას, მ. ტურავა ევენტუალურ განზრახვას

⁴⁵²მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 76-77.

⁴⁵³ Ibid. 77.

⁴⁵⁴ Taylor G. 2004. 101.

⁴⁵⁵ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება N9.1963. საბჭოთა სამართალი N6. 63.

ნორმატიულად გაგებული და სუსტი სურვილით ახასიათებს⁴⁵⁶, რასაც ეთანხმება ლ. ხარანაულიც⁴⁵⁷. ნ. თოდუას მართებული შენიშვნით, ნორმატიულად გაგებული „სუსტი სურვილის“ შემოტანის შემთხვევაში საჭირო გახდება სუსტი და ძლიერი სურვილების ურთიერთგამმიჯნავი საზომის შემოღებაც, რაც მას ხელოვნურად მიაჩნია⁴⁵⁸. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის აზრით კი, სუსტი სურვილის შემოტანა ზღვარს წაშლის ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორისაც⁴⁵⁹, რაც კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანების მიზეზი გახდება. ამასთან შეუძლებელია ზემოთ განხილული ისტორიული დისკურსის გააზრების შემდეგ, რაც მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობას მიეძღვნა, მე-9 მუხლში ხაზგასმულ სიტყვებში - არ სურს - კანონმდებლის ერთმნიშვნელოვანი განზრახვა არ ამოვიკითხოთ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკაც მცდელობის შემადგენლობაში მხოლოდ პირდაპირ განზრახვას მოიაზრებს, რაც ხაზგასმითაა აღნიშნული საერთო სასამართლოების უახლეს გადაწყვეტილებებში⁴⁶⁰.

რაც შეეხება ეგდმ-ის იდეის მოწინააღმდეგეთა სხვა არგუმენტს, რომელიც სსკ-ის კერძო ნაწილში 117-ე მუხლის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას, მის საპასუხოდ აღნიშნული იდეის მომხრეები განმარტავენ შემდეგს, პირველი: შედეგთან მიმართებით შეიძლება პირს თვითიმედოვნებაც ჰქონდეს, და მეორე: ეს არ არის ძლიერი არგუმენტი ეგდმ-ზე უარის სათქმელად და, მათი თქმით, სსკ-ის 117-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას, ე.ი, როდესაც პირი დამოუკიდებელი ნებით შედეგს ბოლომდე არ მიიყვანს, თუმცა მიყენებული დაზიანება თუ სიცოცხლისთვის სახიფათოა, უნდა დაექვემდებაროს შერაცხვას⁴⁶¹. 117-ე მუხლის მხოლოდ ამ ჭრილში დანახვა არ უნდა იყოს სწორი, არც სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს.

ეგდმ-ის უარყოფელი პოზიცია ერთგვარად გაამყარა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის კვლევაშიც. სასამართლო ქმედების სუბიექტურ

⁴⁵⁶ტურავა მ. 2013. 142; ტურავა მ. 2011. 271, 286, 309.

⁴⁵⁷ხარანაული ლ. 2013. 158.

⁴⁵⁸თოდუას დასახელებული კომენტარისთვის იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2010. 92.

⁴⁵⁹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2010. 91-92.

⁴⁶⁰სუზს-ის N33აპ-18 განაჩენი, 21 მაისი 2018; სუზს-ის N227აპ-16 განაჩენი, 29 სექტემბერი 2016; სუზს-ის N64აპ-18 განაჩენი. 29 ივნისი 2018.

⁴⁶¹ტურავა მ. 2013. 137. ამ აზრს იზიარებს ხარანაულიც. 2013. 158.

შემადგენლობად ევენტუალური განზრახვის შეფასებას მაშინაც ერიდება, როდესაც დანაშაული დასრულებულია. მაგალითად: რამდენიმე ძალიან მსგავს საქმეში, სადაც ერთმა მეორეს თავისა და მუცლის არეში მრავალჯერადი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც პირი გარდაიცვალა და არც ერთი მტკიცებულებიდან არ იკითხებოდა შედეგის არდადგომის მოლოდინი, სასამართლომ ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) დააკვალიფიცირა⁴⁶². ასევე საინტერესოა სხვა საქმე, სადაც დაშინების მიზნით ჰაერში გასროლის შემდეგ, დაზარალებულის მხრიდან გინების საპასუხოდ, პირმა მისი მიმართულებით, ამასთან 4 მეტრის მანძილიდან და ღამის საათებში, ოთხჯერ გაისროლა. ტყვიებიდან დაზარალებულს ერთი კისერში, ხოლო დანარჩენი გულმკერდის არეში მოხვდა. შედეგად გარდაიცვალა. გამოძიების ეტაპზე პირს ბრალი სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წაუყენეს და, მიუხედავად სასამართლო ინსტანციებშიც პროკურორის მხრიდან ბრალდების მხარდაჭერისა, პირის ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია⁴⁶³. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით პირის ქმედება მინიმუმ არაპირდაპირ განზრახვას ავლენდა, მიუხედავად შედეგის რეალიზებისა, სასამართლომ მაინც ეს გზა აირჩია. ე.ი. სასამართლო მაშინაც ფრთხილობს, როდესაც ევენტუალური განზრახვით შედეგი დგება და ქმედებას არ აფასებს მკვლელობად⁴⁶⁴. სასამართლო პრაქტიკიდან კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, სადაც ავტომანქანის თავზე შემომჯდარი ორი ადამიანის შეძახილებით (უფრო სწრაფად წაეყვანა) გაღიზიანებულმა მძღოლმა სიჩქარეს ისე მოუმატა, რომ, მიუხედავად მანქანის სახურავზე და მანქანაში მსხდომი პირების მხრიდან თხოვნისა და გაფრთხილებისა, რომ შეიძლებოდა ადამიანები ზემოდან გადმოცვენილიყვნენ და დახოცილიყვნენ, ის განაგრძობდა დიდი სიჩქარით მანქანის ტარებას, რასაც შედეგად ერთ-ერთი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ხოლო მეორეს ჯანმრთელობა დაუზიანდა. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც, სადაც ევენტუალური განზრახვა აშკარად

⁴⁶²თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 26 მარტი 2014. და .1 აგვისტო 2014. განაჩენი; სუხს N209 აპ განჩინება. 21 ივნისი 2006.

⁴⁶³სუხს N 34-აპ განჩინება. 27 ნოემბერი 2006.

⁴⁶⁴იგივე მიდგომას ირჩევს მოსამართლე როდესაც შედეგი არ დგება და ქმედებას 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით აკვალიფიცირებს. იხ. სუხს N 593-აპ განჩინება. 28 ნოემბერი 2006.

იკითხებოდა (შედეგის შეგნებული დაშვება) მოსალოდნელი შედეგების მიმართ, ქმედება სატრანსპორტო დანაშაულად დააკვალიფიცირა⁴⁶⁵, რაც გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შედარებით ძველი ქართული სასამართლოს პრაქტიკაც, სადაც ხშირი იყო ქმედების ეგდმ-დან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე გადაკვალიფიცირების შემთხვევები⁴⁶⁶. თ. ებრალიძე, რომელიც ეგდმ-ს მომხრეა, საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან შედარებით პროპორციული სასჯელის ქონის გამო თავისივე არგუმენტის საპირისპიროდ ხშირად მხარს უჭერს გადაკვალიფიცირების მსგავს პრაქტიკას იმ გარემოებებზე მითითებით, რომ პირს ვინმეს სიკვდილი რომ ნდომოდა, ხელს არაფერი უშლიდა განზრახვის ბოლომდე მიყვანაში⁴⁶⁷, რაც არ შეიძლება კვალიფიკაციის შეცვლის საზომად ჩაითვალოს, რადგან ევენტუალური განზრახვის დროს პირს არ სურს შედეგის დადგომა და, თუკი აღიარებ ეგდმ-ს დასჯადობას, ეს არ უნდა იყოს კვალიფიკაციაზე უარის თქმის არგუმენტი.

ეგდმ-ს მომხრეები თავიანთი პოზიციის მხარდაჭერას პრაგმატული მოსაზრებებით ცდილობენ და ჰიპოთეტური თუ პრაქტიკული მაგალითებით ცდილობენ ეგდმ დასჯადობის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, რომ თითქოს სასამართლოც აღიარებს მას. მაგალითად, თ. ებრალიძე იმოწმებს 2000 წლის საქმეს, სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ეგდმ-ს დასჯადობას შესაძლებლად მიიჩნევს⁴⁶⁸, ხოლო ხარანაული - 2008 წლის საქმეს,⁴⁶⁹ სადაც სასამართლო კვლავ აღიარებს ეგდმ-ს⁴⁷⁰. თუმცა მოყვანილ საქმეში ერთმა მეორეს კისრის არეში ორჯერ მიაყენა დანით ჭრილობა და, რომ არა თავად დაზარალებულის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა და დამხმარე პირების გამოჩენა, მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ სუბიექტი დანის ჩარტყმის ტენდენციას კვლავ ამჟღავნებდა. გარდა ამისა, სუზს თავის გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჭრილობა უკიდურესად სახიფათო იყო სიცოცხლისთვის და მოსალოდნელი შედეგი „უცილობლად“

⁴⁶⁵თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 23 სექტემბერი 2014.

⁴⁶⁶ებრალიძე თ. 2002. 115- 117, 119;121-122.

⁴⁶⁷Ibid.115-116.

⁴⁶⁸ებრალიძე თ. 2002. 121.

⁴⁶⁹ხარანაული. 2013. 162.

⁴⁷⁰იხ. სასამართლოს სხვა ძველი საქმეები სადაც ქმედება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობად იქნა შეფასებული. სუზს-ის N2კ-44კოლ.-03 განჩინება. 30 მაისი 2003; სუზს-ის N 661აპ-09 განჩინება. 11 იანვარი 2010.

გათვალისწინებული ექნებოდა პირს. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებები და ქმედების სუბიექტური მხარის დახასიათება უფრო პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებდა, თუმცა სასამართლო ბოლოს ამბობს, რომ ეს ქმედება ევენტუალური განზრახვით იყო ჩადენილი⁴⁷¹. კიდევ უფრო აშკარა მაგალითი, სადაც პირი მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს და ეგდმ-დ შეაფასეს, ლ. ხარანაულს მოჰყავს გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან და ეთანხმება კვალიფიკაციას. მის მიერ დასახელებულ საქმეში ერთმა მეორეს დასჯის მიზნით საფეთქელში ესროლა. საფეთქელში სროლის დროს წარმოუდგენელია ადამიანს შედეგის დადგომის გარდაუვალობა არ ჰქონდეს შეგნებული და მისი არაპირდაპირ განზრახვად შეფასება მცდარია. ხარანაულს ეგდმ-ს დასასაბუთებლად ჰიპოთეტური მაგალითი მოჰყავს, სადაც პირი გაუპატიურებისას ქალს ყელზე ხელს უჭერს ძლიერ იმ შეგნებით, რომ ამ ქმედებას ან სიკვდილი მოჰყვება, ან ჯანმრთელობის დაზიანება. ავტორის თქმით, თუკი ეგდმ-ს არ ვაღიარებთ, რადგან „მკვლელობა გამიზნული არ იყო“⁴⁷², უსამართლო შედეგებამდე მივალთ. მოყვანილი არგუმენტიც ხელოვნურია და ვერაფრით ასაბუთებს ეგდმ-ს საჭიროებას, რადგან მაგალითში ქმედების სუბიექტი აშკარად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ის ან ერთი, ან მეორე შედეგის მიღწევას ცდილობს, თუმცა მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენიმე გარდაუვლად მოსალოდნელი შედეგიდან რომელი დადგება. აღნიშნული კი პირდაპირ (ალტერნატიულ) განზრახვაზე მიუთითებს და შესაბამისი წესებით მოხდება კვალიფიკაცია. ლ. ხარანაული თავისი პოზიციის გასამყარებლად იშველიებს სხვა მაგალითების სერიასაც. ავტორი ცდილობს დაგვანახოს ეგდმ-ს ნაცვლად სსკ-ის 127-ე მუხლის გამოყენების უსამართლობა და კვალიფიკაციის უზუსტობა: თუკი ორი ადამიანის გასროლილი ტყვიიდან ერთ-ერთის ტყვიით დაზარალებული მოკვდება, ამასთან ერთი სურვილით მოქმედებდა, ხოლო მეორე - არაპირდაპირი განზრახვით, და გამოძიებით ვერ დადგინდება, უშუალოდ რომლის გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა დაზარალებული, ავტორის თქმით, დომინანტი აზრის მიხედვით, პირველის ქმედება მკვლელობის მცდელობად შეფასდება, ხოლო მეორის ქმედება - 127-ე მუხლით. მას ეს კვალიფიკაცია გაუმართლებელი ჰგონია, რადგან, მისი აზრით,

⁴⁷¹სუფის განჩინება. 24 სექტემბერი 2008. კრებულში: სუფს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეზე N8. 2008.

⁴⁷²ხარანაული ლ. 2013. 187.

იქ, სადაც ადამიანი მკვდარია, სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამოყენება თავის აზრს კარგავს⁴⁷³. მაგრამ ამ ავტორს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენის დროს მსხვერპლი ცოცხალი იყო და, შესაბამისად, მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, ამიტომ გაუგებარია ზემოთ მოყვანილი არგუმენტი სსკ-ის 127-ე მუხლის გამოყენებასთან მიმართებით. სხვა მსგავს მაგალითზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს *in dubio pro reo* პრინციპის შემოტანით გადაულახავი პრობლემა დაგვანახოს: ა. მისი წარმოდგენით, მცირე დოზის საწამლავს აწვდის ბ.-ს მისი დატანჯვის და არა მოკვლის მიზნით, ბ. მოგვიანებით ავიაკატასტროფაში დაიღუპა. გამოძიებით დადგინდა, რომ მიწოდებული დოზა სავსებით საკმარისი იყო სიკვდილისთვის, თუმცა ვერ დადგინდა უშუალოდ დაღუპვის მიზეზი: საწამლავი თუ ავიაკატასტროფა, ავტორის თქმით, ეგდმ-ს მოწინააღმდეგეებს ისღა დარჩენიათ, რომ უარი თქვან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპზე⁴⁷⁴. არც ეს მაგალითი გამოდგება ეგდმ-ის მხარდასაჭერად, რადგან მისი მოწინააღმდეგეები დასახელებულ შემთხვევაშიც სსკ-ის 127-ე მუხლს (ან 117-ე მუხლს) გამოიყენებენ და არავითარი დოგმატიკური თუ პრაქტიკული სირთულე ამ თვალსაზრისით არ არსებობს. სხვა მაგალითში, სადაც რამდენიმე ადამიანი გაისვრის, ზოგი მსხვერპლის მოკვლის სურვილით, ზოგი სურვილის გარეშე და შედეგის დაშვებით, ზოგიც ჰაერში, იქ, სადაც ადამიანი ერთ-ერთის გასროლის შედეგად მოკვდება და შეუძლებელია ამის დადგენა, თუ რომლის ტყვიამ იმსხვერპლა, გამოძიება ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე, ე.ი სუბიექტური შემადგენლობის გამორკვევის გარეშე, პირთა ქმედებას აკვალიფიცირებს ეგდმ-ად. ავტორთა ნაწილი ასეთ კვალიფიკაციას ეგდმ-ს ბოროტად გამოყენებას უწოდებს, მაგრამ, მიუხედავად ასეთი გადაწყვეტის ნეგატიურ კონტექსტში განხილვისა, საბოლოოდ მაინც იზიარებენ ასეთ კვალიფიკაციას პრაგმატული მოსაზრებებით⁴⁷⁵. იმას, ვინც ჰაერში გაისროლა, გამოდის, რომ სხვისი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაუყენებია და, შესაბამისად, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაც არ ჩაუდენია. მსგავსი კვალიფიკაცია, პრაგმატული მოსაზრებებით, ამართლებს ასეთი უდანაშაულო ადამიანის დასჯას, რაც გაუმართლებელია და სწორედ ეს ეწინააღმდეგება

⁴⁷³ ხარანაული ლ. 2013. 164-165.

⁴⁷⁴ Ibid. 165.

⁴⁷⁵ ტურავა მ. 2013. 141; ხარანაული ლ. 2013. 161.

უდანაშაულობის პრეზუმფციას. გამოძიებამ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, თუ ის უძღურია, მაშინ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების მისაღწევად უდანაშაულო ადამიანის პასუხისგებაში მიცემა გამართლებულია. შესაბამისად, არც მოყვანილი მაგალითი გამოდგება ეგდმ-ს უპირატესობის დასასაბუთებლად. ხარვეზი, რომელსაც კანონმდებლობა ავლენს მსგავს უიშვიათეს სიტუაციებთან მიმართებით, შესაძლებელია დაიდლოს ისევ ახალი შეკვეცილი დელიქტის შემოღებით.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი რამდენიმე სუზს-ის გადაწყვეტილებისა, სადაც ხაზგასმულია ეგდმ-ის შესაძლებლობა, კვლევამ აჩვენა ათობით სხვა ისეთი გადაწყვეტილება (როგორც ძველ, ისე ახალ პრაქტიკაში), სადაც სასამართლო სსკ-ის 128,117 და სხვა მსგავს მუხლებს იმ მნიშვნელობით იყენებს, როგორც ეს მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ არის გაგებული. მაგალითად: 2004 წლის სუზს-ს გადაწყვეტილებით ერთ-ერთ საქმეზე ძალაში დარჩა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი კვალიფიკაცია. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ა, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა ავტობუსს, დაეჯახა სამ ადამიანს, რომლებიც დაჯახების შედეგად სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანი კი გზისპირა არხშიც გადავარდა. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლის მხრიდან ეს გარემოება აღიქმებოდა, ამასთან უკვე ღამის საათები იყო და სუსხიანი სიცივეც, მან დაზარალებულები ბედის ანაბარა დატოვა და გზა განაგრძო. ერთ-ერთი დაზარალებული გარდაიცვალა კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ პირის ქმედებაში არაპირდაპირი განზრახვა იკითხება მოსალოდნელ შედეგთან მიმართებით, რადგან არავითარი გარემოება არ მიუთითებდა იმაზე, თუ რატომ გამორიცხავდა შედეგის დადგომას, არამედ - პირიქით, შედეგის შეგნებულ დაშვებაზე უთითებს მტკიცებულებები, სასამართლომ ქმედება განსაცდელში მიტოვებად დააკვალიფიცირა, ხოლო დამდგარ შედეგთან მიმართებით - გაუფრთხილებლობით სატრანსპორტო დანაშაულად⁴⁷⁶. ამავე კონტექსტშია განსახილველი საქმე, სადაც ავადმყოფს პოსტაბორტული მწვავე მდგომარეობის გამო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა.

⁴⁷⁶სუზს განჩინება N370-აპ. 15 ნოემბერი 2005.

მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის მდგომარეობა საათობრივად მძიმდებოდა, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩატარდა საავადმყოფოში მიყვანიდან 7 საათის შემდეგ, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პაციენტს დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა ოპერაცია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გარემოება იმაზე მეტყველებდა, რომ ექიმის მხრიდან ადგილი ჰქონდა შედეგის დადგომის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას, რაც საბოლოო ჯამში დადგა კიდევ, მისი ქმედება, დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაუწევლობასთან მიმართებით, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებად დაკვალიფიცირდა. კვალიფიკაცია არასწორია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი დადგა, საბოლოოდ ექიმის ქმედება სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეფასდა (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია)⁴⁷⁷. ამდენად, გაუგებარია, თუ სსკ კანონმდებლობა აღიარებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას და ამის შესაბამისად ამას აღიარებს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც, რატომ ხდება ისე, რომ არ არის ერთგვაროვანი სასამართლოს გადაწყვეტილებები მსგავს შემთხვევებთან მიმართებით?! გაუგებარია ისიც, თუ როდის ანაცვლებენ ერთმანეთს განსაცდელში მიტოვებას და ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას. მითუმეტეს, განხილულ შემთხვევაში შედეგი რეალურად დადგა. განხილული საქმეების ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ ძირითად შემთხვევაში სასამართლო იყენებს დომინანტ მიდგომას⁴⁷⁸ და მხოლოდ გამონაკლისის სახით - ეგდმ-ის კვალიფიკაციას. ეს საქმეც იმაზე მეტყველებს, რომ ეგდმ-ის კვალიფიკაცია შემთხვევითია. სასამართლო ევენტუალური განზრახვის შეფასებას დასრულებულ დანაშაულებშიც კი ერიდება, რაც სსკ-ის 117-ე მუხლთან მიმართებითაც ვნახეთ. ასეთი სიფრთხილე შეიძლება ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის მცირე ზღვარის არსებობით აიხსნებოდეს, მათ შორის ზღვარის გავლება კი კიდევ უფრო დელიკატურია დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, რადგან თვითიმედოვნების დადგენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ამდენად, ეგდმ-ის მომხრეთა არგუმენტი არა სასამართლო

⁴⁷⁷ასევე იხ. საქმეები სადაც მიუხედავად მოსალოდნელი შედეგისადმი ევენტუალური განზრახვისა ქმედება სსკ-ის 128-ე მუხლით შეფასდა. სუზს N1463აპ განჩინება. 4 იანვარი 2008. და სუზ N1156აპ განჩინება. 3 იანვარი 2008.

⁴⁷⁸ასევე იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენები: 23 სექტემბერი 2014, 24 აპრილი 2014 და 9 ივლისი 2014.

პრაქტიკას, არამედ ძირითადი მიდგომიდან რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევას ემყარება, რომელთაგან არცერთი შემთხვევა ეგდმ-ად დაკვალიფიცირების აუცილებლობაზე არ მიუთითებდა. ის, თუ სასამართლომ რატომ დაუშვა ეგდმ და არ გამოიყენა საფრთხის შემქმნელი რომელიმე დელიქტი, გაუგებარია. მინიმუმ დომინანტი მიდგომიდან გადახვევის დროს ეს უნდა დაესაბუთებინა. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა სუზს-ს მორიგი საქმე⁴⁷⁹, სადაც პირის ქმედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობად (19,117) შეფასდა. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია ქმედების ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებად შეფასების თაობაზე იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ დაზიანებები მიყენებულია ბარძაყის ნაწილში, სადაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არტერიები გადის. შედეგის არდადგომა კი ქმედების სუბიექტისგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობით ახსნა (დაზარალებულის სწრაფი რეაქცია). სასამართლო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასთან მიმართებით სუბიექტური მხარის წარმოსაჩენად იყენებს სიტყვას „მიზანმიმართული“, რაც პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს. ამდენად, კვალიფიკაცია სწორია. თუმცა ჩნდება კითხვა: თუკი სუზს-თვის ეგდმ აღიარებული პრაქტიკაა და არა შემთხვევითი, მაშინ რა უშლიდა ხელს აღნიშნული ქმედება შეეფასებინა როგორც მკვლელობის მცდელობა, რადგან სხეულის მსგავს ნაწილში რამდენჯერმე დაზიანების მიყენება სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი რისკის მატარებელია. შედეგი (სიკვდილი) შესაძლოა არ სურდა, მაგრამ ხომ უშვებდა? საყურადღებოა კიდევ ერთი გადაწყვეტილება, სადაც მოკვლის განზრახვით ხალხმრავალ ადგილას სანადირო თოფიდან გასროლა (ჩხუბის შემსწრე გარეშე პირების მიმართ) სუზს-მ სსკ-ის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შეაფასა და არა ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობად⁴⁸⁰. საფრთხე, რომელიც სხვებს შეექმნათ, კონკრეტული იყო, რაც სასამართლომ აღნიშნა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეგდმ-ის მომხრე მეცნიერის, ლ. ხარანაულის მოსაზრება⁴⁸¹, რომ, თურმე აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების დროს სხვების მიმართ საფრთხე აბსტრაქტული უნდა იყოს, ხოლო კონკრეტული საფრთხის შემთხვევაში მკვლელობის მცდელობაა, არ არის მხარდაჭერილი. აღნიშნული

⁴⁷⁹სუზს განაჩენი N109აპ-10. 2010.

⁴⁸⁰სუზს განაჩენი N2კ-7აპ.-07. 2007.

⁴⁸¹ხარანაული ლ. 2013.160.

გადაწყვეტილებებიც სწორედ იმ აზრს აძლიერებს, რომ ეგდმ-ის პრაქტიკა ქართულ სასამართლოში შემთხვევითია და არა მიზანმიმართულად არჩეული ორიენტაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეგდმ-ის მომხრეებს ძირითად შემთხვევაში ეგდმ-ის საილუსტრაციოდ მოჰყავთ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მცდელობის შემთხვევები. ამდენად, მათი პოზიცია სუსტია და ყველაზე პრაგმატული მოსაზრებითაც რომ დავუშვათ ევენტუალური განზრახვის ნებელობით ელემენტის ინტელექტუალიზაცია, მისი საჭიროება ვერ აჩვენა ვერც ერთმა კვლევამ და პრაქტიკულმა შემთხვევამ. თუკი 127-128 და 130-ე მუხლებით გათვალისწინებული სანქცია ვინმეს არაპროპორციულად მსუბუქი ეჩვენება,⁴⁸² სწორედ ეს უნდა გახდეს განსჯის და კამათის საგანი და არა ეგდმ-ს ხელოვნურად აღიარება ამდენი მუხლის უსარგებლოდ ქცევის ხარჯზე.

ეგდმ-ის აღიარება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი და გაზიარებული არგუმენტებისა, თუ რატომ ჯობია დომინანტი მიდგომა, ასევე შექმნის დაუმთავრებელ სტადიაზე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის (თვითიმედოვნება) დასჯადობის რისკს მისი ევენტუალურ განზრახვად შეფასების ხარჯზე⁴⁸³.

არაპირდაპირი განზრახვასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემის გამო უნდა აიხსნას ის, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მიდგომით, ის ან გაუფრთხილებლობის სახედ არის მიჩნეული(საფრანგეთი), ან ევენტუალური განზრახვისა და გაცნობიერებული გაუფრთხილებლობის გამაერთიანებელ ცალკე ფორმად არის განსაზღვრული (ინგლისი, აშშ)⁴⁸⁴. ევენტუალური განზრახვის განზრახვიდან გამოცალკევების იდეა, ანგლო-ამერიკული მიდგომის მსგავსად, ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში მ. ტურავამ შემოიტანა⁴⁸⁵, თუმცა ეს ეგდმ-ის დასჯადობის დასასაბუთებლად ნამვილად არ გამოადგება, არამედ - პირიქით, ამით ავტორი აღიარებს იმ პრობლემებს, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება. გამოცალკეება კი წერტილს დაუსვამდა მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით

⁴⁸²ხარანაული ლ. 2013. 164.

⁴⁸³ ურთიერთგამიჯვნის პრაქტიკულ სირთულეზე გერმანული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შესახებ იხ. Taylor G. 2004. 113.

⁴⁸⁴ შედარებით-სისხლისსამართლებრივი ანალიზისთვის იხ. წიქარიშვილიკ. 2008. 34-40.

⁴⁸⁵ტურავა მ. 2011. 288-289.

არსებულ კამათს და განზრახვის ქვეშ მოაზრებული იქნებოდა მხოლოდ ნამდვილი განზრახვა, პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა და, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით კამათი შეწყდებოდა.

ევენტუალური განზრახვის გამოყოფა განზრახვისგან და მისი თვითიმედოვნებასთან შერწყმა სწორედ არაპირდაპირი განზრახვის ბუნების და მისი თვითიმედოვნებისგან განცალკევების ხელოვნურობით უნდა დასაბუთდეს, რასაც საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაც ცხადყოფს. როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, სასამართლო ხშირად ერიდება ქმედების მკვლევლობად შეფასებას იქ, სადაც სუბიექტური შემადგენლობა არაპირდაპირი განზრახვაა არათუ ქმედების მცდელობის ეტაპზე შეწყვეტის დროს, არამედ შედეგის დადგომის დროსაც. გ. ტეილორის მართებული შენიშვნით, ევენტუალური განზრახვის განზრახვის ქვეშ მოაზრება ძალიან ჰგავს მართკუთხედი ლურსმნის მრგვალ ხვრელში ჩადების უშედეგო ცდას⁴⁸⁶. წინამდებარე ნაშრომში განვითარებული აზრის ლოგიკური გაგრძელებაა ანგლო-ამერიკული მოდელის მსგავსი ე.წ. Recklessness ინსტიტუტის შემოღების რეკომენდაცია, რაც, ქართული მოდელის მიხედვით, შესაძლებელია ასე განისაზღვროს სსკ-ის მე-9¹ მუხლის პროექტის სახით:

„მუხლი მე-9¹. უხეში გაუფრთხილებლობა”.

„ქმედება უხეში გაუფრთხილებლობითაა ჩადენილ, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა, ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, ან უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ შედეგი არ დადგებოდა”.

ხშირად ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ეგდმ-ს ემხრობიან, სხვადასხვა სადისკუსიო შეხვედრებში მას, როგორც რაღაც სიახლეს, ისე განიხილავენ და თითქოს მოწინააღმდეგეები დროს ვერ უწყობენ ფეხს, რაც ასევე არასწორია. მაგალითად, ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან

⁴⁸⁶Taylor G. 2004. 118.

წლებში მოსამართლე ოლივერ ჰოლმსმა წამოაყენა ეგდმ-ს იდეა⁴⁸⁷, რომელიც არ იქნა გაზიარებული. მას ასეთივე ძველი ისტორია აქვს ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალშიც, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება. რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალს, უფრო კონკრეტულად, აღსანიშნავია, რომ, როგორც ინგლისში, ისე აშშ-ში დომინანტი აზრის (სამეცნიერო წრეებიდან) და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ეგდმ დაუშვებელია⁴⁸⁸. აშშ-ში აღიარებული არ იყო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით (knowledge) დანაშაულის მცდელობის დასჯაც კი, თუმცა დღესდღეისობით ის დაშვებულია⁴⁸⁹. კონკრეტული არატოლერირებული რისკის აგორებისა და დაცული სიკეთის საფრთხეში ჩაყენების დროს ქმედებას აფასებენ სხვადასხვა შესაბამისი საფრთხის შემქმნელი დელიქტით⁴⁹⁰. ხაზგასასმელია ის ფაქტორი, რომ ამერიკის სისხლის სამართალი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველზე მეტადაა დეტერმინირებული პრაგმატიზმით, ამბობს უარს ეგდმ-ის დასჯადობაზე. უარის თქმის მთავარი მიზეზი ისაა, რომ, რაც უფრო ადრეული სტადიიდან ხდება პირის დასჯა და, შესაბამისად, თავისუფლების შეზღუდვა, მით უფრო მაღალი სუბიექტური ტენდენციის მატარებელი უნდა იყოს ქმედება, რომ დასჯის ღირსი იყოს⁴⁹¹. ამდენად, ეგდმ-ის მხარდამჭერი ქართველი მეცნიერების ის არგუმენტი, რომ პრაგმატიზმი გადამწყვეტია ამ საკითხთან მიმართებით, ამ მხრივაც არაა დამაჯერებელი, მითუმეტეს, რომ გამოყენების საჭიროებასაც ვერ ასაბუთებენ. „საჭიროება“ ინგლისის სასამართლო პრაქტიკამ და კანონმდებლობამ აჩვენა მაგალითად გაუპატიურების შემადგელობასთან მიმართებით: პირს გადაწყვეტილი ჰქონდა სქესობრივი კავშირის დამყარება, თუმცა დარწმუნებული არ იყო ქალის

⁴⁸⁷ Holmes O. W. 2009. 62. ავტორი ეგდმ-ის კრიმინალიზების აუცილებლობას სასჯელის მიზნებით ხსნიდა და მისთვის გადამწყვეტი იყო ის, თუ ქმედებით რა შედეგი იყო მოსალოდნელი.

⁴⁸⁸Taylor G. 2004. 108; Kadish S. H., Schulhofer S. J. and Steiker C. S. 2007. 550. People v. Beck, App. California. F044669. 2005; People v. Campbell App. California. C015667. 1994; Thacker v. commonwealth 134 Va. 767, 114 S.E. 504. 1992. გამონაკლისია კოლორადოს შტატი, სადაც სასამართლომ არაერთი საქმით აჩვენა ეგდმ-ის დასჯადობის შესაძლებლობა. People v. Thomas. 729 P.2.d 972. Colo.1986; People v. Castro, 657 P.2d. 932. Colo. 1983; People v. Eggert Annotate this Case 923 P.2d 230. 1995; People v. Meyer Annotate this Case 952 P.2d 774. 1997. ანალიზისთვის იხ. Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010.330; Lippman M. 181-184; Cahill M. 2007. 883. კაპილის კვლევის თანახმად, ეგდმ-ს აღიარებდა იუტას შტატიც და ჩამოთვლის არაერთ საქმეს, თუმცა შემდეგ გაუქმდა ასეთი მიდგომა.Ibid. 920 და 117-ე სქოლიო. დასახელებულ საკითხზე შეგიძლიათ იხ.Duff A.R. 2010. *The boundaries of criminal law*. Oxford, Oxford university press. Garza A. P. 2012. *The Magic Bullet in People v. Perez: Charging Attempts Based on Culpability and Deterrence Regardless of Apparent Ability*. 931-950.

⁴⁸⁹Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010.314, 330;

⁴⁹⁰ Encyclopedia of crime and justice, v.1. 87.

⁴⁹¹ Kadish S. H., Schulhofer S. J. and Steiker C. S. 2007. 550.

თანხმობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განაგრძო მოქმედება⁴⁹². საბოლოოდ მისი ქმედება სქესობრივი კავშირის დამყარებამდე შეწყდება. ინგლისის სასამართლომ ქმედება გაუპატიურების მცდელობად შეაფასა, რითაც გაუკვალა გზა (მხოლოდ გაუპატიურებასთან მიმართებით) მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის გაფართოების პრაქტიკას, რაც ხშირი პრაქტიკით და საკანონმდებლო ხარვეზით აიხსნა⁴⁹³. ბუნებრივია, თუკი ინგლისის კანონმდებლობაში გაუპატიურების შეკვეცილი დელიქტი იქნებოდა, არ წარმოიშობოდა გაუპატიურების შემადგენლობასთან მიმართებით მცდელობის გაფართოების საჭიროება⁴⁹⁴.

როგორც ინგლისის, ისე ამერიკის სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოითქვა ეგდმ-ის დასჯადობის მხარდამჭერი აზრი და არგუმენტები⁴⁹⁵, რომლებიც მსგავსია ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში გამოთქმული აზრებისა. მათ შორის ყველაზე საინტერესო მ. კაჰილის არგუმენტებია. კაჰილის თქმით, ეგდმ-ის არაღიარება უდრის კანონის გასქელებას, რაც საშუალო გონიერების ადამიანს კიდევ უფრო გაუძნელებს ქმედების შესაბამისობის დადგენას⁴⁹⁶; ეგდმ-ის არაღიარების შემთხვევაში ის პრობლემას ხედავს მე-2 ხარისხის პირდაპირ განზრახვასა და არაპირდაპირ განზრახვას შორის ზღვარის გავლებაში⁴⁹⁷; საფრთხის შემქმნელი დელიქტით ჩანაცვლება პრაქტიკაში იწვევს ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის დარღვევას⁴⁹⁸, რადგან, მისი თქმით და პრაქტიკაზე დაკვირვებით, სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები არ განიხილებიან, როგორც, მაგალითად, მკვლელობის სტადია და ხშირად, რამდენადაც ბევრი მათგანი აბსოლუტურად ფარავს ერთსა და იმავე შემთხვევას, იძლევა ყველა მათგანის გამოყენების შესაძლებლობას⁴⁹⁹. ასევე მისთვის გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხდეს კვალიფიკაცია მაშინ, როდესაც

⁴⁹² Regina v. Khan, 1 W.L.R. 813.1990.

⁴⁹³ კრიტიკისთვის იხ. Ormerod D. 2009. 582.

⁴⁹⁴ გაუპატიურების სუბიექტურ მხარედ ევენტუალური განზრახვას აღიარებს ქართველი მეცნიერი, ზ. ჯიშკარიანი. იხ. ჯიშკარიანი ზ. 2016. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ*. თბილისი, იურიდიული სამყარო. 166.

⁴⁹⁵ მათ შორის არიან, არნოლდ ენკერი, მაიკლ კაჰილი და ლარი ალექსანდერი. იხ. Cahill M. T. 2007; Alexander L., Kessler K. D. 1997. Mens Rea and Inchoate Crimes, 87 J. Crim. L. & Criminology 1138. Enker A. W. 1977. Mens Rea and Criminal Attempts, *Am. Bar Foundation Research J.* 845.

⁴⁹⁶ Cahill M. 2007. 910, 923. 949-951.

⁴⁹⁷ Ibid. 894.

⁴⁹⁸ Ibid. 936-938.

⁴⁹⁹ დასახელებული საკითხისთვის ასევე იხ. Cahill M. 2004. Offense Grading and Multiple Liability: New Challenges for a Model Penal Code Second, *Ohio state journal of criminal law*. vol 1:599. 606-607.

ადამიანი რამდენიმე ადამიანს აყენებს საფრთხეში, ან როდესაც რამდენჯერმე ისვრის იარაღიდან: დანაშაულთა ერთობლიობით თუ ერთი მუხლით? და იმოწმებს ამ მიმართებით ბუნდოვან სასამართლო პრაქტიკას. ავტორი არაერთგზის აღნიშნავს, რომ *delictum sui generis* არა თუ პრობლემებს არ ხსნის, არამედ იმავეს იმეორებს და ამასთან მეტი პრობლემა შემოაქვს. ბოლოს კი ასკვნის, რომ, თუკი პრობლემები არ გვარდება ეგდმ-ის არ აღიარებით, მაშინ უმჯობესი იქნება, თუკი გენერალურ დასჯადობას ვაღიარებთ სპეციალურის ნაცვლად⁵⁰⁰.

კაპილის არგუმენტები არ არის გასაზიარებელი. მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვასა და ევენტუალურ განზრახვას შორის ზღვარის გავლების სირთულე პრაქტიკულად არ არის დადასტურებული, სირთულე მხოლოდ ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის პრაქტიკულად ზღვარის გავლებაა, რასაც ქართულ რეალობაში ეგდმ-ის აღიარება უმალ წარმოშობს. *Ne bis in idem* პრინციპის დარღვევაზე მითითება გასაზიარებელია, მაგრამ ეს სასამართლო პრაქტიკის ხარვეზზე მეტყველებს, რადგან ნორმის მიზნის გააზრება აუცილებელია ქმედების კვალიფიკაციისას. თუკი იმაზე ვთანხმდებით, რომ, მაგალითად, სსკ-ის 127-ე მუხლის მიზანი ეგდმ-ს არარსებობით გამოწვეული სიცარიელის შევსებაა, შედეგი დადგომის დროს 127-ე და 108-ე მუხლით ერთდროულად კი არ უნდა გამოიყენებოდეს, არამედ მხოლოდ 108-ე მუხლით, რადგან შედეგი დადგა და 127-ე მუხლი კარგავს გამოყენების საფუძველს. კანონის გასქელების გარდაუვალობაზე კი უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც კანონიერების პრინციპის უზრუნველსაყოფად და ადამიანის უფლებების დაცვის მეტი გარანტიისთვის კანონის გასქელება გარდაუვალია, ასეც უნდა მოიქცეს კანონმდებელი, ამასთან ქართულ სსკ-ში მაინცდამაინც დიდი გასქელება არ გამოუწვევია ეგდმ-ის დაუსჯელობას, უფრო პირიქით, ეგდმ-ის აღიარება გამოიწვევს არსობრივად უფრო მეტი ქმედების კრიმინალიზებას, ვიდრე კონკრეტული ქმედებები. მაგალითად, ეგდმ-ის აღიარებას მოჰყვება სხვა ისეთი დანაშაულის ევენტუალური განზრახვით დასჯადობაც, რომელიც დღეს ეგდმ-ის არაღიარების პირობებში არ ისჯება, მაგალითად, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ეკონომიკური დანაშაულები და სხვა. რაც შეეხება კაპილის მითითებას ერთი ქმედებით ბევრი ადამიანისთვის საფრთხის შექმნის ან მრავალი გასროლით

⁵⁰⁰Cahill M. 2007. 929-930.

ერთი ადამიანისთვის საფრთხის შექმნისას კვალიფიკაციის პრობლემატურობაზე, რომელიც თითქოს მხოლოდ *delictum sui generis* მიემართება, ასევე არაა გასაზიარებელი. იგივე პრობლემა შეიძლება ეგდმ-ის მიმართაც აღმოაჩინო. თუკი პირი საფრთხეს ქმნის და შედეგის მიმართ გულგრილია, ამასთან საფრთხე რამდენიმე ადამიანს ექმნება, რომელთან იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, დანაშაულთა ერთობლიობა იქნება როგორც ეგდმ-ის, ისე, მაგალითად, სსკ-ის 127-128-ე მუხლებთან მიმართებით, ხოლო, როდესაც რამდენიმე ქმედებას ჩადიხარ და ობიექტი ერთი გყავს, ასეთ შემთხვევაში ქმედებები, როგორც ერთი დანაშაულის შემადგენელი ელემენტები, ისე უნდა შეფასდეს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნის სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება ეგდმ-ის აღიარების საჭიროების შესახებ ერთნაირად ხელოვნურია და ვერ ასაბუთებს მისი კრიმინალიზების ობიექტურ საჭიროებას.

3.4. დანაშაულის მცდელობის ცნებისა და მისი დასაწყისის პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნების დოქტრინასა და პრაქტიკის მიხედვით

დანაშაულის მცდელობის ცნება და მისი პრაქტიკული ინტერპრეტაცია განსხვავდება ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რასაც შესაბამისი ქვეყნის მიერ სისხლის სამართლის არჩეული ორიენტაცია განაპირობებს. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად სუბიექტური და ობიექტური თეორიები ოდითგანვე ეცილებოდნენ ერთმანეთს. თითოეულ თეორიას ჰქონდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, რის გამოც დროთა განმავლობაში მათ დაკარგეს თავიანთი პირველადი სახე. მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ იდენტობას და გვევლინებიან თეორიებად და მათგან ნაწარმოებ სხვადასხვა სახელმძღვანელო ტესტებად, რომელიც უპირატესად ობიექტური მასშტაბებით განისაზღვრება, და თეორიებად, რომლებიც უპირატესად სუბიექტური

მოლოდინებით და სუბიექტურად გაგებული საფრთხეებით განიმარტებიან. მცდელობის განსაზღვრებაზე ობიექტური და სუბიექტური თეორიების მონაცვლეობა ისტორიული ფონით, არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორებითა და კონტექსტებით უნდა აიხსნას. საკუთრივ დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის აღიარებაც სწორედ ამ ფაქტორებით საბუთდება.

როგორც ცნობილია, დანაშაულის მცდელობის გენერალური დასჯადობა სამართლის ანგლო-ამერიკულ სისტემაში მე-18 საუკუნეში გაჩნდა, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში უკიდურესი ფორმა მიიღო, კერძოდ, დასჯადი გახდა დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებაც. მცდელობის გენერალურ დასჯადობას წინ უძღოდა მრავალი სპეციალური შეკვეცილი დელიქტის კრიმინალიზება, რომელიც, დღევანდელი გადმოსახედით, იყო მომზადებისა და მცდელობის დამთავრებული შემადგენლობები⁵⁰¹. Delictum sui generis რაოდენობა ინგლისის სისხლის სამართალში განსაკუთრებით გაიზარდა მე-17 საუკუნის დასაწყისში, რისი კონცეფცია და შემადგენლობები შემუშავდა ინგლისის სპეციალურ სასამართლოში (The court of Star Chamber)⁵⁰² 1614 წელს⁵⁰³, რაც ნაკარნახევი იყო იმდროინდელი გამოწვევებით და საფრთხეებით. მცდელობისა და მომზადების სპეციალური დელიქტების უმეტესობა დუელის პრევენციას ემსახურებოდა⁵⁰⁴, გარდა ამისა, დასჯადად გამოცხადდა იარაღის ტარება; უმუშევარი პირების ღამის საათებში ხეტიალი; ხანჯლის ამოღება სასამართლო დარბაზში და სხვა⁵⁰⁵.

მცდელობის გენერალური დასჯადობის პირველ პრეცედენტად 1784 წლის Rex v. Scofield - ის საქმე სახელდება⁵⁰⁶. სკოფილდმა შენობაში შეიტანა ნავთი და ანთებული სანთელი იმ განზრახვით, რომ გადაეწვა იქაურობა. მისი ქმედება ამ ეტაპზევე იქნა აღკვეთილი. დასახელებულ საქმეში მოსამართლე მენსფილდმა ხაზი გაუსვა მიზნის მნიშვნელობას კვალიფიკაციისთვის, რომ მიზანს თავისთავად მართლზომიერი

⁵⁰¹ Lippman M. 2010. 180; Encyclopedia of crime and justice, v.1, 85; Fletcher G. 2000. 134; Samaha J. 2011. 237; Hall J. 1940. 793-794.

⁵⁰² ინგლისის სპეციალური სასამართლო, რომელიც მოქმედებდა მე-15 საუკუნის დასასრულიდან მე-17 საუკუნემდე (1641). დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <http://www.britannica.com/EBchecked/topic/563475/Court-of-Star-Chamber> 18.03.2017.

⁵⁰³ Lippman M. 2010. 180.

⁵⁰⁴ Encyclopedia of crime and justice, v.1, 85; Lippman M. 2010. 180; Samaha J. 2011. 237.

⁵⁰⁵ Lippman M. 2010. 180.

⁵⁰⁶ Encyclopedia of crime and justice, v.1, 85; Hall J. 1940. 807.

ქმედებაც კი შეუძლია დანაშაულად აქციოს და რომ ამისთვის არ არის საჭირო შედეგის დადგომა⁵⁰⁷. მცდელობამ უკიდურესად გაფართოებული ფორმა 1801 წელს მიიღო (Rex v. Higgins⁵⁰⁸), როდესაც დანაშაულის ჩადენისკენ სხვა პირის წარუმატებელი წაქეზება მცდელობად შეფასდა, რასაც დღეს ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში არა მცდელობად, არამედ სისხლის სამართლის სხვა დამოუკიდებელ ინსტიტუტად მოიაზრებენ. ინგლისის პრეცედენტული სამართლის გავლენით მცდელობის გენერალური დასჯადობა აღიარეს ამერიკის სისხლის სამართალშიც⁵⁰⁹.

დაუმთავრებელი დანაშაულის კონცეფცია უფრო ადრე ჩამოყალიბდა კონტინენტალური სამართლის ქვეყნებში, კერძოდ, მე-16 საუკუნეში⁵¹⁰, რომლის ფორმირებასა და კანონმდებლობაში ასახვაზე დიდი გავლენა იქონია შუასაუკუნეების რომის სამართალმა, კერძოდ, იტალიელი იურისტების, გლოსატორების მოძღვრებამ დანაშაულის ჩადენის სტადიებზე⁵¹¹. გამონაკლისი არც გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყოფილა, რომლის 1532 წლის სსკ-ის 178-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნა მცდელობის შემადგენლობა⁵¹².

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, მცდელობის დასჯადობას არავითარი შეზღუდვა არ ჰქონდა დანაშაულის კატეგორიებთან მიმართებით. სამოსამართლო მიდგომით, მცდელობა თავისთავად მისდემინორი იყო⁵¹³, თუნდაც ის ფელონიას წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. დღეს მოქმედი ამერიკული მიდგომით, მცდელობის კატეგორია განისაზღვრება იმ დანაშაულის კატეგორიით, რომლის ჩადენისკენაც არის მიმართული⁵¹⁴. ამერიკის დღეს მოქმედი MPC-ის მიხედვით, დასჯადია ყველა კატეგორიის დანაშაულის მცდელობა⁵¹⁵, ხოლო ინგლისის კანონმდებლობით ისჯება მხოლოდ სერიოზული კატეგორიის

⁵⁰⁷ Rex v. Scofield, Cald. 397.1784.

⁵⁰⁸ Rex v. Higgins, 102 Eng. Rep. 269, 275. K.B. 1801.

⁵⁰⁹ Lippman M. 2010. 180.

⁵¹⁰ Fletcher G. 2000. 134.

⁵¹¹ წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 304-5.

⁵¹² Ibid. 305; ხარანაული. 2013. 27-28.

⁵¹³ Samaha J. 2011. 237; Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010. 309.

⁵¹⁴ Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010. 309.

⁵¹⁵ MPC, 5.1. ასევე იხ. Fletcher G. 2000. 132, 1-ლი სქოლიო.

დანაშაულები, ხოლო ნაკლებად სერიოზული დანაშაულების (summary offences)⁵¹⁶ მცდელობა არ ისჯება.

რაც შეეხება ძველ გერმანულ მიდგომას, ისჯებოდა მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულის მცდელობა⁵¹⁷, მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია ნებისმიერი კატეგორიისა, ხოლო გადაცდომის მცდელობა - მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში⁵¹⁸.

ყველა ქვეყანა მცდელობის ცნებას დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობისთვის არჩეული თეორიის შესაბამისად აყალიბებს და ძირითადი განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მცდელობის ცნებებს შორის სწორედ არჩეულ ორიენტაციაშია. მაგალითად: საქართველოს სსკ-ის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა დანაშაულის ჩადენისკენ უშუალოდ მიმართული განზრახი ქმედებაა⁵¹⁹; უნგრეთის სსკ-ის მიხედვით, „პირი, რომელიც დაიწყებს განზრახი დანაშაულის ჩადენას, დაისჯება მცდელობისთვის”⁵²⁰; ჩეხეთის რესპუბლიკის სსკ-ის მიხედვით, „მცდელობას წარმოადგენს ქმედება, რომელიც ჩადენილია დანაშაულის ჩადენის განზრახვით და მიმართულია დანაშაულის დასრულებისკენ”⁵²¹; დანიის სსკ-ის მიხედვით, ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის დაწყებისკენ ან დასრულებისკენ, უნდა დაისაჯოს როგორც მცდელობა, თუ დანაშაული დასრულებული არ არის”⁵²²; გერმანიის სისხლის სამართლის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობას ახორციელებს ის ადამიანი, რომელიც, ქმედებაზე საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, უშუალოდ დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას”⁵²³; აშშ-ს MPC⁵²⁴-ის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს არსებით ნაბიჯს დანაშაულის

⁵¹⁶Clarkson CMV., Keating HM & Cunningham SR. 2007. 474.

⁵¹⁷ხარანაული. 2013. 27.

⁵¹⁸გერმანიის 1975 წლის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის 1-ლი აზვაცი. ასევე იხ. ხარანაული. 2013. 288.

⁵¹⁹დანაშაულის მცდელობას, როგორც დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართულ ქმედებას ისე ახასიათებდნენ აშშ-ში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. ანალიზისთვის იხ. Hall J. 1940. 222. Note – 142.

⁵²⁰ Karsai, K. and Szomora, Z. 91. უნგრეთის რესპუბლიკის სსკ, პარაგრაფი 16.

⁵²¹იხ. ჩეხეთის სსკ, მუხლი 21. იხ. Fryšták M., Kalvodová V. and provaznik J. 2015. *Selected problems of Czech criminal law*. Brno, Muni Press. 25-26.

⁵²² Langsted L. G. P. and Greve V. 2014. *Criminal law in Denmark*. Walters Kluwer. 74-75.

⁵²³ ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 347.

⁵²⁴ Model Penal Code - მოდელური სისხლის სამართლის კანონი.

განსახორციელებლად⁵²⁵; ალაბამას შტატის სსკ-ის მიხედვით, „ პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის, თუ ის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვით ჩაიდენს რაიმე აშკარა ქმედებას⁵²⁶; აიდაჰოს შტატის სსკ-ის მიხედვით, „ ის, ვინც ცდილობს რომელიმე დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ვერ შეძლებს, ან მას ხელს შეუშლიან, ან შეიპყრობენ, დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის ...⁵²⁷; მასაჩუსეტის კანონმდებლობის მიხედვით, „ის, ვინც დანაშაულის ჩადენას შეეცდება რაიმე ქმედებით, [...] დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის⁵²⁸; საფრანგეთის სისხლის სამართლის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობა არის ქმედების შემადგენლობის აღსრულების დასაწყისი⁵²⁹; ინგლისის სისხლის სამართლის მიხედვით, „ის, ვინც დანაშაულის ჩადენის განზრახვით ჩაიდენს ქმედებას, რომელიც უფრო მეტია დანაშაულის ჩასადენად, ვიდრე უბრალო მომზადება, პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობისთვის⁵³⁰; და კიდევ მრავალი სხვა ქვეყნის საკანონმდებლო დეფინიციის მოყვანაა შესაძლებელი, რომელიც კანონშივე ავლენს თავის სუბიექტურ ან ობიექტურ ორიენტაციას, თუმცა ხშირად, მიუხედავად ობიექტური თეორიით სტრუქტურირებული მცდელობის ცნებისა, ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაცია მაინც სუბიექტური ტენდენციებით ხდება და - პირიქით. მაგალითად: საფრანგეთის სისხლის სამართლის მიხედვით, მართალია, კანონმდებელს მცდელობის actus reus აუცილებელ ელემენტად შემოაქვს ქმედების შემადგენლობის აღსრულების დასაწყისი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა მცდელობის განვრცობითი განმარტების ტენდენციები⁵³¹. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-სა და ინგლისის სასამართლო პრაქტიკაც, სადაც წლების განმავლობაში იცვლებოდა მცდელობის ფარგლების ინტერპრეტაცია იმისდა მიხედვით, რომელ გზას ირჩევდა სასამართლო - ობიექტურს თუ სუბიექტურს. ამის შესაბამისად ერთმანეთს ენაცვლებოდა მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნისთვის შემუშავებული ტესტები,

⁵²⁵ წიქარიშვილის თარგმანი. იხ. წიქარიშვილი ვ. 2010. 17; MPC § 5.02.1985.

⁵²⁶ Alabama Code. 1975. Section 13A-4-2: Attempt.

⁵²⁷ Idaho Statutes.1972. title 18, Crimes and punishments, chapter 3, nature and extent of punishment in general, 18-306.

⁵²⁸ Massachusetts general laws, par 4, sec. 6.

⁵²⁹ Elliott C. 2001. *French Criminal Law*. Portland, William publishing. 95. მცდელობა, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დასაწყისი, ხასიათდებოდა აშშ-იც, კერძოდ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. იხ. Hall J. 1940. 222, note 143.

⁵³⁰ იხ. Criminal Attempts Act 1981, Part 1, sec.1.

⁵³¹ C. Elliott. 2001. 97.

როგორცაა: არაორაზროვნების ტესტი, სიახლოვის და საშიში სიახლოვის ტესტი, არსებითი ნაბიჯის ტესტი, უარის თქმის ალბათობის ტესტი, პირველი აქტის, ბოლო აქტის ტესტი და სხვა⁵³². მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგასამიჯნად აზრი მრავლად გამოითქვა აკადემიურ ტექსტებშიც. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, რაც უფრო დიდია მოსალოდნელი ზიანი, მით უფრო მცირდება ზღვარი მომზადებასა და მცდელობას შორის⁵³³. ჯ. ჰოლმსი კი ამ ზღვარს საფრთხის სიახლოვის, მოსალოდნელი ზიანის სერიოზულობისა და მისი აღქმის ხარისხით განსაზღვრავდა⁵³⁴; Keedy-ის საქმეში სასამართლომ მცდელობა ასე დაახასიათა: „საწყისი ხაზი გადალახული უნდა იყოს, ხოლო ფინალურ ზღვრამდე ჯერ მიღწეული არ უნდა იყოს⁵³⁵. კიდევ მრავალი შეფასების ციტირებაა შესაძლებელი, მაგრამ ყველა მათგანს ერთი და იგივე ნაკლოვანება აქვს - პრაქტიკულად უჭირს ზუსტად გაავლოს ზღვარ, თუ სად იწყება „საწყისი ზღვარი“, როდის სრულდება ის, ან როდის არის საფრთხე კონკრეტული და საშიში.

როგორც ვნახეთ, დანაშაულის ჩადენის სტადიის მცდელობად შეფასებას საფუძვლად ობიექტური და სუბიექტური თეორიები უდევს⁵³⁶. მათ სხვაგვარად ქმედების საშიშროების და პიროვნების საშიშროების თეორიებსაც უწოდებენ⁵³⁷. პირველი თეორიისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენი დარჩა პირს გასაკეთებელი დანაშაულის დასამთავრებლად, ხოლო მეორე თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც უკვე ჩაიდინა პირმა ქმედების სუბიექტის საშიშროების წარმოსაჩენად⁵³⁸. მიუხედავად სუბიექტური თეორიისა და მისგან ნაწარმოები ანგლო-ამერიკული ტესტების (პირველი აქტის, არსებითი ნაბიჯის) კრიტიკისა⁵³⁹, მათ მაინც ფართო გამოყენება აქვთ სასამართლო პრაქტიკაში. თემის მიზნებისათვის გავანალიზებთ რამდენიმე მათგანს.

⁵³² Samaha J. 2011. 244; Ormerod D. 2009. 582-595; Molan M., Bloy D. and Lanser D. 2003. 161-165; Roe D. 2005. 260-262; Singer R. G. and La Fond J. Q. 2010. 312-313; Clarkson CMV., Keating HM and Cunningham SR. 2007. 491-500; Duff R.A. 1996. 42-57.

⁵³³ Doyle Ch. 2015. Attempt: An Overview of Federal Criminal Law, *Congressional Research Service*. 5.

⁵³⁴ Holmes JR. W. O. 2009. *The Common Law*. Massachusetts, The Belknap press of Harvard University Press. 64.

⁵³⁵ Keedy E. R. 1954. 469.

⁵³⁶ Clarkson CMV., Keating HM and Cunningham SR. 2007. 491; Lippman M. 2010. 184; *Encyclopedia of crime and justice*, v.1, 237-8, 242; Duff R.A. 1996. 64.

⁵³⁷ Samaha J. 2011. 242; Duff R.A. 1996. 34-35.

⁵³⁸ Samaha J. 2011. 242; Duff R.A. 1996. 54.

⁵³⁹ Duff R.A. 1996. 37.

➤ **დანაშაულის მცდელობა ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით**

ე.წ. „პირველი ქმედების” ტესტი. ამ ტესტის თანახმად, პირველი ქმედება, მიმართული დანაშაულის ჩასადენად, უკვე მცდელობას წარმოადგენს⁵⁴⁰. შესაბამისად, ყაჩაღობის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის მარტოოდენ შექმნა უკვე ყაჩაღობის მცდელობაა.

პირველი ქმედების ტესტი ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ ადრეულ პერიოდში გამოიყენებოდა⁵⁴¹. Stokes-ის საქმეში, რომელიც ერთ-ერთი პირველი საქმეა, სასამართლომ განმარტა⁵⁴², რომ, თუკი პირის განზრახვა - ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაული, აშკარად იკვეთება მის თუნდაც უმნიშვნელო ქმედებაში, საკმარისია ქმედების მცდელობად შეფასებისთვის⁵⁴³. შემდეგი საქმე, სადაც პირველი აქტის ტესტი იქნა გამოყენებული, არის Robles⁵⁴⁴ საქმე: პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნარკოტიკის შექმნის მცდელობისთვის. მსჯავრდებულმა კალიფორნიიდან მექსიკაში წერილი მისწერა ნარკოტიკებით მოვაჭრეს კითხვით - თუ ჰქონდათ გასაყიდად ნარკოტიკი. ქმედება ამ ეტაპზე იქნა აღკვეთილი. კითხვაზე, თუ რამდენად საკმარისი იყო წერილის გაგზავნა დანაშაულის მცდელობად შეფასებისთვის, სასამართლომ განმარტა: მცდელობად შეფასებისთვის საკმარისია პირველი ქმედება გადადგმული დანაშაულის ჩასადენად, ასეთი ქმედება კი უკვე მაშინ იყო, როდესაც პირმა კალამი აიღო და წერას შეუდგა⁵⁴⁵. ინგლისელი მეცნიერი, დაფი, სამართლიანად აკრიტიკებს პირველი აქტის ტესტს, რომელიც აღნიშნავს, რომ მცდელობის ასეთ ფართო განმარტების პირობებში საერთოდ ეცლება საფუძველი მცდელობის actus reus, რასაც დანაშაულის ჩადენის მარტოოდენ განზრახვა და მისი

⁵⁴⁰ Ibid. 35-37.

⁵⁴¹ აღსანიშნავია, რომ არსობრივად ის ისევ განაგრძობს მოქმედებას. პირველი აქტის ტესტის დასაკმაყოფილებლად საკმარისადაა მიჩნეული - მიზნით დეტერმინირებული უმნიშვნელო ქმედება - „slight act” ასევე საკმარისად მიიჩნია 2007 წლის კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ საქმეში- Decker v. People. A028444. January 30, 1986.

⁵⁴² Stokes v. State, 92 Miss. 415, 46 So. 627. 1908. „[...] whenever the design of a person to commit crime is clearly shown, slight acts done in furtherance of this design will constitute an attempt [...]” 46 So. at 629.

⁵⁴³ აღსანიშნავია, რომ მისისიპის შტატის სსკ-ის თანახმად მცდელობის actus reus წარმოადგენს „ნებისმიერი აშკარა ქმედება”. იხ. Mississippi code, § 97-1-7. Attempt to commit offense.

⁵⁴⁴ United States v. Robles, 185 F. Supp. 82. N.D. Cal. 1960.

⁵⁴⁵ Duff R.A. 1996. 36.

დამადასტურებელი მტკიცებულება ანაცვლებს⁵⁴⁶, რაც მიუღებლად მიაჩნია ქმედების სამართლის პრინციპთან წინააღმდეგობის, ინდივიდის თავისუფლებასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შორის ბალანსის პირველის საპირისპიროდ დარღვევისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან წინააღმდეგობის გამო⁵⁴⁷. შეიძლება ითქვას, რომ პირველი აქტის ტესტი თავისი უსაზღვროდ ფართო საზღვრებისა და უკიდურესი სუბიექტივიზმის გამო ამერიკულმა სასამართლომ გააუქმა.

ბოლო ქმედების ტესტი. ბოლო ქმედების ტესტის თანხმად, მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელია, რომ პირმა **ბოლო აქტიც** ჩაიდინოს დანაშაულის აღსასრულებლად⁵⁴⁸. განსხვავებით პირველი აქტის ტესტისგან, ბოლო აქტის ტესტი ძალიან ავიწროებს მცდელობის ფარგლებს და, შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ დამთავრებულ მცდელობას იცნობს. თუკი A მოკვლის განზრახვით B -ს დაუმიზნებს ცეცხლსასროლ იარაღს და ამ ეტაპზე ხელს შეუშლიან დანაშაულის დამთავრებაში, ბოლო აქტის ტესტის თანახმად მისი ქმედება მცდელობის მიღმაა და უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. მცდელობისთვის საჭირო იქნებოდა შედეგამდე ბოლო აქტის, სასხლეტისთვის თითის გამოკვრა. უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვით - ასეთი მიდგომა გაუმართლებლად ავიწროებს მცდელობის ფარგლებს⁵⁴⁹. ბოლო აქტის ტესტს დასაბამი Eagleton⁵⁵⁰-ის საქმემ ჩაუყარა, სადაც აქცენტი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ამოწურვაზე გაკეთდა, როგორც მცდელობის დაფუძნებისთვის აუცილებელ ნიშანზე⁵⁵¹.

ბოლო აქტის ტესტს, თავისი გაუმართლებლად ვიწრო ჩარჩოების გამო, აღარ ჰყავს მხარდამჭერი ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში.

⁵⁴⁶ Ibid. 35. მიზნით დეტერმინირებული „ნებისმიერი ქმედების“ მცდელობად შეფასების წინააღმდეგი იყო ჯერომ ჰოლიც, მისი აზრით, მცდელობა უფრო მეტია ვიდრე ნებისმიერი ნაბიჯი გადადგმული დანაშაულის ჩასადენად. *ib. Hall J.1940. 219.*

⁵⁴⁷ Ibid. 37; პირველი აქტის ტესტის დახასიათება და კრიტიკა ასევე *ib. Gordon G. H. 1960. PhD thesis, Criminal responsibility in Scots law. 211.*

⁵⁴⁸ Duff R.A. 1996.37-42. Singer R. G. and La Fond J. Q. 2010. 312; *Encyclopedia of crime and justice, v.1, 88.*

⁵⁴⁹ *Encyclopedia of crime and justice.88.*

⁵⁵⁰ *R v. Eagleton, 169 E.R., 826.1855.*

⁵⁵¹ Duff R.A. 1996. 38.

თუმცა შესაძლებელია ბოლო აქტის ტექტის უფრო ფართო ინტერპრეტაცია⁵⁵², მითუმეტეს, რომ მასში პრაქტიკულად გულისხმობდნენ ქმედების სუბიექტზე დამოკიდებულ ბოლო ქმედებას და არა იმ ქმედებას, რომელიც დაზარალებულზე ან მესამე პირის ქმედებაზეა დამოკიდებული⁵⁵³. თეორიასა თუ პრაქტიკაში იმის გასაგებად, თუ რა იგულისხმა სასამართლომ მცდელობის განმსაზღვრელ სიტყვებში - ქმედება მყისიერად უნდა იწვევდეს შედეგის დადგომას, - ხშირად იყენებენ რუბიკონის ტექსტს. „პირმა გადალახა რუბიკონი და დაწვა ნავი“⁵⁵⁴. ერთი შეხედვით მკაცრი ბოლო აქტის ტექტის თანახმად, მცდელობად უნდა შეფასდეს პირის მიერ სასიკვდილო დოზის საწამლავის საჭმელში შერევა, თუკი ის შემთხვევის ადგილიდან წავა. ერთი, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რადგან საჭმლის გამოღება და მირთმევა უკვე დაზარალებულის გასაკეთებელია, და მეორე: მან ამით გადალახა რუბიკონი, ხოლო სახლიდან წასვლით და დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის შემცირებით - დაწვა ნავი. ყოველივე ერთობლიობაში კი საკმარის საფუძველს ქმნის ქმედების მცდელობად შეფასებისთვის. ქმედების სუბიექტი თუნდაც ადგილზე დარჩენილიყო, მისი ქმედება მაინც მცდელობად უნდა შეფასდეს სხვა უფრო ფართო ინტერპრეტაციით, რადგან „მან ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული“ ჯ. გორდონი, Janet Ramage⁵⁵⁵-ს საქმეს იმოწმებს⁵⁵⁶. მითითებულ საქმეში, პირმა საწამლავი ჩაყარა ჩაიდანში, რადგან მოსალოდნელი იყო მსხვერპლის მხრიდან ჩაის დალევა. აღნიშნული ავტორისა და სასამართლოს განმარტებით პირმა „ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული“, რაც საკმარისად მიაჩნიათ ბოლო აქტის დაკმაყოფილებით ქმედების მცდელობად შეფასებისთვის. თუკი ბოლო აქტის თანახმად, ქმედების მცდელობად შეფასებისთვის გადამწყვეტია ისეთი ქმედების ჩადენა, რომელსაც ყოველგვარი შუალედური აქტების გარეშე, მყისიერად შეუძლია შედეგის გამოწვევა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ საწამლავის საკვებში გარევა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ბოლო აქტის თავდაპირველი გაგების საპირისპირო

⁵⁵²ცნობილი ინგლისელი ობიექტივისტი, ჯ. ფლექტერი, ბოლო აქტის ტექსტს აკრიტიკებდა, ფართო ინტერპრეტაციისთვის დატოვებული ღია ფანჯრის გამო. ისევე როგორც მცდელობის ფრანგულ მოდელს, რომლის მიხედვით მცდელობა არის „ დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დასაწყისი“, იხ. Fletcher G.2000. 139-140.

⁵⁵³Duff R.A. 1996. 38-39.

⁵⁵⁴ Ibid.39.

⁵⁵⁵ Janet Ramage., Hume i. 28. 28 Dec. 1825. იხ. Gordon G. H.1960. 236.

⁵⁵⁶ასევე იმოწმებს Tumbleson -ის საქმეს. იხ. Sam. Tumbleson. 4 Srv. 426. 1853.

განმარტება გააკეთა სასამართლომ Boyle⁵⁵⁷-ის საქმეშიც, სადაც პირთა ქმედება, რომლებიც შენობაში შევარდნისა და დაყაჩაღების მიზნით დაკეტილ კარებს დაეჯახგურნენ, ყაჩაღობის მცდელობად შეაფასა, რადგან „მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული“, ინგლისელმა მეცნიერმა, დაფმა, სამართლიანად გააკრიტიკა დასახელებული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ „ბოლო აქტი“ იქნებოდა კარის გაღება და არა მანამდე განხორციელებული ქმედებები⁵⁵⁸.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო აქტის უკიდურესად მკაცრი თეორიითაც, მცდელობის შეფასება დამოკიდებული გახდა სუბიექტის საზომზე და არა ობიექტურად შესასრულებელ ქმედებებზე. თუმცა ბოლო აქტის თეორიის განვრცობითი გამოყენება უფრო დისტანციურ დელიქტებთან მიმართებით ხდებოდა და არა ზოგადად. საბოლოოდ კი ის უარყოფილ იქნა⁵⁵⁹.

არაორაზროვნების ტესტი. არაორაზროვნების⁵⁶⁰ ტესტის მიხედვით, ქმედება მცდელობად უნდა შეფასდეს, თუკი ჩვეულებრივი გამგლელი, რომელმაც დაინახა ამსრულებლის ქმედება, ირწმუნებს, რომ ის კონკრეტული დანაშაულის ჩადენას აპირებს. დასახელებული ტესტის ავტორად ახალი ზელანდიელი მოსამართლე, სალმონდი ითვლება, რომელიც აქტიურად იყენებდა მას სასამართლო პრაქტიკაში⁵⁶¹. სალმონდის განმარტებით, ქმედება **თავისთავად უნდა მეტყველებდეს კონკრეტული სახის დანაშაულზე**⁵⁶². შეიძლება ითქვას, რომ სალმონდი ქმედებას მტკიცებულების მნიშვნელობას ანიჭებდა. კრიტიკოსების თქმით, თუკი, მაგალითად, პირი საწამლავს შეურევდა საკვებში ვინმეს მოკვლის განზრახვით, მცდელობად არ უნდა შეფასებულიყო, რადგან, სხვა აზრის თანახმად, შესაძლებელია ეს პირმა გააკეთა არა

⁵⁵⁷Boyle , 84 Cr. App. R. 270.1987.

⁵⁵⁸Duff R.A. 1996. 39, 36-ე სქოლიო.

⁵⁵⁹ბოლო აქტის ტესტზე, რომ უარი თქვა ინგლისის სასამართლომ ამაზე არაერთი საქმე მეტყველებს, მათ შორის, ლიტერატურაში ყველაზე ხშირად Jones-ის საქმეს უთითებენ. იხ. R. v. Jones, 3 All ER 886, Court of Appeal, Criminal Division. 1990. ასევე იხ. Ormerod D. 2009. 588; Clarkson CMV., Keating HM.& Cunningham SR. 2007. 492; Roe D. 2005. 260.

⁵⁶⁰ Samaha J. 2011. 243; Duff R.A. 1996. 40; Encyclopedia of crime and justice, v.1, 88; Gordon G. H. 1960. 205-207.

⁵⁶¹ახალ ზელანდიაში არაორაზროვნების ტესტი უარყოფილ იქნა 1961 წელს. ის, ასევე უარყოფილ იქნა ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალშიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამერიკის რამდენიმე შტატში, კერძოდ, დელავერსა და ვისკონსინში, ის საკანონმდებლო დონეზე შემორჩენილი. იხ. Fletcher G. 2000. 142.

⁵⁶² Gordon G. H. 1960. 206.

ადამიანის, არამედ ვირთხების მოსასპობად⁵⁶³. სხვა კონტრმაგალითის თანახმად, თუკი ვინმე დაყაჩაღების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, ჩვეულებრივმა გამვლელმა, რომელიც წინარე შელაპარაკებასა და ფულის მოთხოვნის ფაქტს არ შესწრებია, შეუძლია თქვას, რომ სიგარეტის ამოღების მიზნით გააკეთა ეს პირმა და ვერ უნდა შეფასდეს ყაჩაღობის მცდელობად⁵⁶⁴. აღნიშნული მიდგომა გაკრიტიკებულ იქნა, რადგან შეუძლებელია ქმედება განყენებულად, რომელიმე დანაშაულზე ცალსახად მეტყველებდეს, რაც გაუმართლებლად შეზღუდავდა მცდელობისთვის პასუხისმგებლობის ფარგლებს⁵⁶⁵. არაორაზროვნების ტესტით ხელმძღვანელობამ სრული ქაოსი გამოიწვია პრაქტიკაში. ხშირად ისე ხდებოდა, რომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, არაორაზროვნების ტესტზე მითითებით, მის საპირისპიროდ ხდებოდა ქმედების მცდელობად შეფასება, ასევე ისეც ხდებოდა, რომ ობიექტური კრიტერიუმების თვალსაზრისით ძალიან მსგავსი საქმეები, სუბიექტური აღქმებიდან გამომდინარე და ყოველგვარი გონივრული დასაბუთების გარეშე, სხვადასხვანაირად ფასდებოდა. მაგალითად: Barker-ის საქმეში⁵⁶⁶ პირის ქმედება, რომელმაც არასრულწლოვან ბიჭს წერილი მისწერა **გასართობად** შეხვედრის თხოვნით, სასამართლომ „სოდომის“ მცდელობად შეაფასა. გორდონის სწორი კრიტიკით, ეს წერილი თავისთავად არაფერზე მეტყველებდა, რადგან გასართობად ვინმეს დაპატიჟება შესაძლოა ნიშნავდეს ზოოპარკში გასეირნებას ან მოკვლის განზრახვით გატყუების ცდას და მრავალ სხვა ჩანაფიქრს, მათ შორის, სქესობრივი კავშირის სურვილსაც⁵⁶⁷. Yelds-ის საქმეში⁵⁶⁸ პირის ქმედება, რომელმაც არასრულწლოვან გოგოს თანხის სანაცვლოდ პარკში გასეირნება შესთავაზა, მასთან სქესობრივი კავშირის მცდელობად შეფასდა, ხოლო მსგავს საქმეში⁵⁶⁹, სადაც გოგონას ფულის სანაცვლოდ მამაკაცმა სახლის კარის გაღება სთხოვა, მცდელობად არ შეფასდა. გაორებული და წინააღმდეგობებით სავსე პრაქტიკამ აჩვენა

⁵⁶³ Gordon G. H. 1960.

⁵⁶⁴ Samaha J. 2011. 243-4.

⁵⁶⁵ Gordon G. H. 1960. 205; Singer R. G. and La Fond J. Q. 2010. 312; Encyclopedia of crime and justice, v.1, 88.

⁵⁶⁶ R. v. Barker, N. S. L. R. 865.1924.

⁵⁶⁷ Gordon G. H. 1960. 206-207.

⁵⁶⁸ Yelds, N. Z. L. R. 18.1928.

⁵⁶⁹ Moore, N. Z. L. R. 979.1936.

ამ ტექსტის თანამედროვე სისხლის სამართალთან შეუსაბამობა და ის სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული⁵⁷⁰.

თუმცა ეს ტექსტი გასაკრიტიკებელია არა იმდენად მცდელობის ცნების ვიწრო ფარგლების გამო, არამედ უფრო - პირიქითა⁵⁷¹. თუკი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შედეგისგან ძალზე დაშორებული ქმედება თავისთავად იმეტყველებს იმაზე, თუ რომელი დანაშაულის ჩადენისკენ არის მიმართული, მაშინ ის უნდა შეფასდეს მცდელობად, მითუმეტეს, თუკი ქმედების სუბიექტი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი „რეციდივისტია“. მაგალითად, მომარჯვებული ცეცხლსასროლი იარაღით პირის ჩასაფრება მკვლელობის ჩადენის მიზნით ან უფრო ადრეული ქმედება შეიძლება შეფასდეს დანაშაულის მცდელობად. კ. წიქარიშვილისა⁵⁷² და ჯ. ფლეტჩერის⁵⁷³ სწორი შეფასებით და მიგნებით, ინგლისის სასამართლომ სწორედ არაორაზროვნების ტექსტით იხელმძღვანელა Devey⁵⁷⁴-ის საქმეში, სადაც პირთა ქმედება, რომლებიც ელექტროსადგურიდან სპილენძის ქურდობას გეგმავდნენ და ამ მიზნით მიუახლოვდნენ დაცულ ტერიტორიას, ქურდობის მცდელობად შეფასდა. პოლიციელის ჩვენება და ბრალდებულთა მანქანის საბარგულიდან ამოღებული რკინის საჭრელი საშუალებები სასამართლომ საკმარისად მიიჩნია მცდელობის დადგენისთვის, რადგან, მისი განმარტებით, სავსებით საკმარისი იყო პირთა „განზრახვის“ წარმოსაჩენად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არაორაზროვნების ტექსტი, რომელიც სათავეს სუბიექტური თეორიიდან იღებს, ბუნდოვანებითა და განუსაზღვრელობით ხასიათდება. ის ან უკიდურესი სიმკაცრით, ან კიდევ უკიდურესი ლმობიერებით ხასიათდება, რასაც მისი განუსაზღვრელობა განაპირობებს. მისი საზომით, ქმედების მცდელობად შეფასება დამოკიდებულია არა ქმედების სიახლოვეზე, შექმნილ საფრთხეზე და სხვა ობიექტურ კრიტერიუმზე, არამედ მხოლოდ სუბიექტურ

⁵⁷⁰ Gordon G. H. 1960. 208.

⁵⁷¹ წიქარიშვილი კ. 2010. 19, მე-18 სქოლიო.

⁵⁷² Ibid.

⁵⁷³ Fletcher G. 2000. 142, 34-ე სქოლიო.

⁵⁷⁴ Davey v Lee, 1 QB 366. 1968; არაორაზროვნების ტექსტით იხელმძღვანელა ასევე ინგლისის სასამართლომ საქმეში: R v Miiskell, 37 Cr. App. Rep 214. 1954.

აღქმებზე, სადაც ქმედებას განზრახვის წარმომჩენი მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს.

ფიზიკური სიახლოვის ტესტი. სიახლოვის ტესტის მიხედვით, ქმედება მცდელობად უნდა შეფასდეს, თუკი ის დროისა და სივრცის თვალსაზრისით ახლოს არის დანაშაულის დამთავრებასთან⁵⁷⁵. პრაქტიკაში სირთულეს ქმნის სწორედ „სიახლოვის“ ელემენტი⁵⁷⁶. კითხვაზე, თუ რამდენად ახლოს უნდა იყოს ქმედება დანაშაულის შემადგენლობის დასრულებასთან, რათა ის ამ უკანასკნელთან „ახლოს“ ჩაითვალოს, ანგლო-ამერიკულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად პასუხობდნენ, რაც დროთა განმავლობაში განაპირობებდა სიახლოვის ტესტის ახალ ინტერპრეტაციებს. დოქტრინაში გამოთქმული სწორი მოსაზრების თანახმად, „სიახლოვე“ გაგებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული გარემოების შესაბამისად⁵⁷⁷.

სიახლოვის ტესტს, რომელიც **დროსა და სივრცეში სიახლოვის**⁵⁷⁸ კრიტერიუმს ადგენს სახელმძღვანელოდ დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლებად, დიდი გამოყენება ჰქონდა და დღემდე აქვს ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. ყველაზე გახმაურებული საქმეები, სადაც სასამართლომ დასახლებული ტესტით იხელმძღვანელა და რითაც კრიტიკოსები ცდილობენ სიახლოვის გამოუსადეგარობის წარმოჩენას, არის *Commonwealth v. Peaslee*⁵⁷⁹ და *People v. Rizzo*⁵⁸⁰-ს საქმეები. *Rizzo*-ს საქმეში პირთა ჯგუფი ნიუ იორკის ქუჩებში მანქანით დაეძებდა კლერკს, რომელსაც, მათი გათვლით, თან უნდა ჰქონოდა თანამშრომლებისთვის დასარიგებელი ხელფასი. თუმცა იქამდე, სანამ კლერკს მოძებნიდნენ და თავს დაესხმოდნენ, მათი ქმედება აღკვეთილ იქნა ადგილობრივი პოლიციის მიერ. ნიუ იორკის სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციისგან განსხვავებით, გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. სასამართლომ იხელმძღვანელა რა სიახლოვის ტესტით, პირთა ჯგუფის ქმედება არ შეაფასა მცდელობად, რადგან,

⁵⁷⁵ Encyclopedia of crime and justice, v.1, 88; Samaha J. 2011. 242- 243.

⁵⁷⁶ Duff R.A. 1996. 42.

⁵⁷⁷ Holmes JR., O. W. 2009. *The Common Law*. 64.

⁵⁷⁸ Singer R. G. and La Fond J.Q. 2010. 313.

⁵⁷⁹ *Commonwealth v. Peaslee*, 177 Mass. 267, 59 N.E. 55.1901.

⁵⁸⁰ *People v. Rizzo*, 246 N.Y.334, 158 N.E. 888.1927.

მისი განმარტებით, დაზარალებულის ძეხვის ეტაპი ჯერ კიდევ არ ქმნიდა ისეთ სიახლოვეს, რაც მცდელობის actus reus -ს დააკმაყოფილებდა⁵⁸¹. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არაერთმა მეცნიერმა გააკრიტიკა, რომლებიც მცდელობის განსასაზღვრად უფრო მეტად სუბიექტური თეორიით ხელმძღვანელობენ⁵⁸². სიახლოვის ელასტიურობის წარმოსაჩენად ხშირად იშველიებენ Peaslee-ის საქმეს: ბრალდებულმა შენობაში იმგვარად განათავსა საწვავი და იოლად აალებადი საშუალებები, რომ ცეცხლის წაკიდებისთანავე ის მთელ შენობას მოსდებოდა. ბრალდებულს სხვისი დახმარებით სურდა ცეცხლის გაჩენა, რაც ვერ მოახერხა. უკან, შენობისკენ მიმავალ გზაზე, პოლიციამ დააკვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ იხელმძღვანელა სიახლოვის ტესტით, ბრალდებულის ქმედება, რომელიც 400 მეტრით იყო დაშორებული ხელყოფის ობიექტისგან, მაინც მცდელობად შეაფასა⁵⁸³. სიახლოვის ტესტის ბუნდოვანების წარმოსაჩენად ხშირად იხსენებენ Button⁵⁸⁴-ის და Robinson⁵⁸⁵-ის საქმეებს: პირველ საქმეში პირმა ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით სპორტულ შეჯიბრებაში მოტყუებით მოიპოვა შეღავათები, რისი საშუალებითაც გაიმარჯვა. მისი ქმედება იქამდე გამოაშკარავდა, სანამ თანხას მიიღებდა. ქმედება მცდელობად შეფასდა. მეორე საქმეში პირმა ყაჩაღობის ინსცენირება მოაწყო, რომ თაღლითურად დაუფლებოდა ყაჩაღობისგან დაზღვეულ თანხას. სასამართლომ ქმედება მომზადებად შეფასა და, შესაბამისად, პირი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან. სასამართლოს განმარტებით, ქმედება იქამდე, სანამ პირი უშუალოდ სადაზღვევო კომპანიას არ დაუკავშირდებოდა თანხის მოთხოვნით, ძალიან იყო დაშორებული დამთავრებისგან. დაფის სწორი შენიშვნით, ორივე დასახელებულ საქმეზე შესაძლებელია საწინააღმდეგო აზრის წარმატებით დასაბუთება. მაგალითად: Button-ის საქმეში იქამდე, სანამ პირი ჯილდოს მისაღებად არ გამოცხადდებოდა, მომზადებად უნდა შეფასებულიყო, ხოლო მეორე საქმეში პოლიციისთვის შეტყობინება უკვე საკმარისად ახლოს იყო მიზნის მიღწევამდე,

⁵⁸¹ Samaha J. 2011. 248-9.

⁵⁸² Encyclopedia of crime and justice, v.1, 88.

⁵⁸³ Ibid. დასახელებულ საქმეში პირი საბოლოოდ გამართლდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

⁵⁸⁴ R v Button, 2 QB 597.1900.

⁵⁸⁵ Robinson 2 KB 342.1915; მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ მცდელობის შესახებ 1981 წლის კანონის განმარტების საფუძველზეც, კერძოდ, Gullefer-ის საქმეზე. იხ. R. v Gullefer 91 Cr.App.R.356, 1990.

მითუმეტეს, რომ სიახლოვის ტესტი არ მოითხოვს ბოლო აქტის განხორციელებას ქმედების მცდელობად შეფასებისთვის⁵⁸⁶. Robinson-ის მსგავსი საქმე არის Bloomfield-ისა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პირი სადაზღვევო კომპანიასაც დაუკავშირდა, სასამართლომ მაინც არ მიიჩნია შედეგთან საკმარისად ახლოს მდგომ ქმედებად. მოცემულ საქმეში სასამართლოს არგუმენტი იყო ის, რომ პირის მიმართვა, რომელიც ეკითხებოდა კომპანიას, ნივთის მოპარვა თუ იყო საკმარისი თანხის მისაღებად, უფრო საკითხში გარკვევას წარმოადგენდა, ვიდრე მოთხოვნას⁵⁸⁷.

ლინგვისტურად გაგებული ფიზიკური სიახლოვის თეორია სხვა გამოწვევასაც ვერ გაუმკლავდა, კერძოდ, მცირე დოზით მოწამვლის საქმეებს. ერთ-ერთი გახმაურებული Kennedy⁵⁸⁸-ის საქმეა (ამერიკა), სადაც ნათესავის მოკვლის განზრახვით მსჯავრდებულმა მცირე დოზის საწამლავი ჩაყარა სასმელში⁵⁸⁹. მსგავსი საქმეა White⁵⁹⁰(ინგლისი), სადაც პირმა დედამისის მოკვლის განზრახვით მცირე დოზის საწამლავი გაურია დასაღვევად გამზადებულ რძეში. კიდევ რამდენიმე მსგავსი დოზის საწამლავის მიცემა იყო საჭირო იმისთვის, რომ შედეგი დამდგარიყო. მცირე დოზის საწამლავის მიცემასა და სიკვდილს შორის მანძილი იმდენად დიდია, რომ ვერ აკმაყოფილებს ფიზიკური სიახლოვის ტესტის მოთხოვნას, რომელიც დროსა და სივრცეში სიახლოვის კრიტერიუმს ადგენს. მიუხედავად ამისა, მსგავს საქმეებში ქმედება მაინც მცდელობად ფასდება, რასაც ქმედების არა განცალკევებით, არამედ, როგორც მოქმედებათა სერიის ნაწილის შეფასება განაპირობებს, რომელიც არა ფიზიკურ, არამედ **საშიშ სიახლოვეშია** მოსალოდნელ შედეგთან. „საშიშროება” კი, როგორც ჯ. ფლეტჩერი სწორად აღნიშნავს, უფრო დამკვიდრებული კლიშეებითა და დაზარალებულის პოზიციიდან ფასდება და არა ობიექტური მასშტაბებით⁵⁹¹.

მსგავსი და სხვა ისეთი საქმეებიდან გამომდინარე, სადაც ფიზიკური სიახლოვის ტესტით ქმედების მცდელობად შეფასება შეუძლებელი აღმოჩნდა და

⁵⁸⁶ Duff R.A. 1996. 42.

⁵⁸⁷Comer v. Bloomfield , 55 Cr App R 305.1970.

⁵⁸⁸ Commonwealth v. Kennedy, 170 Mass. 18, 48 N.E. 770.1897. აღსანიშნავია, რომ მითითებულ საქმეში მოსამართლე ოლივერ ჰოლმსი იყო.

⁵⁸⁹ White G. E. 1992. Justice Holmes and the Modernization of Free Speech Jurisprudence: The Human Dimension”, *California Law Review*, Volume 80. 415.

⁵⁹⁰ R v. White, all er rep 340, Court of Criminal Appeal.1910.

⁵⁹¹ Fletcher G. 2000. 153-4.

პირის დასჯის ცდუნება კი დიდი იყო, ნელ-ნელა საფუძველი ეყრებოდა ფართო ინტერპრეტაციებს, მათ შორის აღსანიშნავია ჰოლმსისეულ „საშიში სიახლოვის“ ტესტი და ასევე სტეფანის მოქმედებათა სერიის ტესტი.

საშიში სიახლოვის ტესტი. ცნობილი იურისტი და მოსამართლე ჯ. ჰოლმსი, რომელიც საშიში სიახლოვის ტესტის ავტორად მიიჩნევა და ცნობილია, როგორც ობიექტივისტი, „სიახლოვის“ განსასაზღვრად იყენებდა ისეთ სუბიექტურ კრიტერიუმებს, როგორიცაა „განზრახვა“ და „ტენდენცია“⁵⁹², რაც, მისი თქმით, ქმნის სიახლოვის ხარისხს და არღვევს ზღვარს მომზადებასა და მცდელობას შორის. ობიექტური თეორიიდან გადახრას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ ჰოლმსისთვის ქმედებასა და მოსალოდნელ შედეგს შორის სიახლოვის საზომი დაზარალებულის მხრიდან აღქმული შიშები და მოლოდინები იყო. სწორედ ამ კრიტერიუმით იხელმძღვანელა ჰოლმსმა, როდესაც ალაბამას სასამართლოს გადაწყვეტილება, *Mcquirter v. State*⁵⁹³, რომლითაც აფრო-ამერიკელი მამაკაცის ქმედება გაუპატიურების მცდელობად იქნა შეფასებული იქ, სადაც პირი 10 იარაღით იყო დაშორებული ქალისგან, არათუ არ გააკრიტიკა, არამედ მოიწონა და დაეთანხმა მას სწორედ დაზარალებულის მიერ უკვე საშიშად აღქმული ქმედების პოზიციიდან⁵⁹⁴.

ჯ.ჰოლმსი მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლებად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებდა: საშიში სიახლოვე; მოსალოდნელი ზიანის სიდიდე და საშიშროების აღქმის ხარისხი⁵⁹⁵. საშიშროებისა და მისი აღქმის ჰოლმსისეულ კრიტერიუმს აკრიტიკებდა ობიექტივისტი ფლეტჩერი, მისი აზრით, საშიშროებაც ზედმეტად სპეკულაციურია და იძლევა განვრცობითად გამოყენების შესაძლებლობას. მას კიდევ უფრო არ მოსწონდა საშიშროების აღქმის შემოტანა მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლებად, რაც მას ე.წ „არაორაზროვნების“ მსგავს თეორიად მიაჩნდა⁵⁹⁶. დასახელებული თეორიის ელასტიურობის დასასაბუთებლად,

⁵⁹² White G. E. 1992. 415.

⁵⁹³ Duff R.A. 1996. 47.

⁵⁹⁴ Holmes JR., O. W. 2009. 64. მსგავსი საქმე: *Lewis v. State*. 35 Ala.380, 1860. საქმე ციტირებული და გაანალიზებულია: Strahorn, Jr., J. S. 1939. Preparation for Crime as a Criminal Attempt, *1 Wash. & Lee L. Rev.* 1. 12.

⁵⁹⁵ Ibid; მითითებულისა ხელმძღვანელო კრიტერიუმი ჯ. ჰოლმსმა მისი მოსამართლეობით გამოტანილ განაჩენში გააუქმდა. იხ. *Commonwealth v. Kennedy*, 170 Mass. 18, 48 N.E. 770. 1897.

⁵⁹⁶ Fletcher G. 2000. 141-2.

სხვა ზემოთ მოყვანილ საქმესთან ერთად, ხშირად იხსენებენ Gregg⁵⁹⁷-ის საქმეს, სადაც მცდელობად იქნა შეფასებული იმ პირის ქმედება, რომელიც ილინოისის შტატიდან კანზასის შტატში სპირტიანი სასმელის გადატანას ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ საზღვრამდე მას 250 მილი აშორებდა. საშიში სიახლოვის ტექსტს აკრიტიკებს ე. დაფიც, მისი აზრით, საშიში სიახლოვის ტექსტი არ იკითხება ნათელი კრიტერიუმით. მისთვის გაუგებარია, თუ რით იხელმძღვანელა სასამართლომ Peaslee-ის საქმეში, სადაც საბოლოოდ მცდელობად არ შეაფასა იმ პირის ქმედება, რომელიც მეოთხედი მილით იყო დაშორებული შენობისგან, რომლის აფეთქებასაც ცდილობდა, ხოლო Gregg-ის საქმეში, სადაც მანძილი ბევრად მეტი იყო, მცდელობად შეაფასა⁵⁹⁸.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საშიში სიახლოვის ტექსტი, რომელიც სათავეს ობიექტური თეორიიდან ნაწარმოები ფიზიკური სიახლოვის ტექსტიდან იღებს, საბოლოოდ სუბიექტურ მიდგომად ტრანსფორმირდა, რის გამოც უძლურია ახსნას, თუ სად გადის ზღვარი მომზადებასა და მცდელობას შორის. ამიტომაც მოხდა ისე, რომ Kennedy-ის საქმეში, სადაც მცირე დოზის ციანიდს კონკრეტული საფრთხე არ შეუქმნია სიცოცხლისთვის, ის მაინც ასეთად ჩაითვალა ციანიდთან მიმართებით საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის გამო. ასეთივე კლიშეთი მოხდა Mcquirtter-ის საქმის გადაწყვეტა, სადაც ალაბამას სასამართლომ იხელმძღვანელა არა შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის ობიექტური მასშტაბით (ქმედების სუბიექტი ხელყოფის ობიექტისგან 10 იარდით იყო დაშორებული), არამედ 50-იანი წლების ალაბამას საზოგადოებაში შავკანიანი ადამიანების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპებითა და შიშებით⁵⁹⁹. აღსანიშნავია ასევე Miller - ის საქმე⁶⁰⁰, სადაც სასამართლომ პირის ქმედება იმ ეტაპზე, როდესაც თოფს ამზადებდა მოსამარჯვებლად (თუმცა არ დასცალდა, რადგან პოლიციამ შეუშალა ხელი) მკვლელობის მომზადებად შეაფასა. საქმის ანალიზი აჩვენებს, რომ ის ობიექტურ მასშტაბებს კი არ იყენებს (დროში და სივრცეში სიახლოვის არარსებობა, დაცული

⁵⁹⁷ Gregg v. United States, 113 F.2d 687. 8th Cir. 1940.

⁵⁹⁸ Duff R.A. 1996. 48.

⁵⁹⁹ დასახელებულ საქმეში „დანაშაულის ჩადენის პერიოდი და ადგილი“ ქმედების მცდელობად შეფასებისთვის განმსაზღვრელად მიაჩნია ასევე შოტლანდიელ პროფესორს ჰამელა ფერგიუსონს და ამერიკელ მეცნიერს სენფორდ ჰ. კადიშს. იხ. Ferguson P. R. 2014. Moving from preparation to perpetration? Attempted crimes and breach of the peace in Scots Law, *Ohio State Journal of Criminal Law*, Vol. 11, No. 2. 692; Kadish S. H., Schulhofer S. J. and Steiker C. S. 2007. 560.

⁶⁰⁰ People v. Miller, 42 P.2d 308. Cal. 1935.

სიკეთის უშუალო საფრთხის ქვეშ არყოფნა), არამედ ქმედების სუბიექტური მხარის ბუნდოვანებაზე აკეთებს აქცენტს, რომ თითქოს ამ ეტაპზე ძნელია იმის გარჩევა, თუ რა სურდა პირს. ამ საქმესაც გასდევს დისკრიმინაციული მიდგომის კვალი - ქმედების სუბიექტი თეთრკანიანი იყო, ხოლო დაზარალებული - აფრო-ამერიკელი. ამიტომ იმავე ავტორთა ექვები, რომ პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება რასობრივი ნიშნით მოხდა და არა ობიექტური თეორიის მიმართ ჭეშმარიტი კუთვნილების გამო, მეტ მხარდაჭერას იმსახურებს, მითუმეტეს, დასახელებულ შემთხვევას 30-იანი წლების ამერიკაში ჰქონდა ადგილი⁶⁰¹. მსგავსი მიდგომები შორს არის მეცნიერული დასაბუთებებისგან და, გარდა ამისა, დისკრიმინაციის წამახალისებელია, რაც ყოველად დაუშვებელია თანამედროვე სამყაროში. გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც მომზადება გენერალურად არ ისჯება, განსაკუთრებით საფრთხილოა საშიში სიახლოვის ტესტის გამოყენება, რადგან, როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ისინი მასში აერთიანებენ როგორც აბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ საფრთხეს და, შესაბამისად, არ უძნელდებათ ქმედების მცდელობად კვალიფიკაცია, რაც საბოლოო ჯამში მცდელობის პერვერსიას იწვევს.

სტეფანის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობა მოითხოვს დანაშაულის ჩადენის მიზნით ქმედებას და იმ ქმედებათა სერიის ნაწილის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს ქმედების შემადგენლობის აღსრულებას ...“⁶⁰².

კლარკსონი „მოქმედებათა სერიის“ თეორიას ფართო საზღვრების გამო აკრიტიკებს, მისი აზრით, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა ამ მიდგომით უკვე დანაშაულის მცდელობაა, რადგან წარმოადგენს ნაწილს იმ ქმედებათა სერიაში, რომელიც საბოლოოდ შედეგში რეალიზდება⁶⁰³. სტეფანის კრიტერიუმის მსგავს ინტერპრეტაციას არ ეთანხმება ენტონი დაფი, მისი თქმით, იარაღის შეძენა იმ მიზნით, რომ ყაჩაღობა ჩაიდინო, შეიძლება წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედებას მოქმედებათა სერიიდან, რომელიც საბოლოოდ დაამთავრებს დანაშაულს, თუ იქამდე არ იქნება აღკვეთილი, მაგრამ ეს ქმედება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმ ქმედებათა სერიის

⁶⁰¹Wagner R. E. 2010.1062. Note 85.

⁶⁰² Stephen's Digest of criminal law.1950. London, Sweet & Maxwell. ციტირებულია Duff R.A. 1996. 43.

⁶⁰³ClarksonCMV., Keating HM.& CunninghamSR. 2007. 492.

ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფდა ამ დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დაწყებას⁶⁰⁴. შესაბამისად, დაფი მას სიახლოვის ტესტის დამხმარე კრიტერიუმად მიიჩნევდა, ბევრი სხვა იმ მეცნიერისგან განსხვავებით, რომლებიც მას პირველი აქტის თეორიასთან ათანაბრებდნენ. მიუხედავად დაფის მხრიდან სტეფანის კრიტერიუმის დაცვის მცდელობისა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტეფანის მიდგომით, მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გავლება მცდელობის ფართო ინტერპრეტაციით სრულდებოდა⁶⁰⁵. პრაქტიკულ პრობლემას ქმნიდა სწორედ ის, თუ რა მომენტიდან წარმოადგენს ქმედება იმ ქმედებათა სერიის ნაწილს, რომელიც მცდელობად შეფასებისთვის საკმარისი იქნებოდა. სტეფანის კომენტარი, რომ ეს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდუალურად უნდა გადამწყდარიყო, ვერ იძლეოდა გარანტიას ამპრობლემის მცდელობის შეზღუდულად განმარტების სასარგებლოდ.

არსებითი ნაბიჯის ტესტი. დანაშაულის მცდელობის თანამედროვე ამერიკული განსაზღვრება არის „არსებითი ნაბიჯის” დეფინიცია, რომლის თანახმადაც, „დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს არსებით ნაბიჯს დანაშაულის განსახორციელებლად”⁶⁰⁶. იმისათვის, რომ „არსებითი ნაბიჯის” ტესტი დააკმაყოფილოს დანაშაულის ჩადენის სტადიამ, ის **მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს პირის განზრახვის მხარდაჭერას - ჩაიდინოს დანაშაული**. მსგავსი განმარტება აჩვენებს, რომ კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენად ახლოს არის ქმედება დანაშაულის შემადგენლობის დასრულებასთან და, შესაბამისად, რამდენად მაღალ საფრთხეს ქმნის ქმედების შემადგენლობის რეალიზებისთვის, არამედ ფორმალურ მხარეს, ე.ი. რამდენად მტკიცებადია გარე სამყაროში გამოხატული პირის განზრახვა - ჩაიდინოს დანაშაული⁶⁰⁷. ასეთი ინტერპრეტაციით, თუკი პირი შეიძენს იარაღს ვინმეს მოსაკლავად და ამის შესახებ დღიურში ჩაწერს, მისი „ქმედება” ამ ეტაპიდანვე სავსებით აკმაყოფილებს „არსებითი ნაბიჯის” ტესტის მოთხოვნას და მკვლელობის მცდელობას წარმოადგენს, რაც დაარღვევს ქმედების სამართლის პრინციპს და გაუმართლებლად შეიჭრება ინდივიდის თავისუფალ სივრცეში. მითუმეტეს, რომ MPC თავად განმარტავს არსებით ნაბიჯს ასეთად. განმარტებების თანახმად, არსებით

⁶⁰⁴ Duff R.A. 1996. 43.

⁶⁰⁵ Devey v LEE, 1 QB 366.1968.

⁶⁰⁶კახა წიქარიშვილის თარგმანი. იხ. წიქარიშვილი ვ. 2010. 17. MPC, 5.01 (2). 1985.

⁶⁰⁷Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010. 315.

ნაბიჯად და, შესაბამისად, მცდელობად უნდა შეფასდეს მსხვერპლის გამოძებნა, მასზე მიდევნება, თავდასხმის ობიექტის გამოძებნა-დათვალიერება, იარაღის შეძენა⁶⁰⁸ და სხვა მსგავსი ეტაპები, თუკი მტკიცებულებებით დასტურდება მათი არსებობა⁶⁰⁹. ამდენად, არსებითი ნაბიჯის ტესტის განუსაზღვრელობა და სუბიექტური ორიენტაცია აშკარაა და, შეიძლება ითქვას, რომ მცდელობა არსებითი ნაბიჯის ტესტის განსაზღვრებით იმაზე უფრო ფართოა და ყოვლისმომცველი, ვიდრე „პრინციპულად“ უარყოფილი დანაშაულის მომზადება. მცდელობის ასეთი ფართო დეფინიციის აღიარებით აშშ-მ, შეიძლება ითქვას, წერტილი დაუსვა იმ გაუთავებელ კამათს, თუ როდიდან მთავრდება დანაშაულის უბრალო მომზადება და იწყება დასჯადი მცდელობა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მან „მოახერხა“ ინდივიდის თავისუფლების საზიანოდ.

MPC -ის მცდელობის ცნებამ განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა და დღესდღეობით შტატების უმეტესობა სწორედ მას იყენებს მომზადებასა და მცდელობას შორის ზღვარის გასავლებად. ერთ-ერთი საქმე, სადაც სასამართლომ არსებითი ნაბიჯით იხელმძღვანელა და პირთა ქმედება, რომლებიც ბანკის დაყაჩაღების მიზნით გარეთ მანქანაში იცდიდნენ, რომ ხელსაყრელ დროს ბანკში შესულიყვნენ იარაღებით, მცდელობად შეაფასა, არის **State v. Jackson**⁶¹⁰. ასევე აღსანიშნავია **Reeves**⁶¹¹-ის საქმე⁶¹²: ორმა სკოლის მოსწავლემ გადაწყვიტა მასწავლებლის მოკვლა ვირთხის საწამლავით. ერთ-ერთმა მათგანმა შეიძინა საწამლავი და სკოლაში მოიტანა. მესამე პარტნიორის ძეხვის პროცესში გამოაშკარავდა მათი ქმედება. მოსწავლეების ქმედება შეფასდა მკვლელობის მცდელობად. სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის ჩასადენად არსებითი ნაბიჯია საჭირო, რაც მოსწავლეების მხრიდან, რომელთაც შეიძინეს საწამლავი და აქტიურად ცდილობდნენ სხვების დაყოლიებას დახმარებისთვის, განხორციელდა. საყურადღებოა ასევე

⁶⁰⁸დანაშაულის მცდელობის საილუსტრაციოდ ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები, ძველი ამერიკული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დანაშაულის მომზადებას წარმოადგენდა. იხ. Keedy E.R. 1954. 468-469.

⁶⁰⁹Samaha J. 2011. 244-245; Lippman M. 2010. 186.

⁶¹⁰ United states v. Jackson, 560 F.2D 112.1977; ასევე მსგავსი საქმეები: United States v Buffington, 815 F.2d 1292.1987; Williams v. Commonwealth, Va. App. 154.2004; Young v. State, Ct of App of MD.1985.

⁶¹¹ State v Reeves, 916 S.W.2d 909, 1996 Tenn. 119.

⁶¹²მსგავსი საქმეებისთვის იხ. Scheb J.M., Scheb J. M. II. 2009. *Criminal Law*. Belmont, Wadsworth, Cengage Learning. 92.

Gilliam⁶¹³-ის საქმე, სადაც მსჯავრდებული ციხიდან გაქცევას ცდილობდა, რისთვისაც მან ფანჯრის მხოლოდ ერთი გისოსის გადახერხვა მოასწრო, სასამართლომ იხელმძღვანელა რა „არსებითი ნაბიჯის“ ტესტით, პირის ქმედება საკმარისად ჩათვალა მცდელობად შეფასებისთვის. რადგან - ერთი: პირმა თავისი განზრახვის შესაბამისად გადადგა ნაბიჯი დანაშაულის ჩასადენად, და მეორე: **ქმედება გამოხატავდა პირის განზრახვის მკაფიო მხარდაჭერას**. პენსილვანიის უზენაესმა სასამართლომ იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ იგივე ქმედება ვერ დააკმაყოფილებდა მცდელობის მოთხოვნას, თუკი შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის ტესტი იქნებოდა განმსაზღვრელი, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ქმედების ჩადენა იყო საჭირო დანაშაულის დასრულებისთვის⁶¹⁴. აღსანიშნავია, რომ **არსებითი ნაბიჯი** მცდელობის actus reus-ს წარმოადგენდა პენსილვანიის შტატის კანონმდებლობითაც⁶¹⁵. ამერიკის უახლესი სასამართლო პრაქტიკა „არსებით ნაბიჯს“ ისე ახასიათებს, როგორც უფრო მეტს, ვიდრე დანაშაულის მომზადებას, რომელიც, მათივე განმარტებით, იმაზე ნაკლებია, ვიდრე „ბოლო აქტი“. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებების უმეტესობა „აშკარა ქმედებას“ და „არსებით ნაბიჯს“ დანაშაულის ჩასადენად უფრო მტკიცებულებით მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან კმაყოფილდებიან მიზნით განსაზღვრული ნებისმიერი ქმედებით⁶¹⁶. საქმეების

⁶¹³Commonwealth v. Gilliam, 417 A.2d 1203. Pa.sup.Ct.1980. აღსანიშნავია იმავე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება 1975 წლის ერთ-ერთ საქმეზე (Commonwealth v. McCloskey, 341 A.2d 500, 503. Pa. Sup. Ct. 1975), სადაც მსჯავრდებული საპატიმროდან გაქცევას შეეცადა. გადამგრა ღობეზე, დააზიანა ეკლიანი მავთული, რა დროსაც, სიგნალიზაცია ჩაირთო, რაც მისთვის არ იყო აღქმადი და სადაცაა უნდა დაეტოვებინა საპატიმროს ტერიტორია. მას მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ბარიერი აკავებდა გასვლამდე, რომ გადაიფიქრა, რადგან მოსალოდნელი სასჯელის შეეშინდა. მიუხედავად იმისა, რომ Gilliam-ზე ბევრად მეტი ქმედება ჰქონდა ჩადენილი და უფრო მეტად იყო ახლოს დანაშაულის დასრულებასთან, სასამართლომ მისი ქმედება მომზადებად შეაფასა. ამერიკელი მკვლევარები ასეთ კვალიფიკაციას იმით ხსნიან, რომ მოცემულ საქმეში, რამდენადაც აშკარად იკვეთებოდა ნებაყოფლობით ხელის აღება და სასამართლოს არ შეეძლო მასზე მითითებით პირის გათავისუფლება, მან ეს მცდელობის ვიწრო ინტერპრეტაციით გააკეთა. იხ. Wagner R. E. 2010. 1063. Note 87.

⁶¹⁴Lippman M. 2010. 186.

⁶¹⁵ Pennsylvania Code. 1975. Title 18 – crimes and offenses, chapter 9 - Inchoate Crimes, § 901. Criminal attempt. (a) "A person commits an attempt when, with intent to commit a specific crime, he does any act which constitutes a substantial step toward the commission of that crime".

⁶¹⁶მაგალითისთვის იხ. United States court of appeals for the sixth circuit N 2:14-cr-00043—Algenon L. Marbley. July 28, 2015; ასევე იხ. United States v. Howard, 766 F.3d 414, 419–26. 5th Cir. 2014; United States v. Muratovic, 719 F.3d 809, 815. 7th Cir. 2013; United States v. Goodwin, 719 F.3d 857, 860. 8th Cir. 2013; United States v. Gordon, 710 F.3d 1124, 1150. 10th Cir. 2013. არსებითი ნაბიჯის კრიტიკისთვის იხ. M.T. Cahill. 2012. Defining Inchoate Crime: An Incomplete Attempt, *Ohio State Journal of Criminal Law* vol.9. 754-755; Hasnas J. 2012. Attempt, Preparation, and Harm: The Case of the Jealous Ex-Husband, *Ohio State Journal of Criminal Law* vol.9. 761; Yaffe G. 2012. Attempt, Risk-Creation, and Change of Mind: Reflections on Herzog, *Ohio State Journal*

ანალიზი ცხადყოფს, რომ „უფრო მეტი, ვიდრე დანაშაულის მომზადების ტესტი“, არსებითი ნაბიჯის დასახასიათებლად უფრო კლიშეა, ვიდრე მიდგომა, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევის ობიექტური მასშტაბით განსჯისას გამოდგებოდა. მითუმეტეს, სასამართლოს ისიც უთქვამს, რომ საქმის შეფასება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს და შესაძლებელია ერთი და იგივე ფაქტი მსგავს საქმეებში ერთგან მომზადებად და მეორეგან მცდელობად შეფასდეს⁶¹⁷. კვლევამ გამოავლინა მცდელობის შედარებით შეზღუდულად განმარტების ტენდენცია ისეთ საქმეებში, სადაც ქმედების სხვა ინსტუმენტით (მაგალითად, კონსპირაცია) დასჯის შესაძლებლობაა⁶¹⁸. ასევე კვლევამ გამოავლინა, რომ იმ შტატებში, სადაც ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ჰქონდა სასჯელისგან გამათავისუფლებელი ეფექტი, უფრო ვიწროდ განმარტავდნენ სასამართლოები მცდელობის ფარგლებს⁶¹⁹. ძირითად შემთხვევაში კი მცდელობა უკიდურესად ფართო საზღვრების არის და, დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, მიზნად ისახავს არა საშიში ქმედების პრევენციას, არამედ სუბიექტის საშიშროების განეიტრალებას, რაც სისხლის სამართალს აკარგვინებს ლიბერალურ ხასიათს, წინააღმდეგობაში მოდის ქმედების პრინციპთან და სისხლის სამართლის ფრაგმენტულ ბუნებასთან.

უფრო მეტი, ვიდრე დანაშაულის მომზადება. 1981 წლის მცდელობის აქტის მიღების შემდეგ ინგლისის სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის ცნება ახლებურად განისაზღვრა, რითაც მოხდა მცდელობის ადრეული მიდგომების გაუქმება⁶²⁰. კანონპროექტზე მომუშავე კომისიამ მცდელობის ცნების ჩამოყალიბების არაერთი წინადადება მიიღო⁶²¹, მათ შორის სიახლოვისა და არსებითი ნაბიჯის თეორიის მიღების თაობაზეც, თუმცა საბოლოოდ მაინც ის სახე მიიღო, რაც დღემდე მოქმედებს, კერძოდ, დანაშაულის მცდელობა ასე განისაზღვრა: „ის, ვინც

of Criminal Law vol.9. 787; Pizzi W. T. 2012. Rethinking Attempt under the Model Penal Code, Ohio State Journal of Criminal Law vol.9.

⁶¹⁷United States v. Muratovic, 719 F.3d 809, 815. 7th Cir. 2013.

⁶¹⁸ United States v. Monholland, 607 F.2d 1311, 1318–19.10th Cir. 1979. სასამართლომ, პირთა მარტოოდენ შეთანხმება და მესამე პირთან მოლაპარაკება, რომ მოეკლათ სასურველი პირი, არ მიიჩნია საკმარისად მკვლელობის მცდელობად შეფასებისთვის. სასამართლომ განმარტა, რომ მართალია განზრახვა უმნიშვნელოვანესი ელემენტია მცდელობის დასაფუძნებლად, მაგრამ არა საკმარისი.

⁶¹⁹ Commonwealth v. McCloskey, 341 A.2d 500, 503. Pa. Sup. Ct. 1975. ანალიზისთვის იხ. Wagner R.E. 2010. 1063. Note 87.

⁶²⁰ Duff R.A. 1996. 57; Ormerod D. 2009. 574.

⁶²¹Clarkson CMV. Keating HM.& Cunningham SR. 2007. 491-2.

დანაშაულის ჩადენის განზრახვით ჩაიდენს ქმედებას, რომელიც უფრო მეტია დანაშაულის ჩასადენად, ვიდრე უბრალო მომზადება, პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობისთვის”⁶²² იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მცდელობის მოქმედი განსაზღვრება უფრო მეტად ობიექტური თეორიიდან იღებს სათავეს და ის ინგლისის პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული „ბოლო აქტის” და „სიახლოვის” ტესტების ანარეკლია⁶²³.

ინგლისის სასამართლომ Gulleffer-ის საქმეში უფრო მეტი, ვიდრე დანაშაულის მომზადება განმარტა⁶²⁴, როგორც დანაშაულის შემადგენლობის დაწყება (someone has embarked on) და ქმედება, რომელიც ჩართულია დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების პროცესში (is in the process of committing ...) ⁶²⁵, სასამართლოს განმარტებით, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასებისთვის ბოლო აქტის მსგავსად არ არის საჭირო, რომ პირმა ყველაფერი გააკეთოს დანაშაულის ჩასადენად და მას უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდეს ისევე, როგორც ქმედების მცდელობად შეფასებისთვის არ იქნება საკმარისი მოქმედებათა სერიიდან მხოლოდ ერთი აქტის განხორციელება, როგორც ეს სტეფანის კრიტერიუმის მიხედვით არის⁶²⁶. მაშასადამე, მცდელობა განიმარტა, როგორც უკიდურესად ვიწრო და ფართო დეფინიციას შორის შუალედური. Gulleffer-ის საქმე კი ასე გამოიყურება: მსჯავრდებული ესწრებოდა მწევართა სრბოლას, რადგან ერთ-ერთ მწევარზე მასაც ჰქონდა დადებული ფსონი. შეჯიბრებამ მიაღწია რა ბოლო ეტაპს, მსჯავრდებულმა გადაწყვიტა ფინალამდე ხელი შეემალა სრბოლისთვის, რადგან მიხვდა, რომ მისი მწევარი ვერ გაიმარჯვებდა, რაც მისთვის 18 ფუნტი სტერლინგის წაგებას ნიშნავდა. მსჯავრდებული გადაძვრა სტადიონის დამცავ ღობეზე და სხეულის მოძრაობით შეეცადა შეჯიბრებისთვის ხელის შეშლას. პირი მალევე დააკავეს, ხოლო მსაჯმა მისი საქციელი საკმარისად არ მიიჩნია შეჯიბრების ჩაშლისთვის და სრბოლა გაგრძელდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ პირის ქმედება ქურდობის მცდელობად შეაფასა, ხოლო სააპელაციო

⁶²²ობ. Criminal Attempts Act 1981, Part 1, sec.1.

⁶²³ Duff R.A. 1996. 57-8.

⁶²⁴საქმის ანალიზისთვის იხ. Martin J. and Storey T. 2015. 78; Jefferson M. 2013. *Criminal law*. Harlow, Pearson. 419; Storey T. and Lidbury A. 2009. 322-323.

⁶²⁵Gulleffer, 91 Crim.App.R. 356.1990.

⁶²⁶Gulleffer. Ibid.

სასამართლომ გააუქმა ის, რადგან, მისი განმარტებით, პირის ქმედება ჯერ არ გასცდენია უბრალო მომზადების სტადიას.

1981 წლის შემდგომ პერიოდში ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდან ასევე საინტერესოა Jones-ის, Geddes-ის, Griffin-ის და Campbell-ის საქმეები.

Jones-ის საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც სასამართლომ უარყო მცდელობის ბოლო აქტით განმარტება და გზა გაუკვალა მის უფრო ფართო ინტერპრეტაციას⁶²⁷.

Campbell-ის საქმეში, სადაც პირი, რომელიც ფოსტის დაყაჩაღებას აპირებდა, ოფისისგან ერთი იარდის მოშორებით დააკავეს, ქმედება ყაჩაღობის მომზადებად შეფასდა. რადგან, სასამართლოს თქმით, ქმედება ყაჩაღობის მცდელობად რომ შეფასებულიყო, პირს მინიმუმ იმ ადგილისთვის უნდა მიეღწია, სადაც აპირებდა ჩანაფიქრის განხორციელებას⁶²⁸. მამსადაამე, დასახელებული საქმით დანაშაულის მცდელობა უფრო ვიწროდ განიმარტა, ვიდრე ეს „არსებითი ნაბიჯის” ტესტის გამოყენებით მოხდებოდა.

Griffin-ის საქმეში⁶²⁹ პირს მსჯავრი დაედო შვილების გატაცების მცდელობაში, მიუხედავად იმისა, რომ „ბავშვების გატაცების შესახებ” აქტის თანახმად, დანაშაულის დასრულებისთვის საჭირო იყო ბავშვის საზღვრებს გარეთ გაყვანა. დედის ქმედება კი იმ ეტაპზე იქნა აღკვეთილი, როდესაც შვილებს სკოლაში მიაკითხა ვითომ სტომატოლოგთან ჩანიშნული შეხვედრისთვის გამოსაყვანად. სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელი იყო დედის მხრიდან ბავშვების ფაქტობრივი მზრუნველობის ქვეშ მოქცევა და მოგზაურობის დაწყება. სასამართლოს თქმით, Griffin გასცდა მოსამზადებელ სტადიას მას შემდეგ, რაც დირექტორამდე მივიდა მისი განცხადება. სწორედ ეს ეტაპი მიიჩნია ქმედების შემადგენლობის დაწყებად, რაც, სასამართლოს განმარტებებით, აფუძნებდა მცდელობის actus reus-ს⁶³⁰.

⁶²⁷ R. v Jones, 3 All ER 886 APP.1990.

⁶²⁸ Campbell, 93 Cr App R 350. 1990; დასახელებული საქმე შეგიძლიათ იხილოთ Ormerod D. 2009. 589; Elliot C. and Quinn F. 2010. 255.

⁶²⁹ Griffin, Crim., L.R. 515.1993.

⁶³⁰Clarkson CMV., Keating HM.& CunninghamSR.2007. 498; Molan M., Bloy D. & Lanser D. 2003. 163-4.

Geddes-ის საქმეში⁶³¹ ბავშვის მძევლად ხელში ჩაგდების მცდელობად არ შეფასდა პირის ქმედება, რომელიც ამ მიზნით სკოლაში შევიდა და ბავშვების საპირფარეოში იცდიდა. სასამართლომ მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელ ნიშნად მსხვერპლთან სიახლოვე დაადგინა, რომლის არარსებობის გამო გამორიცხა მცდელობის actus reus⁶³².

Toothill-ის საქმეში⁶³³ პირის ქმედება გაუპატიურების მცდელობად შეფასდა და ეს მაშინ როცა მსხვერპლი ჯერ კიდევ არ იყო კონკრეტული საფრთხის ქვეშ მოქცეული. მსჯავრდებული მაშინ დააკავეს, როდესაც დაზარალებულის კარზე დააკაკუნა იქ შესვლისა და მისი გაუპატიურების მიზნით. ყურადღებას იმსახურებს R. v. Tosti -ის საქმე⁶³⁴, სადაც პირთა ჯგუფი სხვის საკუთრებაში შეღწევას ცდილობდა და რომელთა ქმედებაც იმ მომენტში შეწყდა, როდესაც დაკეტილი სადგომის ბოქლომს სინჯავდნენ და არჩევდნენ, თუ რომელი ხელსაწყოთი უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მისი გაღება, ეს ყაჩაღობის მცდელობად შეფასდა⁶³⁵.

შეიძლება ითქვას, რომ მცდელობის ახალ განსაზღვრებას მეტი სიცხადე არ შემოუტანია ასეთი ქმედების კვალიფიკაციის ერთობ პრობლემურ საკითხში, ხოლო ინგლისის სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობებით არის სავსე, ის ვერ ავლებს ნათელ ზღვარს დანაშაულის უბრალო მომზადებასა და მცდელობას შორის. დანაშაულის მცდელობის არსის გასარკვევად სასამართლოს მიერ დადგენილი შეფასება, რომ ის არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება, საჭიროებისამებრ ან ვიწროდ ესმით, ან უკიდურესად ფართოდ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ Geddes-ის და Griffin-ის საქმეთა შედარებაც საკმარისია. თუკი პირველ შემთხვევაში ქმედების მცდელობად შეფასებაზე უარის თქმის მიზეზი ქმედების სუბიექტის მსხვერპლთან სიახლოვის არარსებობა და, მაშასადამე, მსხვერპლის საფრთხის ზონაში არყოფნა იყო, აღნიშნულს ხელი არ შეუშლია Griffin-ის საქმეში ქმედების მცდელობად შეფასებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას Toothill-ის,

⁶³¹ Geddes, Crim.L.R.894.1996.

⁶³² Ormerod D. 2009. 589; Clarkson CMV., Keating HM.& CunninghamSR.2007. 498-499; Ashworth A. 2009. 444; Finch E. and FafinskiS. 2011. *Criminal law*. Harlow, Longman. 61.

⁶³³ R. v Toothill, Crim. LR 876 (CA).1998.

⁶³⁴ Tosti, Crim. LR 746 (1997); ასევე Ashworth A. 2009. 444.

⁶³⁵ მსგავსი საქმე და შეფასება იხ. Boyle and Boyle, 84, cr app r 270, (1987); Cross N. 2010. *criminal law and justice*. London, Sage. 81.

Tosti-ის და Boyle-ს საქმეზე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პირის ქმედება ძალიან იყო დაშორებული დანაშაულის დასრულებისგან და დაცვის ობიექტი ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა უშუალო ხელყოფის ქვეშ, სასამართლომ რატომღაც საკმარისად მიიჩნია მცდელობად შეფასებისთვის, მაგრამ Campbell-ის საქმეში, სადაც პირი ერთი იარდით იყო დაშორებული თავდასხმის ობიექტს, მცდელობად არ მიიჩნია და მხოლოდ იარაღის ტარებისთვის დასაჯა (შესაძლოა სწორედ სხვა მუხლით დასჯის შესაძლებლობა გახდა მცდელობის შეზღუდულად განმარტების საფუძველი), რომელიც თავის მხრივ მომზადების სპეციალური შემადგენლობაა. ამდენად, ახალ განსაზღვრებას მეტი სინათლე და გარკვეულობა არ შემოუტანია მცდელობის არსის გასაგებად. საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის არის ქმედება **უფრო მეტი, ვიდრე უბრალო მომზადება**, ძალიან რთული შესაფასებელია და სასამართლო, პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, მას უფრო ვიწროდ ან უფრო ფართოდ განმარტავს. კლარკსონი და კიტინგი მცდელობის არსებულ დეფინიციას ბუნდოვანს უწოდებენ და საფრთხეს ხედავენ მასში, მათი აზრით, ის საშიში იარაღია სასამართლოს ხელში, რადგან იძლევა შეხედულებისამებრ მისი გაფართოების შესაძლებლობას⁶³⁶. ის, თუ რა წარმოადგენს უფრო მეტს, ვიდრე დანაშაულის მომზადება, განსაკუთრებით ბუნდოვანია იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მომზადების დეფინიცია, ამდენად, მცდელობის მოქმედი განსაზღვრება არ გამოირჩევა მკაფიო განსაზღვრულობით. ამ სიტუაციიდან გამოსავლად ცნობილ ინგლისელ მეცნიერს, ე. ეშვორსს, მიაჩნია სიახლოვის ელემენტის აუცილებელი გათვალისწინება, ამასთან, ავტორის თქმით, ეს სიახლოვე უნდა არსებობდეს ქმედებასა და დაცულ სიკეთეს შორის⁶³⁷. მიუხედავად წინააღმდეგობებით სავსე სასამართლო პრაქტიკისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ, განსხვავებით ამერიკის სამოდელო კანონისა, რომელიც ცალსახად პიროვნების საშიშროების თეორიას უდებს საფუძველად მცდელობის დასჯადობას, ინგლისის სისხლის სამართალი, განსაკუთრებით 1981 წლის შემდგომი პერიოდი, უფრო მეტად ობიექტური ტენდენციის მატარებელია. ის აქცენტს აკეთებს მცდელობის ობიექტური მხარის მატერიალურ მნიშვნელობაზე, რომელიც თავისი გამოხატულებით უფრო მეტია, ვიდრე განზრახვის

⁶³⁶Clarkson CMV., Keating HM.& CunninghamSR.2007. 499-500; მსგავს შეფასებას აძლევს ეშვორსი. იხ. Ashworth A. 2009. 443.

⁶³⁷ Ashworth A. 2009. 445.

მტკიცებულებითი სტანდარტი, როგორც ეს ამერიკის სამოდელო კანონშია. თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ დროთა განმავლობაში სტანდარტი - „უფრო მეტი, ვიდრე დანაშაულის უბრალო მომზადება“, რომელიც დანაშაულის ჩადენის დასაწყისად არის მიჩნეული, უფრო და უფრო მეტად ფარავს მომზადების სტადიას. პროფესორ ე. დაფს მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის პრობლემად მიაჩნია არა მცდელობის განმსაზღვრელი დეფინიცია, რომელიც, მისი თქმით, უფრო მკაფიო ადამიანური სიტყვებით ვერც გადმოიცემა და ყოველთვის მოიძებნება მისი ფართოდ ინტერპრეტაციის ელემენტი⁶³⁸, არამედ ის, თუ რას ვიღებთ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად, როგორ ორიენტაციას ვირჩევთ⁶³⁹. ე. დაფი, როგორც ობიექტივისტი, ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ მცდელობის შეზღუდულ ინტერპრეტაციას უჭერდა მხარს, რომ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე დარჩენილიყო სუბიექტისთვის მოსაფიქრებლად.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტადია მომზადებად იქნებოდა (ან უნდა ყოფილიყო) შეფასებული (რა თქმა უნდა, იმ ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის გათვალისწინებით, რისკენაც ქმედება იქნებოდა მიმართული), რადგან ყველა დასახელებულ საქმეში ქმედება უფრო მეტად იყო დაშორებული დანაშაულის აღსრულებისგან, ვიდრე მცდელობისთვის არის დამახასიათებელი და, შესაბამისად, შექმნილი საფრთხეც უფრო ნაკლები იყო. მაგალითად: R v. Tosti საქმეში ჩარაზული საკეტის მარტოოდენ გასინჯვა და ჭუჭრუტანაში გახედვა ვერ ქმნის იმ კონკრეტულ საფრთხეს, რაც მცდელობის აუცილებელი ნიშანია, მაგრამ რამდენადაც შედეგის რეალიზების პოტენციალის მქონე ქმედებაა და თავისი ინტენსივობით ქმნის რეალურ, მაგრამ ჯერ მაინც აბსტრაქტულ საფრთხეს, იმსახურებს მომზადებად შეფასებას. მოცემულ საქმეში მცდელობა მხოლოდ მას შემდეგ გვექნებოდა, როდესაც პირები გააღებდნენ საკეტს⁶⁴⁰. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, დასახელებული ქმედებების მომზადებად შეფასებას განაპირობებს არა ის, რომ მას მცდელობის ცნება განსაკუთრებით კარგად და მკაფიოდ აქვს განსაზღვრული, არამედ მოცემულ საკითხში კანონმდებლის მიერ

⁶³⁸Duff R.A. 1996. 60.

⁶³⁹ Ibid. 63-4.

⁶⁴⁰მსგავსი მაგალითი, რომელიც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია მოყვანილი, მომზადებად არის შეფასებული. იხ. წერეთელი თ. 1976. 117.

არჩეული ობიექტური ორიენტაცია⁶⁴¹. პროფესორ დაფის სწორი შენიშვნით, მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნისთვის ამოსავალი სწორედ მათი დასჯადობის საფუძველი უნდა იყოს, რადგან ქმედებაში ყოველთვის მოიძებნება ისეთი ელემენტი, რომელიც მეტად თუ ნაკლებად მისცემს ნორმის შემფარდებელს მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობას.

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში შემუშავებული კიდევ მრავალი სხვა ტესტისა თუ სახელმძღვანელო წინადადების დასახელებაა შესაძლებელი, როგორცაა „უარის თქმის ალბათობის“⁶⁴² და „არაადეკვატური ნაბიჯის ტესტი“⁶⁴³, „შესაბამისი ნაბიჯის“ ტესტი, „უკანონო მოქმედების“ ტესტი⁶⁴⁴, „განუყოფელი ელემენტის“ ტესტი და მრავალი სხვა⁶⁴⁵, რომლებიც მეტ-ნაკლებად იმეორებდნენ უკვე არსებული ან დავიწყებული სახელმძღვანელო ტესტების ნაკლოვანებებს და მათაც იგივე პრობლემები ჰქონდათ ახალ გამოწვევებთან მიმართებით, რის გამოც ისინი საბოლოოდ მცდელობის არსის განვრცობის კომპრომისამდე მიდიოდნენ. მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის სახეების არსში სწორი გარკვევით იქნება მათ შორის ზღვარის გავლება შესაძლებელი. აბსტრაქტული, მაგრამ რეალური საფრთხე იმსახურებს რიგ შემთხვევაში დასჯას მომზადების სახით, მაგრამ აქცენტის არა განზრახვაზე გადატანით და მცდელობად შერაცხვით. მის მიღმა ქმედებებს კი სისხლის სამართალი არ უნდა ებრძოდეს დაუმთავრებელი დანაშაულის სახელით, რადგან ის აქცენტს პირის და არა ქმედების საშიშროებაზე აკეთებს, რაც მიუღებელია ლიბერალური სისხლის სამართლისთვის.

➤ დანაშაულის მცდელობის გერმანული მოდელი

გერმანიაშიც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველად ობიექტური და სუბიექტური თეორიები⁶⁴⁶ ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში ენაცვლებოდნენ სოციო-პოლიტიკური ვითარების შეცვლის კვალდაკვალ.

⁶⁴¹მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 101. აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობია სუბიექტური ორიენტაციის ინტერპრეტაციის ტენდენცია, რასაც გერმანული სისხლის სამართლის გავლენა განაპირობებს. იხ. ტურავა მ. 2013. 313. ხარანაული ლ. 2013. 139.

⁶⁴² Duff R.A. 1996. 44-46; Samaha J. 2011. 244. Singer R. G. & La Fonda J. Q. 2010. 313.

⁶⁴³Wagner R. E. 2010. 1061.

⁶⁴⁴ Gordon G. H. 1960. 197-198.

⁶⁴⁵ Samaha J. 2011. 243; Duff R.A. 1996. 39-40.

⁶⁴⁶ტურავამ. 2013. 313; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 86-91; ხარანაულისლ. 2013. 107-133.

თითოეულის სუსტი მხარის გავლენით იქმნებოდა ახალი თეორია, რომელიც ან უკიდურესად სუბიექტური, ან ობიექტური ორიენტაციისა იყო.

ობიექტური თეორიის უმთავრეს ნაკლად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე ურის თქმას ასახელებენ⁶⁴⁷, ხოლო სუბიექტური თეორიის ნაკლად - იმას, რომ ის დასჯადობის საფუძველს უქმნის განზრახვის უბრალო გამომჟღავნებას და აბსოლუტურად უვარგის (არარეალურ) მცდელობასა და მომზადებას⁶⁴⁸. თითოეულის სუსტი და ძლიერი ნიშნების გავლენით იქმნებოდა ახალი, ე.წ. „შერეული“⁶⁴⁹ და „თანამედროვე“ თეორიები⁶⁵⁰, რომელთა შექმნის მიზანიც იყო ახალი გამოწვევების შესაბამისად მცდელობის იმგვარად განსაზღვრა, რომ უზრუნველყო მისი გამიჯვნა, ერთი მხრივ, დანაშაულის მომზადებისგან და, მეორე მხრივ, დამთავრებული ქმედების შემადგენლობისგან⁶⁵¹.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, მცდელობა ასე განისაზღვრა: „დანაშაულის მცდელობას ახორციელებს ის ადამიანი, რომელიც, ქმედებაზე საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, უშუალოდ დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას“⁶⁵². იმ საკითხის თაობაზე, თუ რა იგულისხმება სიტყვებში „საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, უშუალოდ დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას“, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თანამედროვე მიდგომით, რომელსაც გერმანიის სასამართლო პრაქტიკაც მისდევს, მცდელობის განმსაზღვრელი „დროსა და სივრცეში სიახლოვის კავშირის“ და „დაზარალებულის დაცულ პირად სფეროზე ზემოქმედების“ ცნებებია⁶⁵³, ასევე ქმედების შემადგენლობის განხორციელების „უშუალოდ შედგომის“ კრიტერიუმი⁶⁵⁴, ასევე საზოგადოებრივი რწმენის შერყევა სამართლებრივი წესრიგის საფუძვლიანობაზე⁶⁵⁵ და სხვა. მიუხედავად ზემოთ დასახელებული ობიექტური

⁶⁴⁷ ხარანაულისლ. 2013. 109; ტურავამ. 2013. 313.

⁶⁴⁸ ტურავამ. 2013. 313-314. ხარანაულისლ. 2013. 121.

⁶⁴⁹ ხარანაულისლ. 2013. 121-126; Dubber M. and Hornle T. 2014. *Criminal Law. A Comparative Approach*. Croydon, Oxford University Press. 356.

⁶⁵⁰ ხარანაულისლ. 2013. 126-133.

⁶⁵¹ Ibid. 138.

⁶⁵² ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 347.

⁶⁵³ ხარანაულილ. 2013. 212-213; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 347.

⁶⁵⁴ ხარანაულილ. 2013. 210.

⁶⁵⁵ Dubber M. D. and Hornle T. 2014. 356.

კრიტერიუმებისა, მათი განმარტება სუბიექტურად ხდება, კერძოდ, არა შექმნილი საფრთხისა და ობიექტური სიახლოვის მიხედვით, არამედ სუბიექტის „წარმოდგენის“⁶⁵⁶ შესაბამისად. ამიტომ შემთხვევითი არ არის იმ ქმედებათა მცდელობის სტადიად დაკვალიფიცირება, რომლებზეც ქვემოთ იქნება საუბარი. მაგალითად: ყაჩაღობის მცდელობად იქნა შეფასებული იმ პირთა ქმედება, რომლებმაც საცხოვრებელი სახლის კარზე დააკაკუნეს, რომ გაღებისთანავე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თავს დასხმოდნენ მესაკუთრეს⁶⁵⁷; პირის მიერ კიბის სახლზე მიდგმა, რომ ღია ფანჯრიდან შემძვრალიყო ქურდობის მიზნით⁶⁵⁸; პირის მიერ ავტომანქანის წინა თვლის ხელით შემოწმება იმ შემთხვევაში, თუკი საჭე თავისუფალი იქნებოდა, რათა მაშინვე დაუფლებოდა მას⁶⁵⁹; ეზოდან ძაღლის გაყვანა იმ მიზნით, რომ შემდეგ დაუყოვნებლივ შესულიყო სახლში გაქურდვის მიზნით⁶⁶⁰. შემთხვევის ადგილზე დამალული იარაღის (გისოსების გამწევი საშუალება) სამალავიდან ამოღება, რომ დაუყოვნებლივ შესდგომოდა გისოსების გაწევას, ქურდობის მცდელობად არის შეფასებული⁶⁶¹. ასევე, მკვლელობის მცდელობად ჩაითვლება ბინაში მსხვერპლის ძებნა მისი მოკვლის განზრახვით⁶⁶².

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში (ისევე, როგორც ჩეხეთის და უნგრეთის სისხლის სამართალში⁶⁶³) გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მომზადების სტადიად შეფასდებოდა⁶⁶⁴. მაგალითად: საკეტის დაზიანებისა და საცავში შეღწევის მიზნით გისოსების გამწევი რკინის სამალავიდან ამოღება ვერაფრით დაკვალიფიცირდება მცდელობად, რადგან ქმედება ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ახლოს ქმედების შემადგენლობის აღსრულებასთან და, შესაბამისად, ჯერ კიდევ ვერ ქმნის იმ ზომის საფრთხეს, რაც

⁶⁵⁶მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 88; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 347;Bohländer M. 2009.139.

⁶⁵⁷ ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 352; ხარანაულილ. 2013. 212.

⁶⁵⁸ ხარანაულილ. 2013. 215.

⁶⁵⁹წიქარიშვილი კ. 2010. 16.

⁶⁶⁰ ხარანაულილ. 2013. 218; ვესელსი ი. და ბოილკე ვ. 2010. 350.

⁶⁶¹ ხარანაულილ. 2013. 223.

⁶⁶²მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 28.

⁶⁶³Šlapák M. 2013. Thesis: *Developmental stages of offense*. Pilsen, University of West Bohemia in Pilsen Faculty of Law. 12-13; Kohout V. 2013. 21-22

⁶⁶⁴წერეთელი თ. 1961. 80-81. ასევე აღსანიშნავია მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც ქურდობის მომზადებად შეფასდა პირის ქმედება, რომელიც დაკავებულ იქნა კარის საკეტის შემოწმების დროს. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს N1/497-13 განაჩენი. 19 მარტი 2013; შეად. R. v. Tosti საქმეს, სადაც მსგავსი შემთხვევა მცდელობად შეფასდა.

მცდელობისთვის არის დამახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას ავტომობილის წინა თვლის ხელით შემოწმებაზე, რაც ჯერ კიდევ ვერ ქმნის მანქანის გატაცების კონკრეტულ საფრთხეს და ვერც „დროისა“ და „სივრცის“ ახლო კავშირის ცნებას აკმაყოფილებს, რადგან ჩაკეტილი მანქანის დასაუფლებლად ჯერ კიდევ ბევრი ბარიერია გადასალახავი. მცდელობის ფართო განმარტებას განაპირობებს ე.წ. შერეული სუბიექტურ-ობიექტური თეორია⁶⁶⁵, რომელიც უპირატესად სუბიექტური თეორიიდან იღებს სათავეს, რადგან, ამ თეორიის მიმდევართა შეხედულებით, ქმედების მცდელობად შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების სუბიექტის წარმოდგენას ქმედების შემადგენლობის დაწყებაზე და საფრთხის შექმნაზე. სწორედ ამიტომ არის, რომ სტადიათა ურთიერთგამიჯვნისთვის იყენებენ მეტად სპეკულაციურ და ხელოვნურ კრიტერიუმებს⁶⁶⁶.

ქმედების შემადგენლობის დაწყების სუბიექტის წარმოდგენის მასშტაბით გაზომვა არ არის გასაზიარებელი⁶⁶⁷, რადგან ყოველთვის შექმნის მისით სპეკულაციის შესაძლებლობას, იდეაში ის იძლევა სიკეთის ხელყოფისგან ძალზე დაშორებული ქმედებების მცდელობად და - პირიქით, ძალიან ახლოს მდგომი ქმედებების მომზადებად შეფასების შესაძლებლობას. წარმოდგენის მიხედვით, ქმედების მცდელობად შეფასებას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეთანხმება მ. ტურავა, ხოლო ხარანაულს „წარმოდგენა“ ყოველთვის საკმარის კრიტერიუმად არ მიაჩნია⁶⁶⁸. ქმედების მომზადებად ან მცდელობად შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს რეალურად შორს წასულ და ამით დაფუძნებულ საფრთხეების გაზომვაზე, მაგრამ არა პირის წარმოდგენაზე მათ შესახებ, რომელიც მართლაც მიუწვდომელია **ობიექტური სამყაროსთვის**⁶⁶⁹.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გავრცელებული დანაშაულის მცდელობის უპირატესად სუბიექტური ინტერპრეტაცია სრულ შესაბამისობაშია მის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან⁶⁷⁰,

⁶⁶⁵ ტურავა მ. 2013. 316. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 7, 39.

⁶⁶⁶ ქმედების სუბიექტის წარმოდგენის მიხედვით ქმედების მცდელობად შეფასების კრიტიკისთვის ნახეთ Hasnas J. 2012. 766.

⁶⁶⁷ კრიტიკისთვის იხ. სულაქველიძე. 1991. 14; ასევე მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 39-40.

⁶⁶⁸ ხარანაული. 2013. 231.

⁶⁶⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 39.

⁶⁷⁰ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2013. 88-89.

სადაც ქმედების მცდელობად მიჩნევისთვის განმსაზღვრელია არა ობიექტური ელემენტი, არამედ პირის სუბიექტური წარმოდგენა შექმნილ საფრთხეზე. ამდენად, იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ქმედებები მცდელობად არის მიჩნეული, შეიძლება არსობრივად არ დაეთანხმო, მაგრამ გერმანულ სისხლის სამართალში დოგმატიკური საფუძველი აქვს⁶⁷¹.

➤ დანაშაული მცდელობის ფრანგული მოდელი

საფრანგეთის მოქმედი (1994 წლის) სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლი დღემდე ინარჩუნებს მცდელობის იმ განსაზღვრებას, რომელიც 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვრა და რამაც უდიდესი როლი ითამაშა მაშინდელი მსოფლიოს დაუმთავრებელ დანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით არსებული მიდგომის ფორმირებაზე. 1810 წლის ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, მცდელობა განისაზღვრა, როგორც დანაშაულის შემადგენლობის **აღსრულების დასაწყისი**, რომელიც, მეცნიერების სწორი შენიშვნით, დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძველად ობიექტური თეორიის აღიარებას ნიშნავდა⁶⁷². „აღსრულების დასაწყისი“, როგორც მცდელობის ობიექტური შემადგენლობის განმსაზღვრელი, აისახა სხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაშიც, მათ შორის, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში⁶⁷³, პრუსიის 1851 წლის სისხლის სამართლის კოდექსში⁶⁷⁴. ფლეტჩერის თქმით, სწორედ ფრანგულმა მოდელმა განაპირობა ინგლისის პრეცედენტულ სამართალში ბოლო აქტის ტექსტის გავრცელება, რომლითაც გადაწყდა Eagleton-ის საქმე⁶⁷⁵. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ერთხმად აღიარებენ „აღსრულების დაწყების“ კრიტერიუმის ობიექტურ ორიენტაციას, რასაც მაშინდელი სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებდა, იქვე გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებებსაც, რომ აღნიშნული განსაზღვრება არ არის უნაკლო და ის ღიას ტოვებს ფანჯარას სუბიექტური მიდგომით ინტერპრეტაციისთვის. ჯ. ფლეტჩერის თქმით, ის ძალზე

⁶⁷¹გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 22-ე პარაგრაფი.

⁶⁷²წერეთელი თ. 2007. *დანაშაულის მომზადება და მცდელობა*. 444-445; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. 40; Fletcher G. 2000. 139.

⁶⁷³1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფი.

⁶⁷⁴1851 წლის პრუსიის სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე პარაგრაფი.

⁶⁷⁵ Fletcher G. 2000. 139.

ელასტიურია და სრული სიცხადით ვერ იძლევა პასუხს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში⁶⁷⁶.

თანამედროვე ფრანგული სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია და, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად ეხმიანება ფლექტერის შენიშვნას მცდელობის დეფინიციის ელასტიურობასთან მიმართებით.

იმის განსასაზღვრად, თუ რა იგულისხმება აღსრულების დაწყებაში, საფრანგეთის სასამართლო სხვადასხვა ფორმულირებას იყენებს, მათ შორის, ყველაზე გავრცელებული ფორმულირებით, დანაშაულის მცდელობა არის ქმედებები, რომლებიც პირდაპირაა მიმართული დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად⁶⁷⁷. მაგასი განუსაზღვრელი ფორმულირების შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ხშირია მცდელობის განვრცობითი განმარტების პრაქტიკა, რის საილუსტრაციოდაც არაერთი პოპულარული საქმის მოყვანა შეიძლება. მაგალითად: 1914 წლის „დალოდების“ საქმე, სადაც ა-მ გადაწყვიტა მოლარის დაყაჩაღება და ამ მიზნით ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჩასაფრდა შენობის კიბის ქვეშ, სადაც მოლარეს უნდა გამოეველო⁶⁷⁸; საფრანგეთის სასამართლომ 1970 წელს ასევე ყაჩაღობის მცდელობად შეაფასა პირთა ქმედება ერთ-ერთ საქმეში, სადაც პირთა შეიარაღებული ჯგუფი, ნიღბებითა და ხელთათმანებით, ავტომანქანაში იცდიდნენ, რომ სატვირთო მანქანის გამოჩენისთანავე მასში მყოფ ადამიანებს თავს დასხმოდნენ⁶⁷⁹; ასევე იმ პირთა ქმედება, რომლებიც ძალაყინით ხელში დაკეტილი მაღაზიის კართან იცდიდნენ, რომ მოსახერხებელ დროს შეემტვრიათ⁶⁸⁰; ასევე იმ პირის ქმედება, რომელმაც ის ადგილი მოინახულა, რომლის დაყაჩაღებასაც მოგვიანებით აპირებდა იმ მიზნით, რომ დარწმუნებულიყო გეგმის სიზუსტეში⁶⁸¹. თაღლითობის მცდელობად იქნა შეფასებული იმ პირის ქმედებაც, რომელმაც გასაყიდად გამოიყვანა მანქანა, რომლის

⁶⁷⁶ Ibid.

⁶⁷⁷ Elliott C. 2001. 96.

⁶⁷⁸ წიქარიშვილი კ. 2010. მე-8 მაგალითი, 16; ასევე იხ. Elliott C. 2001. 97; Fletcher G. 2000. 167.

⁶⁷⁹ Crim.29 dec. 1970, J.C.P., 16770, note P. Bouzat.1971; Elliott C. 2001. 96.

⁶⁸⁰ Trib.enf., Nanttere, 6 juillet 1971, R.S.C., 1972.100, obs. A. Ligan.

⁶⁸¹ Crim. 5 Juillet 1951, B. 198, R.S.C. 1952.439.obs.Ligan.

კილომეტრაჟიც გავლილზე გაცილებით ნაკლებს აჩვენებდა⁶⁸². **Gilliam**⁶⁸³ - ის მსგავსად, სადაც პენსილვანიის უზენაესმა სასამართლომ არსებითი ნაბიჯის ტესტით იხელმძღვანელა, საფრანგეთის სასამართლომ **1975 წლის საქმეში** დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დაწყების კონცეფციით პატიმრობიდან გაქცევადა დააკვალიფიცირა იმ პირის ქმედება, რომელმაც საპატიმროს ფანჯრის გისოსის გადაჭრა დაიწყო⁶⁸⁴.

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რომელიც საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის კვლევას ემყარება, მცდელობის განვრცობითი ინტერპრეტაცია განსაკუთრებით მიღებულია სექსუალური ხასიათის დანაშაულთა საქმეებზე⁶⁸⁵, აგრეთვე იმ საქმეებზე, სადაც ქმედების სუბიექტი „რეციდივისტია“⁶⁸⁶.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მოკლე ანალიზითაც კი შესაძლებელია იმის თქმა, რომ ობიექტური თეორიით ნასაზრდოებმა მცდელობის დეფინიციამ დაკარგა თავისი ადრეული ბუნება და ის უფრო მეტად იმართება სუბიექტური მიდგომებით. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, რიგ დანაშაულებთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აღნიშნული პრაქტიკა ისეთივე ფართო და ყოვლის მომცველია, როგორც - ამერიკული სამოდელო კანონით აღიარებული არსებითი ნაბიჯის თეორია.

➤ **დანაშაულის მცდელობა რამდენიმე სხვა ევროპული ქვეყნის მიხედვით**

ჩეხეთისგან, ნიდერლანდებისგან⁶⁸⁷ და უნგრეთისგან განსხვავებით, სადაც დანაშაულის მომზადება გენერალურად ისჯება და რამაც, საქართველოს მსგავსად,

⁶⁸² წიქარიშვილი ვ.2010. მე-12 მაგალითი, 16. Crim. 5 Juin, 1996. თუმცა ინგლისისა და ამერიკის შერთებული შტატების სასამართლოს მსგავსად, საფრანგეთის სასამართლომ თაღლითობის მცდელობად არ შეაფასა იმ პირის ქმედება, რომელმაც საკუთარ მანქანას ცეცხლი წაუკიდა იმ მიზნით, რომ თაღლითურად დაუფლებოდა სადაზღვეო თანხას. პირის ქმედება სადაზღვეო კომპანიისთვის მიმართვამდე იქნა აღკვეთილი. Crim. 27 Mai 1959, B., no. 282.

⁶⁸³ Commonwealth v. Gilliam, 417 A.2d 1203 Pa. Super (1980).

⁶⁸⁴ Crim. 5 Juin, 1975. წიქარიშვილი ვ. 2010. მე-10 მაგალითი, 16.

⁶⁸⁵ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საქმე იხ. Crim. 14 Juin 1995, B. no. 222. სადაც გაუპატიურების მცდელობად შეფასდა იმ პირის ქმედება, რომელმაც გაუპატიურების განზრახვით საკუთარი ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

⁶⁸⁶ Elliott C. 2001. 97.

⁶⁸⁷ Pelsers C. M. 2008. Preparation to commit a crime. The Dutch approach to inchoate offences. *Utrecht law review*, vol.4. issue 3. 60.

განაპირობა მცდელობის ობიექტური ორიენტაცია, ესპანეთსა და იტალიაში მომზადების სტადია არ არის დასჯადი, მაგრამ სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, დანაშაულის მცდელობა შეზღუდულად განიმარტება. ქმედების მცდელობად შეფასების კრიტერიუმები სიკეთის დაზიანებასთან დროსა და სივრცეში სიახლოვეა, ასევე მხედველობაში იღებენ დაცული სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას⁶⁸⁸. იტალიაში წინა კოდექსით დანაშაულის მომზადება დასჯადი იყო და შესაძლოა, მცდელობისგან განმასხვავებელი კრიტერიუმები ძველი პრაქტიკიდან მოსდგამთ, ხოლო, რაც შეეხება ესპანეთს, მას სხვა წინარე ქმედებები აქვს კრიმინალიზებული, როგორცაა კონსპირაცია და დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება, ასევე მრავალი შეკვეცილი დელიქტი, რითაც ახდენს ერთგავარად მომზადების დაუსჯელობის კომპენსირებას და არ საჭიროებს მცდელობის განვცობით განმარტებას. დანაშაულის მცდელობა საინტერესოა დანიის სისხლის სამართლის მიხედვით, რომელიც მას ორ სახედ ჰყოფს კანონშივე⁶⁸⁹: მცდელობის პირველი სახე მოსამზადებელი სტადიაა, ხოლო მეორე სახე არის ის, რასაც ობიექტური თეორიის მიხედვით მცდელობა ჰქვია (საფრთხით და სიახლოვით გაგებული). დანიის სს მიხედვით, იარაღის შექმნა ვინმეს მოკვლის განზრახვით ან შენობის დათვალიერება გაქურდვის მიზნით უკვე დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს⁶⁹⁰

ზემოთ დასახელებული ქვეყნების მაგალითზე შესაძლოა ითქვას, რომ ქვეყნების ერთი ჯგუფი, რომლებიც მომზადებას გენერალურად არ სჯიან, უფრო მეტად სუბიექტურ თეორიას იყენებენ დანაშაულის მცდელობის დასასჯელად, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც მომზადებას გენერალურად სჯიან.

იმ პირობებში, სადაც მცდელობა განისაზღვრება არა ობიექტური სიახლოვისა და შექმნილი საფრთხის კრიტერიუმით, არამედ ქმედების სუბიექტის წარმოდგენის მასშტაბით ან დაზარალებულის აღქმული შიშებითა და ფანტაზიებით, ან კიდევ ქმედების სუბიექტის საშიშროებით და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით, მცდელობის

⁶⁸⁸ Winter L. B. del Moral García A. 2013. *Criminal Law in Spain*. Kluwer Law International. 120. Gómez- Jara Díez C. and Chiesa L. E. 2011. *The handbook of comparative criminal law*. 502. Amato A. 2011. 105-106.

⁶⁸⁹ დანიის სსკ-ის 21(1) მუხლი.

⁶⁹⁰ Langsted L. G. P. and Greve V. 2014. 75.

ცნება ყოველთვის ბუნდოვანი იქნება და კანონი ვერასოდეს შეასრულებს საგარანტიო ფუნქციას.

ამრიგად, აუცილებელია დანაშაულის მცდელობის ბუნების სწორი გაგება და, თუკი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია მცდელობის მიღმა მდგომი ქმედების პრევენცია, მან მისი კრიმინალიზება უნდა მოახდინოს და თავისი სახელი დაარქვას - დანაშაულის გენერალური მომზადება, ან შექმნას მომზადების სპეციალური შემადგელობა, და არამც და არამც არ უნდა შეუწყოს ხელი მცდელობის განვრცობას.

თავი IV. სასჯელი დაუმთავრებელი დანაშაულისთვის

საქართველოს მოქმედი სსკ დაუმთავრებელი დანაშაულისთვის აღარ ითვალისწინებს სასჯელის სავალდებულო წესით შემცირების მოთხოვნას⁶⁹¹. დაუმთავრებელ სტადიასთან დაკავშირებით ერთადერთი შეღავათი, რაც მოქმედებს, უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კატეგორიული აკრძალვაა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის ჩადენის სტადიებისთვის ერთი და იგივე სასჯელები ინიშნება⁶⁹². დისერტაციაში გამოხატული აშკარა მხარდაჭერა ობიექტური თეორიის მიმართ სისტემური და ლოგიკური თანამიმდევრობისთვის მოითხოვს სასჯელის სავალდებულო შემცირების დასაბუთებასაც დაუმთავრებელი დანაშაულისთვის⁶⁹³. სასჯელის სამართლიანობისთვის და მისი ადეკვატური აღქმისთვის აუცილებელია, რომ ის, ვინც სიკეთე დააზიანა, უფრო მკაცრად ისჯებოდეს, ვიდრე ის, ვისი საქმიანობაც მოსამზადებელ (ან მცდელობის) სტადიაზე შეწყდა და აქცენტის გაკეთება **მორალური პასუხისმგებლობის თანაბარ მნიშვნელობაზე**⁶⁹⁴ უკიდურესი სუბიექტივიზმისათვის ფანჯრის ღიად დატოვება იქნებოდა⁶⁹⁵. წინამდებარე კვლევა მხარს უჭერს სსკ-ის 2006 წლამდე არსებულ რედაქციას დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის სავალდებულო წესით შემცირებასთან დაკავშირებით. დანაშაულის მცდელობისთვის ნაკლები სასჯელის დანიშვნის მომხრეა ენტონი დაფიც. ის სასჯელს და მთლიანად პირის მსჯავრდების პროცესს „კომუნიკაციის პროცესს“ უწოდებს. ავტორის თქმით,

⁶⁹¹ აღსანიშნავია, რომ არც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ადგენდა განსახვავებულ სასჯელს დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიებისთვის. აღნიშნულის შესახებ იხ. ფურცხვანიძე ბ. 1971. 177-178.

⁶⁹² სსკ N61-აპ განჩინება. 7 მარტი 2007; ასევე N 987, 26 დეკემბერი 2007 და 332აპ-09, 5 ოქტომბერი 2009 განჩინება.

⁶⁹³ სასჯელის სავალდებულო შემცირება დაუმთავრებელი დანაშაულისთვის, როგორც ობიექტური თეორიის აუცილებელი თანამგზავრის შესახებ შეგიძლიათ იხ. ხარანაული. 2013. 118; Lippman M. 2010. 180.

⁶⁹⁴ მორალური ეკვივალენტობის თეზის შესახებ იხ. Duff R. A. 1996. 334.

⁶⁹⁵ დაუმთავრებელი დანაშაულის დასრულებული დანაშაულის მსგავსად დასჯის მომხრეთა არგუმენტებისთვის იხ. Ashworth A. 1987. *Belief, Intent and Criminal Liability*. Oxford Essays in Jurisprudence; Cross R. and Ashworth A. 1981. *The English Sentencing System*. 154-155; Schulhofer S. J. and Kahan D. M. 2000. *Encyclopedia of crime and justice*, v.1. 91.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, თუ რა ჩაიდინა სინამდვილეში პირმა, ვინ დააზარალა, როგორ აისახა ეს საზოგადოებაზე მთლიანად და ა.შ.⁶⁹⁶. ე. დაფის აზრით, აუცილებელია პირმა გაიაზროს, რომ სწორედ იმის გამო ისჯება მსუბუქად, რომ ნაკლები ზიანი მიაყენა თავისი ქმედებით დაცულ სიკეთეს, ხოლო მთლიანად დაზიანების შემთხვევაში უფრო მკაცრად დაისჯებოდა⁶⁹⁷. დაფისთვის მორალურადაც მიუღებელია ერთი და იმავე სასჯელის დანიშვნა დანაშაულის ჩადენის ყველა სტადიისთვის, რადგან, მისი აზრით, ასეთი განურჩეველი მიდგომით კანონმდებელი იგნორირებას უკეთებს დაცულ სიკეთეს, მისთვის სულ ერთია, ის გადარჩებოდა თუ არა⁶⁹⁸. სასჯელის დანიშვნის დროს დამდგარი შედეგის მნიშვნელობაზე საუბრობს ჰარტიც. მისი თქმით, შეურაცხყოფა, რომელიც დაზარალებულს მიადგა დანაშაულის ცდის დროს, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე დანაშაულის დასრულებისას იქნებოდა და ამან ასახვა უნდა ჰპოვოს სასჯელზე⁶⁹⁹. დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომებიც. მიუხედავად იმისა, რომ MPC დანაშაულის მცდელობისთვის ნაკლებ სასჯელს არ ითვალისწინებს, მას შტატების ძალიან მცირე ნაწილი იზიარებს⁷⁰⁰, ხოლო შტატების უმეტესობა სასჯელის სავალდებულო წესით შემცირების მოთხოვნას ადგენს⁷⁰¹, მათ შორის არიან ილინოისის⁷⁰², ნიუ იორკის⁷⁰³ და კალიფორნიის⁷⁰⁴ შტატების კანონმდებლობაც. მცდელობისთვის ნაკლებ სასჯელს არც ინგლისის კანონი ითვალისწინებს,⁷⁰⁵ თუმცა, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რიგი დანაშაულების დაუმთავრებელი სტადიისთვის სასჯელი ბევრად უფრო

⁶⁹⁶ Duff R.A. 1996. 352.

⁶⁹⁷ Ibid. 352.

⁶⁹⁸ Ibid. 354.

⁶⁹⁹ Hart H.L.A. 1998. *Punishment and Responsibility*, Essays in the Philosophy of Law. 131. დაუმთავრებელი დანაშაულისთვის ნაკლები სასჯელის დანიშვნის მხარდამჭერი არგუმენტისთვის ასევე იხ. FitzJ. S. 1883. A history of the criminal Law, vol.3. 311; Davis M. 1986. Why Attempts Deserve Less Punishment than Complete Crimes, *5 Law & Phil.* 1. 28-29; Brady J. 1980. Punishment Attempts, *the monist* 63; Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007. 475-482.

⁷⁰⁰ Encyclopedia of crime and justice, v.1, 90-91; Kadish S. H., Schulhofer S. J. and Steiker C. S. 2007. *Criminal Law and its Process. Cases and Materials*. New York, Aspen Publishers. 544-545.

⁷⁰¹ Davis M. 1986. 1-2.

⁷⁰² Illinois Criminal code, Part A, 720, par. 8. Sec. 8.4 (c).

⁷⁰³ New York Penal code, par. 110.05.

⁷⁰⁴ California penal code, par. 664.

⁷⁰⁵ Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007. 475-476.

ლიბერალურია, ვიდრე დასრულების შემთხვევაში იქნებოდა⁷⁰⁶. ინგლისის სისხლის სამართლის დოქტრინაში მცდელობისთვის ნაკლები სასჯელის დანიშვნის არგუმენტად ხშირად იშველიებენ ამსრულებლის „მოტივაციას“, რომ, თუკი ამსრულებელს ეცოდინება მცდელობისთვის ნაკლები სასჯელის დანიშვნის თაობაზე, მას მოტივაცია ექნება მანამდე შეწყვიტოს ქმედება, ვიდრე დაასრულებდეს მას⁷⁰⁷. ეს არგუმენტი ქართულ სინამდვილეში არ გამოდგება, რადგან, განსხვავებით ინგლისისგან, სსკ ითვალისწინებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს⁷⁰⁸. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამერიკის სისხლის სამართალი, რომელიც სუბიექტივიზმის უკიდურეს ფორმას ითვალისწინებს და ყველაზე უფრო ფართოდ განმარტავს მცდელობის დეფინიციას, სასჯელებთან მიმართებით უფრო მეტად ობიექტურ თეორიას იყენებს. ინგლისშიც კი, რომელიც საქართველოსთან შედარებით უფრო მეტად სუბიექტური თეორიის მიმდევარია, სასამართლო პრაქტიკა სასჯელებთან მიმართებით ობიექტური თეორიის გზას ადგას. საქართველომ 2006 წლამდე არსებული მიდგომა უნდა აღადგინოს და დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაში კიდევ უფრო მეტად გაუკვალოს გზა ობიექტურ თეორიას. შესაბამისად, დანაშაულის მომზადებისთვის სასჯელი არ უნდა იყოს დასრულებული დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ნახევარზე მეტი, ხოლო მცდელობის შემთხვევაში - სამ მეოთხედზე მეტი. სასჯელის სავალდებულო წესით შემცირების აღდგენა კიდევ უფრო პრინციპულს და აქტუალურს გახდის დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნის საკითხს, რაც ხელს შეუწყობდა სამართლის განვითარებას ამ მიმართულებით. კიდევ უფრო მეტი სამართლიანობისთვის, კარგი იქნება, თუკი კანონში შევა იმგვარი ცვლილება, რომ სასჯელის სავალდებულო შემცირება აბსოლუტური წესით მოახდენს გავლენას დანაშაულის კატეგორიაზეც. ვთქვათ, თუკი პირის ქმედება მკვლელობასთან მიმართებით მომზადების სტადიაზე შეწყდა, რამდენადაც მაქსიმალური სასჯელი მკვლელობისთვის 15 წელია, მისი ნახევარი 7 წელი და 6 თვე იქნება, შესაბამისად,

⁷⁰⁶Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007.482. ასევე იხ. ამ მიმართებით საინტერესო საქმე. R v Ford. 1 Cr App R (S) 36. 2006

⁷⁰⁷Clarkson CMV, Keating HM & Cunningham SR. 2007.476-476.

⁷⁰⁸მცდელობისთვის სასჯელის იმპერატიულად შემცირების მოთხოვნას არც საფრანგეთისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსები იცნობს. იხ. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი, და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი. ასევე იხ. ხარანაული, დისერტაცია, 124-145.

